ნათუნა ბერიძე

თარგმანმცოდნეობა

გამომცემლობა
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
ბათუმი – 2018

UDC (უაკ) 81'25(075.8)
ბ – 53

ანოტაცია

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია თარგმანის თანამედროვე თეორიები და მთარგმნელობითი სტრატეგიები კულტურათმცოდნეობის, კორპუსლინგვისტიკის, პრაგმატიკის, სოციოლინგვისტიკის, სტილისტიკის, ენობრივი პოლიტიკისა და იდეოლოგიის თეორიებზე დაყრდნობით. განხილულია ნიმუშები მხატვრული და არამხატვრული ტექსტებიდან.

რედაქტორი პროფ. მარინე გიორგაძე
რეცენზენტები: ზეინაბ გვარიშვილი, ქეთევან სვანიძე, მარინე სიორიძე

© ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 2018
© ხათუნა ბერიძე
ISBN 978-9941-462-72-6

სარჩევი

წინათქმა 5
რა არის თარგმანი? სიტყვა „თარგმანი" როგორც კულტურული ცვლადი 6
რა არის თარგმანმცოდნეობა? 12
თარგმანის თეორიები და კვლევის საგანი 17
ენობრივი ნიშანი და თარგმანის პრაგმატიკა 19
ენა, ფუნქცია, თარგმანი 20
ტექსტების ფუნქციურ-სტილისტური კლასიფიკაცია 25
ტექსტების ჟანრულ-სტილისტური კლასიფიკაცია და თარგმანი 27
თარგმანის კატეგორიები 28
თარგმანისა და ორიგინალის თვისებრივ-ხარისხობრივი შესაბამისობების კლასიფიკაცია 29
ადეკვატური თარგმანის ტიპები 30
თარგმანის ლინგვისტიკური კლასიფიკაცია 31
ლინგვოეთნიკური, კოგნიტური, კულტუროლოგიური ფაქტორები და თარგმანი 32
კულტურა, რეალია და თარგმანი 36
კულტურული რეალიების / ლაკუნების კლასიფიკაცია 41
რეალიის თარგმნის მეთოდები 44
ლოკალიზაცია 46
ტრანსლიტერაცია/ტრანსკრიპცია 47
თარგმანის ერთეული და თარგმნითი ეკვივალენტობა 51
პ. ნიუმარკის მთარგმნელობითი სტრატეგიები 59
მ. ბეიკერის მთარგმნელობითი სტრატეგიები 65
სხვა მთარგმნელობითი პროცედურები 72
ლექსიკური ტრანსფორმაციები 74
საკუთარი სახელები, ტრანსლიტერაცია თუ ტრანსკრიბირება? 91
საკუთარი სახელების თარგმანი ქართულიდან ინგლისურ ენაზე 98
ფრაზეოლოგიზმი და თარგმანი 100
იდიომის თარგმნის სტრატეგიები 104
განსხვავებები კოლოკაციასა და იდიომს შორის 107
პრაგმატიკული იდიომები 109
უეკვივალენტო ლექსიკის სხვა კატეგორიები 114
გრამატიკული ტრანსფორმაცია. გრამატიკული ტრანსფორმაციის ტიპები: გადაადგილება, ჩანაცვლება, გამოტოვება, დამატება 116

რა იწვევს უეკვივალენტობას? 125
თარჯიმნის ცრუ მეგობრები 129
ლაკუნა, როგორც ფენომენი 139
ლაკუნის თარგმანი არამხატვრულ ტექსტში 143
ლაკუნარული ერთეულების მთარგმნელობითი სტრატეგიები 144
ეკვივალენტობის პრობლემა თარგმანის უახლეს თეორიათა კონტექსტში 146
ეკვივალენტობა და ფონური ცოდნა 153
თარგმნითი უეკვივალენტობის პრობლემა 156
საქმიანი (იურიდიული, კომერციული, დიპლომატიური) დოკუმენტების თარგმანი 158
სამეცნიერო-ტექნიკური და საგაზეთო-საინფორმაციო მასალის თარგმანი 160
მთარგმნელი, მხატვრული ტექსტი და მხატვრული თარგმანი 167
მითები მთარგმნელსა და თარგმანზე 168
თარგმნა, როგორც სამეცნიერო შრომა ანალიტიკური პროცესები ტექსტის თარგმნამდე 172
სტილისტიკური ხერხების თარგმანი 177
მხატვრული თარგმანის მიმართება პრაგმატიკასთან 186
ტექსტის სემანტიკური ანალიზი და თარგმანი 208
ტექსტის სოციოლინგვისტიკური ანალიზი და თარგმანი 211
ენობრივი პოლიტიკის ანალიზი და თარგმანი იდეოლოგიისა და თარგმანის ურთიერთმიმართება 215
სემიოტიკა, ტექსტი, დისკურსი, თარგმანი, მხატვრული თარგმანის მიმართება სემიოტიკასთან 218
მხატვრული ტექსტის გრაფიკული ეფექტის თარგმანი 222
მხატვრული თარგმანის ტიპების წიუმარკისეული განსაზღვრება 225
კომპენსაცია, როგორც მხატვრული თარგმანის სტრატეგია 226
გამოყენებული და ციტირებული ლიტერატურა 232
ბიბლიოგრაფია 233
ემპირიული ლიტერატურა 237
ლექსიკონები 238

ვუძღვნი:
ნელი საყვარელიძეს, გივი გ.ჩერჩილაძეს, დალი ფანჯიკიძის ბსოვნას

წ ი ნ ა თ ქ მ ა

წინამდებარე სახელმძღვანელოს თარგმანმცოდნეობა ვუწოდეთ და ის სამეცნიერო შრომა აღვწერეთ, რაც მთარგმნელმა უნდა გასწიოს დედნის თავფურცლიდან ბოლო გვერდის წერტილამდე.

მწერალი შემოქმედია, მაგრამ ვინ არის მთარგმნელი? გულთმეცნიერი? ის, ვინც ხელოვანის გულისნადებს ჩასწვდა? მხოლოდ ფილოლოგი? ენათმეცნიერი? კულტუროლოგი? წიგნში ვიმსჯელეთ და შევეცადეთ პასუხი გაგვეცა ამ კითხვებზე, დასკვნის სახით კი აქვე ვიტყვით, რომ მთარგმნელი მეცნიერი და ხელოვანია.

თარგმანს ბევრი მეტაფორა დაუძებნეს თეორეტიკოსებმა. გრეგორი რაბასა გვამხნევებს და ამბობს, თოვლის ორი ფიფქიც არ ჰგავს ერთმანეთს, თარგმანი როგორ არ იქნება დედნისგან განსხვავებული. ჩვენ ვამბობთ, რომ თარგმანი დედნის ჰოლოგრამაა. თვით ლექსიკონიც ჰოლოგრამაა, იქ სიტყვებს თითქოს აქვთ და არც აქვთ ის მნიშვნელობა, რაც ავტორმა მიანიჭა მათ...

სახელმძღვანელოში თანამედროვე თარგმანმცოდნეთა თეორიებიც გაგიზიარეთ, საკუთარიც და ისიც, რაც ადრე ითქვა, მაგრამ დღესაც არ დაუკარგავს თეორიული ღირებულება. ვიმედოვნებთ, თარგმნისას უთუოდ გამოგადგებათ, ან, შეიძლება მხედველობაში მიიღოთ ის, თუ სად და რატომ შეიძლება დედანს დაშორდეთ, ან, რა სტრატეგიას მიმართოთ, რომ ერთგულად მიჰყვეთ მას.

ყველა თეორია დაკვირვებას, აღმოჩენასა და განზოგადებას ეფუძნება, ჰოდა, შეიძლება ხვალ თავად უკეთესი თეორია ჩამოაყალიბოთ; კორპუსლინგვისტიკის ტექნოლოგიური ინსტრუმენტებით კვლევის ეპოქაში კვლევა ხომ გაცილებით საინტერესო, შედეგები კი - უტყუარია!

სასიამოვნო თარგმანებს გისურვებთ! რომ არა თარგმანი, არ იქნებოდა ცივილიზაცია!

რა არის თარგმანი?
სიტყვა „თარგმანი" როგორც კულტურული ცვლადი

ცნება *თარგმანი* კულტურულ ცვლადს წარმოადგენს. მთარგმნელობით საქმიანობას სხვადასხვა ცნებითი აღმნიშვნელი აქვს სხვადასხვა კულტურაში, ვინაიდან ყველა ერს თავისებურად ესმის მისი მნიშვნელობა. ცნებათშორისი განსხვავებები თვალსაჩინოა სემიოტიკის დონეზეც: თუ ერთმანეთს შევადარებთ, ცნება *თარგმანის* აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები შეიძლება ერთმანეთის სინონიმებიც კი არ აღმოჩნდეს. მსოფლიო ენებზე თარგმანის ცნებითი აღმნიშვნელების სემიოტიკური ასოციაციები განსხვავებულია. შეადარეთ ინგლისური 'translation'-ი სხვა ენების სემიოტიკურ ასოციაციებს:

ენა	ცნებითი აღმნიშვნელი	ცნებითი კონცეპტუალიზაცია
1. ესპანური	Traducer	ჩვენი თანამედროვე დასავლეთევროპული ტერმინები თარგმანისათვის, მეორეს მხრივ, პრივილეგიას ანიჭებენ მოძრაობას სივრცეში, მას არ აქვს ტექსტის განმარტების ფუნქცია.
2. ფრანგული	Traduction	ტრანსფერი, გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე, ტრანსპორტირება, ტრანსმისია, ერთიდან მეორესთვის გადაცემა.
1. გერმანული	Übersetzung	ტრანსმისია, ტრანსლაცია.
2. იტალიური	Traduzione	ტრანსპოზიცია, ტრანსფერი ანუ გადაცემა/ გადატანა.
3. სანსკრიტი	Amuvad	გამეორება ვინმეს შემდეგ, კვლავ თქმა, განმარტება, ახსნა.
4. იგბო, ნიგერიული ენა	tapia და kowa	ამბის თხრობა, Tapia მომდინარეობს ძირი ta-დან, რაც ნიშნავს „თქმას, თხრობით გადმოცემას" და pia აღნიშნავს „რაიმეს დამტვრევას, დეკონსტრუქციას, დაშლას და სხვა ფორმით თქმას.

		Kowa-ს მსგავსი მნიშვნელობა აქვს, რომელიც მომდინარეობს ძირიდან - ko და აქვ დერივაციული მნიშვნელობა „თხრობა რაიმეს შესახებ, მოყოლა“ და - wa, რაც ნიშნავს „ნაწილებად დაშლას“; მაშასადამე, იგბოს ენაზე თარგმნა არის საქმიანობა, რომელიც ხაზს უსვამს, რომ თარგმნა იგივე კომუნიკაციაა და ამდენად, როგორც კომუნიკაციის დამყარება არის შესაძლებელი, ასევე თარგმანიც შესაძლებელია. იგბოს ენაზე თარგმნის ცნებითი გააზრება გულისხმობს ტექსტის დეკომპოზიციას და ფორმის შეცვლას და არ გულისხმობს ზუსტ, ე.წ. „ერთი-ერთზე“ თარგმანს.
5. არაბული	Tarjama	სიტყვასიტყვით ნიშნავს გადაცემას, ტრანსფერს, გადატანას. ლექსიკური ერთეული - Tafsir ნიშნავს მცირე ნაწილებად დამტვრევას, რათა შინაარსი ვინმეს გავაგებინოთ.
6. იდიში	targem	"Targem," როგორც მას წარმოთქვამენ იდიშზე მხოლოდ ბიბლიის თარგმნას ნიშნავს არამეულ ენაზე.
7. თურქული	1. çeviri 2. tercüme 3. yere nakil 4. tahvil 5. tebdil	1.თარგმნა, ინტერპრეტაცია, გადმოცემა. 2.თარგმნა, ინტერპრეტაცია, გადმოცემა. 3.გადატანა, ტრანსპორტაცია, გადაცემა, გადაყვანა. 4. ტრანსფორმაცია. 5. კონვერტაცია, შეცვლა, გადაცვლა
8. უკრაინული	перекла́д	გადმოცემა

გლობალიზაციის კვალდაკვალ, თარგმანმცოდნეობას კულტურათმცოდნეობის კონტექსტში სწავლობენ. თარგმანის შესწავლისადმი ახალმა მიდგომამ მოითხოვა თარგმა-

ნის არსებული დეფინიციების გადასინჯვა, რადგან გაფართოვდა მისი ცნებითი განზომილება; თარგმანის ცნებითი განსაზღვრების გაფართოების გამო სამეცნიერო წრეებში აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა თარგმანის არსზე, თავად ტერმინ *ტრანსლაციის* შინაარსობრივ დატვირთვაზე, რათა თარგმანის ხელახალი დეფინიცია ჩამოყალიბდეს. ესპანეთში მოღვაწე თეორეტიკოსი ენტონი პიმი წერს[1], რომ დღესდღეობით თარგმანმცოდნეობა არ არის ისე განვითარებული, რომ სხვადასხვა ენებსა და კულტურებში ამა თუ იმ ცნების გაურცელება უდავო რაოდენობრივი ან ხარისხობრივი მაჩვენებლით დაადგინოს.

ფრანგი თეორეტიკოსი ჟორჟ მუნენი თარგმანს აღიქვამს, როგორც ოპერაციების თანმიმდევრობას, რომლის დასაწყისიცა და საბოლოო შედეგიც არის სიგნიფიკაცია, ნიშანდება, ანუ ვერბალური ნიშნებისა და მათი ფუნქციების გადმოცემა მოცემული კულტურისათვის.[2] ოპერაციულ თანმიმდევრობაში მუნენი გულისხმობდა ტექსტის არამხოლოდ ლინგვისტური, არამედ ექსტრალინგვისტური ინფორმაციის გადაცემას მეორე ენაზე, რაც მოიცავს დისკურსის სოციოლინგვისტიკურ და პრაგმატიკულ ასპექტებს, მეტყველების ფსიქო-კულტურულ გარემოს.

მუნენის ეს მოსაზრება შეიძლება ჩაითვალოს თარგმანის სემიოტიკურ განსაზღვრებად: სემიოტიკაში, ბუნებრივი ენები კომუნიკაციის შესაძლებელი ვარიანტების მხოლოდ ერთი სახეობაა, ნიშანთა ისეთი სისტემების გვერდით, როგორიცაა ჟესტებისა და მიმიკის ენა, ფერების, სურათების ენები და ა. შ. აღსანიშნავია, რომ მუნენის განსაზღვრებას წინ უსწრებდა ამერიკელი ლინგვისტის, რომან იაკობსონის სამეცნიერო ნაშრომები თარგმნისა და სემიოტიკის შესახებ.

მუნენის თვალსაზრისი უდავოდ პროგრესულია, რადგან 1960-იან წლებში, როდესაც იგი მოღვაწეობდა, ლინგვისტების მიდგომა ტექსტისადმი ჯერ კიდევ სტრუქტურული ანალიზით შემოიფარგლებოდა. ლინგვისტები თელიდნენ, რომ თარგმანი იყო

---

[1] (იხ. თავი: "Translation across time and space" ნაშრომში: "On History of Formal Conceptualizations of Translation" Anthony Pym (version 1.2. April 2006)

[2] სიგნიფიკაცია არის ნიშნის აღნიშნა-სახელდება. ენა სისტემაა, რომელიც შედგება ნიშნების, სიმბოლოების და აღმნიშვნელებისაგან. ნიშნის აზრობრივი კომპონენტი, ანუ ის, რაც გონებაში ჩნდება, როცა ნიშნის აღმნიშვნელს გავიგონებთ, ან წავიკითხავთ. ნიშანს აქვს კულტურული ღირებულება: სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს ნიშნის აღმნიშვნელის მიერ გადმოცემული ინფორმაცია სხვადასხვაგვარად აღიქმება. ცხადია, სიგნიფიკაცია არჩევითი, ანუ სუბიექტური. ყველა ჩვენგანი სუბიექტურად ვუკავშირებთ ნიშნებს მათ ობიექტებს და მათ აზრობრივ კომპონენტს. თარგმანი და სემიოტიკა ორი სხვადასხვა ფენომენია, თუმცა მათ საერთო ის აქვთ, რომ ორივე ასრულებს ისეთ საკომუნიკაციო ოპერაციას, როგორიცაა ნიშნის გაგება და მისი სიგნიფიკაცია. თარგმანში სემიოტიკის როლის დასადგენად, საჭიროა კონცეპტებს შეეხედოთ (1) თარგმანის და (2) სემიოტიკის კუთხიდან. თარგმანი წყვეტს კომუნიკაციის ასპექტების პრობლემებს; თარგმანისათვის საყურადღებო გახლავთ მესიჯი, შეტყობინება, მისი გამოყენება, ინტერპრეტაცია და მანიპულაცია. მესიჯი /შეტყობინება კი არის ნიშანი. სემიოტიკა, თავის მხრივ, ასევე იკვლევს ნიშანს, მის, გამოყენებას და მის ინტერპრეტაციას.

ერთი ენის ნიშანთა წყებით გამოხატული „მნიშვნელობის“ მეორე ენის ნიშნების წყებით გადმოცემა, რისთვისაც მთარგმნელები კომპეტენტურად იყენებდნენ ლექსიკასა და გრამატიკას. თუმცა, ამ ვიწრო ლინგვისტიკური მიდგომის მიმდევარი ენათმეცნიერები ივიწყებდნენ, რომ თარგმნის პროცესს თან სდევს დისკურსის ექსტრალინგვისტური კრიტერიუმების გარდაქმნის ოპერაციაც. მუნენი წერდა: „მთარგმნელობითი საქმიანობა თანამედროვე ლინგვისტიკის ამოუხსნელი თეორიული ამოცანაა: თუ დავეთანხმებით ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურების უთარგმნელობის შესახებ გაბატონებულ თვალსაზრისს, უნდა დავასკვნათ, რომ თარგმანი შეუძლებელია და მაინც, მთარგმნელები არსებობენ, ისინი თარგმნიან და მათ თარგმანებს სარგებლობა მოაქვთ“ (1963).[3] მუნენი მიიჩნევს, რომ ნამდვილი თარგმანი გახლავთ ტექსტის ვერბალური კომუნიკაცია, ხოლო ლინგვისტიკა მუდამ დარჩება თარგმანმცოდნეობის შესწავლის ერთ-ერთ უმთავრეს მეცნიერებად[4], რადგან თარგმანი ლინგვისტური ოპერაციაა.

მეცნიერები სხვადასხვაგვარად განმარტავენ თარგმანს, როგორც ფენომენს. მაგალითად, თ. სეიეორი თარგმანს განმარტავს როგორც „ხელოვნებას“, სხვები კი, მაგალითად ერიკ იაკობსენი[5], მას „ტრადიციულ ხელობას“ (1958) უწოდებს.

პ. ნიუმარკი იზიარებს სეიეორის მოსაზრებას და თავის მხრივ დასძენს, რომ „თარგმანი არის ხელობა, რომლის არსიც ერთ ენაზე არსებული წერილობითი შეტყობინების ან წინადადების მეორე ენაზე არსებული ეკვივალენტებით შეცვლის მცდელობაა“.

ნიუმარკი ასევე აღნიშნავს, რომ „თარგმანი არის ტექსტის იმ მნიშვნელობის სხვა ენაზე გადმოცემა, რომელიც ავტორს ჰქონდა ჩაფიქრებული. ერთი შეხედვით, ეს ადვილი რამ უნდა იყოს, რადგან, ერთ ენაზე ნათქვამის გამეორება მეორე ენაზეც უნდა იყოს შესაძლებელი. მეორე მხრივ კი, თარგმნილი ვარიანტი ენობრივად უფრო გაუმართავი, ხელოვნური და ყალბია, რადგან როცა მეორე ენას ვიყენებთ, იმ პიროვნებას განვასახიერებთ, ვინც სინამდვილეში არა ვართ“.

„თარგმანი - ესაა საქმიანობა, რომლითაც ადამიანი უძველესი დროიდანაა დაკავებული, მიზეზი კი ენათშორისი განსხვავებებია, თარგმანის მიზანი ხალხთა შორის ურთიერთობის დამყარება და სულიერ ფასეულობათა გაცვლაა; ესაა შემოქმედებითი საქმიანობა“, - წერს ვ.ს. ვინოგრადოვი.

---

[3] Les problems theoriques de la traduction. Paris: NRF, 1963

[4] Mounin G. Histoire de linguistique des origines au XX siècle. Paris: Presesses Universitaires de France 1967

[5] Eric Jacobsen. Translation a Traditional Craft: An Introductory Sketch with a Study of Marlowe's Elegies (1958)

დ. ფანჯიკიძე მიიჩნევს, რომ თარგმანი იგივე კულტურტრეგერობა, ანუ კულტურათა ურთიერთგაზიარებაა, რაც ძალზე მნიშვნელოვანია კაციობრიობის შემდგომი განვითარებისათვის;

ლ. კ. ლატიშევი ფიქრობს, რომ თარგმანის ცნება ფსიქოლოგიურ შრომას გულისხმობს, თარგმნის სპეციფიკური პროცესების მეშვეობით ენათშორისი შუამავლობა მყარდება; ლატიშევის მოსაზრებით, თარგმანის აუცილებლობის განმაპირობებელი ფაქტორი შეიძლება იყოს როგორც მთარგმნელის პირადი დამოკიდებულება, ისე სოციალური მოთხოვნა თარგმანზე. ამავე დროს, ლატიშევის მოსაზრებით, თარგმანი ენათშორისი კომუნიკაციის ყველაზე სრულყოფილი საშუალებაა.

მხატვრული თარგმანი იგივე მხატვრული შემოქმედებაა და მხატვრული თარგმანის ტექსტი ისევე უნდა აერთიანებდეს კომუნიკაციურ და ესთეტიკურ ფუნქციებს, როგორც მისი მხატვრული პირველწყარო, მიუხედავად იმისა, რომ თარგმანს გაცილებით მწირი არჩევანი აქვს ენობრივი მარაგის გამოყენების თვალსაზრისით, ვიდრე დედანს.

თარგმანი, როგორც ინტელექტუალური საქმიანობა, უძველესი დროიდან წარმოადგენს საყურადღებო ფენომენს.

XIX საუკუნეში მიიჩნეოდა, რომ თარგმანის დანიშნულება იყო იმ მკითხველისთვის განემარტა შინაარსი, ვინც ენას არ ფლობდა. ამდენად, არის თუ არა თარგმანი პრაგმატული საქმიანობა, ანუ ვისთვის ვთარგმნით? რატომ ვთარგმნით? თარგმანის პირველ ნიმუშებს, კერძოდ, ორენოვან წარწერებს მკვლევრებმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 3000 წელს, ეგვიპტის ანტიკურ სამეფოებში, პირველ ჩანჩქერზე (the first cataract, Elephantine) ელეფანტინის ტერიტორიაზე მიაკვლიეს[6] (იხ. ილუსტრაცია 1).

თარგმანს აქვს საზოგადოებრივ-კულტურული ფუნქცია: კარგი თარგმანი ასრულებს ამ ფუნქციას, ანუ აკმაყოფილებს კულტურული ღირებულებების მოთხოვნებს და საზოგადოების მოწონებას იმსახურებს, მკითხველის პოპულარული საკითხავი ხდება, ხოლო სუსტი თარგმანი - ვერა. თუმცა, ეს ორი ასპექტი თარგმანის ავკარგიანობაზე მსჯელობისთვის არ კმარა. თარგმანის დადებითად ან უარყოფითად შეფასებისათვის საჭიროა კონკრეტული რეკომენდაციები. პრიმიტიულია მსჯელობა თარგმანზე, თუ მისი ლინგვოკულტურული ღირებულების შესახებ სუბიექტურ აზრს გამოვთქვამთ მხოლოდ თითო სიტყვით: „მომწონს“ ან: „არ მომწონს“. თარგმანის თეორიის ერთ-ერთი ამოცანა თარგმანის შეფასების ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრაა.

---

[6] P. Newmark, The Theory and the Craft of Translation, Language Teaching, / Volume 9 / Issue 01 / Jan. 1976, pp 5-26

თარგმანი დედნის ტოლფასი უნდა იყოს. როგორ გაიგოთ ცნება „ტოლფასი“? ავტორი ხომ საკუთარი შეხედულებისამებრ ირჩევს ტექსტს, ჟანრს, შინაარსს, ტიპაჟს, სიუჟეტს, პერსონაჟებს, იდეურ თუ იდეოლოგიურ მიმართულებას, სტილსა და სახეობრივ მეტყველებას? აქვს კი მთარგმნელს ავტორის ტოლფასი თავისუფლება? - თუ, რადგან მთარგმნელი ირჩევს უკვე შექმნილ ტექსტს, იგი უკვე აღარ არის თავისუფალი: მან ხომ არჩევანი შეაჩერა კონკრეტულ თხზულებაზე, მხატვრულად აღწერილ ყოფაზე, პერსონაჟებზე, რომელთა კულტურა, განათლება, ზნეობა, ხასიათი, რწმენა და წმინდა ადამიანური ყოფა ავტორის სურვილის, ღირებულებებისა და შეხედულებების ამსახველია? თარგმანის თეორიის განვითარების ვერც ერთ ეტაპზე ვერ გასცეს თეორეტიკოსებმა გადამჭრელი პასუხი ამ კითხვას. ამდენად, იგი კვლავაც სამეცნიერო განსჯის საგანია.

რეალისტური თარგმანის თეორიის ავტორი გ. გაჩეჩილაძე მიიჩნევდა, რომ თარგმანის პროცესი პრინციპულად არ განსხვავდება ორიგინალური შემოქმედებითი საქმიანობისაგან: მწერალსა და მთარგმნელს შორის არსებითი განსხვავება არის *სწყინს მასალა.*


რა არის თარგმანმცოდნეობა?

ჯ. მუნდის მიხედვით

ახალმა დისციპლინამ, სახელწოდებით „თარგმანმცოდნეობა“ 1980-იანი წლებიდან მიიპყრო მეცნიერების ყურადღება, მაგრამ ეს დარგი მსოფლიოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სფეროში მხოლოდ ახლახან აღიარეს სხვა ჰუმანიტარული დისციპლინების თანასწორად. ს. ბასნეტი და ა. ლეფევერი 1992 წელს წერდნენ, რომ თარგმანმცოდნეობას (Bassnett and Lefevere 1992: xi) ჯერ კიდევ არ თვლიდნენ სამეცნიერო დარგად.

წერითი და ზეპირი თარგმანი ისტორიულად ასრულებს უდიდეს, მაგრამ მოკრძალებულ, ხანდახან უჩინარ როლს კულტურათშორის კომუნიკაციაში. სწორედ თარგმნითი მოღვაწეობის შედეგად გახდა ხელმისაწვდომი მეცნიერება და რელიგია სხვადასხვა კულტურებისათვის. როგორც სამეცნიერო შესწავლის დარგი, ანუ აკადემიური დისციპლინა, თარგმანი გასული ორმოცდაათი წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. ტერმინი „თარგმანმცოდნეობა“ ჯ. ჰოლმსის, ჰოლანდიაში მოღვაწე ამერიკელი მეცნიერის, სახელს უკავშირდება; მან 1972 წელს აღწერა ახლადაღმოცენებული დისციპლინა და მის წინაშე მდგარი პრობლემები. კერძოდ, ჰოლმსი მიიჩნევდა, რომ მთარგმნელობით პრაქტიკისა და თარგმნის ფენომენის ირგვლივ თავი მოიყარა უამრავმა შესასწავლმა პრობლემამ (ჰოლმსი 1988/2000:173).

ჰოლმსის ტაბულა:



ჰოლმსი (2000:176-81) აღნიშნავს, რომ წმინდა თარგმანმცოდნეობის კვლევით ამოცანებს წარმოადგენს:

1) თარგმანის ფენომენის აღწერა (დესკრიფციული თარგმანის თეორია)

2) ასეთი ფენომენის აღწერისა და პერსპექტივის ზოგადი პრინციპების ჩამოყალიბება.

1988 წელს, ბრიტანელ-ავსტრიელი თეორეტიკოსი მერი სნელ-ჰორნბი, ნაშრომში: „თარგმანმცოდნეობა, ინტეგრირებული მეთოდი" (იხ. ილუსტრაცია 2) წერს, რომ „მოთხოვნა თარგმანმცოდნეობისადმი, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერებისადმი, ბოლო წლებში წარმოიშვა" (სნელ-ჰორნბი 1988); 1995 წლისთვის ამავე ნაშრომის მეორე, რედაქტირებულ გამოცემაში ავტორი გვაცნობს საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსიის მთავარ თემებს და დარგის განვითარების უსწრაფეს ტემპებზე მიუთითებს; ბრიტანელი თარგმანის თეორეტიკოსი მონა ბეიკერი, მის მიერ რედაქტირებულ და გამომცემლობა რუთლიჯის (Routledge) მიერ გამოცემულ თარგმანმცოდნეობის ენციკლოპედიის (1997) შესავალში აღნიშნავს, რომ „ამ ახალ, საკვლევად მდიდარ დისციპლინას შეიძლება 1990-იანი წლების დისციპლინა ვუწოდოთ". ამერიკელი თარგმანის თეორეტიკოსი ჯერემი მუნდი აკრიტიკებს ფაქტს, რომ სამეცნიერო საზოგადოება თარგმნის პრაქტიკას იყენებს უცხო ენის სწავლების ერთ-ერთ მეთოდად, რაც ამ დისციპლინას მეორად სტატუსს ანიჭებს; უცხო ენის შემსწავლელ სახელმძღვანელოებში მოცემულია სავარჯიშოები სათარგმნი წინადადებებით, უცხო ენზე წერა-კითხვის შესასწავლად: „როგორც კი უცხო ენას დაეუფლება სტუდენტი, მისგან ორიგინალში ვითხოვთ ტექსტის წაკითხვას, ვუწუნებთ რა ლიტერატურული ტექსტის თარგმანში გაცნობას". მუნდი ილაშქრებს თარგმანისადმი ესოდენ უმართებულო მიდგომის წინააღმდეგ.

ამავე აზრს იზიარებს ბრიტანელი თარგმანის თეორეტიკოსი სიუზენ ბასნეტი. იგი თვლის, რომ საკუთრივ თარგმანის კვლევა უგულებელყოფილი სწორედ იმიტომ იყო წლების მანძილზე, რომ თარგმანს აღიქვამდნენ უცხო ენის სწავლების პროცესის განუყოფელ ნაწილად.

ბასნეტი წერს, რომ თარგმანმცოდნეობა არის ხიდი სტილისტიკის, ლიტერატურის თეორიის, ლინგვისტიკის, სემიოტიკისა და ესთეტიკის სწავლებათა შორის.

ლოურენს ვენუტის თეორიით, თარგმანი კულტურული დისკურსის საზღვრებში უნდა განვიხილოთ, უცხოენოვანი ტექსტის თარგმნისადმი დასტურდება:

(ა) „მოშინაურებითი" მეთოდის (domestication) გამოყენება, ან,

(ბ) გაუცხოურების მეთოდის (foreignization) გამოყენება.

ამ მეთოდის გამოყენებისას, მთარგმნელს დამკვიდებული შიდაკულტურული ღირებულებებისათვის გვერდის ავლა უწევს.

გიდეონ თაურის თეორიული პოსტულატების მიხედვით, თარგმანები უნდა გაანალიზდეს მხოლოდ მიმღები კულტურის ფარგლებში; თაური წერს, რომ თარგმანმცოდნეობის თანამედროვე ეტაპზე შესასწავლია არა ეკვივალენტურობის ფაქტორი, არამედ თარგმანის ზეგავლენა მიმღებ კულტურაზე.

დასავლეთში კამათს იწვევს გრამატიკული სტრუქტურების თარგმნით გატაცება (Grammar translation) და ამ მეთოდით ენის სწავლების დანერგვა სკოლებსა და უნივერსიტეტებში; ამ მეთოდს ტრადიციულს უწოდებენ, ვინაიდან იგი ბერძნული და ლათინური ენების სწავლების შუასაუკუნეების პრინციპს ემყარება: სტუდენტები გრამატიკის წესებს სწავლობენ, მერე კი სიტყვა-სიტყვით თარგმნიან ტექსტებს; სწავლების ეს მიდგომა წერა-კითხვის უნარს ავითარებს, ხოლო მოსმენა-საუბრის უნარი კი უგულებელყოფილი რჩება.

ინგლისურენოვან ქვეყნებში 1960-1970-იან წლებში წინა პლანზე წამოვიდა უშუალო საკომუნიკაციო მეთოდით ენის სწავლების მეთოდი. საკლასო ოთახებში ენის სწავლების პრინციპი იმიტირებული დიალოგების პრინციპზე იყო აგებული.

აშშ-ს უნივერსიტეტებში მხატვრული თარგმანის სწავლება 1960-იანი წლებიდან დაიწყო; თავდაპირველად მთარგმნელობითი წრეების ცნება გაჩნდა; ასეთი წრეები სამუშაო შეხვედრების დროს განიხილავდნენ თარგმანის პრობლემებს. პირველი ორი უნივერსიტეტი, სადაც ასეთი წრეები ჩამოყალიბდა, აიოვას და პრინსტონის უნივერსიტეტები იყო. პარალელურად ვითარდებოდა კომპარატიული ლიტერატურის სწავლება, რომელიც ლიტერატურას შეისწავლის ტრანსნაციონალურ და ტრანსკულტურულ დიაპაზონში; ლიტერატურის ასეთ დიაპაზონებში გაცნობა-შესწავლა და კვლევა რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია თარგმნილი ლიტერატურის გარეშე; შემდგომში, ამ ორი დისციპლინის სინთეზმა განავითარა კულტურათმცოდნეობის სწავლება.

თარგმანის კვლევის მეორე მიმართულება იყო კონტრასტული ანალიზი, ორი ენის შესწავლა მათი შეპირისპირების საფუძველზე, მათ შორის არსებული ზოგადი და კერძო განსხვავებების დასადგენად. თარგმანის კვლევის ახალი მიმართულების ჩამოყალიბება აშშ-ში 1930-იანი წლებიდან დაიწყო და 1960-70-იან წლებშიც ვითარდებოდა. კონტრასტული ანალიზის მეთოდით იკვლევდნენ თარგმნითი მაგალითების მდიდარ ემპირიულ მასალას. ამ მეთოდმა ზეგავლენა იქონია ვინესა და დერბელნეს (1958), ასევე, კეტფორდის (1965) შრომებზე. ჟან პოლ ვინემ და ჟან დერბელნემ ფრანგულისა და ინგლისურის

სტილისტური შეპირისპირებითი ანალიზისათვის[7] ამ ენებზე შესრულებული პრაქტიკული თარგმანის ნიმუშები გამოიკვლიეს. შეპირისპირებითი ანალიზი არ მოიცავდა სოციოკულტურულ, ან პრაგმატიკულ ფაქტორებს, არც თარგმანის, როგორც საკომუნიკაციო აქტის, როლს. თარგმანის კვლევა გრძელდებოდა ლინგვისტიკური მეთოდით. 1950-60-იან წლებში აქცენტი ლინგვისტიკის კუთხით თარგმანის შესწავლაზე გადავიდა. ამ კუთხით საინტერესო ნაშრომების კლასიკური ნიმუშებია:

1. ალფრედ მალბლანკმა 1963 წელს ფრანგულ-გერმანულ ენებზე შესრულებული თარგმანების საფუძველზე გამოაქვეყნა ლინგვისტიკური კვლევა;
2. ჟორჟ მუნენის ნაშრომი „თარგმანის პრობლემები" 1963 ფრანგულ ენაზე გამოიცა და თარგმანის ლინგვისტიკურ ასპექტებს სწავლობდა.
3. იუჯინ ნაიდამ (1964) იმ დროისათვის პოპულარული ჩომსკის გენერაციული გრამატიკის ელემენტები შეუთავსა საკუთარ მთარგმნელობით თეორიებს; ნაიდამ ნაშრომში: - „თარგმნის მეცნიერებისაკენ" - შეძლო თარგმანის, როგორც სამეცნიერო მიმართულების, განსაზღვრა. წიგნი თავდაპირველად გამიზნული იყო ბიბლიის მთარგმნელების პრაქტიკულ სახელმძღვანელოდ.

როგორც დისციპლინა, თარგმანმცოდნეობა მოიცავს ლინგვისტიკის ყველა ქვედარგს; დისციპლინის განვითარებამ ეტაპობრივად მოახდინა თარგმანის ხატის, როგორც ენის შესწავლის ერთ-ერთი მეთოდის, დეკონსტრუქცია.

ზოგიერთი მეცნიერს, მაგ., ჰოქსს[8] მიაჩნია, რომ თარგმანმცოდნეობის კვლევა სემიოტიკის ჭრილში უნდა წარიმართოს, ანუ იმ მეცნიერებისა, რომელიც სწავლობს სტრუქტურის ნიშანთა სისტემას, ნიშანთა პროცესებს და ფუნქციებს. თარგმანი, თავისი არსით, ლინგვისტურ აქტივობას წარმოადგენს, მაგრამ ჰოქსი ფიქრობს, რომ თარგმანი სემიოტიკის სფეროს მიეკუთვნება და თარგმანის, როგორც პროცესის კვლევები სემიოტიკისკენ უნდა მივმართოთ.

ჰიელმსლევის სტრუქტურული სემიოტიკის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ შიდაენობრივ თარგმანში ან პარაფრაზში ხდება შინაარსის ფორმის თარგმნა ისევ და ისევ შინაარსის ფორმად. მაგ. წინადადების: *dogs are man's best friends* პერიფრაზია: *canine animals are faithful to their masters.* ასეთი პერიფრაზისას მხოლოდ შინაარსის საკითხია გათვალისწინებული, ხოლო ტერმინის ტერმინითვე ჩანაცვლება უგულებელყოფილია. პერიფრაზირებისაგან სრულებით განსხვავებულია ერთი ენიდან მეორეზე

[7] Stylistique comparee du Francais a de l'anglais 1858

[8] T. Hawkes, Structuralism and Semiotics, London, 1977

პოეზიის თარგმანი, სადაც არა მარტო გამოხატვის ფორმა, არამედ შინაარსიც უნდა მივიღოთ მხედველობაში. პოეზიის თარგმნისას ალიტერაცია, გამეორება ან სხვა პოეტური სტილისმიერი ნიშანი, როგორც გამოხატვის საშუალება, თარგმანშიც უნდა შენარჩუნდეს. ფილოსოფიური ტექსტის თარგმნისას, მთარგმნელი უფრო მეტად არსობრივ საკითხებს ულრმავდება, ზრუნავს მათ შენარჩუნებაზე და შესაძლოა, ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდეს გამოხატვის ფორმას. ინტერსემიოტიკური თარგმნის დროს, როდესაც რომანი ფილმად „ითარგმნება", მეტი ყურადღება ეთმობა შინაარსს, ვიდრე გამოხატვის საშუალებებს ან გამოხატვის ფორმას.

რ. იაკობსონის თეორიული ნაშრომი *„თარგმანის ლინგვისტური ასპექტების შესახებ"* თავდაპირველად 1959 წ. გამოიცა, ხოლო მეორედ საკმაოდ დიდი დაგვიანებით, 2000 წელს. თარგმანის იაკობსონისეული დეფინიცია ჩ. პირსის ინტერპრეტაციის თეორიას ემყარება: პირსი წერდა, რომ ლინგვისტური ნიშნის სამი ტიპის ინტერპრეტაცია არსებობს. პირველი: *შიდაენობრივი თარგმანი* ანუ სიტყვიერი გადმოცემა (rewording), არის ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაცია იგივე ენაზე სხვა ნიშნებით; *შიდაენობრივ, ანუ* შიდაენობრივ თარგმანში გამოიყოფა დიაქრონული თარგმანი - წინარე ეპოქის ენაზე შესრულებული ისტორიული ტექსტის თანამედროვე ლექსიკითა და გრამატიკული კონსტრუქციებით გადმოცემა.

მეორე, *ინტერლინგვისტური თარგმანი* ანუ თავად თარგმანი, როგორც ვერბალურ ნიშანთა ინტერპრეტაცია სხვა ენის ნიშანთა მეშვეობით. დაბოლოს, *ინტერსემიოტიკური თარგმანი,* ანუ *ტრანსმუტაცია,* რაც გახლავთ ვერბალური ნიშნების არავერბალურ ნიშანთა სისტემით ინტერპრეტაცია. იაკობსონის დეფინიციები თარგმანის შესახებ შემდგომი მსჯელობის საშუალებას ნაკლებად იძლევა, თუმცა თეორეტიკოსები ლავენდოვსკი (1978) და თაური (1986) მიიჩნევენ, რომ იაკობსონის თეორიული მოსაზრებები თარგმანის შესახებ თანხვდებოდა ლინგვისტიკური თეორიის მიმდევართა მოსაზრებებს. გ. თაური მიიჩნევს, რომ იაკობსონის ტრიადული დაყოფა შეიძლებოდა ჩანაცვლებულიყო ორი ტიპის თარგმანით: ინტრასემიოტიკური და ინტერსემიოტიკური, ხოლო ინტრასემიოტიკური თარგმანის ქვედანაყოფებია შიდაენობრივი და ინტერლინგვისტური თარგმანის ტიპები. ამით თაურიმ ი. ლოტმანის მოსაზრება გაიზიარა; ლოტმანი წერდა (1975), რომ ენაა პირველადი მოდელირების სისტემა, ხოლო ლიტერატურა და ხელოვნება კი მეორადი მოდელირების სისტემა, რომელიც პირველისაგან წარმოიქმნება.

თარგმანის თეორიები და კვლევის საგანი

თარგმანის ზოგადი თეორია შეისწავლის ა) თარგმანის საერთო, უნივერსალურ კანონზომიერებებს წერითი და ზეპირი თარგმანისათვის; ბ) ჟანრის მიხედვით ადგენს თეორიულ საფუძვლებს ენათშორისი ლექსიკოგრამატიკული, სტილისტური და ფუნქციური შესაბამისობებისთვის. ფიოდოროვმა თარგმანის ზოგადი თეორია განსაზღვრა, როგორც „საერთო სისტემა“, რომელსაც ვიყენებთ ნებისმიერ ენაზე ნებისმიერი ტექსტის თარგმნისას.

თარგმანის კერძო თეორიების კვლევის საგანია: ა) ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნისას გამოვლენილი შესატყვისობების ტიპოლოგია; 2) უეკვივალენტო ლექსიკური ერთეულების, გრამატიკული კონსტრუქციებისა და სტილისტური ხერხების ტიპოლოგია; 3) მთარგმნელის ინდივიდუალური სტილი: ლექსიკის შერჩევა, წინადადების სინტაქსური გაფორმება, სტილისტური ხერხების თარგმნის სტრატეგია.

თარგმანის კერძო თეორიები ემყარება ემპირიული მასალის კვლევასა და შეპირისპირებით ანალიზს. ემპირიული მასალა ამდიდრებს თარგმანის კერძო თეორიებს, სძენს მათ სამეცნიერო დამაჯერებლობას.

მეცნიერები არა მარტო იკვლევენ კონკრეტული ენობრივი ერთეულების შესატყვისობების ტიპებს, არამედ ენობრივ მოვლენებს განსაზღვრავენ სამეცნიერო ტერმინებით, მაგ.: ა) *ოკაზიური ლექსიკა* და *ბ) უზუალური ლექსიკა*. პირველი ტერმინი აღნიშნავს ლექსიკური ერთეულებს, რომლებსაც „ავტორიზმიც“ შეიძლება ვუწოდით, რადგან რომელიმე მწერლის მიერ არის შექმნილი და ამდენად, იშვიათია; მაგ.: „*მავანგარდისტის* ჩანაწერები“ არის პოეტ დ. მაღრაძის ლექსის, „პოპარტის“ ქვესათაური. პოეტმა ერთმანეთთან გროტესკულად დააკავშირა „მავანი“ („ვინმე“, „ვიღაც“) და „ავანგარდისტი; მათი შერწყმაა ოკაზიური სიტყვა *მავანგარდისტი*, ანუ *ვიღაც (ავტორს კონკრეტული ადამიანი ჰყავს მხედველობაში) ავანგარდისტი*; მსგავსი სიტყვათთხზვადობის შედეგად იქმნება ტერმინი *ოკაზიური ლექსიკა*.

ხოლო ტერმინი *უზუალური ლექსიკა* აღნიშნავს ყოველდღიური ყოფისთვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულებს.

თარგმანის სპეციალური თეორიები მთარგმნელობითი საქმიანობის სხვადასხვა ტიპის სპეციფიკას სწავლობს და იკვლევს ზეპირი თარგმანის სახეობებს: სინქრონულსა და თანმიმდევრულს, წერით თარგმანს, აბზაცურ-ფრაზულს და ა. შ. ამასთან, ეს თეორიები განპირობებულია ტექსტების ჟანრობრივი ტიპოლოგიით.

თარგმანის თეორიის ისტორია და პრაქტიკა იკვლევს თარგმანის განვითარების ისტორიულ ეტაპებს და მთავარ მიმართულებებს, ასევე, იმ სხვადასხვა მოსაზრებას, რაც თარგმანის რაობის, თარგმანის დანიშნულებისა და მთარგმნელობითი მეთოდების შესახებ არსებობდა, ასევე იმ როლს, რაც ლიტერატურულმა თარგმანმა შესძინა ეროვნულ კულტურას.

თარგმანის კრიტიკა აბდენს თარგმანის შეფასებას, მის ადეკვატურობას დედანთან, განსაზღვრავს თარგმანის როლს მიმღები კულტურის ფარგლებში. თარგმანის კრიტიკას უმთავრესად ეხება ლიტერატურულ ტექსტს. ეს არის თარგმანმცოდნეობის შედარებით ახალი აკადემიური მიმართულება.

თარგმანის სწავლების მეთოდიკა - ამუშავებს ოპტიმალურ მეთოდებს წერითი და ზეპირი თარგმანის სახეობების შესწავლისათვის.

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ დღეს თარგმანმცოდნეობაში გამოიყოფა კიდევ ორი განყოფილება: 1. **თარგმანის პრაქტიკოლოგია,** რომელიც იკვლევს თარგმანის სოციოლოგიას, სარედაქციო საქმიანობას, თარგმანის კრიტიკის მეთოდოლოგიას და 2. **თარგმანის დიდაქტიკა,** რაც იკვლევს თარგმანის სწავლების საკითხებს და ადგენს სახელმძღვანელოებს. ეს უკანასკნელი თანხვდება **თარგმანის მეთოდიკას.**

ენობრივი ნიშანი და თარგმანის პრაგმატიკა

საგნები, პროცესები და მოვლენები, რომლებსაც ნიშნებით აღვნიშნავთ, იწოდებიან ნიშანთა რეფერენტებად, ხოლო ნიშანსა და რეფერენტს შორის დამოკიდებულებას ნიშნის რეფერენტული მნიშვნელობა ეწოდება.

ადამიანს ყოველთვის აქვს გარკვეული სუბიექტური, შემფასებლური დამოკიდებულება ნიშანთან, მათი მეშვეობით კი რეფერენტებთან. ეს დამოკიდებულება ვლინდება ტექსტის ემოციურ-ექსპრესიულ დონეზე; ამგვარ დამოკიდებულებას პრაგმატიკულს ვუწოდებთ, ხოლო მნიშვნელობის ტიპს - პრაგმატიკულ მნიშვნელობას.

ყოველი ინდივიდუალური ნიშანი წარმოადგენს ნიშანთა სისტემის ნაწილს, რომელიც ამავე სისტემის სხვა ნიშნებთან სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებაშია. ნიშნების ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრავს ტექსტის შინაარსობრივ მხარეს.

ენობრივ მნიშვნელობათა შენარჩუნება თარგმანის წინაპირობაა. რეფერენტულ მნიშვნელობათა სისტემაში ჩაბეჭდილია ენობრივი კოლექტივის მთელი პრაქტიკული გამოცდილება, რეფერენტული მნიშვნელობები სხვადასხვა ენაში უფრო მეტად საერთოა, ვიდრე განსხვავებული. აქედან გამომდინარე, თარგმანში საუსებით შესაძლებელია რეფერენტულ მნიშვნელობათა შენარჩუნება და შინაარსობრივი უცვლელობა, ანუ ინვარიანტობა.

ენა, ფუნქცია, თარგმანი

ჰუმბოლდტი მიიჩნევს, რომ ენა უშუალოდ აზროვნებას უკავშირდება: „ენა აუცილებელია პირობაა ინდივიდის აზროვნებისათვის“, წერდა ის. აზროვნება შესაძლებელია მხოლოდ ენის მეშვეობით, სრული იზოლაციის პირობებშიც კი ადამიანი აზრის გამოსახატად ენას იყენებს; თვით უხმო აზროვნებაც კი შეუძლებელია ენის გარეშე. ხოლო ენა აზროვნების გარეშე არ არსებობს. ენა, მეტყველება და აზროვნება განუყოფელი მოვლენებია. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აზროვნება, თავისი არსით, ვერბალური ფენომენია, მისი ბგერითი თუ არაბგერითი გამოვლინების მიუხედავად. ცნება *ენა* ერისა და კულტურის არსებითი ნიშანია და ეროვნული ფასეულობების გამომხატველი, ხოლო ცნება *აზროვნება* ამ ფასეულობების მატარებელი; ენა და აზროვნება უნიკალური ეროვნული სისტემაა.

ჰალიდეიმ ენის ფუნქციების მიხედვით ენის გამოყენების შვიდი მოდელი გამოჰყო:

1. ინსტრუმენტული მოდელი - ენა, როგორც რაიმე მოქმედების შესრულების საშუალება;
2. მარეგულირებელი მოდელი - ენა, როგორც გარშემომყოფთა ყოფაქცევის კონტროლის საშუალება;
3. ინტერაქციული მოდელი - ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება;
4. პერსონალური მოდელი - ენა, როგორც ინდივიდუალობის გამოვლენის საშუალება; ენა უაღრესად დიდ როლს ასრულებს პიროვნების ჩამოყალიბებაში;
5. ევრისტიკული მოდელი - ენა, როგორც რეალობისა და საურთიერთობო გარემოს შესწავლის საშუალება;
6. წარმოსახვითი მოდელი - ენის, როგორც აზროვნების სისტემის განუყოფელი ნაწილის მიერ ინდივიდუალური, ჩაკეტილი გარემოს შექმნის ფუნქცია;
7. რეპრეზენტაციული მოდელი - ენა, როგორც აზრის, თვალსაზრისის, შეტყობინების გადაცემის, იდეის შეთავაზებისა და საგნების, მოვლენებისა და პროცესების მიმართ დამოკიდებულების გამოხატვის საშუალება.

ენის ფორმალური პარმეტრების დადგენა ლინგვისტების ინტერესის სფეროა, დისკურსის ანალიტიკოსის ინტერესისა და კვლევის სფერო კი არის ენა და ინტერაქცია.

დისკურსის მარკერები

სჩიფრინი (1987), სვარტვიკი და კვირკი (1980), კრისტალი და დევი (1975). დისკურსის მარკერების შემდეგ კატეგორიებს გამოჰყოფენ:

1. „შემარბილებლები“, დღესდღეობით ცნობილია როგორც გამბიტები;

2. პრაგმატიკული გამონათქვამები, იგივე დისკურსის მარკერები.

დისკურსის მარკერებია: you know, well, now, you see, I mean და ა. შ. სჩიფრინი თეორიით, დისკურსის მარკერებს ორი ფუნქცია აქვთ: ინდექსალური (1987, 322) ანუ ჩვენება-მიმართების და დისკურსში კოჰერენტულობის მიღწევის ფუნქცია.

სჩიფრინის ჰიპოთეზით, დისკურსი სტრუქტურულად ხუთი კომპონენტისაგან შედგება:

1. სვლა-ჯერობის სტრუქტურას უწოდებენ ინფორმაციის გაცვლისას მოსაუბრე და მსმენელი განსაზღვრავენ ინტერაქციაში მონაწილეობის ჯერობას გარკვეული მინიშნებებით მონაწილეობის დასწყისის და დასასრულის შესახებ.
2. სამოქმედო სტრუქტურა არალინგვისტურია და პერლოკუციური აქტის საშუალებით ხდება მისი რეალიზება.
3. იდეის აღქმისა და გადაცემის სტრუქტურა - შედგება იდეების, შეთავაზებებისაგან, იგი უზრუნველყოფს დისკურსის ორგანიზებასა და თემატურ კავშირს.
4. მონაწილეობის ჩარჩო-სტრუქტურა - მოსაუბრისა და მსმენელის ურთიერთმიმართებას გადმოგვცემს (მაგ. ნამდვილად მოსაუბრეს მიმართავენ? თუ მან შემთხვევით გაიგონა მოსაუბრის ნათქვამი?). ამდენად, მსმენელები შეიძლება ორ კატეგორიად დაიყოს: მსმენელი, ვისთვის შეტყობინება არის გამიზნული, და შემთხვევითი მსმენელი, რომელიც შეტყობინების ადრესატს არ წარმოადგენს. ეს სტრუქტურა ასევე მოიცავს სოციალურ-როლებრივ ურთიერთობებს, მაგ.: მყიდველი-გამყიდველი; ექიმი-პაციენტი, მასწავლებელი-მოსწავლე და ა. შ.
5. ინფორმაციული სტრუქტურა - მოსაუბრისა და მსმენელის ცოდნის დონეები და მათი წარმოდგენა ერთმანეთის ცოდნის შესახებ (მეტაცოდნა). ეს ფაქტორი განსაზღვრავს მოსაუბრის მიერ შეტყობინების ფორმის ჩამოყალიბება-გადაცემას და იმ ფაქტს, თუ როგორ მიიღებს მას მსმენელი. სჩიფრინის განმარტებით, რადგან თავად მოსაუბრე და მსმენელი განსაზღვრავენ ერთმანეთის ცოდნისა და მეტაცოდნის დონეებს, მათი შეფასებითი ურთიერთდამოკიდებულება პრაგმატიკის კვლევის საგანია.

ტექსტის მეტყველების საკომუნიკაციო-ფუნქციური ეფექტი:

ტექსტის თვისებრივ ასპექტს წარმოადგენს საკომუნიკაციო ეფექტი.

1. სიტყვათა კომპლექტების შერჩევა, მაგ.: ხშირად გამეორებული ლექსიკური ერთეულები და ა. შ.
2. სიტყვათწყობა და მყარი შესიტყვებები;

3. გრამატიკული სტრუქტურები;
4. ტექსტის კომპოზიცია, შესავალი (მაგ. არსებობა-არარსებობა) შინაარსი და დასკვნა;
5. ენობრივი ნიშნები, გრაფიკული ან ვერბალური.

ტექსტი ადრესატზე ზემოქმედებს ენის მარეგულირებელი როლის მეშვეობით, რომელიც სხვადასხვა ლექსიკოგრამატიკული და სტილისტური ხერხით ხორციელდება, მაგ.: რიტმი, გამეორება, პარალელური სტრუქტურები, ომონიმია, სიტყვათა წყობის სპეციფიკა და ა.შ. ანუ, თითოეულ ხერხს საკომუნიკაციო ეფექტის შექმნა შეუძლია და ადრესატზე მარეგულირებელ ზემოქმედებას ახდენს. ამრიგად, ენის შიდა ინფორმაცია ქმნის სტრუქტურულ შინაარსს, მარეგულირებელი ეფექტის მისაღწევად. სტრუქტურული შინაარსი ინფორმაციის მიმღებს ემოციურ მუხტს გადასცემს, რომელიც მის ემოციურ განწყობაზე ზემოქმედებს მანამ, სანამ აზრობრივი გადამუშავების პროცესი დასრულდება. სიტყვების სპეციფიკური თანმიმდევრობით დალაგებისას, ტექსტის სტრუქტურული შინაარსი ადრესატს გადასცემს დამატებით აზრობრივ ინფორმაციას. სიტყვების მიზანმიმართულად დალაგება გარკვეული ზემოქმედების მოსახდენად.

ინტელექტუალურ-ინფორმაციული ფუნქცია:

ტექსტის მეტყველება ფაქტოლოგიური და ინდიფერენტული ტიპისაა: ადრესანტი მოუწოდებს ადრესატს რაციონალური აზროვნებისაკენ, იმ მოტივაციით, რომ მისი ფასეულობების სისტემაზე მოახდინოს ზეგავლენა და შეაცვლევინოს დამოკიდებულება რაიმესადმი. საამისოდ, ადრესანტი შეტყობინებას აბსტრაჰირებულად გადასცემს ადრესატს:

ა. ეს შემზარავი ქცევაა!

ბ. ჩემი აზრით, ეს ქცევა მორალის ნორმებს ეწინააღმდეგება.

ობიექტური ინფორმაციის მიწოდებით, ადრესანტი საპასუხო რეაქციას, გარკვეულ (რაციონალურ) მოქმედებას ელოდება.

ემოციური ფუნქცია

ენის ერთ-ერთი ფუნქციაა ემოციის გადმოცემა. ადრესანტი უშუალოდ ადრესატის ფსიქიკაზე ზემოქმედებს, გადასცემს ემოციურ მუხტს და იწვევს ემოციურ რეზონანსს. ლატიშევი ალნიშნავს, რომ ყველაზე ხშირად და თვალსაჩინოდ ემოციური ფუნქცია პოლიტიკურ სიტყვაში ვლინდება.

ესთეტიკური ფუნქცია

მეტყველების ან ტექსტის ემოციური ფუნქციის ნაირსახეობა, რომელიც სხვადასხვა ემოციური ეფექტის მიღწევას, ამაღლებული, დადებითი ან უარყოფითი განწყობის შექმ-

ნას ისახავს მიზნად; ესტეტიკური ფუნქცია მშვენიერების, სილამაზის აღქმას ისახავს მიზნად.

მარკირების ფუნქცია

ესაა ნომინატიური ფუნქცია, რომელიც ყველაზე ხშირად ლოზუნგის, რეკლამის ტიპის ტექსტებში გამოიყენება და აღნიშნავს სხვადასხვა დაწესებულებას, მაღაზიას, ჟურნალს და ა.შ.

მოწოდებითი ფუნქცია

ადრესანტის მიზანია ადრესატზე ზემოქმედება, რათა მას რაიმე მოქმედების შესრულებისკენ უბიძგოს; ტექსტს უნდა ჰქონდეს ბრძანების, რეკლამის, ლოზუნგის ფორმატი; მოწოდებითი ფუნქციის მქონე ტექსტი ადამიანის ემოციებზე ზემოქმედებს.

საკონტაქტო ფუნქცია:

ტერმინ ფატიკური კომუნიკაციის ავტორი, ანთროპოლოგი, მალინოვსკი (ბერძნ. Phato - spoken) წერდა, რომ ფატიკური კომუნიკაცია ინგლისურ სოციუმში სოციალური ქცევის რიტუალური ფორმაა (small talk) და დამკვიდრებული ფორმულებისაგან შედგება; სამეტყველო აქტებს აქვს ფორმალური შინარსი და დატვირთვა.

ენის რიტუალური მოდელი - ფატიკური კომუნიკაციის უნარის გამოვლენის საშუალება; ენის სოციოლოგია ავლენს ადამიანის სოციალიზაციის უნარს, რაც ავლენს ინდივიდის აღზრდას, ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების უნარს. კონტაქტის ტრადიციული ფუნქცია ზეპირმეტყველებაში ფატიკურია, სტანდარტული რეპლიკები, ფორმულები (იგივე დისკურსის მარკერები: well, yes, yes), მისალმების, მილოცვის, დამშვიდობების, მადლიერების გამოხატვის და ა. შ.

საკონტაქტო ფუნქცია ხორციელდება ზეპირ და წერით ტექსტებში.

კონტაქტის დამყარებისა და შენარჩუნებისათვის, საჭიროა ავირჩიოთ, სიტუაციის მიხედვით, ფუნქციონალურ-სტილისტური და ნორმატიულ-სტილისტური საშუალებები.

კოდი - კომუნიკაციის ფორმალური სისტემა, მაგ. ინგლისური ენა.

თემა - საკომუნიკაციო თემა შეიძლება იყოს ღია ან დახურული.

არხი - არის კომუნიკაციის წერილობითი ან ზეპირსამეტყველო საშუალება;

შეტყობინების ფორმა - სტრუქტურულად ჩამოყალიბებული მოკლე ან ვრცელი გრამატიკული კონსტრუქცია, რომელიც შედგება სიტყვის ან სიტყვებისაგან.

მხატვრულმა თარგმანმა უნდა შეინარჩუნოს არა დედნის ენის ლექსიკოგრამატიკული სტრუქტურები, არამედ დედნის ***აზროვნება,*** დედნის ენით გადმოცემული ***ტექსტის მეტყველება,*** ავტორის ეროვნულ-კულტურული ნიშნადობა და მოგვცეს ავტორის ფასეულობების აღქმის საშუალება.

1. ზოგადად, თარგმანი დედნის ენის ფუნქციებისა და გამოყენების შვიდივე მოდელს უნდა ასახავდეს.
2. თარგმანმა უნდა შეინარჩუნოს დისკურსის 1. სვლა-ჯაჭვობის სტრუქტურა; 2. სამოქმედო სტრუქტურა - თუ ის ტექსტურ ფორმატშია აღწერილი, *რადგან ეს სტრუქტურა არალინგვისტურია* და პერლოკუციური აქტის საშუალებით ხდება მისი რეალიზება. 3. იდეის აღქმისა და გადაცემის სტრუქტურა; 4. მონაწილეობის ჩარჩო-სტრუქტურა; 5. ინფორმაციული სტრუქტურა.
3. თარგმანმა უნდა გადმოსცეს დედნის ტექსტის მეტყველების საკომუნიკაციო-ფუნქციური ეფექტი;
4. თარგმანის საკონტაქტო ფუნქციაა დედნის თემის გადმოცემა. კოდისა და არხის შერჩევა დამოკიდებულია მთარგმნელსა და /ან დამკვეთზე.

ტექსტების ფუნქციურ-სტილისტური კლასიფიკაცია

ფუნქციური სტილის მიხედვით, ტექსტების მრავალი კლასი გამოიყოფა და თარგმანისადმი წაყენებული ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნაც სწორედ სტილის დაცვაა.

1. ზეპირსამეტყველო ტექსტები იყოფა ორ კატეგორიად: ზეპირსამეტყველო-ყოფითად და ზეპირსამეტყველო-საქმიანად. ამ ტიპის ტექსტებს აქვთ მიზნობრივი საურთიერთობო ფუნქცია;
2. ოფიციალურ-საქმიანი ტექსტები მოიცავს სახელმწიფო, პოლიტიკურ, დიპლომატიურ, კომერციულ, იურიდიულ დოკუმენტებს. ამ ტიპის ტექსტები წერილობითია და მათი ფუნქციაა შეტყობინების გადაცემა. ასეთი ტიპის ტექსტებისთვის დამახასიათებელია შაბლონიზმი. ცალკე უნდა გამოიყოს იურიდიული და სამედიცინო თარგმანი, ორივე მათგანი მოითხოვს ტერმინების ზუსტი ეკვივალენტებით თარგმნასა და შინაარსის თითქმის სიტყვა-სიტყვით დაცვას, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ თარგმანი მიმღები ენისათვის გაუმართავი გრამატიკული კონსტრუქციებით, ან არაბუნებრივი ლექსიკური კოლოკაციებით უნდა შესრულდეს. ასეთ შემთხვევაში, შედეგად მივიღებთ ხელოვნურად შექმნილ მყარ შესიტყვებებს, ცრუ ნასესხობებსა და სინტაგმატიკურად გაუმართავ წინადადებებს.
3. საზოგადოებრივ-ინფორმაციული ტექსტები სხვადასხვა სახის ინფორმაციას შეიცავს, რაც მასობრივი კომუნიკაციის არხებით ვრცელდება: რადიო- ტელევიზიით, ჟურნალ-გაზეთებით და ა. შ. ამ ტიპის ტექსტები წერილობითი (ჟურნალ-გაზეთებში) ან ზეპირი ფორმისაა (ტელე და რადიო გადაცემებში, ორატორის გამოსვლებში) და მათი ფუნქციაა შეტყობინების გადაცემა. ამ ტიპის ტექსტები შეიძლება იყოს ტენდენციური და გამიზნულად მიმართული რაიმე ზემოქმედების მისაღწევად, საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად.
4. სამეცნიერო ტექსტებს აქვთ მრავალი ქვეტიპი, მაგ.: სპეციალიზებული, პროფესიონალებისათვის განკუთვნილი და სამეცნიერო-პოპულარული, რაც მასობრივ მკითხველზეა გათვლილი. ტექსტების ფორმა წერილობითია, კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე და ა. შ. ზეპირი; ფუნქცია შეტყობინების გადაცემაა, შინაარსის ობიექტური და არგუმენტირებულად დამტკიცებული ფორმით. სამეცნიერო შრომები თარგმანში აკადემიური ფუნქციური სტილით უნდა გაფორმდეს.
5. მხატვრული ტექსტები მოიცავს ლიტერატურის ყველა ჟანრულ სახესხვაობას, მათ შორის, კრიტიკას და პუბლიცისტიკას. ამ ტიპის ტექსტებში თხრობის

ფორმას ექცევა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან შინაარსი/შეტყობინება ესთეტიკურ მხარესთან არის შერწყმული და ასეთივე ეფექტს ახდენს მკითხველზე. ამ ტიპის ტექსტებში სინამდვილის გაგება არის არა იმდენად რაციონალური, რამდენადაც მხატვრულ-ესთეტიკურად გააზრებული. ამდენად, მხატვრულ ტექსტში ხდება რაციონალური სინამდვილის გარდაქმნა ესთეტიკურ, მხატვრულ სინამდვილედ. ეს განპირობებულია სტილისტური ხერხებით, რაც ემოციურ-ექსპრესიულ ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე. მხატვრული ტექსტები კლასიფიცირებულია ლიტერატურულ ჟანრებად. თითოეულ ჟანრს აქვს მხატვრული, ენობრივი და ფუნქციური სპეციფიკა.

6. რელიგიური თხზულებების შინაარსი გამოირჩევა თავისებურებით: ტექსტები კანონიკურია, შინაარსი წმიდა წერილები, აპოკრიფები, ეგზეგეტიკური, ანუ საღვთისმეტყველო ტექსტები. ახასიათებს მრავალმნიშვნელოვნება, ლექსიკური სპეციფიკა. ბიბლიის თარგმნას ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომლის დროსაც ხდება ტექსტების შინაარსის დადგენა - დაზუსტება.

ტექსტების ჟანრულ-სტილისტური კლასიფიკაცია და თარგმანი

დედნის ჟანრულ-სტილისტური კლასიფიკაციის მიხედვით, თარგმანის ორი ძირითადი ტიპის გამოიყოფა: მხატვრულ-ლიტერატურული და ინფორმაციულ-სპეციალური. მხატვრული ტექსტის მთარგმნელის ამოცანაა, რომ დედნის ტოლფასი ემოციურ-ესთეტიკური სურათი შექმნას.

ინფორმაციული თარგმანი ინფორმაციის გადმოცემის ფუნქციით ხასიათდება. ასეთი ტექსტები, როგორც წესი, სამეცნიერო, საქმიანი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ყოფითი ტიპისაა.

ინფორმაციული თარგმანის ქვეტიპებია:

1. სამეცნიერო-ტექნიკური;
2. ოფიციალურ-საქმიანი;
3. პოლიტიკურ-პუბლიცისტური;
4. საგაზეთო-ინფორმაციული.

ტექსტების ოთხი ტიპი ორიენტირებისა და ფუნქციის მიხედვით:

Type	Oriented towards	Function	Example
referential	context	imparting information	It's raining.
expressive	addresser	expressing feelings or attitudes	It's bloody pissing down again!
conative	addressee	influencing behaviour	Wait here till it stops raining!
phatic	contact	establishing or maintaining social relationships	Nasty weather again, isn't it?

თარგმანის კატეგორიები

თარგმანის შემსრულებლის მიხედვით, განვასხვავებთ შემდეგ კატეგორიებს:

ტრადიციული, ანუ ადამიანის / მთარგმნელის მიერ შესრულებული თარგმანი;

ავტოთარგმანი - წყარო ენიდან სამიზნე ენაზე (ან: საწყისი ენიდან მიმღებ ენაზე) მხატვრული ან არამხატვრული ტექსტის თარგმნა თავად ავტორის მიერ;

ავტორიზებული თარგმანი – ავტორის მიერ აპრობირებული თარგმანის ტექსტი;

მანქანური, ანუ ავტომატური თარგმანი სრულდება კომპიუტერული პროგრამების დახმარებით; მანქანური თარგმანის სადღეისო ამოცანაა თარგმანის პროცესის მოდელირება ისე, რომ მანქანური თარგმანი დაუახლოვოს ბუნებრივ სამეტყველო ენას. ამისათვის მუშავდება სხვადასხვა ენის ლექსიკო-სემანტიკური და გრამატიკული შესაბამისობები. მანქანური თარგმანის თეორეტიკოსები, გამოთვლითი ლინგვისტები, პროგრამისტები და სხვა ინტერდისციპლინარული დარგების მეცნიერები კვლევისას ეყრდნობიან ლინგვისტიკას, მათემატიკას, ინფორმატიკას, კიბერნეტიკას, სემიოტიკას და ა. შ.

შერეული თარგმანი - თარგმანი, რომელიც შესრულებულია ნაწილობრივ ტრადიციული მეთოდით, ანუ მთარგმნელის მიერ, ნაწილობრივ კი მანქანურად.

თარგმანისა და ორიგინალის თვისებრივ-ხარისხობრივი შესაბამისობების კლასიფიკაცია

თარგმანისა და ორიგინალის შეპირისპირებითი ანალიზით დგინდება მათ შორის თვისებრივი და ხარისხობრივი შესაბამისობები, რომელთა შორის გამოიყოფა შემდეგი კატეგორიები:

თავისუფალი თარგმანი - საწყისი ტექსტის ძირითადი ინფორმაციის რეპროდუქცია. შინაარსის მხრივ, თავისუფალ თარგმანში შესაძლოა, დამატება ან გამოტოვება; თარგმანის ეს თვისებრივ-ხარისხობრივი ვარიანტი მიზნად არ ისახავს ლექსიკური ერთეულების ეკვივალენტობის დაცვას.

ინტერპრეტაცია - თარგმანის სახეობა, ერთი ენის გამოხატვის საშუალებათა სისტემიდან მეორე ენაზე არსებული გამოხატვის საშუალებათა სისტემით სარგებლობა;

ადეკვატური თარგმანი - შეესაბამება ორიგინალს და აქვს იგივე საკომუნიკაციო დანიშნულება, მიზანი და ღირებულება.

ზუსტი / სწორი თარგმანი - გულისხმობს თარგმანში სემანტიკური სიზუსტის დაცვას, ანუ ორიგინალის შინაარსის სწორად გადმოცემას.

ავთენტური თარგმანი - ოფიციალური დოკუმენტის თარგმანი, რომელსაც იგივე იურიდიული ძალმოსილება აქვს, რაც ორიგინალს; საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, ურთიერთშეთანხმების ტექსტის შემუშავება შეიძლება მოხდეს ერთ ენაზე, ხოლო მისი ავთენტურობა ორ ან მეტ ენაზე იყოს აღიარებული და დამოწმებული.

დამოწმებული თარგმანი - თარგმანის ტექსტის იურიდიულად დამოწმება (სანოტარო წესით) ორიგინალთან შეპირისპირებით;

ადეკვატური თარგმანის ტიპები

სემანტიკურ-სტილისტური ადეკვატურობა - თარგმანში სრულად და ზუსტად არის დაცული სემანტიკური შესაბამისობები, მიღწეულია სტილისტური ეკვივალენტობა, რომელიც თარგმანის ენის ფუნქციურ-სტილისტურ ნორმებს შეესაბამება.

პრაგმატიკულად (ფუნქციურად) ადეკვატური თარგმანი - თარგმანი სწორად გადმოსცემს ორიგინალის ძირითად საკომუნიკაციო ფუნქციას.

დეზიერატიულ-ადეკვატური თარგმანი - სწორად და სრულად გადმოსცემს ინფორმაციას და უპასუხებს იმ მოთხოვნას, რაც თარგმანის „დამკვეთს“ აქვს, თუმცა არ არის სავალდებულო, სრულად იყოს დაცული ორიგინალის შინაარსი და საკომუნიკაციო-ფუნქციური სტილი.

თარგმანის ლინგვისტიკური კლასიფიკაცია

ლინგვისტიკური კლასიფიკაცია გამოჰყოფს ზეპირი და წერილობითი თარგმანის ტიპებს. წერილობითი თარგმანი ფიქსირებული ფორმის თარგმანია, იქნება ეს ქაღალდსა თუ ვიდეოფირზე და მთარგმნელს შეუძლია არაერთგზის მიუბრუნდეს ნამუშევარს და შესწორებები შეიტანოს საბოლოო ვერსიის დამკვეთთან წარდგენამდე.

ზეპირი თარგმანი - არის თარგმანის ტიპი, როდესაც ორიგინალი და მისი თარგმანი თარგმნის პროცესში არაფიქსირებული სახით არის მოცემული. ეს განაპირობებს თარგმანის ერთჯერადობას და განუმეორებლობას, შეცდომებისა თუ ხარვეზების გამოსწორების შეუძლებლობას. ზეპირი თარგმანის კლასიკური მაგალითია ისეთი თარგმანი, როდესაც მთარგმნელი აღიქვამს ორიგინალს აკუსტიკური ფორმით და ზეპირად წარმოთქვამს თარგმანს.

წერილობითი თარგმანი შეიძლება შესრულდეს ორგვარი ფორმით: ა) საწყისი ენის წერილობითი ტექსტის მიმღებ ენაზე თარგმნა წერილობითი ფორმით; ბ) საწყისი ენის ზეპირსიტყვიერი ტექსტის წერილობითი ფორმით თარგმნა მიმღებ ენაზე;

ზეპირი თარგმანში გამოიყოფა სინქრონული და თანმიმდევრული თარგმანის ქვეტიპები. ზეპირი თარგმანის ერთ-ერთი ვარიანტია წერილობითი ტექსტის ზეპირი ფორმით თარგმანი.

სინქრონული თარგმანი ზეპირი თარგმანის ქვეტიპია, რომელიც წარმოთქმულ ტექსტთან თანადროულად მიმდინარეობს.

თანმიმდევრული თარგმანი ასევე ზეპირი თარგმანის ქვეტიპია, რომელიც სრულდება წარმოთქმული ტექსტის, ან აზრობრივი სინტაგმის დასრულების შემდეგ.

სინქრონული და თანმიმდევრული თარგმანი შეიძლება შესრულდეს საწყისი ენიდან მიმღებ ენაზე და უკუმიმართულებით (ორმხრივი ზეპირი თარგმანი). ცალმხრივი ზეპირი თარგმანი სრულდება მხოლოდ საწყისი ენიდან მიმღებ ენაზე.

ლინგვოეთნიკური, კოგნიტური, კულტუროლოგიური ფაქტორები და თარგმანი

კულტურა შეიძლება განისაზღვროს, როგორც სიცოცხლისა და მისი თავისებურებების მანიფესტაციის ვარიანტი. საზოგადოების კულტურა შედგება იმისაგან, რაც საჭიროა ვიცოდეთ და საჭიროა გვწამდეს, რათა ჩვენი ქცევა მისაღები იყოს საზოგადოების სხვა წევრებისათვის.
უორდ გუდინაფი, ამერიკელი ანთროპოლოგი

ტერმინი „კულტურა" აღნიშნავს სპეციფიკურ ადამიანურ თავისებურებებს, რომლებიც განასხვავებს ჰომო საპიენსის მოდგმას ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან.
ვილჰელმ ოსტვალდი, გერმანელი ქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი

საზოგადოება იყენებს კონკრეტულ ენას, როგორც გამოხატვის საშუალებას. თარგმანის თეორეტიკოსები განარჩევენ „კულტურის" ენას „უნივერსალური" და „პერსონალური" ენისაგან, ანუ იდიოლექტისაგან. ისეთი სიტყვები, როგორიცაა 'father', 'die', 'live', 'star', 'swim' და თითქმის ყველა არტეფაქტი, როგორიცაა, მაგ.: 'table', უნივერსალიებს წარმოადგენს, რაც მთარგმნელს არავითარ პრობლემას არ უქმნის ენობრივ დონეზე. ხოლო სიტყვები, როგორიცაა 'Monsoon', 'sauna', 'tsunami' კულტურული შეფერილობის მქონე სიტყვა-რეალიებია.

ყოველი კონკრეტული საზოგადოება, ე.წ. „კულტურული ფოკუსის" ირგვლივ აყალიბებს და ავითარებს თემებს, რაც ნიშნავს რეალიებისა და სპეციალური ლექსიკის, ანუ ტერმინების წარმოშობას. ინგლისელებისათვის სპორტის ისეთი სახეობა, როგორიცაა კრიკეტი, კულტურულად ნიშანდებული და უნიკალურია, ქართველებისა და ფრანგებისათვის ღვინო და ღვინის კულტურა არის კულტურულად ნიშანდებული და უნიკალური, არაბებისათვის - აქლემი და ფინიკი, ესკიმოსებისათვის - თოვლი. თითოეული მათგანი მთარგმნელისათვის ქმნის უთარგმნელ ლექსიკას, რადგან წყარო და სამიზნე ენებს შორის არსებობს კულტურული სიცარიელე, ნულოვანი შესატყვისი.

ენათშორისი მთარგმნელობითი ოპერაციების დროს ხშირად შეინიშნება *გრამატიკული უეკვივალენტობის* პრობლემაც მაგ.: სქესი, რიცხვი, სინტაქსური სტრუქტურები, ფრაზეოლოგიზმები, კოლოკაციები და ა. შ. მიმართვის ფორმები, რომლებსაც შესატყვისობები არ დაუძებნება.

პ. ნიუმარკი (1988) აყალიბებს კულტურული შეფერილობის სიტყვების ხუთ კატეგორიას: (1) ეკოლოგია, (2) მატერიალური კულტურა / არტეფაქტები, (3) სოციალური კულტურა, (4) ორგანიზაციები, (5) ჟესტები და ჩვევები:

1. ეკოლოგია: ფლორა, ფაუნა, გეოგრაფიული დასახელებები.
2. მატერიალური კულტურა (არტეფაქტები)
3. საკვები: ცაბალიონე (იტალიური დესერტი, რომელიც მზადდება კვერცხის გულის, შაქრისა და ღვინისაგან), კუსკუსი (თავნაფქვი ბურღულისაგან დამზადებული ტრადიციული ჩრდილოაფრიკული კერძი, რომელსაც ორთქლზე ხარშავენ და გაიცემა ხორცის ან ბოსტნეულის გარნირად), პაეია (ესპანური, ვალენსიური ბრინჯის კერძი, რომლის მრავალგვარი რეცეპტები არსებობს).
4. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი ან თავსაბური: კანგა (აფრიკული სამოსი), მოკასინები, სომბრერო და ა. შ.
5. სახლები და ქალაქები: ბუნგალო, ვიგვამი, იგლუ, რანჩო, პაგოდა, მინკა (ტრადიციული იაპონური სახლი), იურტა.
6. ტრანსპორტი: ველოსიპედი, კაბრიოლეტი, კები, ბაგი (buggy, ემიშების თემის გადაადგილების საშუალება აშშ-ში).
7. სოციალური კულტურა: სიესტა, ნამასტე (შრი ლანკელების მისალმების ფორმა ჟესტ-მიმიკებით), ფოთლაქის (potluck) ტრადიცია, რომელიც ირლანდიიდან მომდინარეობს.
8. ორგანიზაციები: წეს-ჩვეულებები, ღონისძიებები, ცნებები.
9. პოლიტიკური და ადმინისტრაციული ერთეულები: ქნესეთი, მეჯლისი, დუმა, სენატი, თემთა პალატა და ა. შ.
10. რელიგიური: კარმა, ჯაჰა, კირტანი, რეინკარნაცია, ჰალალი და ა. შ.
11. ჟესტები და ჩვევები: მაგ.: ხელისგულის ჩვენება საბერძნეთში უაღრესად უხეში ჟესტია და ნიშნავს „ამას ელაპარაკე“-ს, საჩვენებელი და ნეკი თითების აწევა იტალიაში, ბრაზილიაში, კოლუმბიასა და ესპანეთში ნიშნავს „მეუღლე რქებს გაძგამთ“.

ფონური ცოდნა, როგორც სოციოლოგები მიუთითებენ, მასკულტურის ელემენტია, როგორიცაა ისტორიული ან კულტურული მემკვიდრეობის ცოდნა; ზოგადსაკაცობრიო ფონური ცოდნა არის გლობალური ცოდნა, რომელიც მოიცავს კაცობრიობის ისტორიული და კულტურული განვითარების თითოეულ ეტაპზე დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას. ის ყოველი ერის მეხსიერებაში ინფორმაციის სახით არსებობს. ზოგადსაკა-

ცობრიო ცოდნის გარდა, გამოიყოფა რეგიონული და ქვეყანათმცოდნეობითი ცოდნაც. ფონური ცოდნისა და ინფორმაციის არსი მოიცავს ყველაფერს, რასაც აღნიშნავს ტერმინი რეალია. სიტყვა-რეალიების მნიშვნელობების გასაგებად, ენის ცოდნასთან ერთად, საჭიროა ზოგადსაკაცობრიო ცოდნაც.

„ფონური ცოდნა არის საკომუნიკაციო აქტის მონაწილეთა საერთო ცოდნა“[9] - წერენ რუსი ენათმეცნიერები, ე. ვერეშჩაგინი და ვ. კოსტომაროვი.

ისინი პირველები აღმოჩნდნენ რუსეთში, ვინც თავიანთ წიგნში ფონური ცოდნის კონცეფცია დაწვრილებით გააანალიზეს. მათ მიერ ჩამოყალიბებულმა ფორმულირებამ დროთა განმავლობაში არაერთი ცვლილება განიცადა, თუმცა, არსი იგივე დარჩა. საკომუნიკაციო აქტის მონაწილეებად უნდა განვიხილოთ ავტორი და დედნის ტექსტის მკითხველი, რომლებსაც საერთო ისტორიულ-კულტურული, ანუ ფონური ცოდნა აქვთ. დედნის ტექსტის მეორე ენაზე თარგმნის დროს საკომუნიკაციო აქტის მონაწილე ხდება მთარგმნელი და თარგმანის დასრულების შემდეგ თარგმნილი ტექსტის მკითხველი. ბუნებრივია, მთარგმნელს, ენის ცოდნის გარდა, ფონური ცოდნაც უნდა ჰქონდეს და სიტყვა-რეალიები არა მარტო ტრანსკრიფციით გადაიტანოს თარგმანში, არამედ მკითხველისათვის, ანუ საკომუნიკაციო აქტის იმ მონაწილისათვის, რომელსაც არ აქვს ფონური ცოდნა უცხო კულტურის ამა თუ იმ საგნის, მოვლენის, ან პროცესის შესახებ, სათანადო განმარტებაც დაურთოს. მთარგმნელს, ერთი შეხედვით მარტივად ალსაქმელი ინფორმაციის შემცველი ფრაზის სათარგმნადაც კი, როგორიცაა “She told Berman Hitler was right” (T. Capote, Breakfast at Tiffany’s, p. 147), ზოგადსაკაცობრიო ფონური ცოდნა ესაჭიროება. რასაკვირველია, თუ მან არ იცის, რომ ბერმანი ებრაული წარმოშობის გვარია, ხოლო ჰიტლერის დღის წესრიგში ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა გახლდათ არაარიული წარმოშობის ხალხების, კერძოდ, ებრაელების აღგვა პირისაგან მიწისა, მისთვის, ინფორმაციულობის თვალსაზრისით, ავტორისეული წინადადების შინაარსი ბუნდოვანია.

რა განაპირობებს რეალიის უეკვივალენტობას? ყოველი ცოდნა სიტყვიერადაა სახელდებული და არსებობს ცნებების სახით. როგორც აღვნიშნეთ, არსებობს საზიარო, ზოგადსაკაცობრიო ცოდნა და ამავე დროს, არსებობს რეგიონული ცოდნა, ქვეყანათმცოდნეობითი ცოდნა; ეს სია არასრულია, მაგრამ ცხადყოფს, რომ თუ არ არსებობს ტოლფასი ცნება, ვერ იარსებებს მისი ლექსიკური ეკვივალენტიც.

---

[9] “Общие для участников коммуникативного акта знания”. (В.С.Виноградов, Введение в переводоведение, стр. 19).

სამეტყველო ეტიკეტის ზოგიერთი ნორმა უნივერსალურია ყველა კულტურისათვის, უმრავლეს შემთხვევებში კი ეს ნორმები უნიკალურია და ამა თუ იმ კულტურის ფილოსოფიასა და მსოფლმხედველობას ასახავს. ფონური ცოდნა, რასაკვირველია, თითოეული ერისათვის დამახასიათებელი, უნიკალური სამეტყველო ეტიკეტის ნორმების ცოდნასაც მოიცავს. ცნობილია, რომ ყველა კულტურას განსხვავებული მიმართვის ფორმები აქვს და ეს განსხვავება მხოლოდ ფონემური როდია: Mister, ბატონი, господин, bay, monsieur - ღრმად ეროვნული სემიოტიკური ნიშნებია, მათში ჩაქსოვილია ეთნიკურ-კულტურული ინფორმაცია. რადგან არსობრივად განსხვავებულია თავად აღსანიშნები, თითოეული აღმნიშვნელიც უნიკალური სიტყვა-რეალიაა და მართებულია, თარგმანში ტრანსკრიფციით გადმოიცეს.

კულტურა, რეალია და თარგმანი

რეალია, როგორც ცნება, აღნიშნავს კულტურული სპეციფიკის მქონე ლექსიკურ ერთეულს, რომელიც წარმოადგენს კულტურულ იდენტობას, სიტყვათკომბინაციას, სიტყვათა შეთანხმებებს, მას თარგმანის თეორეტიკოსები და მთარგმნელები უთარგმნელად მიიჩნევენ. რეალიებს აქვთ ეროვნული შეფერილობა, ახასიათებთ ეგზოტიზმი.

რუსი თარგმანის თეორეტიკოსი, ვინოგრადოვი (2001: 157) მიუთითებს, რომ რეალიების უმეტესობა ნასესხობად მკვიდრდება ენაში. უნდა დავძინოთ, რომ ვლახოვი და ფლორინი მიუთითებენ, რომ უცხო რეალიები არა მარტო ნასესხობებია, ანუ ეტიმოლოგიურად უცხო სიტყვები, რომლებიც ენის ლექსიკას შეემატა, არამედ კალკები, ანუ მორფემული ან სიტყვასიტყვითი თარგმანები, მაგალითად, უცხო კულტურული ობიექტების დასახელებები, ან ტრანსკრიბირებული რეალიებიც, რაც ან ოკაზიონიზმი, ან ნეოლოგიზმია.

შენიშვნის სახით დავძენდით, რომ თუ ერთი მხრივ, მთარგმნელობითი ხელოვნება მაღალ შეფასებას იმსახურებს, როცა თარგმანი ორიგინალივით იკითხება, მეორე მხრივ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ უცხო კულტურული რეალიის თარგმნის დროს, მთარგმნელი უცხო ელემენტის „მითვისებას“ ცდილობს; ეს ყველა თარგმანში ირიბად იგულისხმება. რეალიის მითვისების, საკუთარ კულტურაში იმპორტირება-ტრანსპლანტაციის საუკეთესო ნიმუშებად ნეოლოგიზმები გამოდგება, რაც კალკირების მეთოდით თარგმნის დროს გვხვდება; მაგალითად,

ინგლისური ლექსიკური ერთეული ***skyscraper*** - მთარგმნელებმა კალკირების გზით დამკვიდრეს საკუთარ ენებში: *ქართული ცათამბჯენი, ფრანგული* ***gratte-ciel,*** *იტალიური* ***grattacielo,*** *რუსული* ***небоскреб,*** *გერმანული* ***Wolkenkratzer,*** ინგლისური ***football*** ქართულ ენაზე კალკირებით ითარგმნა, ხოლო რუსულზე ტრანსკრიფციით გადავიდა.

ენაში არსებობს ნახევარ-კალკებიც, რომლებშიც კომპოზიტის მხოლოდ ერთი უცხოენოვანი ელემენტი არის შენარჩუნებული. მაგალითად სპორტის ისეთი სახეობებიდან, როგორიცაა ფეხბურთი და ჩოგბურთი, ტრანსლიტერირებულია *ტაიმი, სეტი* (time, რომლის ტრანსკრიპციაც იქნებოდა *თაიმი,* set, რომლის ტრანსკრიფციაც იქნებოდა *სეთი*) ხოლო ტრანსკრიბირების გზით *გეიმი* (game) და *რაუნდი* (round) ორივე მათგანი აღნიშნავს თამაშისთვის განკუთვნილ დროს; სპორტული ნახევარ-კალკებია *პირველი რაუნდი, მეორე ტაიმი* და ა. შ. კომპოზიტური პოლიტიკური ინსტიტუციების დასახელებები ასევე ნახევარ-კალკებად შეიძლება დამკვიდრდეს ენაში: გერმანული ***Dritte Reich*** ქართულად არის *მესამე რაიხი,* იტალიურად ***Terzo Reich,*** ინგლისურად ***Third Reich;***

არაერთი ნახევარ-კალკი გვხვდება პოლიტიკურ-გეოგრაფიული დასახელებებში: მაგ.: *ელისეს მინდვრები.*

ენობრივი ნასესხობები ეპოქათა ცვლას ემორჩილება, გარკვეული პერიოდის შემდეგ ისინი შესაძლოა დავიწყებას მიეცეს. ისტორიული მიზეზებით, ცალკეული ერების კულტურა ალიბეჭდება ხოლმე სხვა კულტურის ენობრივი ნიშნებით. პოლიტიკური დომინაციის გამო, 1991 წლამდე, ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ლექსიკაში რუსულენოვანი ნასესხობების მაღალი რაოდენობა იყო, ე.წ. *სოვეტიზმები.* ზოგიერთმა საბჭოთა რეალიამ საერთაშორისო სარბიელზეც „გაიკვლია" გზა. წარმოიშვა ფრანგულენოვანი ტერმინოლოგიური სიტყვათწყობა realia soviétiques იმ რეალიების აღსანიშნავად, რომლებიც საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების ყოფით თუ პოლიტიკურ სინამდვილეს ასახავდა. ტერმინებად დამკვიდრდა *Perestroika, apparatchik* და სხვ. თუმცა, ისტორიული წყობის შეცვლის შემდეგ, რეალიებიც იცვლებიან, ტერმინები კარგავენ დანიშნულებას და მათი ენობრივი მოხმარების არეალიც ვიწროვდება. ოდესღაც ლინგვისტური ნეოლოგიზმები დღესდღეობით მხოლოდ ისტორიის კუთვნილებაა და ენის „სამუზეუმო" ექსპონატები გახლავთ. ესაა დავიწყებას მიცემული, ისტორიის კუთვნილი რეალიები.

ისტორიული რეალიები მხატვრულ ლიტერატურაში უხვადაა. მხატვრული ტექსტის მთარგმნელს აუცილებლად სჭირდება ზუსტი ეკვივალენტის ცოდნა, ან მიახლოებითი შესაბამისობის დაძებნა იმ კულტურაში, რომლის ენაზეც ითარგმნება ტექსტი. ვინაიდან ცნება-რეალია „კანონიერი ქურდები", „ქურდული ავტორიტეტი" და სხვ. მხოლოდ საბჭოთა კავშირში არსებობდა, მათ სრული ეკვივალენტები არ დაეძებნებათ დასავლეთევროპულ, ან აზიურ ენებზე, რადგან ამ ქვეყნებში მსგავსი ცნებაც არ არსებობდა და მაშასადამე, ვერ იარსებებდა ცნების სახელდებაც. მთარგმნელს მხოლოდ ერთი გამოსავალი რჩება, არჩევანი შეაჩეროს ენაში არსებულ ყველაზე მისაღებ ვარიანტზე, ან ექსპლიკაციის, ანუ აღწერილობითი მეთოდით თარგმნოს; მაგალითად, თუ ფრანგულ ენაზე სიტყვა რეალიის „კაი ბიჭი" თარგმნისას გამოვიყენებთ ტერმინს "*voleurs dans la loi*", თარგმანი ეკვივალენტური იქნება, რადგან ფრანგებმა სწორედ ამ საბჭოთა რეალიის, რუსული მაფიის აღსანიშნავად დამკვიდრეს იგი თავიანთ ენაში. ამერიკულ ინგლისურში „კაი ბიჭს" ეკვივალენტი არ აქვს, თუმცა, დამკვიდრებულია ტერმინი „homie". ცნება რეალია „კაი ბიჭის" ინგლისურად თარგმნისას, შეიძლება მისი გამოყენება, თუმცა, სავარაუდოა, რომ მკითხველისათვის ის დამაბნეველი აღმოჩნდეს, რადგან ეს ტერმინი აშშ-ში აფრო-ამერიკელების სოციალური ჯგუფის მისამართით გამოიყენება. განვიხი-

ლოთ, ა. მორჩილაძის მოთხრობის, „მოგონებები ჩემი მეგობარი კაი ბიჭის ცხოვრებიდან“ ერთ-ერთი ეპიზოდის სავარაუდო თარგმანი:

“And to cut short, that day I was sitting with all those ***homies*** and our talks dealt with the Sicilian mafia and the beauty of it”.

დასაშვებია ის აზრი, რომ შეცდომაში შეყვანილმა ამერიკელმა მკითხველმა წარმოიდგინოს, თითქოს, სიცილიური მაფიით მოხიბლულმა აფრო-ამერიკელებმა საბჭოთა კავშირში მოახერხეს და საკუთარი „საძმო“ დააარსეს. რასაკვირველია, ინგლისურენოვან მკითხველს „კაი ბიჭის“ ეკვივალენტად ვერ შევთავაზებთ „good boy”-ს. ამ შემთხვევაში არც ტრანსკრიფცია / ტრანსლიტერაციის („Kai Bichi”) სტრატეგია იქნება გამართლებული, თუნდაც სქოლიოში მითითებული განმარტებებით, რადგან საბჭოთა ქურდული ინსტიტუციის არსის განმარტება, შეიძლება, თავად მოთხრობაზე ვრცელი გამოვიდეს. უპრიანი იქნება, თუ მკითხველს საყოველთაოდ ცნობილ მოვლენას შევთავაზებთ, როგორიცაა *მაფია*, ან ***made men*** (მაფიის წევრი), რომელსაც წინ დავურთავთ მსაზღვრელს *საბჭოთა*, რომელიც მკითხველს განუმარტავს, რომ მწერალი დასავლური მაფიის თავგადასავალს არ გვიამბობს. თარგმანში მივიღებთ: soviet mafia, ან soviet made men, რაც, ესოდენ მწირი არჩევანის შემთხვევაში, ყველაზე მისაღები და უკვე დამკვიდრებული მთარგმნელობითი ეკვივალენტია. მაგალითის მოყვანა შეიძლება 2012 წელს გადაღებული ამერიკული კინოფილმიდან ‘So Undercover’, რომელშიც ნახსენებია რეალია ‘Georgian mafia’.

ინტერნაციონალური რეალია შესაძლოა აღწერდეს ტექნიკურ პროცესს, ისინი უმეტესად ტრანსლიტერაციის გზით შემოაქვთ მთარგმნელებს და ნასესხებ ნეოლოგიზმებად მკვიდრდებიან ენაში; განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი: ქართულ-ინგლისურ პოლიტიკური კორპუსის მონაცემთა ბაზაში არსებობს სრულიად ახალი რეალია, ***Frankenfood - ფრანკენფუდი***. კორპუსში რეალიის ტრანსკრიფციასა და ვრცელ ექსპლიკაციას გვთავაზობს:

Frankenfood - ფრანკენფუდი. ტერმინი გამოიყენება იმ პოლიტიკოსებისა და ლობისტების მიერ, ვინც გენეტიკურად მოდიფიცირებულ პროდუქტებზე გაკილვით საუბრობს. 1970 წ. მეცნიერებმა დაიწყეს დნმ-ის ტრანსფორმაციის შესწავლა, თუმცა 1983 წლამდე არ შექმნილა ტრანსგენური პროდუქტი. პირველი გენმოდიფიცირებული მოსავალი, რომელიც კომერციული მიზნით გამოიყენეს, იყო თამბაქო (თავდაპირველად ჩინეთში), სიმინდი, სოიო, ბამბა, კანაფი და პომიდორი. 2000 წლისთვის, შეერთებული შტატების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თითქმის 72% გენმოდიფიცირებული

იყო. ავსტრალიაში, კანადასა და არგენტინაში ასევე მნიშვნელოვანი რაოდენობის გმ-ული პროდუქცია მოჰყავთ. ამ დრომდე არ არსებობს სტატისტიკურად დამოწმებული ინფორმაცია გმ-ული პროდუქციის ხვედრითი წილის შესახებ სოფლის მეურნეობის ისეთ მსხვილ მწარმოებელ ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი და ბრაზილია. ცნობილია, რომ სოიოს მოსავალი გენ-მოდიფიცირების მეთოდით მოჰყავთ მსოფლიოს ნახევარზე მეტ ქვეყანაში.

თუ ნასესხები ნეოლოგიზმის შესატყვისი ქართული სიტყვა შეიქმნა, ნასესხობა იქცევა ბარბარიზმად და ის მშობლიური ენის შესატყვისით უნდა შეიცვალოს სალიტე-რატურო-ოფიციალურ ენაში. ნეოლოგიზმად დამკვიდრდა *მედია*, თუმცა ბარბარიზმია *ლაივ-სტრიმინგი* და *სპამი*, რადგან უკვე გვაქვს *პირდაპირი ტრანსლაცია*, ან *ცოცხალი ჩართვა* და *სარეკლამო გზავნილი*. *ჰიპერლოკალიზაცია*, *პრივატიზაცია*, *რესტრუქტური-ზაცია*, *ტრანსლაცია* ნეოლოგიზმებია; *ეფლი*, *მაკ-კარი*, *ათფონი*, *აიპდი*, *აიპოდი*, *სმარტ-ფონი*, და მრავალი სხვა საკუთარი სახელით აღნიშნული ტექნოლოგიური პროდუქტი ქართულ ენაში ტრანსკრიფციის გზით არის დამკვიდრებული. ასევე შესაძლებელია, ძველი ცნება ახალი ტექნოლოგიური პროდუქტის დასახელებად გამოიყენონ: *იროკეზები* ამერიკელი ინდიელების ტომების დასახელებაა, რაც სამხედრო ვერტმფრენსაც უწოდეს. ქართულ ენაში დამკვიდრებულია სიტყვები *ჰამაკი*, *ბუმერანგი* და *ტომაჰოკი*, რომლებიც ამერიკელი ინდიელებისგან წარმოსდგება, ისინი ასევე გახლავთ კულტურული რეალიე-ბი, ორივე მათგანი ტრანსლიტერაციის გზით შემოვიდა და ნასესხობად იქცა. *ჰოპლიტები* ძველ რომში მძიმედ შეიარაღებული მეომრების შენაერთები გახლდათ, თუმცა, ეს ცნება, ისე როგორც ეს ლექსიკური ერთეული ქართულ კულტურაში არ დამკვიდრებულა. სამაგიეროდ დამკვიდრდა სამხედრო დაჯგუფება *ლეგიონი* და *კოჰორტა*, თუმცა *კოჰორტა* პროტო-ლეგიონმა გახლავთ, დღეს იგი ზოგადად თანმხლებ გარემოცვას აღნიშნავს.

გლობალიზებულ სამყაროში შესაძლოა სულ უფრო ნაკლები რეალია რჩებოდეს კულტურულ იეროგლიფად, რადგან მათი იმპორტი მაქსიმალური სისწრაფით იზრდება, თუმცა, რეალიები ასოციაციების დონეზე გაუგებრობას მაინც იწვევს. მაგალითად, ევროპელისათვის და აზიელისთვის კულტურული რეალიები: *ლუქსორი* და *სფინქსი* ასოცირდება ეგვიპტესთან, ხოლო ამერიკელისათვის, ლას ვეგასში მდებარე ფეშენებე-ლურ და ეგზოტიკურ სასტუმროსთან.

კიდევ მეტი გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს მიკრორეალიებმა ისეთ გამონათქვა-მებში, რაც უშუალოდ ერთი მიკროსოციუმისათვის გასაგებ კულტურულ რეალიებს შეი-ცავს. მაგალითად, გამონათქვამი: ***Living in the Village isn't all Magnolia cupcakes***. ეს

ფრაზა სრულებით გაუგებარი იქნება იმ პირისათვის, ვინც ნიუ-იორკულ *მიკრორეალიებს* არ იცნობს: ***Village*** აღნიშნავს ვესტ ვილიჯს, მანჰეტენის ისტორიულ უბანს, ხოლო ***Magnolia*** ეწოდება აქ მდებარე ცნობილ საკონდიტროს, სადაც მხოლოდ ერთი სახეობის, მაგრამ მრავალფეროვნად გაფორმებული ნამცხვარი *ქაფქეიკი* ცხვება. მთარგმნელმა ასეთი ტიპის რეალიები სქოლიოში უნდა განმარტოს. რეკომენდებულია, რომ ასევე შეიმუშაოს ***მიკროსტრატეგია***, რომლითაც ტექსტის მიკროკლიმატს და ემოციურ სურათს მეტატექსტშიც შეინარჩუნებს.

კულტურული რეალიების / ლაკუნების კლასიფიკაცია

- საზოგადოება - მაგალითად აშშ-ს მკვიდრი ემიშები, ესკიმოსები.
- გეოგრაფია-ეკოლოგია - *პრერია, ჰლატო, სელვა (ტროპიკული ტყე), სავანა, სტეპი, იაილა, აული.*
- ფლორა და ფაუნა - *პანდა, კაკადუ, მერინოსი, არხარი.*
- ალკოჰოლური სასმელი - *რუსული ვოდკა, ჩეხური სლივოვოჩი, გერმანული შნაპსი, იაპონური საკე, მექსიკურ-ესპანური ტეკილა, მოხიტო, ილი - ინგლისური ლუდი, ჰარიგე - ავსტრიული აბალდაყენებული ღვინო.*
- არაალკოჰოლური სასმელი - *პეპსი, კოკა-კოლა, ბონ აქუა, დოქტორი პეპერი.*
- საკვები: *იტალიური ცაპლიონე, ლიტეური ცეპელინი, უნგრული შტრუდელი, რუმინული/მოლდოვური სარმალი, ამერიკული ბაგელი და სთარ ფრუთი, თურქული ქუმფირი და ჩორბა, მექსიკური კანტალუპია, უზბეკური მანტუ, იაპონური კაცუდონი, რამენი, სობა, უდონი. ადაპტირებული რეალიებია ამერიკული ჰოთდოგი და ჩიზბურგერი, გერმანული ჰამბურგერი, ინგლისური პუდინგი.*
- ტანსაცმელი: *ფარანჯა, ჩალმა ისლამურ ქვეყნებში, კანგა აფრიკაში, სარი, დოტი ინდოეთში, ობი, კიმონო იაპონიაში, სომბრერო ესპანეთსა და მექსიკაში, მოკასინები, რაც ამერიკელი ინდიელებისგან გავრცელდა.*
- სახლების/შენობების ტიპები: იურტა - ყაზახი ხალხის ტრადიციული საცხოვრებელი, იგლუ - ესკიმოსის სახლი, ამერიკული რანჩო, რუსული დაჩა.
- ტრანსპორტის საშუალებები: ინდოეთში რიკშა, აშშ-ში ემიშის ეტლი; ფრანგული ფიაკრი (fiacre), *კები, გონდოლა. ამ ტრანსპორტის მძღოლების სახელწოდებები. სიტყვაფორმები, რომლებიც წარმოიშვა ტრანსპორტის აღმნიშვნელი ლექსემებისგან, თარგმანში ტრანსკრიბირდება. მაგ. ი. ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში“ რუს მეეტლეს რუსულენოვანი ლექსემით: ямщик-ით წარადგენს ქართული მკითხველის წინაშე.*
- სოციალური კულტურა - *სიესტა ესპანეთში, ფართი, სლამბა-ფართი (slumber party), ფუულ-ფართი, სთეგ-ფართი (stag party)* ამერიკაში, *ვეჩერინკა, მალჩიშნიკი,* რუსეთში.

საყოფაცხოვრებო კულტურა და ნივთები: საუნა, რომელიც ფინეთიდან ყველგან გავრცელდა, იაპონური ხელსაქმე - ორიგამი, იკებანა, რუსული - სამოვარი.

- რელიგიური აღმსარებლობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები - ებრაული ჰანუკა, სინაგოგა, ამერიკული მორმონიზმი, ემიშიზმი, ინდური ჯაპა, კირტანი, ჩინური პაგოდა და ა. შ.
- პოლიტიკური და ადმინისტრაციული ერთეულების დასახელებები: ბუნდესტაგი გერმანიაში, სტორტინგი ნორვეგიაში, სეიმი პოლონეთში, რადა უკრაინაში, რიკსდაგი შვედეთში, ედუსკუნტა ფინეთში, ქნესეთი ისრაელში.
- მიმართვის ფორმები: პირის მრავლობითი და მხოლობითი ფორმების რაც ქართულში (თქვენ / შენ) ფრანგულში, რუსულ, იტალიურ და ა.შ. ენებში გვხვდება, ინგლისურ ენაში ლაკუნას წარმოადგენს.
- მითოლოგია და ზღაპრები - მითურ გმირებსა და ზღაპრის პერსონაჟებს ეროვნული კოლორიტი და უნიკალურობა ახასიათებთ; მათ შორის განვასხვავებთ (1) აბსოლუტურად უნიკალურ ზღაპრულ რეალიებს, მაგალითად, *ჰეპის და კარლსონს, პიტერ პენს, მაუგლის, ჯინს*, საბჭოთა ეპოქაში შექმნილ პოპულარულ *ჩებურაშკას, (2) ეთნიკური და ნაციონალური და ისტორიული შეფერილობის* ზღაპრულ რეალიებს, როგორიცაა *ელფი, გნომი*, ამერიკელი *სინდერელა* და *სანტა კლაუსი*, რუსული ზღაპრების გმირები *დედ მოროზი, ბაბა იაგა*. მათთან არამც და არამც არ უნდა გავაიგივოთ ქართული ხალხური ზღაპრების გმირები: კონკია, თოვლის პაპა, კუდიანი დედაბერი, ალი, ოჩოკოჩი. ნაციონალური კონოტაციები მიიღეს მხედველობაში ოლივერ და მარჯორი უორდროპებმა, რომელსაც კონკიაჟღარუნა არ გააიგივეს სინდერელასთან და ინგლისურ ენაზე მისი ტრანსლიტერაცია მოახდინეს: **Conkiajgharuna, the Little Rag Girl**[10] იქვე კი ქართული ლექსიკური ერთეულიც განმარტეს: *„პატარა კონკებიანი გოგონა“*. ნაცარქექია ინგლისურ ენაზე ითარგმნა როგორც **Lazy Bones**, თუმცა უპრიანი იქნებოდა, თუ მთარგმნელი ოლივერ და მარჯორი უორდროპების გამოცილებას გაიზიარებდა და ნაცარქექიას სახელის ტრანსკრიბირებითა და განმარტების დართვით წარუდგენდა უცხოენოვან მკითხველს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ზღაპრის გმირი, მაგალითად *жар-птица* ითარგმნება ფასკუნჯად; **marmaid** ქალთევზად.
- წოდების, ხარისხის, ტიტულის ფორმებია: სენსეი, დოქტორი, თავადი, პრინცი, გრაფი, ბარონი, ვიკონტი, კნიაზი, კნეინა, სერ, მადამ, მისის, ფრეკენ, ჰანი, ჰერ, მისტერ, ეფენდი. *დონ, სენიორ, სენიორიტა* აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიმართვის

[10] Source: Marjory Wardrop, *Georgian Folk Tales* (London: David Nutt, 1894), pp. 63-67.

ეს ფორმები ტრანსლიტერაციითა და ტრანსკრიბირებით დამკვიდრდა მრავალ ენაში, ხოლო *господин, госпожа* ფორმები არ დამკვიდრებულა. აქვე დავძენთ, რომ ქართული რეალიური მიმართვის ფორმები: *ქალბატონო* და *ბატონო* სასურველია ტრანსლიტერაციით აისახებოდეს მხატვრულ თარგმანშიც, რადგან თუ ქართველ პერსონაჟის სახელს ვთარგმნით უცხოური მიმართვის ფორმებთან კომბინაციაში, როგორიცაა *სერ, მადამ, მისის, ფრეკენ, ჰანი, ჰერ, მისტერ* - კულტურათა კრეოლიზაციის მეტად ამბივალენტურ სურათს მივიღებთ. ეს კულტურათა კრეოლიზაციის ისეთივე ნიმუში იქნებოდა, როგორიც გახლავთ ლუარსაბ და დარეჯან თათქარიძეებისადმი *prince* და *princess* ტიტულებით მიმართვა.

აქვე გვინდა მაგალითად მოვიყვანოთ ჯ. ამირეჯიბის რომანის რუსულენოვანი თარგმანიდან ინგლისურ ენაზე თარგმნილი მიმართვის ფორმა:

"ქალბატონო, რომ შეგშინებოდათ, ასე მოხერხებულად ვერ მოიქცეოდით. შიშმა დაბნევა იცის" (p. 327).

"You wouldn't have been so clever if you had been afraid. Fear makes people lose their head (p. 101).

როგორც ვხედავთ, მიმართვის ფორმალური მარკერი *[ქალბატონო]* თარგმანში გამოტოვებულია, რის გამოც, ინგლისურენოვანი მკითხველი ვერ განასხვავებს პერსონაჟის სოციალურ სტატუსს ან წოდებას; გარდა ამისა, მიმართვის მარკერის იგნორირება თარგმანში ორიგინალის ფორმალურ ტონს ფამილიარულით ცვლის.

რეალიის თარგმნის მეთოდები

თელავივის უნივერსიტეტის პროფესორი, გ. თოური (1995:56) წერს, რომ თარგმანში გარდაუვლად ჩართულია ორი სხვადასხვა ენის კულტურული რეალიები და მასთან დაკავშირებული, წინასწარ დაწესებული ნორმები. თარგმნის პროცესსა და თვითონ მთარგმნელს მართავს სამიზნე კულტურის ნორმები. ვინაიდან და რადგანაც ენა, კულტურა და ნორმების სისტემები არასდროს არ არის იდენტური, მანამ, სანამ მთარგმნელი დაიწყებს თარგმანზე მუშაობას, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება: თუ რომელ მათგანზე იყოს ორიენტირებული - წყაროზე, თუ სამიზნე კულტურის ნორმებზე.

როგორც თარგმანის თეორეტიკოსი ა. ფიოდოროვი წერდა, კულტურული ლაკუნები რომელიმე ერისათვის ან ქვეყნისათვის დამახასიათებელი ფიზიკური საგნები და სოციალური რეალობაა, რომლის თარგმნაც განსაკუთრებით რთულია (A. Fyodorov 2002, 199).

1. **ახსნა-განმარტება, ტექსტის შევსება დამატებითი, საჭირო ინფორმაციით:**

Eddie Mars had left the outside much as he had found it instead of making it over to look like an MGM set (TBS: 128)

შიდაენობრივი თარგმანი:

Eddie Mars had left the exterior as he had found it instead of turning it into a movie set.

2. **ფუნქციური ეკვივალენტით ტრანსპოზიცია:**

I'll send them myself before St. Patrick's Day

შიდაენობრივი თარგმანი:

I-will send them before All Saints' day.

3. **რეალიის განზოგადების / გენერალიზების მეთოდით თარგმნა:**

I'll send them myself before St. Patrick's Day.

შიდაენობრივი თარგმანი:

I-will send them myself before the holidays.

რეალიის განზოგადების მეთოდით გადმოცემის კარგი მაგალითია *„ბორჯომის“* თარგმნა „მინერალურ წყლად“.

4. **ტრანსლიტერაცია / ტრანსკრიპცია** - კულტურისმიერი სპეციფიკური რეფერენტის (რეალიის, ლაკუნის) ჩანაცვლება შედარებით ნეიტრალური და ზოგადი, სხვა ფონური ცოდნის მქონე მკითხველისათვის გასაგები რეფერენტით.

Eddie Mars had left the outside much as he had found it instead of making it over to look like an MGM set (TBS: 128)

შიდაენობრივი თარგმანი:

Eddie Mars had left the exterior part almost untouched instead of turning it into a Hollywood artifact;

5. გამოტოვება - ნიმუშად შეიძლება სამუელ მარშაკის, საბჭოთა მთარგმნელის თარგმანები შეიძლება მოვიყვანოთ. მან ინგლისელი პოეტის, რობერტ ბერნსის ლექსები თარგმნა, თუმცა, ერთი მათგანის ანალიზიც საკმარისია თარგმანის ხარისხის დასადგენად:

Oh Wert Thou in the Cauld Blast":

Or were I monarch o' the globe,

Wi' thee to reign, wi' thee to reign;

The brightest jewel in my crown,

Wad be ma queen, wad be my queen (Burns, 13-6)

თარგმანი:

"*И если б дали мне в удел весь шар*

земной, с каким бы счастьем я владел тобой одной" (Marshak, 13-6).

მარშაკმა სტროფში გამოტოვა ის ლექსიკა, რაც დაუშვებელი იყო საბჭოთა აუდიტორიისთვის; რეჟიმის ცენზურისათვის მიუღებელი ლექსემები იყო: "monarchy", "crown", "reign", "jewel" and "queen," რაც მარშაკმა გამოტოვა.

ლოკალიზაცია

ლოკალიზაცია არის კულტურისმიერი, სპეციფიკური რეფერენტის საკუთარ სამიზნე აუდიტორიაზე „მორგება“, ანუ ლაკუნის ადაპტაცია საკუთარ კულტურასთან.

რეკომენდებულია, რომ სანამ მთარგმნელი ტრანსლიტერაციასა და თარგმანს შორის არჩევანს გააკეთებს, ხუთი პუნქტის სინთეზი მოახდინოს:

1. ტექსტის ტიპი;
2. რეალიის მნიშვნელოვნება კონტექსტში;
3. რეალიის ტიპი მათი სისტემური როლი წყარო და მიმღებ კულტურებში;
4. ენა, კოლოკაციები, უჩვეულო კოლოკაციები და ეგზოტიკური გამოთქმები დ მათი ტრანსლიტერაცია მიმღებ კულტურაში; თარგმანი არ იკითხება სხარტად, თუმცა მთარგმნელი მკითხველს აცნობს უამრავ ახალ ცნებას;
5. მეტატექსტის და პროტოტექსტის მკითხველი და მათ შორის შესაძლო განსხვავებები.

ტრანსლიტერაცია/ტრანსკრიპცია


ტრანსკრიფცია არის გეოგრაფიულ დასახელების, სამეცნიერო ტერმინების, საზოგადო თუ საკუთარ სახელების უცხო ენის ბგერების გადატანა მიმღები კულტურის ანბანის ასო-ბგერების გამოყენებით. თუ ორი ენის ანბანის ბგერებს შორის განსხვავება დიდია, მთარგმნელმა უნდა სცადოს ფონოლოგიური რეპროდუცირება, რაც ორიგინალთან მაქსიმალურ ბგერით ტოლფასოვნებას ნიშნავს. მაგალითად, ინგლისური ლექსიკური ერთეული *chewing gum* იტალიურ ენაზე ტრანსკრიბირდა როგორც *ciuinga*, ის დღეს მდედრ. სქესის იტალიურ სიტყვად მიიჩნევა.

ტრანსლიტერაცია არის უცხო სიტყვის ასოების ტრანსმისია მიმღები კულტურის ანბანის ასოებით.

ქართული რეალიებია - მახვში, საკარცხული, *ქვევრი, თამადა, ბაჭაჭური, ბაჭული, ბორანო, ჩურჩხელა, ქალამანი, სატივი, ბაქე, კუბდარი, წულა-მესტები, ნალია, საბძელი, ჩოხა, ჩიხტიკოპი, საწნახელი, თონე, კეცი, თუნგი, ფარცხა, ჯარგვალი, ჭაჭა* და ა.შ. რაც, ასევე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის მეთოდით ითარგმნება და სქოლიოში დართული აქვს განმარტება. ელაჰოვი საკუთარ ნაშრომში ქართული რეალიებიდან სწორედ საკვებს ეხება და მას რეგიონალურ რეალიას უწოდებს, ნაცვლად ნაციონალური რეალიისა. საბჭოთა ეპოქის დროს შექმნილ წიგნში, გასაკვირი არაა, რომ ავტორი საქართველოს იმპერიის რეგიონად მიიჩნევს და არა დამოუკიდებელ, თვითმყოფადი კულტურის სახელმწიფოდ. ელაჰოვი წერს:

„ქვემოთმოყვანილი წინადადების: *«Махатадзе отбыл к себе.., вырвав у супругов Петровых обещание приехать в гости, на чахохбили»* საბჭოთა მკითხველებს „ჩახოხბილის“ განმარტება არ სჭირდებათ, ამ კერძის ხსენებაზე უკვე ნერწყვს ყლაპავენ. რაც შეგვეხება ჩვენ, უცხოელებს, ეს რეალია იგივე ეფექტს განმარტების გარეშე ვერ მოგვცემს. მხოლოდ „გემრიელი და ჯანმრთელი კვების ცნობარში“ თუ ამოვიკითხავთ, რომ ეს რაღაც საკვებია, აღმოსავლური, კავკასიური, ქართული - ერთი სიტყვით, ეგზოტიკური“ (გვ. 80).

მოგზაურისა და მკვლევრის, ედმუნდ სპენსერის წიგნში Travels in the Western Caucasus რომელიც 1838 წელს ლონდონში გამოიცა, მდინარე ცხენისწყალის ტრანსკრიფციაა Tzcheness-tzquali:


Travels in the western Caucasus, including
worthy host and his followers, also, most courteously exchanged our weary horses for their own hardy unshoeing animals; so, once more well mounted, and accompanied as usual by the whole male population of the district, we commenced our journey to the Tzchenis-tzqali, a river that separates Mingrelia from Imeritia. We might have taken a shorter route by following the Mesa-Enguri to Anakria, on the Mingrelian coast; but by so doing, we should have been condemned to a dreary ride through the swamps and interminable forests bordering the Euxine in that direction; besides being exposed to the danger
ing with all the productions of the most favoured climes; there was the myrtle, the laurel, and the olive; thick groves of oleander and pomegranate; while the wild vine, the fig, and the mulberry, intermingled with the choicest fruit trees and innumerable species of parasitical plants, formed bowers at once fragrant and luxuriant.
Nor were these the only attractions in this singular and beautiful region, for at every elevated point, as we left the river, and followed some less circuitous path across a mountain ridge, landscapes at once splendid and extensive burst upon
2

ამავე წიგნში ქართული ტოპონიმების სხვა საინტერესო ტრანსკრიფციის ნიმუშებია: Imeritia, Mingrelia, Anakria ანაკლიის ნაცვლად, Kuthaissi, Tschorak, Gourials, Mquinvari (მყინვარი), რომელსაც გვერდით ფრჩხილებში ჩასმული (მცდარი) განმარტება მოჰყვება: ice mountain, in the Mingrelian dialect.

https://archive.org/stream/travelsinwester01spengoog#page/n24/mode/2up

ქართული ყოფითი რეალიაა ტრადიციული ქართული სუფრა და თამადაც; ეს ლექსიკური ერთეულები ინგლისურენოვანმა სამყარომ ტრანსლიტერაციის გზით დაამკვიდრა დისკურსში, რითაც ქართულ ლხინს აღნიშნავენ.[11]

To this day, the Tamada is the toastmaster at banquets or special dinners in Georgia. The occasions on which the Tamada is present are called 'supra' (table).

ქართველისათვის „ქვევრის" ცნება საუკუნოვანია და სიმბოლიკითაა დატვირთული, მისი თარგმანში ანალოგიზაცია, ზოგადად, შეუძლებელია; მით უფრო, თუკი ისეთ ტრივიალურ ლექსიკურ ფრაზეოლოგიზმზეა საუბარი, როგორიცაა *ძირგაყარდნილი ქვევრი*; ფრაზაში: „მისის აზრით (ლაპარაკია ლუარსაბ თათქარიძეზე), კაცი ძირგაყარდნილი ქვევრი იყო, რომელსაც დღე-ყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩასხა სასმელი" (116) თუმცა, ამგვარ რეალიათა პირდაპირი ცნებით უთარგმნელობა არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი ჩანაცვლება მიმღები ენის რესურსის მეშვეობით; თუკი შესწავლილი იქნება რეალიების ცნებითი თანაფარდობის შესატყვისი პარამეტრები, დაიძებნება

[11] *Caucasus Journal of Social Sciences* (p. 76: 2009 by the University of Georgia).

შედარებით ზუსტი შესატყვისიც, მაგ.: *ქვევრის* შემთხვევაში ცნების ერთ-ერთი პარამეტრი სიდიდეა; რის გამოც ინგლისურ ენაზე მისი *ჭალად* თარგმნა სრულიად გაუმართლებელია; მით უფრო ძნელი წარმოსადგენია, *უძირო ჭილა*, როგორც ეს თარგმანშია, იყოს *უძირო ქვევრის*" ეკვივალენტური ცნება; ეროვნული კოლორიტის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ყოფით სიტუაციასთან ასოცირებული ზმნები, მაგ. ზმნა *სმა* ქართულ ეროვნულ ყოფიერებაში *ღვინოსთანაა* ასოცირებული, მეღვინეობა-მევენახეობის მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და ადათის გამო, ხოლო მსგავსი ასოციაციაციური დატვირთვა ინგლისურ ზმნა *drink*-ს ვერ ექნება; ამდენად, წინადადება:

„ფერი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებს და! ჭამით ისინი ველარ სჭამენ, სმით ისინი ველარ სმენ, რა კაცები არიან?!" სადაც *ჭამა* და *სმა* პირობითი ცნებებია და აღნიშნავს ქართულ ტრადიციულ სუფრობებს, პურობას, მოლხენას, ღვინის სმას. ინგლისურ ენაზე კი ვკითხულობთ, რომ *ბავშვებმა არ იციან თუ როგორ ჭამონ და სმით ვერ სვამენ.*

"His Highness was right too: in his opinion man was a bottomless jar into which all day there should be poured provender and drink, but it could never be filled".

არც ერთი ინგლისური სინონიმი: *beaker, bottle, burette, can, chalice, crock, cruet, decanter, ewer, flagon, flask, jug, pitcher, pot, urn, vase, vat* არ არის ქვევრის ზომის. მაშასადამე, ამ მომცრო ჭურჭლის ასოცირება ხარბ, გაუმაძღარ, მძიმეწონიან თავადთან ძნელია. მართებული მთარგმნელობითი მეთოდი იქნებოდა არა სუბსტიტუცია, არამედ ტრანსკრიპცია, რომელიც მეტატექსტში ეგზოტიკურ და ეროვნულ კულტურას გადმოსცემს. თუ პირველი წინადადება მკითხველს იმას ეუბნება, რომ ბავშვებმა *ჭამის მანერა არ იციან*, მეორე წინადადება უკვე აზრობრივ გაუგებრობას იწვევს, თუ რატომ ვერ სვამენ ბავშვები ზოგადად რაიმეს, *წვენს, წყალს, ჩაის* და ასე შემდეგ, ოღონდ არა ღვინოს, რადგან 1. სიტყვა *სმა* ინგლისურში არ ასოცირდება *ღვინოსთან*, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ და 2. ბავშვები ღვინოს არც უნდა სვამდნენ! რადგან სწორედ სიტყვა *ბავშვებით* ითარგმნა სიტყვა *შვილები*, რომელსაც დედანში თაობის მნიშვნელობა აქვს და არა უშუალოდ ბიოლოგიური პირმშოსი.

თუმცა თანამედროვე სამეცნიერო ენაზე ქართული არტეფაქტის ტრანსკრიბირების სტრატეგია შემუშავდა: [12]

It is known that at least since antiquity wine was left to ferment in

[12] Caucasus Journal of Social Sciences (p. 77: 2009 by the University of Georgia).

kvevris that had been placed up to its neck in the ground. This photo is from a bishop's palace dating to the Middle Ages. Some wine farmers still use this ancient fermentation technique (c Soderlind, Ulrica, 2008).

Shatili remains one of the most recognisable symbols of Georgia, next to Mount Qazbegi (Russian: Kazbek). [13]

The mountains of Khevsureti are not only associated with romance in the most general senses of the word, but also in a very particular form (*sts'orproba*), whose features at once hauntingly reflect and confound our own (and Georgian!) cultural expectations. [14]

საკუთარი სახელის ტრანსლიტერაცია: a traditional Khevsur girl, Mzekala.[15]

[13] Chapter 2 Love, Khevsur Style: The Romance of the Mountains and Mountaineer Romance in Georgian Ethnography Paul Manning (p. 1)

[14] Chapter 2 Love, Khevsur Style: The Romance of the Mountains and Mountaineer Romance in Georgian Ethnography Paul Manning (p. 3)

[15] Chapter 2 Love, Khevsur Style: The Romance of the Mountains and Mountaineer Romance in Georgian Ethnography Paul Manning (p. 9)

თარგმანის ერთეული და თარგმნითი ეკვივალენტობა

თარგმანი არ არის ორი ენის ნიშნებს შორის ეკვივალენტების ძიების პროცესი. **თარგმნის ძირითად მიზანს სათარგმნ ენაზე შეტყობინების აზრის გადაცემა წარმოადგენს.** ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვით 347 წელს წმ. იერონიმე უარყოფდა სიტყვა-სიტყვით თარგმანს, ამავე პრინციპის ერთგული იყო 1598 წ. ჰომეროსის მთარგმნელი ჯ. ჩეპმენიც, რომელიც, თავის მხრივ, ორიგინალის „სულის“ წვდომას ურჩევდა მთარგმნელებს.

კ. რაისი აღნიშნავდა: "ეკვივალენტობა თანასწორი ურთიერთობაა ორი ლინგვისტური სისტემის ნიშნებს შორის, ორ განსხვავებულ ლინგვისტურ კოლექტივში, სადაც თითოეულს საკუთარი სოციოკულტურული კონტექსტი აქვს. ამასთან, ეკვივალენტური თარგმანი არ გულისხმობს თითოეული სიტყვის შესატყვისობას. შესაძლოა, რომ თარგმანის მრავალი ვარიანტი იყოს ეკვივალენტური" (რაისი 2009, 146).

თარგმნის ერთეული მოცემულ ტექსტში არსებული ისეთი ერთეულია, რომელსაც თარგმნილ ტექსტში შეიძლება ეკვივალენტი მოეძებნოს. თარგმნის ერთეულად მიიჩნევა ენის უმცირესი ერთეული ორიგინალის ტექსტში, რომელსაც თარგმანის ენაში დაეძებნება ტოლფასი ლექსიკური ერთეული. აქედან გამომდინარე, თარგმნის ერთეული შეიძლება იყოს ენის ნებისმიერი დონის ერთეული. თანამედროვე ენათმეცნიერებაში განასახვავებენ ენობრივი ერთეულების შემდეგ იერარქიას (დ. ფანჯიკიძე, 1981:46):

1. **ფონემის დონე (წერითი თარგმანის დროს);**
2. **მორფემის დონე;**
3. **სიტყვის დონე;**
4. **სიტყვათშეთანხმების დონე;**
5. **წინადადების დონე;**
6. **ტექსტის დონე.**

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

თარგმნა ფონემის დონეზე

ფონემა, როგორც ცნობილია, არ წარმოადგენს დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე ერთეულს. ენაში ის ასრულებს მხოლოდ მნიშვნელობის განმასხვავებელ როლს.

მიუხედავად ამისა, მთარგმნელობით პრაქტიკაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც სათარგმნ ერთეულად გვევლინება ფონემა ან გრაფემა, ანუ, ორიგინალის ენის არტიკულაციის მიხედვით იცვლება თარგმანის ენაში მასთან ყველაზე ახლოს მდგომი ფონემით.

მაგალითად, სიტყვა heath [hi:θ]-ის წარმოთქმა ქართული ენის [ს] ბგერას უფრო შეესაბამება, ვიდრე [ჰის] [თ] ბგერას – [ჰით]; თარგმნის ასეთ ტიპს ეწოდება ტრანსკრიფცია. იმ შემთხვევაში, როდესაც თარგმნა ხდება გრაფემების დონეზე, მიემართავთ ტრანსლიტერაციას, ანუ უბრალოდ ვცვლით ინგლისური ენის გრაფემებს ქართულით. მაგალითად: Lincoln - ლინკოლნი, Newton - ნიუტონი, Graham - გრეჰემი. ამ სახელების ტრანსკრიფციისას [linkln] [nju:t(ə)n], [greɪəm] კი მივიღებდით „ლინქლნ", „ნიუთნ", „გრემს"-ს.

თარგმანი სიტყვის დონეზე

ყველაზე ხშირად სათარგმნ ერთეულად გვევლინება სიტყვა, მაგალითად:

He came home.

ის შინ მოვიდა.

Who told you this?

ვინ გითხრა შენ ეს?

ამ და მსგავს მაგალითებში შესაბამისობა წარმოიქმნება სიტყვათა დონეზე, ანუ სიტყვები გვევლინებიან სათარგმნ ერთეულად. როგორც წესი, წინადადებებში მხოლოდ სიტყვათა გარკვეული ნაწილი ითარგმნება სიტყვასიტყვით, მაშინ, როდესაც დანარჩენ სიტყვებს ასეთი შესაბამისობა არ გააჩნიათ და მათი თარგმნა ხდება სიტყვათა შეთანხმებების დონეზე. მხოლოდ მარტივი სტრუქტურის მქონე წინადადებები ითარგმნება სიტყვასიტყვით.

ქართული ენის გრამატიკულ სტრუქტურაში არ მოგვეპოვება ეკვივალენტები ისეთი ინგლისური სიტყვებისათვის, როგორიცაა: არტიკლი, ინფინიტივის გამომხატველი to ნაწილაკი, მომავალი დროს მაჩვენებელი will, დამხმარე ზმნები do, have და ა.შ. ამიტომ მათი გადმოცემა ხდება არა სიტყვებით, არამედ მორფემებით.

რთული სტრუქტურის მქონე წინადადებების თარგმნისას, სხვადასხვა სახის გრამატიკული და ლექსიკური ფაქტორები შეუძლებელს ხდის (ან მინიმუმამდე დაჰყავს) სიტყვათა დონეზე თარგმნის საშუალება.

მაგალითად:

The UNO's proposal is an endeavor to create an atmosphere, which will lead to further negotiations between Iraqi and Western countries.

გაეროს წინადადება მცდელობაა, რომ ერაყსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის შემდგომი მოლაპარაკებების ჩასატარებლად ატმოსფერო შეექმნას.

ბოლინერისა და სირსის (Bolinger and Sears, 1968: 43) განმარტებით, „სიტყვა არის ენის უმცირესი ერთეული, რომელსაც მისი მნიშვნელობით ვიყენებთ". სიტყვა საბაზო მნიშვნელობის მქონე ელემენტია. სიტყვასა და მის მნიშვნელობას შორის სიტყვა ***rebuild*** ორი ელემენტისაგან შედგება: -re და -build ანუ '***to build again***'. (ხელახლა აგება/აშენება). სიტყვა ***disbelieve*** -ს პარაფრაზია '***not to believe***'. მნიშვნელობის ელემენტები, შესაძლოა სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ორთოგრაფიის სიტყვებით გამოიხატოს. მაგ: ***tennis player*** ინგლისურში ორი სიტყვისაგან შედგება, ხოლო ქართულში ერთისაგან: ***ჩოგბურთელი, ისე როგორც*** თურქულად: ***tenisçi; face to face*** ქართულად ერთი სიტყვით გადმოიცემა: ***პირისპირ***, ინგლისური ***it is cheap*** იაპონურად გადმოიცემა ერთი სიტყვით: ***yasukattara***, ხოლო ზმნა ***ბეჭდვა*** ინგლ. ***type*** ესპანურ ენაზე სამი სიტყვით გადმოიცემა: ***pasar a maquina***. ამდენად, ორთოგრაფიულ სიტყვებსა და მნიშვნელობის ელემენტებს შორის სხვადასხვა ენებში უნიფორმული შესატყვისობა არ არსებობს.

მორფემები

მორფემა მნიშვნელობის უმცირესი ფორმალური ელემენტია ენაში. ამდენად, ენაში მნიშვნელოვანი განსხვავება მორფემებსა და სიტყვებს შორის არის ის, რომ სიტყვას, შესაძლოა, რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, ხოლო მორფემას მხოლოდ ერთი.


ინგლისურში სიტყვა *inconceivable* ერთი სიტყვით იწერება, მაგრამ შედგება სამი მორფემისაგან -*in* რაც ნიშნავს 'not', *conceive* ნიშნავს 'think' ან 'imagine', და *able* ნიშნავს 'able to be, fit to be'. ინგლისურად შესატყვისი პარაფრაზი იქნებოდა: *inconceivable* - 'cannot be conceived/imagined', მორფემებს აქვთ სამი გრამატიკული ფუნქცია, როგორიცაა რიცხვის გამოხატვა (*funds*), სქესის (*manageress*) და დროისა: (შდრ. *to consider*, he *considered*). სხვა მორფემები ცვლიან სიტყვის კლასს: მაგალითად ზმნიდან ზედსართავად (*likeable*), ან ამატებენ მნიშვნელობის სპეციფიკურ ელემენტს, მაგ.: უარყოფას (*unhappy*). ზოგიერთი სიტყვა შედგება ერთი მორფემისაგან: *need, fast*. მორფე-

მებს არ აქვთ აშკარად გამოხატული საზღვრები: სიტყვა შეიძლება იწარმოებოდეს ორი მორფემისაგან *ისეთი გრამატიკული კატეგორიის/ფუნქციის გამოსახატად, როგორიცაა რიცხვი: girls: girl + s*, მაგრამ იგივე არ ხდება სიტყვა *men*-ის შემთხვევაში, სიტყვა 'man' და მრავლობითი ფორმა შერწყმულია.

შესაძლოა, ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ენაში მეორდებოდეს, ანუ მორფემულ-ფონემური შემადგენლობაც კი ერთნაირი ჰქონდეს, რაც ადასტურებს, რომ სიტყვა ოდესლაც ერთი ენიდან მეორეში ნასესხობას წარმოადგენდა, ხოლო დროთა განმავლობაში მსესხები ენის თეზაურუსში დამკვიდრდა, თუმცა, შესაძლოა, სრულიად სხვა მნიშვნელობით, მაგალითად, განვიხილოთ ტექსტი:

"There is however, a residue of 37 languages which were not imported into the area in historical times and which are believed to have been spoken in the Caucasus for at least 4000 years. These "indigenous" or "autoctonous" languages comprise the group generally called Caucasic or Caucasian in Western European publications, and most commonly "Ibero-Caucasian". Catford thereby mentions, that in modern Russian sources "the prefix - *Ibero* in the Russian term has absolutely no reference to the Iberian peninsula at the opposite end of Europe: it refers strictly to Caucasus Iberia, an ancient transcaucasian state in part of what is now Georgia". Holmer, as many other scholars, draws parallels between Caucasian Iberian, or Georgian and Basque, however, Russian term suggests no such implications" (Catfiord, 3).

სიტყვა, მნიშვნელობა და თარგმანი



ა. კრუსის[16] მიხედვით, სიტყვას და წარმონათქვამს (წერით ან ზეპირსიტყვიერ ტექსტს) აქვს 4 ტიპის მნიშვნელობა:

1. პროპოზიციული (propositional meaning)
2. ექსპრესიული (expressive meaning)
3. პრესუპოზიციური (presupposed meaning)
4. ევოკაციური (evoked meaning)

პირველი, ანუ პროპოზიციული მნიშვნელობა ისეთი ტიპის მნიშვნელობაა, რომლის საფუძველზეც ვასკვნით, წარმონათქვამი მცდარია თუ ჭეშმარიტი. მაგ.: - ***a table,*** [1]:1. ***a piece of furniture that consists of a flat surface held above the floor, usually by legs.*** თარგმანი სწორედ მაშინ ითვლება მცდარად, როდესაც პროპოზიციული მნიშვნელობა არასწორად არის გაგებული.

პროპოზიციული სინონიმია გულისხმობს პერიფრაზირების შედეგად მიღებულ, ერთნაირი შინაარსის მქონე წინადადებებს, რომლებშიც პროპოზიციული შინაარსი იგივეა:

- Mary fed the cat.
- The cat was fed by Mary.
- It was the cat that Mary fed. (Cann et al., 2009, 9)

ექსპრესიული მნიშვნელობა უკავშირდება მოსაუბრის / მწერლის გრძნობებსა და ემოციებს, ასევე, ადრესატისადმი დამოკიდებულებას, განწყობას თემისადმი და ა. შ. ანუ, იგი განწყობის /დამოკიდებულების შესაბამისად ირჩევს სიტყვებს: მაგ.: - ***Quiet, please! vs. Shut your mouth!*** ამ წინადადებებს შორის განსხვავება გახლავთ არა პროპოზიციული, ექსპრესიული მნიშვნელობა. *მაგ.: **unkind** და **cruel*** - ორივე ექსპრესიული ლექსიკური ერთეულია, თუმცა cruel გაცილებით უარყოფითი თანამნიშვნელობა (კონოტაცია) აქვს და მეტი სიმძაფრით გადმოსცემს უარყოფით დამოკიდებულებას.

ზოგიერთი პოლიტიკურ-იდეოლოგიური მარკირების მქონე ტერმინი დესკრიფციული ვოკატივებია. მათ მიმართავენ მეტყველების იმგვარი სიტუაციური ვარიანტულობისას, როდესაც ვისიმე მრწამსის ხაზგასმა სურთ, მაგ:.

Red - კომუნისტი

Green – ეკოლოგიის დამცველი

Middle-of the –reader –არარადიკალი ინდივიდი

---

[16] Alan Cruse, Meaning in Language, An Introduction to Semantics and Pragmatics, 2010

Libber – ქალთა თავისუფლებისათვის მებრძოლი

Pro-lifer – აბორტის მოწინააღმდეგე

Abolitionist – მონათა გათავისუფლების მომხრე

როგორც ვიცით, ემოციურად შეფერილ ლექსიკურ ერთეულებს არა მარტო მნიშვნელობა, არამედ თანამნიშვნელობაც აქვთ. სიტყვის თანამნიშვნელობის ემოციური დახასიათება, შესაძლოა, დადებითი ან უარყოფითი იყოს. როგორც თარგმანის თეორეტიკოსი კომისაროვი აღნიშნავს, ლექსიკური ერთეულის ემოციური კომპონენტი, თანამნიშვნელობა, ანუ კონოტაცია, განაპირობებს მის საგნობრივ - ლოგიკურ მნიშვნელობას. კომისაროვს აქვე სანიმუშოდ მოჰყავს წყვილები:

I ჯგუფი - ნეიტრალური II ჯგუფი – ემოციურად მარკირებულია:

Dog doggie

Womanly womanish

To attack to accost

Smell flagrance

გარდა ამისა, ცნობილია, რომ სიტყვის ორიგინალურმა მნიშვნელობამ, შესაძლოა, ცვლილება განიცადოს. დისკურსის პრაგმატიკის ანალიტიკოსმა, ჰერბერტ გრაისმა, 1957-69 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში პირველად წამოაყენა თეორია სიტყვის ორიგინალური მნიშვნელობის ცვალებადობის შესახებ, იმის მიხედვით, თუ რა ნაგულისხმევობაა მასში ჩადებული წარმომთქმელის მიერ: What a particular speaker or writer means by a sign or a particular occasion...may well diverge from the standard meaning of the sign (1957).

ჰრესუპპოზიციური მნიშვნელობა

ეს მნიშვნელობა წარმოიშობა იმ შეზღუდვის გამო, რაც სიტყვათა ურთიერთწყობას ახასიათებს. მაგ.: მოველით, რომ ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის წინ, ან მის შემდეგ უნდა იხმარებოდეს უშუალოდ რომელიმე სიტყვა და არა სხვა. ასეთი ორი ტიპის შეზღუდვა არსებობს:

1. სელექციური შეზღუდვა: ზედსართავ სახელს *studious უნდა მოჰყვებოდეს სულიერი არსებითი სახელი,* ხოლო ზედსართავ სახელს *geometrical უნდა მოჰყვებოდეს უსულო არსებითი სახელი.*

ამგვარი შეზღუდვის დარღვევა მხოლოდ ფიგურულ გამონათქვამებშია მიზანშეწონილი.

2. კოლოკაციური შეზღუდვა: ესაა სემანტიკის თვალსაზრისით, სუბიექტური შეზღუდვა, რაც სიტყვის პროპოზიციული მნიშვნელობის ლოგიკას არ მიჰყვება. მარტივად რომ ვთქვათ, სიტყვების ურთიერთწყობა ყველა ენაში სხვადასხვაგვარია. მაგ.: ინგლისურში კანონზე ვამბობთ: laws are *broken*, მაგრამ ქართულში კანონი „ირღვევა"; არაბულში სიტყვათა ურთიერთწყობას ზმნას 'contradicted' მოითხოვს.

რა არის კოლოკაციური შეზღუდვა?

- Adverb + Adjective: completely satisfied (NOT ~~downright~~ satisfied)
- Adjective + Noun: excruciating pain (NOT excruciating ~~joy~~)
- Noun + Noun: a surge of anger (NOT a ~~rush~~ of anger)
- Noun + Verb: lions roar (NOT lions ~~shout~~)
- Verb + Noun: commit suicide (NOT ~~undertake~~ suicide)
- Verb + Expression With Preposition: burst into tears (NOT ~~blow up in~~ tears)
- Verb + Adverb: wave frantically (NOT wave ~~feverishly~~

ქვემოთ, მამაკაცის პიჯაკების სარეკლამო გერმანული ბუკლეტის ინგლისური თარგმანი იმიტომ მოგვყავს, რომ მასში დაშვებული შეცდომები სელექციური, ან კოლოკაციური შეზღუდვის დარღვევებს წარმოადგენს:

Dear Sir,

I am very pleased that you have selected one of our garments. You have made a wise choice, as suits, jackets and trousers **eminating from our** Company are amongst the finest products Europe has to offer.

ინგლისურში ზმნა emanate შეიძლება აღნიშნოს: ა) თუ საიდან მომდინარეობს ესა თუ ის აზრი: These ideas emanate from the 18th century literature; ბ) სურნელის დატრიალება, არომატის ფრქვევა:

Your kitchen emanates amazing smell of coffee!

The lady emanated aroma of expensive perfume.

გ) გრძნობების „გამოსხივება": She emanates happiness;

დ) გიზგიზი, სითბოს, ან სიცხის გამოცემა/გამოშვება: Nothing compares to the comforting warmth that emanates from the fireplace.

გერმანულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნისას შეცდომა დაუშვეს სიტყვის მართლწერაში: eminate; გარდა ამისა, ზემოთ მოყვანილი განმარტებაც ცხადყოფს, რომ ამ ლექ-

სიკური ერთეულის სემანტიკური ველი ვერ იტევს ისეთ ცნებას, როგორიცაა ფაბრიკაში ტანსაცმლის დამზადება და გამოშვება.

ევოკაციური (ენის ვარიაციით გამოწვეული) მნიშვნელობა (evoked meaning) წარმოქმნება დიალექტისა და რეგისტრის ვარიაციით. როგორც ცნობილია, დიალექტზე საუბრობს გარკვეული ჯგუფი, ან საზოგადოება და მისი კლასიფიცირება შესაძლებელია შემდეგნაირად:

1. გეოგრაფიული: მაგ.: Scottish dialect, or American as opposed to British English: cf. the difference between *lift* and *elevator*);

2. ტემპორალური, ანუ დროებითი, ის სიტყვებია, რომელსაც სხვადასხვა ასაკის ჯგუფები სხვადასხვა დროს იყენებენ ან იყენებდნენ. მაგ.: *verily* and *really*;

3. სოციალურად განპირობებული სიტყვები, ან სტრუქტურები, რომლებსაც სხვადასხვა სოციალური კლასის წარმომადგენლები მიმართავენ. cf. *scent* and *perfume, napkin* and *serviette*.

თარგმანის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი ლედერერი მიუთითებს, რომ „როდესაც პროფესიონალი მთარგმნელი კითხულობს ტექსტს, ის არ ცდილობს თითოეული სიტყვის მნიშვნელობის გაგებას. სიტყვების ერთობლიობა ქმნის აზრის ერთეულს, რომელიც თარგმნის ერთეულს წარმოადგენს. ზოგადად, თარგმნის აქტი ტექსტის გაგებასა და ამ ტექსტის მეორე ენაზე გადატანაში მდგომარეობს. ტექსტის გაგება კი საჭიროებს ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნის მობილიზებას“ (ლედერერი 1994, 27).

3. ნიუმარკის მთარგმნელობითი სტრატეგიები

თარგმანმცოდნეობის ზოგიერთი ტერმინის განმარტება

ცნობილია, რომ თარგმანმცოდნეობის ტერმინოლოგია დარგის ერთ-ერთი სუსტად განვითარებული და არაერთი ამბივალენტობის გამომწვევი სფეროა. ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალეთ, ზოგიერთი ტერმინი განგვემარტა:

ნიუმარკის მიხედვით, „თარგმანის მეთოდები" ტერმინია, რომელიც განსაზღვრავს თუ რა მეთოდით ითარგმნა ესა თუ ის ტექსტი; ხოლო ტერმინი „მთარგმნელობითი პროცედურები" გამოიყენება წინადადებებისა და ენის მცირე ერთეულებისთვის. „მთარგმნელობითი პროცედურები" და „მეთოდები" არ უნდა ავურიოთ ტერმინ „თარგმნის სტრატეგიებთან", რადგან სტრატეგია აღნიშნავს იმ პროცედურებს, რასაც მთარგმნელი მიმართავს მთარგმნელობითი პრობლემის გადასაჭრელად, მაგ.: მთარგმნელი იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელია ძირითადი ან უმნიშვნელო იდეა, რათა, ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, ინფორმაციის ფორმულაცია მოახდინოს სამიზნე ენაზე. მთარგმნელობითი პროცედურა მთარგმნელობითი ტექნიკის სინონიმურ ცნებად გამოიყენება.

ნებისმიერ ენათა წყვილის თარგმნის პროცესში გამოიყენება ლექსიკური ტრანსფორმაციების ტიპები, რომლებსაც რუსი თარგმანმცოდნეები (Халебская)[17] უწოდებენ *ბერბებს*, - რუს. *приемы*, ხოლო დასავლეთევროპელი და ამერიკელი თარგმანმცოდნეები პროცედურებსა (ნიუმარკი) და სტრატეგიებს (ბეიკერი).

ნიუმარკის მიხედვით, თარგმნის დროს, ენათშორისი გარდასახვის, ანუ ტრანსფორმაციის პროცედურებია:

1. ტრანსფერენცია
2. ნატურალიზაცია
3. კულტურული ეკვივალენტი
4. ფუნქციური ეკვივალენტი
5. აღწერილობითი ეკვივალენტი/ ცირკუმლოკუცია
6. სინონიმია
7. კალკირება (Through translation)

---

[17] ხალებსკაიას მიხედვით, ეს ხერხებია:
ტრანსკრიპცია, ტრანსლიტერაცია
კალკირება (კონკრეტიზაცია, გენერალიზაცია, მოდულაცია)
ლექსიკოგრამატიკული ტრანსფორმაციების ძირითადი ტიპები მოიცავს:
ანტონიმურ თარგმანს, ექსპლიკაციას, კომპენსაციას

8. ტრანსპოზიცია (Shifts)

9. მოდულაცია

10. კომპენსაცია

11. შეკვეცა და გავრცობა

12. პერიფრაზი, ადაპტაცია.

ტრანსფერენცია, ანუ ნასესხობა არის მთარგმნელობითი პროცედურა, ამავე ტერმინს მიმართავდა თარგმანის თეორეტიკოსი კეტფორდიც; ტერმინი აღნიშნავს ტრანსლიტერაციას, ანუ, ანბანთა კონვერსიას, მაგ. რუსული, ბერძნული, არაბული, ჩინური, ან ინგლისური ანბანის ქართული ანბანის ასოებით გადმოცემა.

ტრანსფერენციით, როგორც მთარგმნელობითი პროცედურით, გადმოიცემა საკუთარი სახელები, გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული დასახელებები, ანუ ანთროპონიმები და ტოპონიმები, მაგ.: Zaire - ზაირი, Malawi - მალავი (თუ ეს სახელები და დასახელებები უკვე თარგმნილი და დამკვიდრებულია ენაში, ამ შემთხვევაში მივმართავთ არსებულ ფორმებს), პერიოდული გამოცემებისა და გაზეთების დასახელებები, უთარგმნელი ლიტერატურული ნაწარმოებების, პიესებისა და ფილმების, კერძო კომპანიების, საჯარო ან ეროვნული დაწესებულებების დასახლებები, ქუჩებისა და მისამართების დასახლებები: Charlemagne Building, Silken Berlaymont Hotel, Rue de la Loi, მეტროს სადგური "Schuman", მატარებლის სადგური: "Bruxelles-Schuman" ტრანსფერენციას საჭიროებს. ტრანსფერენციის შედეგად ვიღებთ ე. წ. „ნასესხობას"; ნასესხობები ნებისმიერ ენაში არსებობს და ხშირად ენიდან ენაში თარგმნის გზით გადადის და მკვიდრდება, მაგ. ფრანგული და რუსული ნასესხობები ინგლისურში, რომლებიც ნიუმარკს მოჰყავს სანიმუშოდ, ქართულ ენაშიც coup d'etat, demarche; samovar, dacha. ნოველებსა და ესეებში, თუ ეს დასახელებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არ არის, კულტურულად ნეიტრალური ფუნქციური ეკვივალენტი უნდა დაემატოს. რეკლამებში ფუნქციურ ეკვივალენტებს ხშირად მიმართავენ, რადგან ეს სარეკლამო პროდუქციას ადგილობრივ კოლორიტს სძენს. ხანდახან, ფუნქციური ეკვივალენტი ევოკაციური მაგ.: ლექსიკური ერთეული "delicatessen", რომელიც გერმანული ენიდან ნასესხობას წარმოადგენს, ამერიკულ სარეკლამო განცხადებებში შეგხვდებათ, როგორც „delis".

ნატურალიზაცია, როგორც მთარგმნელობითი პროცედურა, ტრანსფერენციის მომდევნოდ სრულდება; თავდაპირველად, წყარო ენის სიტყვის დამკვიდრებული წარმოთქმის ადაპტაცია ხდება, შემდეგ კი მიმღებ ენაზე მისი დამკვიდრებული მორფოლოგიის (სიტყვა-ფორმის), მაგ.: ტეტჩერიზმი, ადმინისტრაციული, კონტრაქტი, ფისკალური,

პატენტი, გლობალიზაცია, იუმორი და ა. შ. შესაძლოა, ინგლისური სიტყვა „executive“ ასევე ნატურალიზაციის პროცედურით გადმოეტანათ, თუმცა იგი ქართული ეკვივალენტით „აღამსრულებელი“ დამკვიდრდა ენაში; ნატურალიზაციის პროცედურას ძირითადად ექვემდებარებიან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში არსებული კონცეპტები და -ism ბოლოსართიანი ტერმინები.

კულტურული ეკვივალენტი - უცხოენოვანი კულტურის ზოგიერთი სიტყვა შესაძლოა მიმღები კულტურის ეკვივალენტური კონცეპტით ჩანაცვლდეს, მაგ.: charcuterie - 'delicatessen' (თანამ. ამერიკულით: 'deli'); tea break - შეიძლება „ყავის შესვენებით“ გადაითარგმნოს ისეთი საზოგადოებისათვის, სადაც შესვენებაზე ყავის მირთმევა უფრო ტრადიციულია, ვიდრე ჩაის. ასევეა „lunch“ -ის თარგმანიც ქართულად „ხემსით“. კულტურული ეკვივალენტები გამოიყენება ზოგადი შინაარსის ტექსტებში, პროპაგანდასა და პუბლიკაციებში. ფუნქციური კულტურული ეკვივალენტები ნაკლებად გამოიყენება თარგმნისას, თუმცა დასაშვებია, თუ ტერმინი ნაკლებმნიშვნელოვანია, ან პოპ-კულტურის პროდუქციაში გვხვდება, საგაზეთო სტატიაში ან ბულვარულ რომანში. ლონდონში არსებობს საზოგადოებრივი თავშეყრისა და დროსტარების ადგილი: *pub* რომელიც ამ კულტურის განუყოფელია ნაწილია, თუმცა pub შეიძლება „კაფე“-დ იყოს გადმოტანილი, იგი მკითხველი საზოგადოებისათვის გასაგები ცნება და pub-ის კულტურული ეკვივალენტია.

ფუნქციური ეკვივალენტი არის პროცედურა, რომლის დროსაც საწყისი ტექსტის სიტყვის ნეიტრალიზაცია ან გენერალიზაცია ხდება. მაგ.: Sejm შეიძლება ინგლისურად ითარგმნოს როგორც 'Polish parliament'; ქნესეთი, შეიძლება ქართულად ტრანსფერენციით, ან ფუნქციური ეკვივალენტით გადმოვიტანოთ: „ისრაელის პარლამენტი“, ისევე როგორც „შეკლისი“, „დუმა“ და ა. შ. ნიუმარკი ფუნქციური ეკვივალენტის გადმოტანას უწოდებს კულტურული სიტყვის დეკულტურიზაციას.

აღწერილობითი ეკვივალენტი - თარგმანში უეკვივალენტო ლექსიკის გადმოტანა მისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, როგორიცაა: ზომა, ფორმა, წონა, იერსახე, ფერი, წარმომავლობა და ა. შ. მაგ.: ლექსიკური ერთეული machete-ს აღწერილობითი ეკვივალენტი არის: „ლათინო-ამერიკული ფართო, მძიმე ინსტრუმენტი“. აღწერილობითი ეკვივალენტი არ მოიცავს ფუნქციურ ეკვივალენტს, მაგ. machete-ს ფუნქცია არის „დაჭრა, აგრესია“. ამდენად, თარგმნისას აღწერილობითი ეკვივალენტი საკმარისი არ არის მნიშვნელობის დიაპაზონის დასაფარად, საჭიროა ფუნქციური ეკვივალენტის თანდართვაც. „სამურაი“-ს აღწერილობითი ეკვივალენტი არის „იაპონელი არისტოკრატია

მეთერთმეტედან მეცხრამეტე საუკუნის ჩათვლით". მისი ფუნქციაა ოფიცრებისა და ადმინისტრატორების რიგების შევსება. თარგმანისათვის თანაბრად საჭიროა როგორც აღწერილობითი, ისე ფუნქციური ეკვივალენტები.

სინონიმია: „წყარო ენის სიტყვის კონტექსტური მნიშვნელობის გადმოცემა თარგმანის ტექსტში უახლოესი ეკვივალენტით საშუალებით" - ასე განსაზღვრავს ნიუმარკი სიტყვა „სინონიმის" მნიშვნელობას. სინონიმი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ზუსტი ეკვივალენტი არ არსებობს, ხოლო თავად ეს სიტყვა ტექსტში მნიშვნელოვანი არ არის, მაგ.: ზედსართავი, ან ხარისხის ზმნიზედა. ლექსიკური ერთეულის ჩანაცვლება სინონიმით მისაღები ხერხია, თუ სიტყვასიტყვითი თარგმანი შეუძლებელია. მთარგმნელს კომპრომისზე წასვლა რათა ტექსტის უფრო მნიშვნელოვანი სეგმენტები გადმოსცეს. ამავე დროს, ნიუმარკი მიიჩნევს, რომ სინონიმიით ზედმეტად გატაცება სუსტი თარგმანის ნიშანია.

კალკირება / ნასესხობა - კოლოკაციების, საერთაშორისო ორგანიზაციების დასახელებების, მაგ.: EU, European Cultural Convention, UNESCO, FIT (International Federation of Translators). კომპოზიტების (მაგ.: სუპერმენი, სპაიდერმენი) სიტყვასიტყვითი თარგმანია. როგორც ნიუმარკი აღნიშნავს, კალკირება ხშირია თარგმნილ ტურისტულ ბროშურებში, ინსტრუქციებში და ა. შ. ასეთ თარგმანს ნიუმარკი translationese -ს, ანუ ცუდ თარგმანს უწოდებს.

ტრანსპოზიცია (Shifts) მთარგმნელობითი პროცედურაა, რომელიც თარგმნილ ტექსტში განხორციელებულ გრამატიკულ ცვლილებებს აღნიშნავს. მაგ.: მრავლობითის მხოლობითი რიცხვით ჩანაცვლება, ან პირიქით, უეკვივალენტო გრამატიკული კონსტრუქციების სინონიმური სინტაქსური კონსტრუქციებით ჩანაცვლება, მაგ.: Our foreign trade has improved steadily = 'Our foreign trade has shown continuous improvement', He will come back soon', 'He'll be back (return) in a moment (shortly)'; 'The situation is still critical', The situation remains critical'.

ვინეს და დერბელნეს მიხედვით, ტრანსპოზიციის მთარგმნელობითი პროცედურა მოიცავს შემდეგ გრამატიკულ ცვლილებებს:

(1) SL verb, TL noun

(2) SL conjunction, TL indefinite adjective

(3) SL clause, TL noun group

(4) SL verb group, TL verb

(5) SL noun group, TL noun

(6) SL complex sentence, TL simple sentence

ტერმინი მოდულაცია ვინესა და დერბელნეს ეკუთვნით. ტერმინი აღნიშნავს მსოფლმხედველობის, პერსპექტივის, აზრის კატეგორიის ვარიაციას ენიდან ენაში. ნიუ-მარკმა შეაჯამა ვინესა და დერბელნეს მიერ კლასიფიცირებული მოდულაციის ტიპები:

მოდულაციის პროცედურებია:

1. უარყოფითი დადებითის ნაცვლად, ან დადებითი უარყოფითის ნაცვლად: This knife will stay sharp for life. ეს დანა არასდროს დაბლაგვდება / ამ ბასრ დანას დრო ვერაფერს დააკლებს; Daylight was fading. საღამოვდებოდა. We barely caught the train. მატარებელს ძლივს მივუსწარით/ კინაღამ დავაგვიანეთ. ვიმედოვნებ, ბავშვები კარგად იქცეოდნენ. I hope the kids did not misbehave.
2. ნაწილი მთელის ნაცვლად, ან ნაწილის სხვა ნაწილით თარგმნა: რომელიც შეიცავს ცნობილ ალტერნატივებს: ვესტმინსტერის სასახლე - დიდი ბრიტანეთის პარლამენტი, ბურბონთა სასახლე - საფრანგეთის პარლამენტი, თეთრი სახლი / ვაშინგტონი - აშშ-ს მთავრობა, ოფიციალური თბილისი - საქართველოს მთავრობა და ა. შ. ან: He ought to be horse-whipped - გასაწკეპლია - დედნის ტექსტში საუბარია ცხენის წკეპლაზე, ქართული სამეტყველო დისკურსისთვის ფრიად მოუქნელი და არაბუნებრივი იქნებოდა სიტყვასიტყვითი თარგმანი „ცხენის წკეპლით არის საცემი“. He cleared his throat / he cleared his voice - ჩაახველა; თხემით ტერფამდე - head over heels. From cover to cover' - თავიდან ბოლომდე; Do you take credit-cards? საკრედიტო ბარათით გადახდა შესაძლებელია? First, there was the Latin who came to my door ჯერ იყო და, კარი აერია და ლათინოამერიკელი მომადგა.

3. აბსტრაქტული, ან ზოგადი კონკრეტულის ნაცვლად, ან პირიქით:

'sleep in the open' - dormir a la belle etoile, რაც ფრანგულიდან უკუთარგმანში ნიშნავს „ლამაზი ვარსკვლავის ქვეშ ძილს“, ქართულ ენაში კი მისი ეკვივალენტია „სუფთა ჰაერზე ძილი“. give a pint of blood / give a little blood - გაიღე სისხლი; A fresh face a fresh start - ახალი ადამიანი ახლის დასაბამია.

4. მიზეზი შედეგის ნაცვლად, ანუ ახსნა-განმარტებით თარგმანი:

'You're quite a stranger' - სულ გაუცხოვდი / ვეღარ გხედავთ ისე ხშირად, სულ დაგვეკარგე. შენისთანა ბაღანა სულ არ გაჩენილა დუნიაზე - you're a boy in a thousand, Are you starkers? - აფრენთ? A virus that has run amok - ვირუსი, რომელსაც ვერ გაუმკლავდნენ.

5. ტერმინების შებრუნებული წყობა:

'assurance-maladie' - 'health insurance' - რუსულ ენაში ეს სიტყვათწყობა ფრანგულის მსგავსად საზღვრულ-მსაზღვრელის თანწყობაა, страхование здоровья, ქართულში კი ინგლისურის მსგავსად ჯანმრთელობის დაზღვევა; water-tower-ს ფრანგულად შებრუნებული წყობა აქვს: chateau d'vau, ქართულად კი არა: წყლის კოშკი. Serving with excellence - თავის ბრწყინვალედ გართმევა სამსახურისთვის. A new brand of politics პოლიტიკის ახალი ნაირსახეობა.

6. აქტიური გვარის გამოყენება პასიურის ნაცვლად: აქტიური გვარი პასიურის ნაცვლად გავრცელებული ტრანსპოზიციაა;

You are wanted - გეძებენ; We were expected by 8 pm. ჩვენ 8-ზე გველოდებოდნენ.

7. დროის ინტერვალებისა და სივრცითი შეზღუდვების განსხვავებული ხედვა: watch out! ფრთხილად! Singe file! ერთ მწკრივად! At ease! თავისუფლად! Fall out დააშალეთ! Eyes right! სწორება მარჯვნივ! Mark time - ადგილზე, ერთი, ორი! No access! შესვლა აკრძალულია! No dog walking! ტერიტორიაზე ძაღლების შეყვანა აკრძალულია! Do not walk or stand here! ტერიტორიაზე შესვლა და დგომა აკრძალულია!

8. სიმბოლოების შეცვლა: Seasoned Leader - გამოცდილი ლიდერი; A storm in a teapot - ბუზიდან სპილოს ქცევა. To scare a hell out of someone - გული გაუხეთქო, ანგელოზები დაუფრთხო. We'll smoke the pipe tomorrow, okay? ხვალ ჩამოვსხდეთ, კარგი? Indian summer - ბებრის ყვავილობა.

მ. ბეიკერის მთარგმნელობითი სტრატეგიები

თარგმანის თეორეტიკოსმა მ. ბეიკერმა მთარგმნელობითი სტრატეგიები შემდეგ კატეგორიებად დაჰყო:

1. თარგმანი სუპერორდინატით;
2. თარგმანი ნაკლები ექსპრესიის მქონე, ნეიტრალური სიტყვით;
3. თარგმანი კულტურული სუბსტიტუტით;
4. თარგმნა ნასესხობით, ან ნასესხობითა და განმარტებით;
5. თარგმანი პარაფრაზით;
6. თარგმნა გამოტოვების სტრატეგიით;

I თარგმანი სუპერორდინატით:

მაგალითი:

The rich and creamy KOLESTRAL-SUPER is easy to apply and has a pleasant fragrance.

ესპანური: Lavar el cabello con un champú suave de WELLA y frotar ligeramente con una toalla.

უკუთარგმანი ესპანურიდან: Wash hair with a mild WELLA shampoo and rub lightly with a towel.

როგორც ცნობილია, შამპუნ KOLESTRAL-SUPER-ის მწარმოებელი კომპანია არის WELLA, ამდენად, ის არის სუპერორდინატი, ხოლო KOLESTRAL-SUPER-ი არის ჰიპონიმი.

ქვემოთ მოგვყავს ნიმუში მხატვრული თარგმანიდან, სადაც მთარგმნელი, დეროგაციული მარკერის ნაცვლად, სუპერორდინატს მიმართავს თარგმანში: "My mother was too borne to say more than, Bertie, don't be such a donkey" (ჩ. სნოუ, „ჟამი იმედისა", გვ. 66).

„დედამ კი, რომელსაც ზრდილობა ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, მხოლოდ ეს უთხრა: „ნუ ხარ ასეთი პირუტყვი, ბერტი" (გვ. 67).

II თარგმანი ნაკლები ექსპრესიის მქონე, ნეიტრალური სიტყვით: განაკვეთში სიტყვა, მნიშვნელობა და თარგმანი აღვნიშნეთ, რომ ექსპრესიული მნიშვნელობა უკავშირდება მოსაუბრის / მწერლის გრძნობებსა და ემოციებს, ასევე, ადრესატისადმი დამოკიდებულებას, განწყობას თემისადმი და ა. შ. ანუ, იგი განწყობის /დამოკიდებულების შესაბამისად ირჩევს სიტყვებს, ადამიანთა შორის დადებითი დამოკიდებულება ხარისხობრივად

განსხვავდება, მაგ.: მიმართვის ფორმა Old, როგორც ალერსობითი მარკერი, კონტექსტური ინდიკატორების საშუალებით ხარისხობრივად განსხვავებულ კონოტაციებს იძენს. რასაკვირველია, მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულების ზოგადი ფონიც, მაგ.: ჰოლდენ კოლფილდი ახლადგაცნობილი ტაქსის მძღოლსადმი დადებითად განეწყო, მაგრამ მძღოლის მოხსენიებისას - Old Horwitz - გამოყენებული Old ემოციურად ტოლფასი ვერ იქნება იგივე მარკერისა, როცა ის ჰოლდენის დას, ფიბის მიემართება:

Old Horwitz turned all the way round and looked at me. He was a very impatient-type guy. He wasn't a bad guy, though.

(J. Salinger, The Catcher in the Rye, p. 87).

ქართულად, უეკვივალენტობის გამო, მიმართვის ფორმა Old საერთოდ უთარგმნელია, შესაბამისად მიმართვაში კოდირებული ემოციური მუხტიც განეიტრალებულია:

„ჰორვიცი შემობრუნდა და სახეში ჩამაშტერდა. ეტყობა, ძალიან ნერვიული კაცი იყო, თუმცა, ისე არა უშავდა რა".

(ჯ. სელინჯერი, „თამაში ჭვავის ყანაში," გვ. 83).

I thought of giving old Jane a buzz, to see if she was home yet and all but I wasn;t in the mood.

(J. Salinger, The Catcher in the Rye, ch.15 .p. 118).

„ჯეინთან დარეკვა დავაპირე, გავიგებდი შინ იყო თუ არა, მაგრამ გუნებაზე არ ვიყავი".

(ჯ. სელინჯერი, „თამაში ჭვავის ყანაში," გვ.104).

What I did do, I give old Sally Hayes a buzz.

(J. Salinger, The Catcher in the Rye, ch. 15 p. 118).

„ისევ სალის დავურეკე"

(ჯ. სელინჯერი, „თამაში ჭვავის ყანაში," გვ.104 – 15).

მომდევნო მაგალითებში ემოციურად მარკირებული მიმართვის ფორმა ასევე ექსპრესიულად არის გადმოტანილი:

You should've seen old Phoebe.

(J. Salinger, The Catcher in the Rye, ch. 21 p.168)

„უნდა გენახათ ჩემი ფიბი"

(ჯ. სელინჯერი, „თამაში ჭვავის ყანაში," გვ.159 –21).

'Here', old Phoebe said. She was trying to give me the dough, but she couldn't find my hand.

(J. Salinger, The Catcher in the Rye, p. 182).

„გამომართვი, - მითხრა ჩემმა ფიბიმ, უნდოდა მოეცა, მაგრამ ვერ მომაგნო".

(ჯ. სელინჯერი, „თამაში ჭვავის ყანაში," გვ.174)

სლენგის, როგორც უეკვივალენტო ლექსიკის თარგმანი მოითხოვს მისი ფუნქციური ეკვივალენტით გადმოტანას. თ. ქეფოთის რომანში „საუზმე ტიფანებთან" ვხვდებით სლენგს: horse doctor, რომელიც ამერიკული სლენგის horse man ერთ-ერთი ვარიანტია და აღნიშნავს სპეციალობით ვეტექიმს.

'I'm her husband. Doc Golightly. I'm a horse doctor, animal man. Do some farming'.

(T. Capote, Breakfast at Tiffany's, p. 159).

ქართულ თარგმანში ის ასე გადმოვეცით:

„მე მისი ქმარი ვარ, ექიმი გოლაითლი, ვეტექიმი, ფერმერობასაც ვეწევი".

მთარგმნელობითი მაგალითების განხილვისას აღსანიშნავია, რომ მთარგმნელები ექსპრესიული მახვილის გადანაცვლებას მიმართავენ მიმართვის ფორმების ტრანსპოზიციისას; საკუთარი სახელი+ტიტული ნაცვლებ ოფიციალური ექსპრესიისაა, ვიდრე მხოლოდ ტიტული. შესაბამისად, მხოლოდ ტიტულით მიმართვა მეტი ექსპრესიით გადმოსცემს ციე ტონალობას, მაგალითისათვის განვიხილოთ ნ. დუმბაძის რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" და მისი ინგლისური თარგმანი:

- „ზდრავსტვუიწე, ზაბლონა მასწავლებელო!"– ვეტყოდი მისვლისთანავე.
- „ზდრავსტვუი, ჩტო მის სეგოდნია ბუდემ დელატ?" - მკითხავდა ზაბლონა მასწავლებელი" (გვ. 24).

'Good morning, teacher', I would announce my arrival to the teacher Zablona.

'Good morning. What are we going to do today?' She inquired. (გვ. 22).

III თარგმანი კულტურული სუბსტიტუტით:

ეს სტრატეგია ნიშნავს კულტურული სპეციფიკის მქონე სიტყვის ან გამოთქმის ჩანაცვლებას სამიზნე ენის კულტურისათვის მისაღები სიტყვით. ამ შემთხვევაში, წყარო და სამიზნე ენების სიტყვებს ერთი და იგივე პროპოზიციული მნიშვნელობა არ ექნებათ. ამგვარი ჩანაცვლების მიზანია სამიზნე ტექსტის მკითხველზე იგივე შთაბეჭდილების მოხდენა, რასაც წყარო ენის მკითხველზე ახდენს ორიგინალი. ამ მეთოდის გამოყენება

დამოკიდებულია ა) მთარგმნელისათვის თარგმანის შემკვეთის მიერ მინიჭებულ უფლებასა და ბ) თარგმანის მიზანზე.

მაგალითი:

წყარო ტექსტი:

A Brief History of Time – Hawking, 1988:

A well-known scientist (some say it was Bertrand Russell) once gave a public lecture on astronomy. He described how the earth orbits around the sun and how the sun, in turn, orbits around the center of a vast collection of stars called our galaxy. At the end of the lecture, a little old lady at the back of the room got up and said: 'What you have told us is rubbish. The world is really a flat plate supported on the back of a giant tortoise.' The scientist gave a superior smile before replying, 'What is the tortoise standing on?' 'You're very clever, young man, very clever,' said the old lady. 'But it's turtles all the way down!'

სამიზნე ტექსტი (უკუთარგმანი ბერძნულიდან):

Alice in Wonderland was once giving a lecture about astronomy. She said that the earth is a spherical planet in the solar system which orbits around its centre the sun, and that the sun is a star which in turn orbits around the centre of the star system which we call the Galaxy. At the end of the lecture the Queen looked at her angrily and disapprovingly. 'What you say is nonsense. The earth is just a giant playing card, so it's flat like all playing cards,' she said, and turned triumphantly to the members of her retinue, who seemed clearly satisfied by her explanation. Alice smiled a superior smile, 'And what is this playing card supported on?' she asked with irony. The Queen did not seem put out, 'You are clever, very clever,' she replied, 'so let me tell you, young lady, that this playing card is supported on another, and the other on another other, and the other other on another other other . . She stopped, out of breath, 'The Universe is nothing but a great big pack of cards,' she shrieked.

მოყვანილი მაგალითი კულტურული სუბსტიტუციით თარგმნის საინტერესო ილუსტრაციაა. წყარო ტექსტი გახლავთ ნაწყვეტი სტივენ ჰოუკინგის პოპულარული წიგნიდან Time and the Big Bang Theory (1988). ბერძნული თარგმანი მკითხველის ყურადღებას დასაწყისი ფრაზიდანვე იქცევს. მისი სტრატეგიაა ბერძენ მკითხველს წარუდგენს უკვე ნაცნობი უცხოელი პერსონაჟები და სტერეოტიპები, იგი არ რისკავს

მკითხველისთვის ძნელად იდენტიფიცირებადი პერსონაჟების წარდგენას. „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ საბერძნეთში კარგად ცნობილია რიგითი მკითხველისთვის, რომელსაც ეს წიგნი პარადოქსული სამყაროს ასოციაციებს აღუძრავს. *A little old lady at the back of the room* არის იმ დაბნეული, მაგრამ საყვარელი ადამიანის ინგლისური სტერეოტიპი, ვინც მცდარად იგებს რაიმეს. სხვა კულტურის წარმომადგენლებს შესაძლოა გაუჭირდეთ *ამ* სტერეოტიპის გაგება, ამდენად, მისი სუბსტიტუტი გახდა 'the Queen' რომელსაც მოჰყვება სხვა უამრავი სუბსტიტუტი, მაგ.: giant playing card' - *flat plate*-სთვის და ა. შ.

შენიშვნა: კულტურული სუბსტიტუტით თარგმნა დაუშვებელია, თუკი საწყის და მიმღებ კულტურებს აქვთ შესატყვისობები ცნებებისა და მათი ლექსიკური აღმნიშვნელების შესახებ. ც. ანთაძეს კონსტანტინე გამსახურდიას რომან „დიდოსტატის მარჯვენის“ ინგლისური და რუსული თარგმანების ანალიზისას, მოჰყავს კულტურული სუბსტიტუტით უმართებულო თარგმნის მაგალითები, რაც მკითხველს საგონებელში აგდებს: რომანის ინგლისურსა და, უფრო მეტად, რუსულ თარგმანებში ბევრი ტექნიკური ხასიათის შეცდომაა, არეულია ბოტანიკური და ზოოლოგიური ტერმინოლოგია, ციფრები. მაგ.:

„ ... ნეკერჩხლის ტყეში ეძიათ ნაკვალევი მისი“ (გვ. 20).

"... to look for its tracks in the maple wood" (p. 27).

« ... искать его следы в дубовом лесу» (стр. 16).

რუსულ თარგმანში დედანში მოცემული „ნეკერჩხალი“ გახდა „მუხა,“ ინგლისურ თარგმანში ეს შეცდომა არ არის.

„ ... ყარყატზე ნადირობაო ახლა არაგვის ჭალებში კარგი“ (გვ. 23).

"... Just the right time now for a crane – hunt in the underbrush of the Aragvi aits" (p. 31).

« – хорошо бы сейчас поохотиться на журавлей в долине Арагви!» (стр. 19).

ორივე თარგმანში, როგორც რუსულში, ასევე ინგლისურში, „ყარყატი“ „წეროდ“ არის თარგმნილი.

შენიშვნა: თუკი საწყის და მიმღებ კულტურებს არა აქვთ შესატყვისობები ცნებებისა და მათი ლექსიკური აღმნიშვნელების შესახებ, ამ შემთხვევაში, კულტურული სუბსტიტუტის გამოყენება მართებულია, როგორც პრაგმატიკული ეკვივალენტობა. რეალიის სუბსტიტუტით ტრანსპოზიციის საინტერესო ნიმუშია ნ. საყვარელიძის თარგმანში,

სადაც სპეციფიკური ინგლისური რეალია თარგმნილია ტოლფასი ქართული ასოციაციური რეალიით:

"Gaping at some dirty tea leaves, reading the cards and looking at each other's silly hands and..." (C. P. Snow Time of Hope, p. 28).

„ქაღალდზე მარჩიელობთ, დასჩერებიხართ ერთიმეორეს ხელის გულებზე, ქექავთ ფინჯნებში რაღაც ყავის ნალექს" (ჩ. . სნოუ, ჟამი იმედისა, გვ. 19).

ჩინეთიდან ფოთლების ჩაის შემოტანას ევროპულ საზოგადოებაში თან მოჰყვა ჩაის ფოთლებზე მარჩიელობის ტრადიციის დამკვიდრება. ქართული საზოგადოებისათვის ტასეოგრაფიის ეს მეთოდი უცნობია, ამდენად, მთარგმნელმა, მკითხველი რომ არ დაებნია, იგი კულტურული სუბსტიტუტით, *ყავის ნალექით* შეცვალა.

IV თარგმნა ნასესხობით, ან ნასესხობითა და განმარტებით

მაგალითი:

წყარო ტექსტი:

The Patrick Collection.

The Patrick Collection has restaurant facilities to suit every taste – from the discerning gourmet, to the Cream Tea expert.

სამიზნე ტექსტი (ფრანგული):

. . . – de la table gourmande au Salon de Théà l'anglaise.

. . . from the gourmet table to the English style tea salon.

უკუთარგმანი იაპონურიდან:

. . . from the gourmet with keen recognition to a shop specializing in cream cakes and tea.

V თარგმანი პერიფრაზით:

მაგალითი

წყარო ტექსტი *Palace and Politics in Prewar Japan* – Titus, 1974:

If the personality and policy preferences of the Japanese emperor were not very relevant to prewar politics, social forces certainly were. There are two reasons for giving them only the most tangential treatment here.

სამიზნე ტექსტი: (უკუთარგმანი იაპონურიდან):

. . . There are two reasons for us not having treated this social power in this book except in a very slight degree which is like touching slightly.

VI თარგმნა გამოტოვების სტრატეგიით:

მაგალითი

წყარო ტექსტი

China's Panda Reserves.

The panda's mountain home is rich in plant life and gave us many of the trees, shrubs and herbs most prized in European gardens.

სამიზნე ტექსტი (უკუთარგმანი ჩინურიდან):

The mountain settlements of the panda have rich varieties of plants. There are many kinds of trees, shrubs and herbal plants that are preciously regarded by European gardens.

განმარტება: წყარო ტექსტი მიმართავს ევროპულ საზოგადოებას და ***gave us-ის*** *გამოყენება გამოხატავს* ორიენტაციის ინტენციას; ჩინური თარგმანი მიმართავს სხვა საზოგადოებას და სამიზნე ჯგუფზე ორიენტაცია განაპირობებს ისეთი ელემენტების გამოტოვებას, რაც წყარო ტექსტის თვალსაზრისის დაკარგვას იწვევს.

სხვა მთარგმნელობითი პროცედურები

ადაპტაცია - ეს არის ორი, კულტურული თვალსაზრისით განსხვავებული სიტუაციის აღიარებული ეკვივალენტი; მაგ.: ინგლისური 'Dear Sir' ქართულ ენაზე ითარგმნება, როგორც „ბატონო", ხოლო ფრანგულ ენაზე ითარგმნება როგორც 'Monsieur'; ამდენად, „ბატონო" და 'Monsieur' ქართულ და ფრანგულ ენებზე წარმოადგენენ ინგლისური 'Dear Sir'-ის ეკვივალენტებს.

რუსი თეორეტიკოსის, პარშინის განმარტებით, ადაპტირებული ტრანსკოდირება არის ენობრივი შუამავლობის სახეობა, ინფორმაციის გადატანა ერთი ენიდან მეორეზე და ამავე დროს, ამ ინფორმაციის გარდაქმნა, ანუ ადაპტაცია, მისი სხვა ფორმით გადმოცემის მიზნით. ფორმას განსაზღვრავს ენათშორისი კომუნიკაციის ამოცანა და არა ამ ინფორმაციის ორგანიზაცია ორიგინალში. თარგმანისაგან განსხვავებით, ადაპტირებული ტრანსკოდირება არ მიიჩნევა ორიგინალის სრულფასოვან შემცვლელად.

ადაპტირებულ ტრანსკოდირებას **პარათარგმანის** ნაირსახეობასაც უწოდებენ. თარგმანთან მისი საერთო ნიშანია ის, რომ ორივე მათგანი მეორადი კომუნიკაციის კატეგორიას მიეკუთვნებიან, ანუ, ამა თუ იმ ფორმით წარმოადგენენ დედანს სხვა ენაზე.

ადაპტირებული ტრანსკოდირება არის ინფორმაციის გადმოცემის ერთგვარი ტიპი, ხოლო მისი ფორმებია: ანოტაცია, რეფერატი, რეზიუმე და სხვა. ინფორმაციის გადმოცემის აღნიშნულ ფორმებში გადმოსაცემად, ხდება ორიგინალში მოყვანილი ფაქტების შერჩევა, გადაჯგუფება, კონკრეტულის განზოგადება. თითოეული ფორმისათვის დადგენილია ინფორმაციის გადმოცემის წესები და ინფორმაციის მოცულობის ოდენობა. ორიგინალთან შედარებით, ადაპტირებული ფორმით წარმოდგენილი ინფორმაციის აღქმა იოლია.

მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების შესახებ თარგმნის თეორიაში მრავალი ნაშრომი არსებობს. მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია ანუ ენათაშორისი გარდაქმნა ამოსავალი ტექსტის ელემენტების გადაადგილებას, აზრის ხელახალ გამოხატვას და პერიფრაზირებას ითვალისწინებს, რომლის მიზანსაც მთარგმნელობითი ეკვივალენტობის მიღწევა წარმოადგენს. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მთარგმნელობით ტრანსფორმაციებთან დაკავშირებით თარგმნის თეორიის სპეციალისტებს შორის საერთო აზრი არ არსებობს. წამყვანი სპეციალისტები მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების სხვადასხვა კლასიფიკაციას გვთავაზობენ, თუმცა ჩვენ უპირატესობას ა. ფიტერმანის და ი.

ლევიცკაიას კლასიფიკაციას ვანიჭებთ, რომლებიც მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების 3 ტიპს გამოყოფენ:

1. ლექსიკური ტრანსფორმაციები - ტრანსფორმაციის ეს ტიპი აერთიანებს კონკრეტიზაცია-განზოგადებას, სრულ გარდაქმნას, კომპენსაციას, ანტონიმურ თარგმანს, აზრობრივ გავრცობას და დამატება-გამოტოვებებს (ლევიცკაია, ფიტერმანი 1973, 136).
2. გრამატიკული ტრანსფორმაცია - ტრანფორმაციის ეს ტიპი გულისხმობს შემდეგი ხერხების გამოყენებას: გადაადგილება, გამოტოვება, დამატება, გარდაქმნები და წინადადებების ჩანაცვლება.
3. სტილისტური ტრანსფორმაციები - ამ კატეგორიას განეკუთვნება ისეთი ხერხები, როგორიცაა: სინონიმური ჩანაცვლებები, აღწერილობითი თარგმანი, კომპენსაცია და ა.შ.

ლექსიკური ტრანსფორმაციები

თეორეტიკოსები ლექსიკური ტრანსფორმაციების განსხვავებულ ტიპებს ასახელებენ, მაგ.: თეორეტიკოსების, ფიტერმანისა და ლევიცკაიას კლასიფიკაციით, ლექსიკური ტრანსფორმაციის ტიპებია დამატება, კონკრეტიზაცია, განზოგადება/გენერალიზაცია, გამოტოვება. აღსანიშნავია, რომ ფიტერმანი და ლევიცკაია გამოტოვებასა და დამატებას არა მარტო ლექსიკური, არამედ გრამატიკული ტრანსფორმაციის სახეობადაც მიიჩნევდნენ.

თარგმანის თეორეტიკოსი ი. რეცკერი მიიჩნევს, რომ ლექსიკური ტრანსფორმაციის კატეგორიებს მუეკუთვნება კონკრეტიზაცია, განზოგადება, მნიშვნელობების დიფერენციაცია, ანტონიმური თარგმანი, მთარგმნელობითი დანაკარგის კომპენსაცია, აზრობრივი გავრცობა და სრული გარდაქმნა.

კომისაროვის კლასიფიკაციით, ლექსიკური ტრანსფორმაციის სახეობებად მიიჩნევს ტრანსლიტერაციას, მთარგმნელობით ტრანსკრიფციებს, კალკირებას, ლექსიკო-სემანტიკურ ჩანაცვლებებს, მაგ.: მოდულაციას, კონკრეტიზაციასა და განზოგადებას ის ჩანაცვლებების ქვეჯგუფად განიხილავს.

ლექსიკური ტრანსფორმაციის შემდეგი ტიპები გამოიყოფა:

(1) მნიშვნელობის კონკრეტიზაცია

(2) მნიშვნელობის განზოგადება, ანუ გენერალიზაცია

(3)კომპენსაცია (ლექსიკო სტილისტიკური ტრანსფორმაცია)

(4) სრული გარდაქმნა (ლექსიკოგრამატიკულიტრანსფორმაცია)

(5) ლექსიკური დამატება (ლექსიკოგრამატიკული ტრანსფორმაცია)

(6) ლექსიკური გამოტოვება (ლექსიკოგრამატიკული ტრანსფორმაცია)

(7) აზრობრივი გავრცობა ანუ მოდულაცია (ლექსიკოგრამატიკული ტრანსფორმაცია)

(8) ანტონიმური თარგმანი (ლექსიკოგრამატიკული ტრანსფორმაცია)

მნიშვნელობის კონკრეტიზაცია ეწოდება ფართო საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვის ან სიტყვათწყობის შეცვლას უფრო ვიწრო, კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სიტყვით. ამდენად, ინგლისური არსებითი სახელი *thing* აქვს საკმაოდ ფართო, აბსტრაქტული მნიშვნელობა, ("an entity of any kind"), ის ყოველთვის ითარგმნება კონკრეტიზაციის მეთოდით. *ამდენად,* არსებითი სახელი thing, რომელსაც აქვს აბსტრაქტული მნიშვნელობა, ითარგმნება კონკრეტიზაციის გზით: ნივთი, საგანი, საქმე,

ფაქტი, შემთხვევა, გარემოება, ნაწარმოები, არსება და ა.შ. ოქსფორდის ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებულია, როგორც: "an entity of any kind, that which is or may be in any way an object or perception, knowledge or thought", /OXFORD, Advanced Learner's Dictionary, 1240:420/ .მაგალითად:

- What's that thing for?
- Get out the dinner things = plates, knives, forks
- His mother is such a nice old thing = person

კონკრეტიზაციის მეთოდია საჭირო როდესაც ქართულ ენაზე ვთარგმნით ინგლისურ მიმართვის ფორმებს: aunt -დეიდა, მამიდა, ბიცოლა, mother-in-law -დედამთილი / სიდედრი; father-in-law - მამამთილი /სიმამრი; sister-in-law რძალი/მული; brother-in-law სიძე/მაზლი და სხვ.

კონკრეტიზაციის მეთოდის გამოყენება ასევე შეიძლება დახასიათდეს, როგორც უფრო კონკრეტული მნიშვნელობის შეტანა თარგმანში, ვიდრე ლექსიკონში დაიძებნება. ნებისმიერმა მთარგმნელმა უნდა იცოდეს რომ ინგლისური ენა კოლოკაციების კონკრეტულობით გამოირჩევა და თარგმანში ნებისმიერი ისეთი კოლოკაციის შეტანა, რომელიც ჩვენს მიერ არის ხელოვნურად შექმნილი, არასრულფასოვან თარგმანს განაპირობებს. სიტყვა facility-ს თარგმანი ხშირად ითხოვს დაკონკრეტებას. მაგალითად, თარგმნისას მისი მნიშვნელობა კონკრეტდება კონტექსტით:

> The participating status intend to develop contract and excharges among the young students, People by encouraging further development of youth tutorism and the provision of this end apropriate facilities.
>
> (აქ: შელავათი, ფინანსური მხარდაჭერა).

თარგმანი:

> მონაწილე სახელმწიფოს განსაზღვრული აქვს კონტრაქტის გაფართოება, ახალგაზრდების გაცვლა, ახალგაზრდული ტურიზმის განვითარება და საამისოდ შესაბამისი შეღავათების დაწესება.

ქართულ ენაზე თარგმნის დროს მთარგმნელს ხსირად უხდება სიტყვის დაკონკრეტება, მაგალითად შეკითხვა: Have you got your meal already? თარგმნისას ხშირად მოითხოვს დაკონკრეტებას, რადგანაც "meal-ს" ვერ ვთარგმნით როგორც "საკვებს", ხოლო "ჭამე უკვე?" მეტისმეტად ფამილიარულია და მისაღებია მხოლოდ სალაპარაკო ენისათვის. ამდენად თარგმანს ვაკონკრეტებთ, თუ კერძოდ რაზეა საუბარი: საუზმეზე, სადილზე, სამხარსა თუ თუ ვახშამზე. ამის მიხედვით თარგმანში გვექნება: "ისადილე",

"ივახშმე", "ისაუზმე"? Meal – შეიძლება ითარგმნოს როგორც "კერძი", რადგან ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში საღამოს 7 საათზე სადილობის დროა, მკითხველისათვის კონკრეტდება მნიშვნელობა და Meal ითარგმნება როგორც "სადილი". ამერიკული ინგლისური ქართულად სიტყვა student-ს ანიჭებს იმ მნიშვნელობას რასაც ჩვენ ვანიჭებთ სიტყვა "აბიტურიენტს":

"Preparation for college in U.S.A . involves a variety of choices and the student doesn't have to make a choice at an early age, as to whether or not he will go to college."

ამ წინადადებაში კი student გულისხმობს არა სტუდენტს, არამედ მოსწავლეს. კონკრეტიზაციის მეთოდი ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევაშიც, თუკი მიმღებ ენაში არის ისეთი სიტყვა, რომელსაც ასევე ფართო მნიშვნელობა და შესატყვისი კონოტაციები აქვს. რამდენადაც ასეთი სიტყვები შეიძლება სხვადასხვა ხარისხის აქტივიზებით გამოირჩეოდეს.

კონკრეტიზაციის სტრატეგიას ჯობს მივმართოთ ლექსიკური ერთეულის treat, რომელიც, როგორც პოლისემიური სიტყვა, ამ კონკრეტულ წინადადებაში მას *გამასპინძლების* მნიშვნელობა აქვს, თუმცა, თარგმანში ჯობს კონკრეტიზაციის სტრატეგიას მივმართოთ:

Ice cream is a wonderful treat.

ნაყინი შესანიშნავი ტკბილეულია.

რუსულ ენაზე შეიძლებოდა წინადადების თარგმნა როგორც *угощение.*

(2) მნიშვნელობის განზოგადება / გენერალიზაცია - ეს არის დედნის ენაზე ვიწრო მნიშვნელობის ერთეულის შეცვლა ფართო მნიშვნელობის მქონე ერთეულით, ანუ ტრანსფორმაციული პროცედურა, რომელიც კონკრეტიზაციის საპირისპიროა.

ხანდახან საგნის კონკრეტული დასახელება რეცეპტორისთვის არაფრისმთქმელია, ან კონტექსტისთვის შეუსაბამო; მაგალითად, მხატვრული ტექსტის თარგმანში საჭირო არ არის ზედმიწევნით დაზუსტდეს ყველა წერილმანი:

დათო ჯერ კაცის ჩექმებს უყურებს, მერე მის მუხლს, მერე გულისჯიბის ღილს... დათო უყურებს კაცს.

Dato risks looking at the old man's boots. Then at his knees. Then at the button on his shirt pocket. Then at his face.

(გ. დოჩანაშვილის მოთხრობა „თანამგზავრი“ ინგლისურად დაიბეჭდა ამერიკულ გამომცემლობაში Dalkey Archive Press-ის ყოველწლიურ სერიაში Best European Fiction 2014).

სიტყვის უფრო ფართო მნიშვნელობით გამოყენება მთარგმნელს მეტ თავისუფლებას ანიჭებს, მკითხველს კი დედნის აზრს უფრო ლაკონიურად გადასცემს:

- აბა თქვით „უზარმაზარი“

  უზარმაზარი.

  ვერ გრძნობთ რაღაც დიდს, ძალიან დიდს?

  ვერა...

- მე ვგრძნობ, - ამბობს თემური, - მე მგონი „ვეფხვიც“ კარგია.

  კი, კარგია, - მაშინვე ეთანხმება კაცი: -„ლომი“.

- ლომი? „ლომი“, მე მგონი, ცუდია. როგორღაც ნაზად ჟღერს.

Well, say “overwhelming.”

—“Overwhelming.”

—“Can’t you feel it, something big, maybe too big?”

—Nope.

—I think, Temur says . . . I think “lion” is a good one too.

—Lion? asks the guy in red. Not at all. I think “lion” is way too delicate. Effete, even.

ინგლისურ თარგმანში სიტყვების ჟღერადობისა და მათი გამოხატულების შედარებებით თამაშის ეფექტი შენარჩუნებულია, თუმცა, თამაშის ფონოლოგიური ერთეულები განზოგადებულია მასში გამოტოვებულია „ვეფხვი“, როგორც კიდევ ერთი გადასათამაშებელი ფონოლოგიური ერთეული, რომელიც, პერსონაჟებმა უნდა გაიაზრონ, შეესატყვისება თუ არა მის მრისხანე დენოტატს.

განზოგადების მეთოდი ძირითადად მხატვრული ლიტერატურის თარგმნისას გამოიყენება. მთარგმნელმა შეიძლება განაზოგადოს პერსონაჟის ასაკი, ან ფიზიკური მონაცემები, საგნის მდებარეობის შესახებ უფრო ზოგადი ინფორმაცია მოგვაწოდოს, მაგ.:

For instance, there is a brownstone in the East Seventies where, during the early years of the war, I had my first New York apartment.

„ნიუ-იორკში პირველი ბინა ისთ სევენთიზე მქონდა დაქირავებული, ომის პირველი წლები იქ გავატარე“.

თარგმანში შეიძლება განზოგადებული იყოს ზომის ერთეული:

By now I'd left my bed and opened the door an inch. I could hear Mr. Yunioshi's silence: hear, because it was accompanied by an audible change of breath.

„ახლა კი წამოვხტი ლოგინიდან, კარი ოდნავ შევაღე და ბატონი იუნიოშის გარინდებას დავაყურადე. ყურს ვუგდებდი, როგორ არღვევდა სიჩუმეს მისი აჩქარებული სუნთქვა".

მომდევნო მაგალითში განზოგადებულია მკითხველისთვის არაფრისმთქმელი საფირმო დასახელებები:

I discovered, from observing the trash-basket outside her door, that her regular reading consisted of tabloids and travel folders and astrological charts; that she smoked an esoteric cigarette called Picayunes; survived on cottage cheese and melba toast; that her varicolored hair was somewhat self-induced.

ჰოლის კარწინ გამოდგმულ ნაგვის ურნაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ის სისტემატურად ეცნობოდა განცხადებებს, სამოგზაურო ბროშურებს, ასტროლოგიურ პროგნოზებს. ეწეოდა რბილ, არომატულ სიგარეტებს, სული კი ხაჭოთი და ტოსტებით გაჰქონდა... მისი მრავალფერა თმის წარმომავლობა მთლად ბუნებრივი არ უნდა ყოფილიყო.

3)კომპენსაციის შესახებ უკვე ვისაუბრეთ, ამიტომ, ლექსიკური ტრანსფორმაციის მომდევნო პროცედურას განვიხილავთ:

4) სრული გარდაქმნა - სრული გარდაქმნის მიზანია ფუნქციური ეკვივალენტით გადმოსცეს წყარო ენიდან (SL) სამიზნე ენაზე (TL) ლექსიკური კომპონენტები.

სრული გარდაქმნის სტრატეგიით ითარგმნება:

ფრაზეოლოგიზმები, იდიომები, ანდაზები და სხვა მრავალკომპონენტიანი ერთეულები, კოლოკაციები:

buckle up! - შეიკარით ღვედი

Help yourself - გადაიღეთ.

mutual admiration society - გუგული აქებს მამალს.

Good riddance! გზა დამილოცნია ოთხივე კუთხით

ფრაზული გამონათქვამები:

Help yourself – მიირთვით / გადაიღეთ.

Good riddance! გზა დამილოცნია ოთხივე კუთხით!

- აბა, მე თუ მკითხავ, ზურიკელა ბიძია, შენისთანა ბაღანა სულ არ გაჩენილა დუნიაზე. (ნ. დუმბაძე: 18).

"Well, Zuriko, my dear lad, to be quite frank, you're a boy in a thousand." (N. Dumbadze: 20).

ფრაზეოლოგიზმები:

Safe and sound, apple of my eyes და ა. შ.

იდიომები:

to make up one's mind – გადაწყვეტილების მიღება

to rule out – შეუძლებლად მიჩნევა

კოლოკაციები:

დასტურდება, რომ ზმნა „მართვა" ქმნის ქართულ კოლოკაციებს, რომლებსაც არ გააჩნიათ ეკვივალენტები ინგლისურ ენაზე. ამდენად, კოლოკაცია უნდა გარდაიქმნას და ითარგმნოს სამიზნე ენაზე არსებული კოლოკაციაში აქტივიზებული ზმნით, ანუ ფუნქციური ეკვივალენტით ითარგმნოს:

1. to steer a spacecraft - კოსმოსური ხომალდის მართვა
2. to govern the republic - რესპუბლიკის მართვა
3. the rule the empire - იმპერიის მართვა
4. to govern/to rule one's passion - გრძნობების მართვა
5. the Prime Minister guides the state - სახელმწიფოს პრემიერ მინისტრი მართავს
6. to drive a car - მანქანის მართვა
7. to steer a spacecraft - კოსმოსური ხომალდის მართვა
8. to navigate a vessel - გემის მართვა

ასეთივე კოლოკაციათა ჯგუფს ქმნის ქართულ ენაზე ზმნა „დადება" და ინგლისურ ენაზე მისი თარგმნისას მართებულია კოლოკაციის სრული გარდაქმნის სტრატეგია:

1. to make treaty - ხელშეკრულებას დადება
2. to conclude an agreement/to enter into a contract - ხელშეკრულების დადება
3. to contract a marriage - საქორწინო ხელშეკრულების დადება

როგორც აკადემიკოსი თ. გამყრელიძე წერს, „ბუნებრივ ენაზე სამყაროს პროეცირების დროს ადამიანი ადარებს კონკრეტულ ობიექტებს და ახდენს მათ იდენტიფიკაციას. ამავე ტიპის ოპერაციები საფუძვლად უდევს მეტაფორულ გადასვლებს, რომლებსაც ენის კოგნიტურ მოდელში ცენტრალური ადგილი უჭირავს".

ზედსართავი სახელი earlier შეიძლება ითარგმნოს როგორც „წინარე / წინა" ან „ადრეული / ადრე", მაგ.: in my earlier message; the early guests; earlier today (ან: later today) შედარების საფუძველზე ობიექტთა ამგვარი იდენტიფიკაცია უნივერსალურ კოგ-

ნიტურ პროცესს წარმოადგენს და იწვევს როგორც შიდაენობრივ, ისე ენათშორის ტრანსფორმაციებს.

შედარების კონსტრუქციის მქონე წინადადების თარგმნისას, რომელშიც ამ კონსტრუქციის ნაცვლად გამოყენებულია მშობლიური ენისათვის ბუნებრივი სიტყვათწყობა:

3. 3168

A political party or an election bloc, which will garner most of the votes in the October 1 elections, will have the right to nominate a prime ministerial candidate after the new constitution goes into force year later. A prime ministerial candidate will require support of more than half of parliament members – that means at least 76 votes are needed for a candidate to become PM.

ახალი პრემიერ–მინისტრი 2013 წელს სწორედ 1 ოქტომბერს არჩეულ პარლამენტში პირველ ადგილზე გასულმა პარტიამ ან საარჩევნო ბლოკმა უნდა წარადგინოს, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ანუ სულ ცოტა 76 ხმით დაამტკიცებს. ... სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი.

(5) ლექსიკური დამატება

ლექსიკური დამატება, როგორც ლექსიკოგრამატიკული ტრანფორმაცია საჭიროა შემდეგ შემთხვევებში:

ა) ელიპტიკური წინადადებების თარგმნისას, რომელშიც გამოტოვებულია სიტყვები და კონტექსტის მიხედვით გასაგებია შინაარსი, რადგან სიტყვების მნიშვნელობის აღდგენა შესაძლოა ლოგიკურად.

ინგლისური საგაზეთო სათაურების თარგმნისას:

China urges 'cool heads' on North Korea

ჩინეთი პარტნიორებს მოუწოდებს ცივი გონებით გადაჭრან ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებული პრობლემები.

მოწოდების ტიპის მარტივი წინადადების თარგმნისას:

Make the Most of Now – (მობილური კავშირის კომპანიის, ვოდაფონის სარეკლამო მოწოდება) - მიიღეთ მეტი დღევანდელი დღისგან.

Eat fresh (საბუეის კაფეების ქსელი) - მიირთვით ახალი საკვები.

Ideas for Life (პანასონიკი) იდეები ცხოვრებისათვის.

ბ) ერთ, ან რამდენიმეწევრიანი ცნებების თარგმნისას, რომელთა შინაარსის დაზუსტებაც წინადადების წევრის / წევრების დამატებას საჭიროებს:

მაგალითები ქართულ-ინგლისური პოლიტიკური კორპუსიდან:

ერთწევრიანი ცნების თარგმნისას:

Landslide - ხმების უმრავლესობით მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვება არჩევნებში .

Belligerence - აგრესიული განწყობა

Bipartisanship - ორპარტიული მხარდაჭერა

Caucus - დახურული შეხვედრა.

Exposure - რისკის წინაშე დგომა

Incumbent - მმართველი პოლიტიკური ფიგურა

ორწევრიანი ცნების თარგმნისას:

CFSP declarations - ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში გაკეთებული განცხადებები;

Coping Capacity - კატასტროფებთან ბრძოლის პოტენციალი

სამწევრიანი ცნების თარგმნისას:

Ballot box stuffing – საარჩევნო ყუთში ყალბი ბიულეტენების ჩაყრა

Foreign policy advisor-მთავარი მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

გ) ინგლისური ზმნის თარგმნისას, როდესაც მისი სემანტიკური მნიშვნელობა ერთი ზმნით ვერ გადმოიცემა:

3216[18]

The local parliamentary race pits Giorgi Baramidze, a long-standing Saakashvili ally and deputy prime minister, against a local Georgian Dream-affiliated populist named Murman Dumbadze. I went to see both of them.

ადგილობრივი საპარლამენტო კამპანია წარმოგვიდგენს გიორგი ბარამიძეს, საკაშვილის დიდი ხნის მოკავშირეს და მურმან დუმბაძეს, პოპულისტს, ბარამიძის მეტოქეს "ქართული ოცნებიდან". მე ორივე მათგანთან შესახვედრად გავეშურე.

გავაანალიზოთ დედნის ლექსიკური ერთეული *pit*, პოლისემიური სიტყვა, რომლის ერთ-ერთი განსაზღვრებაც არის ერთი ადამიანის, ჯგუფის ან სხვა სულიერის მეორესთან შეჯიბრი, კონკურენციის გაწევა, მეტოქეობა. თარგმანში ზმნა *pit* იცვლება არსებითი სახელით „მეტოქე“ და დამატებულია ზმნა „წარმოგვიდგენს“.

დ) ინგლისური ზმნის თარგმნისას, რომელსაც ქართულ ენაზე მხოლოდ არსებითი სახელი ფუნქცია აქვს:

[18] მაგალითი მოყვანილია პოლიტიკის ინგლისურ-ქართული კორპუსიდან

1. 3255

What is your assessment of the the NATO resolution, statements made by Mr. Rasmussen and Mr. Gordon concerning the possible start of politically motivated arrests in Georgia, and unexpected financial audit of the Georgian Public Broadcaster?

ნატოს რეზოლუციას, რასმუსენის და ბატონი გორდონის განცხადებებს, საქართველოში შესაძლო პოლიტიკურ დაკავებებთან და საზრგადოებრივ მაუწყებელში ფინანსური აუდიტის შესვლასთან დაკავშირებით, რა შეფასებას მისცემდით? ... სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი.

ამ წინადადებაში ზმნა *audit* ქართულად არსებითი სახელით: *აუდიტი* და ზმნა *შესვლით* გადმოიცა. ამავე წინადადების ქართულ თარგმანში ვხვდებით გამოტოვების სტრატეგიას, სადაც ზედსართავი სახელი *unexpected* გამოტოვებულია ქართულ თარგმანში.

ე) ინგლისური არსებითი სახელის თარგმნისას, რომელსაც ქართულ ენაზე მხოლოდ ზმნის ფუნქცია აქვს:

11. 147

Are there fair electoral laws, equal campaigning opportunities, fair polling, and honest tabulation of ballots? არსებობს თანასწორუფლებიანი შესაძლებლობები უზრუნველყოფილი სამართლიანი საარჩევნო კანონებით? არის სამართლიანი ხმის მიცემის პროცედურა? სინდისიერად ხდება ბალოტირების შედეგების დათვლა? ... სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი

ამ წინადადებაში ინგლისური ზმნა *ბალოტირება* ქართულ ენაში საჭიროებს არსებით სახელს *შედეგები*. ამდენად, თარგმნისას მივმართავთ ლექსიკური დამატების სტრატეგიას.

ქართულ-ინგლისური პოლიტიკური კორპუსის მონაცემთა ბაზაში ინგლისური სიტყვის *elections*-ის ძიებისას არაერთი პარალელურად სტრუქტურირებული მონაცემია ისეთი ლექსიკური ტრანსფორმაციის შეპირისპირებითი კვლევისათვის, როგორიცაა ლექსიკური დამატება:

31. 3148

Voters in Georgia will elect 64 new municipal councils in May 30 local elections for a four-year term. The major focus of the local elections is made on contest in the capital city, Tbilisi, which will directly elect its mayor for the first time.

საქართველოს ამომრჩევლები 30 მაისის ადგილობრივ არჩევნებზე, ოთხწლიანი ვადით 64 ახალ საკრებულოს აირჩევენ. ადგილობრივი არჩევნებზე ყურადღება თბილისზე იქნება კონცენტრირებული, სადაც ამომრჩევლები პირველად აირჩევენ მერს პირდაპირი წესით. ... სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი.

სიტყვათწყობა directly elect ითარგმნება როგორც პირდაპირი წესით არჩეული, ხოლო მისი პარადიგმები: direct elections - პირდაპირი წესით არჩევნები (ს) ჩატარება), directly elected - პირდაპირი წესით არჩეული,

direct elections - პირდაპირი არჩევის წესი.

3. 3358

Election day - the day of holding general or by-elections; (23.12.2005 N 2414) არჩევნების დღე – საერთო ან ხელახალი არჩევნების ჩატარების დღე; (23.12.2005 N 2414) Election (polling) Day - the day of holding general, by-elections or re-run elections, as well as the run-off or repeat voting;

არჩევნების (კენჭისყრის) დღე – საერთო, შუალედური ან ხელახალი არჩევნების ჩატარების დღე, ასევე მეორე ტურის, განმეორებითი კენჭისყრის დღე; ... სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი.

ლექსიკური დამატების სტრატეგიის ნიმუშებს ხშირად ვხვდებით მხატვრულ პროზაში, განვიხილოთ მაგალითი ჭაბუა ამირეჯიბის რომანის „დათა თუთაშხია“ ინგლისურენოვანი თარგმანიდან:

„ვისაც ჩავაცვი, მან გამხადა სწორედ, მე თუ არა, სხვას გახადა მაინც“ (ამირეჯიბი: 163).

"The ones I dressed and shed, undressed and unshed me. And if not me, then someone else. It does not make much of a difference". (V/ I p. 211).

(ბ) ლექსიკური გამოტოვება

1) გამოტოვების, როგორც ლექსიკოგრამატიკული ტრანსფორმაციის მეთოდის გამოყენებისას არასაჭირო ელემენტებს გამოვტოვებთ. მაგ.:

Her hands rested side by side on her lap (J. Steinbeck).

„მას ხელები კალთაზე დაეწყო“.

გამოტოვებული ელემენტია side by side, ზოგიერთი ენობრივ ელემენტის გამოტოვება ქართულ ენაზე თარგმნისას განპირობებულია იმ ფაქტით, რომ გარკვეული ლექსიკური ერთეულები ან სიტყვათწყობები თარგმანის ენაზე სრულიად ზედმეტია.

ინგლისური წერითი მეტყველებისათვის დამახასიათებელია სინონიმურ წყვილთა გამოყენება, რომელთა ტრანსპოზიცია ქართულ ენაზე პლეონაზმს (სიტყვათსიჭარბეს) გამოიწვევს, მით უმეტეს, თუკი დოკუმენტურ-ოფიციალური სტილის წინადადებაა სათარგმნი. მაგ.:

The treaty was declared null and void.

null and void - ესაა სინონიმური წყვილი, რომლის ტრანსპოზიცია თარგმანში პლეონაზმს გამოიწვევს.

მსგავსი სინონიმური წყვილებია: outcast and criminal, da aid and support.

2) ლექსიკური გამოტოვების მაგალითებში დასტურდება ზედართავი სახელების გამოტოვების შემთხვევები:

15. 3186

Now they were being proved spectacularly wrong and at the worst possible moment, just 13 days before crucial parliamentary elections on Oct. 1.

ახლა კი გამოაშკარავდა, როგორ ცდებოდნენ ისინი, თანაც ეს ყველაზე ცუდ დროს მოხდა: 13 დღით ადრე 1 ოქტომბრისთვის დაგეგმილი, გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე საპარლამენტო არჩევნების წინ. ...

სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი

წინადადებში გამოტოვებული ელემენტია ზედართავი სახელი *spectacularly;* ზემოთ, ლექსიკური დამატების სტრატეგიის განხილვისას ასევე ზედსართავი სახელია გამოტოვებული: *unexpected financial audit* თარგმნილია, როგორც *ფინანსური აუდიტის შესვლა.*

3) ლექსიკური გამოტოვების მაგალითების ანალიზისას დასტურდება, რომ თარგმანში შეიძლება გამოტოვებული იყოს მოქმედი პირი. ამდენად, ინგლისური პირიანი წინადადების ნაცვლად, მივიღებთ ქართულ უპირო წინადადებას:

16. 3223

But despite the calls of many outside actors, including the U.S. government, the legislation expires on Election Day. "Why not continue it?" I asked Baramidze.

თუმცა, მიუხედავად ქვეყნის გარედან არაერთი მოწოდებისა, მათ შორის აშშ-ის მთავრობისგანაც, ამ დადგენილების მოქმედების ვადა სწორედ არჩევნების დღეს გასდის. „რატომ არ უნდა გაგრძელდეს იგი?“ - ვკითხე ბარამიძეს. ... სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი.

(7) აზრობრივი გავრცობა, *მოდულაცია*

თარგმანმცოდნეები აზრობრივი გავრცობის, ანუ მოდულაციის 3 სახეობას გამოარჩევენ: 1. მიზეზშედეგობრივი; 2. მეტონიმური; 3. პერიფრაზი.

ლექსიკური ცვლილებები, რაც თარგმანის ტექსტში ხორციელდება, გვიჩვენებს, როგორ აისახა დედნის მიზეზშედეგობრივი დამოკიდებულება თარგმანის ტექსტში. მაგ.:

The results speak for themselves

„ამაზე მიღწეული შედეგები მეტყველებენ".

„ამის შესახებ შეგვიძლია მიღწეული შედეგებითაც ვიმსჯელოთ".

გარკვეული შედეგები უკვე მიღწეულია - *მიზეზი* - რის შედეგადაც, შეგვიძლია ვისაუბროთ მათზე - *შედეგი.*

ფრაზის შინაარსის გავრცობა მისი ლოგიკური მნიშვნელობის მიხედვით.

Foot the bill - კომუნალური გადასახადების გასტუმრება

გაქვს კომუნალური გადასახადები (მიზეზი), რაც უნდა გაისტუმრო და ისტუმრებ (შედეგი).

წინა განაკვეთში განვიხილეთ, თუმცა, შეიძლება დავძინოთ, რომ მოდულაცია ისეთი ტიპის ტრანსფორმაციას ეწოდება, როდესაც სიტყვის ან სიტყვათწყობის შეცვლა ხდება დედნის ენიდან სამიზნე ენაზე მათი ლოგიკური მნიშვნელობის მიხედვით და წინადადება მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთგამომდინარეობის მიხედვით ითარგმნება. აზრობრივი გავრცობა სიტყვათა ან სიტყვათწყობათა შენაცვლებაა, რომელთა მნიშვნელობაც ლოგიკურად დაზუსტდება დედნის ერთეულის მნიშვნელობის მიხედვით; აზრობრივი გავრცობის სტრატეგიას მეორენაირად ლოგიკურ გავრცობის სტრატეგიასაც უწოდებენ. აზრობრივი გავრცობის პროცედურა დედნის მნიშვნელობის უფრო ფართო, ზოგად მნიშვნელობას გვთავაზობს თარგმანში, თუმცა ლოგიკური კავშირი თარგმანსა და ორიგინალს შორის მუდამ შენარჩუნებულია. მაგ.: სელინჯერის რომანის ორიგე ქართულენოვან თარგმანში ჟარგონული გამოთქმები მოდულაციის პროცედურით გადმოიცა: What I liked about her, she didn't give you a lot of horse manure about what a great guy her father was. She probably knew what a phoney slob he was.

I თარგმანი: განსაკუთრებით ის მომეწონა, ტვინს რომ არ გამიხვრეტდა -ასეთი დიდი ვინმეა მამაჩემიო. ალბათ, თვითონვე გრძნობს რა ხეპრე და ქლესა ვაჟბატონიც ბრძანდება;

II თარგმანი: უფრო კი ის მომეწონა, ტვინი რომ არ გამიბურღა თავის პროფესორ მამიკოზე ლაქლაქით. იქნებ სულაც აზრზე იყო, რა ხვითოც ჰყავდა.

მეორე მთარგმნელს შეეძლო აზრის ლოგიკური გავრცობა შემდეგნაირად:

იდიომის „give a horse manure" დეფინიცია გვაძლევს შემდეგ განსაზღვრებას: „ყალბი საუბარი", „ტყუილი", „სისულელე", რაც, ერთი მხრივ ასოცირდება ტვინთან, მეორე მხრივ, ასოცირდება ჩიჩინთან.

„უფრო კი ის მომეწონა, რომ თავის პროფესორ მამიკოზე ლაქლაქით გულს არ მიწყალებდა. იქნებ სულაც აზრზე იყო, რა ხვითოც ჰყავდა".

ინგლისურ იდიომს არ აქვს გარკვეული სახე - რომელიც ამგვარი თარგმანით დაირღვეოდა! give a horse manure არის სახე, რომელიც ქართულში სისულელის ქადაგებასთან არის ლოგიკურ კავშირში. თავად ამ იდიომის სახეობრივი მეტყველება სიტყვასიტყვით დაკავშირებულია ცხენთან და ფუნასთან. რასაკვირველია, ქართულად არც ერთი სახე არ იქნება შენარჩუნებული. ამდენად, თუ ამ იდიომს ვთარგმნით აზრობრივი გავრცობის მეთოდით, ვიტყვით, რომ სისულელის ქადაგებით შეიძლება როგორც ტვინის გაბურღვა, ისე გულის გაწყალებაც. მისი სახეობრივი მეტყველება არ ირღვევა.

ორივე თარგმანში იდიომი „give a horse manure"ll გადმოტანილია, როგორც „ტვინის გახვრეტა", „ტვინის გაბურღვა", რომელიც ერთი და იმავეს ჩიჩინის უსიამოვნო პროცესს გამოხატავს.

მეორე თარგმანში გაერთიანებულია მიმართვის ორკომპონენტიანი დეროგაციული მარკერი phoney slob და, ამდენად, ზემოთ უკვე განხილული ტრანსფორმაციის, ლექსიკური გამოტოვების სტრატეგიაც არის გამოყენებული.

მიზეზშედეგობრივი დამოკიდებულება შემდეგ წინადადებაში უფრო თვალსაჩინოა:

He would cheer up somehow, begin to laugh again and draw skeletons all over his slate, before his eyes were dry.

"ის კვლავ გახალისდებოდა ხოლმე, კვლავ გაიცინებდა ხოლმე და გრიფელის დაფაზე სხვადასხვა ფიგურის ხატვას იწყებდა მანამ სანამ თვალზე ცრემლი შეაშრებოდა.

ლექსიკური გავრცობის მაგალითების მოყვანა შეიძლება ქართულ-ინგლისური პოლიტიკური კორპუსიდანაც:

6. 120

Is there an effective system of checks and balances between legislative, executive, and judicial authority? მოქმედებს ვეტოს დადების ეფექტური სისტემა *საკანონმდებ-*

ლო, აღმასრულებელსა და სასამართლო ხელისუფლებას შორის? ... სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი

ქართულ თარგმანში ***checks and balances*** გადმოცემულია როგორც *საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება*, რაც აზრობრივად განაერცობს მის მნიშვნელობას; ქართულ ენაზე ამ პოლიტიკური ტერმინის არაერთი თარგმნითი ვარიანტი არსებობს:

1.*ურთიერთკონტროლისა და ურთიერთშეკავების მექანიზმი:*

b) ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების სისტემა; 2. "ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობისა და მისი გადაწყვეტილების საველდებულოობის შესახებ".

1. Checks and balances - ხელისუფლების განშტოებათა შორის კონტროლისა და ბალანსის მექანიზმი სისტემა,

ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების დემოკრატიული სისტემა

4. 3314

"The weakness of parliament and the judiciary has undermined the democratic system of checks and balances and resulted in a dominant executive branch. "პარლამენტისა და სასამართლოს სისუსტემ შეარყია ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების დემოკრატიული სისტემა და აღმასრულებელი შტოს დომინირება გამოიწვია. ...

სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი

2. *ურთიერთკონტროლის მექანიზმი:*

7. 051

If the mechanism of democratic accountability is insufficiently strong because politicians can manipulate elections, if the mechanism of checks and balancesis weak because political institutions are not strong enough and the flow of information is biased, and if democratic norms are not sufficiently developed yet to constrain politicians morally, then politicians can lead the country into a war of aggression for political gain. თუ დემოკრატიული ანგარიშვალდებულების მექანიზმი არასაკმარისად მტკიცეა, ვინაიდან პოლიტიკოსებს არჩევნებით მანიპულირება შეუძლიათ, თუ *ურთიერთკონტროლის მექანიზმი* სუსტია, ვინაიდან არ არსებობს საკმარისად მძლავრი პოლიტიკური ინსტიტუციები, ხოლო ინფორმაციის ნაკადი მიკერძოებულია, თუ დემოკრატიული ნორმები, რაც პოლიტიკოსების მორალურ სადავეებად უნდა იქცეს, არ არის საკმარისად განვითარებული, ამ დროს პოლიტიკოსებმა, პოლიტიკური სარგებლის მისაღებად,

შესაძლებელია, ქვეყანა ომში ან აგრესიაში ჩაითრიონ. ... სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი.

ხოლო კორპუსის განმარტებითი ლექსიკონი ამავე ტერმინის აზრობრივ გავრცობის უამრავ სხვა მაგალითს გვაძლევს:

Checks and balances - ხელისუფლების განშტოებათა შორის კონტროლისა და ბალანსის მექანიზმი

სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა თითოეულმა სამთავრობო სტრუქტურამ ვეტო დაადოს ან შესწორება შეიტანოს აქტში, ისე, რომ რომელიმესტრუქტურას ძალაუფლების გადაჭარბების საშუალება არ მიეცეს. შეზღუდვა, რაც დაწესებულისამთავრობო სტრუქტურაზე; თითოეულ სტრუქტურას აქვს უფლება შესწორება შეიტანოს აქტში, ან გააუქმოს რომელიმე მათგანი, რომელიც დავას იწვევს. აშშ-ს კონსტიტუცია ითვალისწინებდა ძლიერი ეროვნულიმთავრობის ჩამოყალიბებას, რისი მოხერხებად შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდენ ძალთა თანაფარდობის გადანაწილებით, რათა ერთ ჯგუფს, ან პიროვნებას არ მისცემოდა ჭარბი უფლება-მოსილება. ამიტომ დაიყო ხელისუფლება სამ რგოლად, აღმასრულებლად, საკანონმდებლო დასასამართლოდ. თითოეულ რგოლს აქვს უფლება შეამოწმოს სხვა რგოლები და დარწმუნდეს, რომ ძალმოსილება ყველა რგოლში დაბალანსებულია.

ტერმინის თარგმანი ვარირებს სხვადასხვა ავტორის შეხედულებისამებრ:

1.. Checks and balances საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თავი 20 ხელისუფლების განშტ-ოებათა შორის (a) კონტროლისა და ბალანსის მექანიზმი

„სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით“ (საქართველოს კონსტიტუცია მუხ. 5 , პ. 4). ამ პრინციპის შესაბამისად, საქართველოში ხელისუფლება განაწილებულია:

1. საკანონმდებლო ხელისუფლება;

2. აღმასრულებელი ხელისუფლება;

3. სასამართლო ხელისუფლება.

თავიანთი უფლებამოსილებების განხორციელებისას მათ არ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა შეიჭრან სხვა ხელისუფლებათა სფეროში. ამის უზრუნველსაყოფადხელისუფლების განაწილების მექანიზმში მოქმედებს(ibid) :

(b) ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების სისტემა;

2. “ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობისა და მისი გადაწყვეტილების საველდებულოობის შესახებ”, აკაკი შანავა -

constcentre.gov.ge

http://www.constcentre.gov.ge/failebi/AKAKI_SHNAVA_93010.pdf

(c) ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების მექანიზმი

3. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ანტიკორუფციული რეფორმები სარეკომენდაციო დოკუმენტი 2012 (ppt)

transparency.ge/.../TI%20Presentation%20Anti-Corruption%20Refor...

(d) ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების მექანიზმები

კონტექსტი: „გაძლიერდეს ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების და ჰორიზონტალური ანგარიშვალდებულების მექანიზმები საქართველოს მმართველობის სისტემაში, რაც გულისხმობს პარლამენტის, სასამართლოსა და მედიის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას (იხ. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოსა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შესაბამის სფეროებში მომზადებული რეკომენდაციები)“.

4. ვახტანგ ხმალაძე, ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრი ზურაბ ჯიბლაშვილი, კონსტიტუციური სამართლის დოქტორანტი, საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიების წევრი. www.parliament.ge/publicdebates/khmaladze.pdf

(e) კონტროლისა და გაწონასწორების (ურთიერთშეკავების) საშუალებები

5. მენაბდე ვახუშტი , კონკრეტული კონტროლის[1] პარადიგმა კონსტიტუციონალიზმში

http://lib.ge/book.php?author=400&book=10253

(f) შეკავებისა და გაწონასწორების (check and balances) პრინციპი

„თანამედროვე ქართულ კონსტიტუციონალიზმს, inter alia, შეკავებისა და გაწონასწორების (check and balances) პრინციპი განსაზღვრავს. ხელისუფლებისდანაწილების კონცეფციის შესაბამისად არსებობს ხელისუფლების სამი შტო (სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი[3]).

6. კონსტიტუცია და მოდერნიზაცია ანუ როგორი კონსტიტუცია სჭირდება საქართველოს

http://konstitucia.wordpress.com/intro/

(g) ხელისუფლებათა გამიჯვნის, შეკავებისა და გაწონასწორების (ამერიკული) მოდელი

7. სილაბუსი LLB 3001 - საკონსტიტუციო სამართალი

ლექტორი: ვახტანგ ხმალაძე, პროფესორი

ტელ.: 990527 (ბინა), 899/555131 (მობილ.) ელ.ფოსტა: vkhmal@gmail.com

თბილისი 2008

(h) კონტროლისა და გაწონასწორების მექანიზმები

8. ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი ევროპის სახალხო პარტიას

http://www.for.ge/view.php?for_id=21992&bloger_id=22&cat=12

(i) გაჩნდა ხელისუფლების დაბალანსებისა და გაწონასწორების ნიშნები

(8) ანტონიმური თარგმანი არის ლექსიკური ან ლექსიკოგრამატიკული ტრანსფორმაცია, რომლის დროსაც დედანში არსებული მტკიცებითი ფორმა შესაძლებელია თარგმანში უარყოფითი ფორმით გადმოიცეს ან პირიქით; დედნის ლექსიკური ერთეული ჩანაცვლდება საპირისპირო მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულით; რუსულ-ინგლისურ თარგმანში ტრანსფორმაციის ეს ტიპი ხშირად გამოიყენება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ორიგინალის ტექსტში სიტყვას აქვს უარყოფითი პრეფიქსი; ანტონიმური თარგმანის შემთხვევაში, ლექსიკური ერთეული შესაძლოა არა მარტო საპირისპირო ერთეულით ჩანაცვლდეს, არამედ სხვა სიტყვებითა და სიტყვათწყობით, რომლებიც საპირისპირო აზრს გადმოსცემენ, მაგ.:

Please let me finish - გთხოვთ, სიტყვას ნუ მაწყვეტინებთ.

He is not hurting for money - ფული სამყოფად აქვს; ქესატად არ გახლავთ; არ უჭირს.

Keep your feet dry! - ფეხები არ დაისველოთ!

That is not what I am afraid of - მე სხვა რამის მეშინია.

But not all obstacles are gone - მაგრამ ზოგი დაბრკოლება კვლავ რჩება.

ამავე ხერხის გამოყენების კიდევ ერთ ნიმუშს ვხვდებით გოლზუორთის „მესაკუთრის" ქართულ თარგმანშიც:

And he noticed with sour disfavour that June had **left her wine-glass full of wine.** (J. Galsworthy, The Man of Property).

„მან გაბრაზებით შენიშნა, რომ ჯუნი არც შეხებია ღვინის ჭიქას".

საკუთარი სახელები, ტრანსლიტერაცია თუ ტრანსკრიბირება?

სადღეისოდ საკუთარი სახელების თარგმნის ნორმად დადგენილია ტრანსლიტერაციის ან ტრანსკრიპცია, თუმცა კონკრეტული შემთხვევები შესაძლოა ფილოლოგებისა და ლინგვისტების მხრივ სადავო გახდეს.

საკუთარი სახელების თარგმნის ისტორიულ გამოცდილებას თუ გადავხედავთ, დღეს უკვე კურიოზულად მოგვეჩვენება უცხო კულტურული ჟღერადობის საკუთარი სახელების ადაპტირება მიმღები კულტურის ნორმებთან, მაგალითად, წლების წინ მთარგმნელების მიერ იტალიელი მკითხველის წინაშე ჩარლზ დიკენსი, ვოლფგანგ ამადეო მოცარტი და ლევ ტოლსტოი წარდგენილნი იყვნენ, როგორც კარლო დიკენსი", "ვოლფგანგო მოცარტი", და "ლეონე ტოლსტოი".

ტრადიციული ტრანსკრიპცია შენარჩუნდება ისტორიული მოღვაწეებისა და გეოგრაფიული დასახელებების შემთხვევაში, მაგ.: ქართულ ენაზე გვაქვს მეფე *ჩარლზ I* ბრიტანეთის ხელმწიფე *Charles I* სახელდებისათვის, ხოლო რუსულ ენაზე ტრანსკრიპცია *Карл I* შენარჩუნდება თავდაპირველი თარგმნილი ვარიანტის ტრადიციულად დამკვიდრების გამო; რაც შეეხება მეფე *William III-ს*, ის რუსულად ითარგმნა როგორც – *Вильгельм III* და რუსულიდან არის კალკირებული *ვილჰელმ III*, ისევე, როგორც *Edinborough – Эдинбург - ედინბურგი*).

ტრანსკრიპცია - ტრანსლიტერაციას ვიყენებთ ლათინური წარმოშობის ნასესხობებთან: *absurdist – აბსურდისტი* (აბსურდის ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი); *kleptoctacy – კლეპტოკრატია* (ელიტარული ქურდები); *skateboarding – სკეიტბორდინგი* (გორგოლაჭებიან დაფაზე სრიალი), *Hercules missile – რაკეტა "ჰერკულესი"; deescalation – (პოლიტ. დეესკალაცია - დაძაბული, კონფლიქტური მდგომარეობის განმუხტვა); Columbia – კოლუმბია.*

კალკირება:

ქართულ ენაში კალკირების პროცედურით არის დამკვიდრებული ინტერნაციონალური ლექსიკა:

mass culture - მასკულტურა;

green revolution - მწვანე რევოლუცია;

ასევე კალკირებული ლექსიკური ერთეულებია: *land-based missile – მიწის ზედა ბაზირების რაკეტა; Rapid Deployment Force – სწრაფი რეაგირების სამხედრო ძალები.*

ხშირად, თარგმნს პროცესში ტრანსკრიპცია და კალკირება ერთდროულად გამოიყენება. *transnational – ტრანსნაციონალური; petrodollar – ნავთობდოლარი; miniskirt – მინიქვედაბოლო.*

ლ. პერკინსი, რომელმაც ებრაული საკუთარი სახელების მთარგმნელობით სტრატეგიები გამოიკვლია ბერძნულად თარგმნილ „ამოსვლაში" (Exodus), წერს[19], რომ ბერძენი მთარგმნელი ოთხ ძირითად სტრატეგიას მიმართავს: ესენია:

1. ებრაული სახელების ბერძნულ ენაზე არსებული ტრანსკრიპციის გამოყენება: [Ἀαρών - אהרן];

2. ებრაული სახელებისათვის ბერძნულად ახალი, საკუთარი ტრანსკრიპციის შექმნა: [Γηρσάμ - גרשם]

3. არსებული ბერძნული ეკვივალენტის გამოყენება:[Φοινίκη - כנען]

4. საკუთარი სახელის თარგმნა: [Πικρία - מרה]

როგორც აღვნიშნეთ, საკუთარი სახელები ან ტრანსლიტერაციის გზით გადადის, ან ტრანსკრიბირების. მათი თარგმანი პრობლემატურია, თუ TL ან SL ენა მდედრობით და მამრობითი გვარის გრამატიკულ ფორმებს აწარმოებს. ასეთი გვარის ნიშნიანი ფორმები უეკვივალენტო ლექსიკად ითვლება. მათი მნიშვნელობა, თუ რომელი სქესის პირს მიემართებიან კოდირებულია სწორედ გვარის ნიშნიან ფორმებში. ბრიტანული სოციუმისაგან განსხვავებით, რუსები გვარით მიმართვის ფორმას არ იყენებენ ოფიციალობის გამოსახატად. რუსულში ოფიციალობას (ისევე როგორც პატივისცემას), საკუთარი სახელისა და მამის სახელით მიმართვის ფორმა გადმოსცემს. ამდენად, თუ ნაწარმოები ითარგმნება ბრიტანული საზგადოებისათვის, ოფიციალური მიმართვის ფორმა უნდა იყოს გვარი, მაგ.: Karenin მამაკაცისათვის და Karenina ქალისათვის; ხოლო ფრანგულენოვანი კულტურისათვის ოფიციალური მიმართვის ფორმა უნდა იყოს Monsieur (Lyons (1979, 247).

როგორც ტოლსტოი წერს რომანის პირველ ტომში, 34-ე თავში, ვრონსკის სძულდა ყველა ის ეულგარული, სასაცილო და ბრიყვი ხალხი, ვისაც სწამდა, რომ ერთ ქმარს ერთ ცოლთან უნდა ეცხოვრა, გაეზარდა შვილები, ეშოვა ფული, გადაეხადა ვალები და

---

[19] Larry Perkins *Journal for the Study of Judaism 41 (2010) 447-471* What's in a Name—Proper Names in Greek Exodus.

ა.შ. რომანის ერთ-ერთ ეპიზოდში, ვრონსკის პირველივე ნახვაზე არ მოუწონა ცოლქმარი, ის მოელოდა, რომ ანა და მისი ქმარი მოსაწყენი ხალხი იქნებოდა. გარნეტისა და ედმონდსის თარგმანებში მამაკაცთა გვარების ფორმები გამოყენებული ქალთა გვარებთან. ფორმა Karenin გამოიყენება როგორც ანას ქმრის, ისე ანას სახელთან. ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, ინგლისურ ენებზე გვარი სქესის მიხედვით არ იბრუნვის, ამიტომ რომანის სათაური მიმღები ენის ნორმებს არის მისადაგებული.

«-Ах, это Каренину? – сказал Вронский.

- Ты ее, верно, знаешь?

- Кажется, знаю. Или нет... Право, не помню, - рассеянно отвечал Вронский, смутно представляя себе при имени Карениной что-то чопорное и скучное.»

"-Ah, it is Karenina? – said Vronsky.

- You must know her, do you?

- It seems to me, I do. Or not... Really, I don't remember, - replied Vronsky absent-mindedly, vaguely imagining at the name Karenina something formal and dull." (Tolstoy, v.8, 74)

თანდათან კი გამოვლინდა ანას სხვა თვისებები, ის ხალისიანი და გონებამახვილია. გარნეტისა და ედმონდსის თარგმანებში კი გვარის მამრობითი ფორმა Karenin არ იძლევა საშუალებას განვასხვაოთ თუ ვის შესახებ შეექმნა ვრონსკის მცდარი წარმოდგენა, ცოლის თუ ქმრის; იქმნება აზრობრივი ამბივალენტობა. რუსულ სოციუმში გვარით მიმართვა პირიქით, მამაკაცებს შორის ახლო მეგობრობის ნიშანია.

ინგლისურ ენაზე მთარგმნელებს რუსული სახელების ასიმილირება უცდიათ. თავდაპირველად აღსანიშნავია რომ მდედრობითი სქესის პერსონაჟთა გვარის დაბოლოება მამრობითი სქესის გრამატიკული მარკერით არის წარმოდგენილი, მაგ.: "Mrs. Kalmykov" or "Katerina Osipovna Khokhlakov"; 'Anna Karenin' (Garnett), ხოლო მაუდთან, ედმონსთან და პივიართან გვხვდება ფორმა 'Anna Karenina' ანგლიფიცირების ეს სტრატეგია ემერსონმა გააკრიტიკა, როგორც „გენდერული ჰიბრიდის" წარმომქმნელი (Emerson 1991, 310).

ანგლისფიცირების სტრატეგიის მსგავსი ნიმუშებია სახელი 'Konstantin'-ის ნაცვლად 'Constantine'- ის აქტივიზება, ხოლო Nikolai-ის ნაცვლად Nicholas-ის. წყარო ტექსტზე ორიენტირებულ თარგმანებში რუსული სახელები ტრანსლიტერირებულია.

პიეარისა და ვოლოხონსკის თარგმანებშიც ქალთა გვარების დაბოლოება მამრობითი სქესის გრამატიკული მარკერით არის წარმოდგენილი, ერთადერთი გამონაკლისია 'Karenina'. სავარაუდოდ, მან ეს გამონაკლისი იმიტომ დაუშვა, რომ წიგნის სათაური აკულტურიზებულია და ტრადიციულად ცნობილია მკითხველთა უმრავლესობაში დოულის თარგმანიდან, რომელიც 1886 წელს გამოიცა სათაურით *Anna Karenina.*

მაუდი და ედმონდსი თავიანთ თარგმანებში მიმართვის ფორმულას: **საკუთარი სახელი+ მამის სახელი** ცვლის გვარით ან მიმართვის სხვა ფორმით, რაც აზრის მკაფიოდ და სხარტად ჩამოყალიბებას ემსახურება. ისეთ სოციალური სიტუაცია, როგორიცაა ხელის თხოვნა, განაპირობებს მეტყველების ვარიანტულობას მოსაუბრეთა შორის, რაც მიმართვის არაოფიციალური ან ნახევრადოფიციალური, საზეიმო მარკერებით ხასიათდება. მაგალითად, კოზნიშევი გადაწყვეტს ვარენკას ხელი სთხოვოს, ფიქრობს, რომ მიმართვის ფორმა **საკუთარი სახელი+მამის სახელი**: Варвара Андреевна აირჩიოს. თარგმანში მაუდი და ედმონდსი (Maude, v.2, 147, Edmonds, 593) ირჩევენ მიმართვის ფორმას: 'Mademoiselle Varenka' - **საკუთარი სახელი+მამის სახელი**. მთარგმანელები ცდილობენ მკითხველი არ გადატვირთონ „არასაჭირო" ინფორმაციით ან განმარტებებით. რომანის სხვა მთარგმნელები კი ტრანსლიტერაციას ირჩევენ და ფორმები უცვლელად გადმოაქვთ.

ალერსობითი მიმართვა **Долленька** ხდება გარნეტის თარგმანში, ხოლო და 'Dolly dear' მაუდისა და ედმონდსის თარგმანებში. (1992, 242-245) ვიეჟბიცკა წერს, რომ რბილი თანხმოვანი t' სახელში *Катя* მას ანიჭებს "რბილ" ტონალობას, რაც საგრძნობია სემანტიკურ დონეზეც, სახელის, როგორც მიმართვის ფორმის იმპლიკაციაა მიმართვის ობიექტისადმი თბილი დამოკიდებულება (Wierzbicka 1992, 408). მაუდი ასევე 'dear' ფორმას მიმართავს რუსული ალერსობითი სუფიქსების *–еньк* and *–очк*.სემანტიკური მნიშვნელობის გადმოსაცემად:

მაუდი სხვა პერსონაჟების სახელების ანგლიფიცირებასაც ახდენს:

Marya Nikolayevna – 'Mary Nikolayevna'

Stepan Arkadyevich – 'Stephen Arkadyevich'

Nikolai – 'Nicholas', Matvei – 'Matthew'

რომანის მეორე ნაწილში, ობლონსკი ლევინს სოფლად ეწვევა და მას Костя'–ს უწოდებს, ხოლო მაუდის თარგმანში Костя იქცა 'Constantine'-ად. (Maude, 182).

თუმცა მთარგმნელი დოული ინარჩუნებს რუსულ ფორმებს, ის თვითნებურად "კარგავს" მამის სახელს მიმართვის **საკუთარი სახელი+ მამის სახელი** და ფორმულიდან

მხოლოდ საკუთარი სახელი რჩება. კარენინს თავად ლევ ტოლსტოიც არ უწოდებდა "ალექსეის", რადგან ეს ფრიად ფამილიარულ ტონად ჩაითვლებოდა რუსულ სოციუმში, მით უფრო, მე-19 ს-ის თავდაზნაურთა წრეში, დოული კი მას სწორედ ასე მოიხსენიებს TL ტექსტში. ასევე, ობლონსკი ცალკეულ პასაჟებში წარმოდგენილია, როგორც „სტეპანი", ხოლო SL ტექსტის მამის სახელით მიმართვის ფორმა უგულებელყოფილია.

შეჯამებისათვის, უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული დოზით ყველა მთარგმნელი ახდენს რუსული სახელების ასიმილირებას ინგლისურ კულტურასთან: ხდება სახელთა ანგლიფიცირება, მაგალითად, მამაკაცთა გვარების ფორმის გამოყენება ქალთა გვარებთან, მამის სახელის გამოტოვება მიმართვის ფორმებთან. როგორც წერს მაია ბერდვუდ-ჰედგერი, მაუდი და ედმონდსი დოულზე და პივიარზე მეტად ახდენენ რუსული სახელების ასიმილირებას.

ლ. ტოლსტოის „ანა კარენინა" ოთხჯერ ითარგმნა ინგლისურ ენაზე. ქვემოთ მოგვყავს ლაკუნების თარგმანის ოთხივე ვარიანტი:

Tolstoy	Dole	Garnett	Maude	Edmonds	Pevear
Шафер [best man at a wedding]	*Shafer*	The best man	The best man	The best man	The best man
Камилавка [a special round velvet hat worn by Orthodox priests]	Calotte	Ecclesiastical cap	Sacerdotal headgear	Sacerdotal headgear	*Kamilavka* (with a footnote explanation)
Пирожки [patties, pasties]	Pasties	Pies	Pasties	Patties	*Pirozhki*
Староста [village headman, elder]	*Starosta* (bailiff)	Elder	Elder	Elder	Headman
Баба [peasant woman]	*Baba*	Wife	Woman	Woman	Woman
Щи [cabbage soup]	*Shchi* (cabbage soup)	Cabbage soup	Cabbage-soup	Cabbage-soup	*Shchi* (with a footnote explanation)
Каша [a thick	*Kasha*	Porridge	Buckwheat	*Kasha*	*Kasha* (with a

gruel, made from any grain]	(wheat gruel)		porridge		footnote explanation)
Колач [a white yeast bread, sometimes shaped like a purse with a handle]	*Kalatch*	Roll	Roll	Roll	*Kalatch* (with a footnote)
Шуба [fur-coat]	*Shuba*	Cloak	Coat	Coat	Coat
Уха [fish ,soup]	*Ukha*	Soup	Soup	Soup	Fish soup
Закуска [hors d'oeuvre]	*Zakuska*	Appetiser	Hors d'oeuvre	Appetizer	Hors d'oeuvre
Мужик [male peasant]	*Muzhik*	Peasant	Peasant	Peasant	*Muzhik*
Квас [Russian drink from brewed rye flour or bread with malt]	*Kvas*	Home-brew	*Kvas*	Home-brew	*Kvass* (with a footnote explanation)
Барыня [mistress]	B*aruina*	Gentlewoman	Mistress	Mistress	Lady
Земство [elective provincial council for purposes of local administration]	*Zemstvo*	District council	*Zemstvo*	*Zemstvo* (with a footnote explanation)	*Zemstvo* (with a footnote explanation)
Телега [cart]	T*elyega*	Trap	Cart	Trap	Gig
Приказчик [clerk]	*Prikashchik*	Clerk	Clerk	Clerk	Clerk
Извозчик [sledge-driver, cabby]	*Izvozshchik*	Sledge-driver	*Izvozchik*	Cabman	Cabby
Дача [country	*Datcha*	Summer villa	Country	Summer	Country house

house]			house (with a footnote explanation that it was customary for people who had an occupation in a Russian town in summer	villa	

ნიმუშებიდან ჩანს, რომ დოული, პევირე და მაუდი (თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ნაკლებად), ავლენენ შემდეგ ტენდენციას: ისინი რუსული, ორიგინალური ფორმით აცნობენ (ან ცვლიან რუსულ სიტყვას ფრანგულით, მაგ.: *Kamilavka* -'calotte'). წესისამებრ, პევიარი ახნა-განმარტების გარეშე არ ტოვებს რუსულ სიტყვებს და მათი თარგმანის ვარიანტებს სქოლიოში გვთავაზობს. გარნეტი და ედმონდსი ცდილობენ ეკვივალენტები დაძებნონ და არც რუსული ლაკუნების ინგლისური ყოფისათვის დამახასიათებელი რეალიებით შეცვლაზე ამბობენ უარს. მაგალითად, ***вексель - თამასუქი*** ინგლისურად უთარგმნიათ როგორც 'IOU' (I owe you) - "მე თქვენი მმართებს", ანუ ვალის აღიარების ცნობილი გამონათქვამით, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ თამასუქის გაფორმება წეროლობითი ფორმაა, 'IOU' მხოლოდ ზეპირსიტყვიერია და მას იურიდიული ძალმოსილება არ გააჩნია, ამიტომ თარგმანი ერთგვარად ბუნდოვანს ტოვებს მკითხველისათვის, ვალი ზეპირსიტყვიერია თუ იურიდიული ძალმოსილების მქონე. თუმცა, გარნეტი კულტურულ სუბსტიტუციას ირჩევს; ედმონდსი მხოლოდ დრო და დრო გადმოაქვს რუსული სიტყვები და მათ სქოლიოში განმარტავს, ასე მოხდა სიტყვა *zemstvo*-ს შემთხვევაში. დოული წიგნის ბოლოს რუსული სიტყვარს დაურთავს და თარგმანში ტრანსლიტერირებულ ფორმებს ან იქ განმარტავს, ან თავად ტექსტშივე. იგი თარგმანში მიმართავს ნასესხობა+განმარტების მეთოდს.

საკუთარი სახელების თარგმანი ქართულიდან ინგლისურ ენაზე

რამდენი ოფიციალური სამსახურის ვებგვერდია რეგისტრირებული დღეს საქართველოში, რომელიც ადგილობრივ სიახლეებს ინგლისურენოვან მკითხველს სთავაზობს? ზუსტი ციფრის დადგენა, ალბათ, საინტერესოა, მაგრამ მთარგმნელობითი პრაქტიკის ავკარგიანობის საკვლევად ჯობს მათ ხარისხობრივ მაჩვენებლებს დავაკვირდეთ.

სადღეისოდ, დაინგრა მითი იმის თაობაზე, რომ მხოლოდ მშობლიურ ენაზე უნდა ვთარგმნოთ. დღევანდელ მსოფლიოში იმდენი საინფორმაციო ტექსტი ითარგმნება უცხო ენაზე, რომ შეუძლებელია კერძო თუ სახელმწიფო სამსახურებმა იმდენივე უცხოელი მთარგმნელი ჩაბან საკუთარი ინფორმაციის გასავრცელებლად. ზემოაღნიშნული ვებგვერდები მშობლიურიდან უცხო ენაზე ითარგმნება და ბუნებრივია, შეცდომებისაგან დაზღვეული არაა. განსაკუთრებით დასანანია უცხოური საკუთარი სახელების ქართულიდან ინგლისურ ენაზე შეცდომით ტრანსლიტერატია-ტრანსკრიფცია. მით უფრო, როდესაც ინფორმაციას სახელმწიფო სამსახური ავრცელებს, მათ შორის, სოციალური ქსელების საშუალებით და მას მასობრივად ეცნობა მკითხველი, მათ შორის, ის ადამიანიც, ვისი სახელიც შეცდომით არის გადატანილი ინგლისურ ენაზე; სახელმწიფო სამსახურის ინფორმაციის გამავრცელებელი წყარო შესაძლოა სხვა სამსახურებმა დამოწმებისათვის გამოიყენონ, მათ შორის, როგორც სახელის უცხოურად მართლწერისათვის. ასე ჯაჭვურად გავრცელდება უცხოური საკუთარი სახელის ქართულიდან ინგლისურად ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის მცდარი ვერსია. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი საქართველოში პოლონეთის ელჩის, მარიუშ მაშკიევიჩს შეეხება, მისი სახელი ერთდროულად რამდენიმე საინფორმაციო ვებგვერდზე შეგვხვდა:

სოციალური ქსელი ფეისბუქი:

February 22 at 9:38am ·

Head of State Security Service of Georgia Held Meeting with Ambassador of Poland to Georgia Vakhtang Gomelauri, head of State Security Service of Georgia held an introductory meeting with Mariush Mashkievich, newly appointed Ambassador of Poland to Georgia.

საქართველოს ერთ-ერთი სამსახურის ვებგვერდი:

22-02-2017

HEAD OF STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA HELD MEETING WITH AMBASSADOR OF POLAND TO GEORGIA

Vakhtang Gomelauri, head of State Security Service of Georgia held an introductory meeting with Mariush Mashkievich, newly appointed Ambassador of Poland to Georgia.

During the meeting the parties discussed basic directions of existing cooperation between relevant agencies of Georgia and Poland. Talks were also held on worldwide and regional developments. Parties highlighted existing challenges which the two countries face. Future plans and cooperation perspectives were also the issue of discussion.

აჭარის ტელევიზიამ მცირედი შესწორება შეიტანა და საკუთარი სახელი სწორი ტრანსკრიფციით დაწერა:

13, March 2017 18:27:00

Polish Ambassador hosted Batumi Maritime Academy. Irakli Sharabidze and Mariusz Mashkievich were discussed future cooperation between Maritime Academy and the Polish Navy Institution. Embassy representatives got acquainted with Naval Academy studying process and inspected the material-technical base.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სამოქალაქო პორტალი:

http://adjara.gov.ge/EngPage.aspx?gtid=557318#.WNDlsW-GPIU

Zurab Pataradze, the Chairman of Ajara AR Government held an introductory meeting with Mariush Mashkievich, Ambassador of Poland to Georgia.

ფრაზეოლოგიზმი და თარგმანი

თუ ანდაზა შეიცავს ეროვნული კოლორიტის მქონე რეალიას, მისი თარგმნა მიმღები კულტურის ხალხური ანდაზით სრულიად უმართებულოა. განვიხილოთ შემდეგი ანდაზა: 'One doesn't carry coals to Newscastle' მისი რუსულენოვანი შესატყვისია 'One doesn't carry samovars to Tula' - რაც უკვე რუსულენოვანი მკითხველისათვის მშობლიურზე მშობლიურია და ინგლისური დედნის შთაბეჭდილების ასოციაცია სრულიად იკარგება, თარგმანში შემოდის ინგლისური დედნისათვის სრულიად უცხო ელემენტი. წარმოვიდგინოთ, რა ასოციაცია შეექმნება სამოვრის ხსენებაზე რუს მკითხველს? რომ ინგლისელებიც სამოვრიდან მიირთმევენ ჩაის და რუსული ანდაზებით საუბრობენ. კოლორიტი, რეალია თუ არ არის ანდაზაში, რომელიც მშობლიური კულტურული სივრცის მცდარ ილუზიას შეუქმნის თარგმანის კითხვისას;

1. მთარგმნელს შეუძლია შეცვალოს SL იმიჯი სტანდარტული TL იმიჯით, რომელიც ამ ენის კულტურასთანაა შესაბამისობაში, მაგ.: "Other fish to fry", an "jump into the lion's mouth", "when in Rome, do as Romans do", "if you can't beat them, join them", - ნებისმიერი კარგი მთარგმნელი ზემოთ მოყვანილ მეტაფორებს განიხილავს, როგორც რთულ მეტაფორებს, რომელთა საკუთარ ენაზე თარგმნა შეუძლია სტანდარტული შესატყვისით; აღნიშნული რთული მეტაფორები, "ხავსმოდებული", ანუ კლიშედქცეული იდიომები და ანდაზებია, რომლებიც გარკვეული რიტმითაც ხასიათდებიან, ხოლო გერმანულ ენაში ამგვარი არქაული ანდაზები გარითმულიც კია: "unter Dach und Fach".

რაც შეეხება ევფემიზმის თარგმნას, მათი SL იმიჯი TL კულტურისათვის შესაბამისი ეკვივალენტით იცვლება, რომლებიც ასევე მეტაფორებს წარმოადგენენ, აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, ცდილობს თუ არა მთარგმნელი SL-ის მსგავსი იმიჯის უცვლელად შენარჩუნებას TL-ზე, რათა მკითხველზე ანალოგიური ეფექტური ზეგავლენა მოახდინოს, თუ მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემას ემსახურება.

ანალოგიური პრინციპი, რაც ანდაზების თარგმნისას განვიხილეთ, უდევს საფუძვლად იდიომების თარგმნასაც. ქ. კანდელაკი თავის შრომაში "ინგლისური მეტაფორული იდიომები და მათი ქართული ეკვივალენტები", გამოჰყოფს შესაბამისობის სამ ტიპს. პირველი ტიპი წარმოადგენს თარგმანს იდიომატური პარალელებით:

To Turn one's nose - ცხვირის აბზეკა, აწევა;

To have bats in one's belfry - თავში ოფოფები უფრენს;

To put one's foot down - ფეხი დაჭირა;

უფრო მეტია არასრული იდიომატური პარალელების ხვედრითი წონა, მაგალითად შექსპირის თარგმანიდან: "I see lady that the gentleman is not in your books"- "როგორც ჩანს ქალბატონო, თქვენ მას ცუდი თვალით უყურებთ";

თეორეტიკოსთა შორის არსებობს მოსაზრება, რომ ფრაზეოლოგიზმები, მათი სტრუქტურული და სტილისტური უნიკალურობის გამო, უთარგმნელი ენობრივი კატეგორიაა. მით უფრო, დეფორმირებული ფრაზეოლოგიზმები, რომელთა სემანტიკური მნიშვნელობის მთლიანობა დარღვეულია და პირვანდელი სახე მხოლოდ ნაწილობრივ არის შენარჩუნებული.

ვ. ს. ვინოგრადოვი გამოჰყოფს ლექსიკურ, პრედიკატიულ და კომპარატიულ ფრაზეოლოგიზმებს;

ლექსიკურ ფრაზეოლოგიზმებს განეკუთვნება ლექსიკურ ერთეულთა კომბინაცია: არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი:

ლურჯი ფრინველი, ურწმუნო თომა, ვარდისფერი ოცნებები, важная птица, old wine in new bottles, white collar crime...skeleton in the cupboard, seven deadly sins.

არსებითი სახელი + არსებითი სახელი:

ხელიდან ხელში, ხმალი ხალთაში, ნემსი თივაში, ზღვაში წვეთი... In the pink health.

პრედიკატიულ ფრაზეოლოგიზმებს განეკუთვნება ლექსიკურ ერთეულთა კომბინაცია:

ზმნა + არსებითი სახელი:

ენაზე კბილის დაჭერა, გულის გატეხვა, მღვრიე წყალში თევზის დაჭერა, To wash one's clean linen in public, to Paddle your own canoe, All that glitters is not gold / All that glisters is not gold, Beware the ides of March, it is Greek to me, Frailty, thy name is woman.

კომპარატიული ფრაზეოლოგიზმები:

As proud as a peacock;

As slippery as an eel;

As deaf as a post;

As ugly as sin;

As stubborn as a mule;

As cunning as a fox;

As poor as a church mouse;

As hard as nails; - nattily naughty

As thin as a spike;

As brave as a lion;

As white as sheet;

As silly as a goose.

ვინოგრადოვი მიუთითებს, რომ პრედიკატიული მყარი შესიტყვების თარგმნა რთულ ამოცანას წარმოადგენს.

როგორც ნ. საყვარელიძე წერს, „ენათა განვითარების დღევანდელ ეტაპზე ძალზე ჭირს ფრაზეოლოგიზმთა სადაურობის გარკვევა, ანუ იმის დადგენა, თუ შინაგანი ფორმით ეკვივალენტური ფრაზეოლოგიზმებიდან რომელია თარგმნითი ვარიანტი და რა შემთხვევაში გვაქვს უბრალოდ დამთხვევა“ (გვ. 165).

შესაძლოა, ინგლისური ფრაზეოლოგიზმი წარმოადგენდეს საბაზო ფორმას და ქართული და რუსული ფრაზეოლოგიზმების შინაგანი ფორმები ერთმანეთს ემთხვეოდეს, ანუ, კომპონენტები სემატიკურად ეკვივალენტურია. შინაგანი ფორმების ამგვარი დამთხვევა გვხვდება ანდაზებში, იდიომებსა და მყარ შესიტყვებებში.

ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ ფრაზეოლოგიზმების შინაგანი ფორმების დამთხვევა შეპირობებულია თარგმნითი სესხებით, რაც მიუთითებს ფრაზეოლოგიზმების ადაპტაციას ამა თუ იმ ენასა და კულტურაში თარგმნის გზით. თარგმანის თეორეტიკოსი გ. წიბახაშვილი კალკირებული ფრაზეოლოგიზმების ადაპტაციის შესახებ წერდა, რომ „ოდესაც კალკირებული ფრაზეოლოგიზმები სხვადასხვანაირად ეგუებიან მსესხები ენის ნორმებს, ზოგი საფუძვლიანად „შინაურდება“ და „საკუთარის“ სტატუსს იღებს, ზოგი მალე იკარგება, ან პასივში გადადის, ზოგი კი არქაიზმის ელფერს ვერ იცილებს და ამიტომ მისი სტილისტური შესაძლებლობებიც შეზღუდულია“ (წიბახაშვილი, გვ. 70).

სწორედ ამ ტიპის ავტორისეული ფრაზეოლოგზმის შესახებ წერს ნ. საყვარელიძე:

“He was the fellow who had burnt the midnight oil, bedded with a spur, and written books himself”.

“ღამეებს ათენებდა, ნავთს დაუზოგავად წვავდა, ლოგინში დეზებს იგდებდა”.

ფრაზა „bedded with a spur“ საავტორო ვარიანტია, წარმოქმნილი იმ ფრაზეოლოგიზმების ნიადაგზე, რომლებშიც ფიგურირებს კომპონენტი spur და რომლებშიც სიჩქარის, გადაუდებლობის სემებია აქტივიზებული:

to need a spur, to put spur, on the spur of time.

ზემოთ მოყვანილი ფრაზაც სიჩქარესა და ძილის ხარჯზე დროის მოგებას აღნიშნავს, თუმცა, როგორც ნ. საყვარელიძე წერს, „თარგმნით ვარიანტში გამონათქვამის

ასეთი მეტაფორიზაცია არ იგრძნობა, რის გამოც აზრი კურიოზული თუ არა, ბუნდოვანი მაინც არის" (გვ. 169).

ფრაზეოლოგიზმების თარგმნის მეთოდიკაში შემდეგ 5 პრინციპს გამოჰყოფენ:

1. სრული ეკვივალენტით თარგმანი;
2. ნაწილობრივი ეკვივალენტით თარგმანი;
3. კალკირებით, ანუ სემანტიკური თარგმანი;
4. ფსევდო-ფრაზეოლოგიზმით, ან ფსევდო-ანდაზით თარგმანი
5. დესკრიფციული/ექსპლიკაციური თარგმანი.

იდიომებთან შედარებით, ფიქსირებულ შესიტყვებებს და ანდაზებს იოლად საცნაური მნიშვნელობა აქვთ: მათში სტერეოტიპული ასპექტებია ასახული და ფატიკური კომუნიკაციის შემადგენელი ლექსიკაა:

Many happy returns, Merry Christmas
rough sea calm sea
rough texture smooth texture
rough person gentle person
rough calculation precise calculation
high marks hard exam
high opinion hard chair
high building hard journey
high price hard work
high temperarure hard person
high winds hard drugs

მეტაფორიზებული ფიქსირებული შესიტყვებებია:

She sat at the back of that class.
My back aches from all that work.
The index is in the back of the book.
I'm tired, I want to go back.
The back of the chair is broken.
The back of your jacket is strained.
Open the back of the camera to put the film into it.

იდიომის თარგმნის სტრატეგიები


იდიომი მრავალსიტყვიანი ერთეულების, ანუ ფრაზეოლოგიზმების ერთ-ერთი ტიპია, ისევე, როგორც ფრაზული ზმნები, აფორიზმები, მყარი შესიტყვებები, ფიგურული ფრაზები და კოლოკაციები. ამდენად, იდიომი ისეთივე მეტაფორიზებული გამონათქვამია, როგორც ფრაზეოლოგიზმების სხვა ტიპები. ფრაზეოლოგიზმების შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის რუს ლინგვისტს ჩ. ბალის, რომელიც მიმართავდა ტერმინებს: ფრაზეოლოგია და ფრაზეოლოგიზმუსი, ამ კატეგორიაში იგი იდიომებს აერთიანებდა. არსებობს იდიომის არაერთი განმარტება, მაგ.: მაკმორდიუ წერს:

„შეგვიძლია ვთქვათ, რომ იდიომი - ესაა რამდენიმე სიტყვა, რომლებიც, თუ ერთად შევკრებთ, სულ სხვა მნიშვნელობას გვაძლევენ, ვიდრე მათი შემადგენელი ინდივიდუალური სიტყვები ცალკეულად მოგვცემდნენ" (McMordiew, 1983:4).

რ. მუნი, საკუთარ წიგნში, „მყარი გამონათქვამები და იდიომები ინგლისურში: კორპუსის კვლევა", აღნიშნავს, რომ:

„იდიომი ესაა ამბივალენტური ტერმინი... ლექსიკური კოლოკაცია, ან ფრაზული ლექსემა, რაც დამახასიათებელია ენისათვის" (Moon, 1998 : 3).

ა. ს. ჰორნბი მიიჩნევს, რომ *იდიომი ესაა ფრაზა, რომლის მნიშვნელობის მიხვედრა ძნელია, ზოგჯერ კი საერთოდ შეუძლებელია მასში შემავალი ინდივიდუალური სიტყვების მნიშვნელობებით* (Hornby, 1995, A6).



გერმანელი ლინგვისტი, ვოლფგანგ ფლესჩერი იდიომების შემდეგ კლასიფიცირებას გვთავაზობს (Fleischer (1997, 30)

- ზედსართაული (მაგ.: DOG-TIRED - *ძალიან დაღლილი)*
- *ზმნიზედური* (მაგ.: *in the doghouse* – დაწუნებული)
- კავშირებითი (მაგ.: IN AS MUCH AS - ვინაიდან, რადგან)
- თანდებულიანი (მაგ.: BY LEAPS AND BOUNDS - ძალიან სწრაფად)
- სახელობითი (მაგ.: A COOL CAT - უდრტვინველი ადამიანი)
- ზმნური (მაგ.: *Has the cat got/cut your tongue?* ასე მიმართავენ უეცრად დადუმებულ ადამიანს, ან ბავშვს, თუ კითხვაზე ვერ უპასუხებს).

ე. პ. კოუი ინგლისურ საკუთარ ნაშრომში, OXFORD DICTIONARY OF CURRENT IDIOMATIC ENGLISH იდიომების ორ ჯგუფს გამოჰყოფს:

1. იდიომები, როგორიცაა FILL THE BILL *OR* SPILL THE BEANS *არ გამოხატავენ საკუთარ მნიშვნელობას ზედაპირულად, ასეთი იდიომების შემადგენელი სიტყვები იდიომის შინაარსს ვერ გადმოსცემს, რადგან იდიომი შინაარსს გამოხატავს როგორც ერთ მთლიანი გამონათქვამი.*

2. ნახევარ-იდიომები ისეთი მრავალსიტყვიანი ერთეულებია, რომელთა ერთერთ შემადგენელ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს ზოგადი ლექსიკური მნიშვნელობა, მეორე კი სპეციფიკური ფიგურული მნიშვნელობით იყოს დატვირთული. მაგ.: იდიომები: FOOT THE BILL, SINK ONE'S DIFFERENCES *ორივე შემთხვევაში პირველი სიტყვა ფიგურული მნიშვნელობით არის დატვირთული.*

ლინგვისტ ფერნანდოს (1996:35) ტიპოლოგიით, იდიომთა სამი ქვეკლასი გამოირჩევა:

1. წმინდა იდიომები, რომლებსაც ფერნანდო განმარტავს როგორც კონვენციურ, არაბუკვალური მნიშვნელობის მრავალსიტყვიან გამონათქვამს. წმინდა იდიომების ვარიაცია ან სრულებით შეუძლებელია, ან შესაძლებელია, მათ მცირედი ვარიაცია განიცადონ. ტიპოლოგიის ამ კატეგორიაში ფერნანდოს სწორედ იგივე ნიმუში მოჰყავს რაც კოუის: და ამბობს, რომ იდიომში: *spill the beans* ლობიოს სემანტიკური დატვირთვა ნულოვანია.

2. ნახევარ-იდიომები შედგება ორი ან სამი ლექსიკური ერთეულისაგან, რომელთაც სემანტიკური დატვირთვა ნაწილობრივ შესაძლებელს ხდის იდიომის მნიშვნელობის დადგენას და ერთი არაბუკვალური მნიშვნელობის ლექსიკური ერთეულისაგან. სანიმუშოდ მასაც იგივე იდიომი: *foot the bill* მოჰყავს.

3. მესამე ქვეკლასში კი ფერნანდო აერთიანებს **ბუკვალურ იდიომებს,** რომლებსაც აქვთ ინვარიანტული ფორმა და მათი მნიშვნელობის ინტერპრეტაცია შესაძლებელია შემადგენელი ლექსიკური ერთეულებით, მაგ.: of ***course, in any case, for certain.***

ფერნანდოს იდიომთა ტიპოლოგიის მესამე ქვეკლასი იგივეა, რაც პრაგმატიკული იდიომები, რომლებსაც ლინგვისტები სხვაგვარად რუტინულ ფორმულებსაც უწოდებენ და რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჰალიდეი გამოჰყოფდა იდიომების შემდეგ კატეგორიებს:

1. **იდეურ იდიომებს,** რომლებიც მესიჯის შინაარსს აღნიშნავს, ან მესიჯის ბუნებას ახასიათებს; იდეური იდიომები აღწერენ მოქმედებას: 'tear down', 'spill the beans', მოვლენას 'turning point', სიტუაციას: 'be in a pickle', სულიერ და უსულო არსებით სახელებს: 'a red herring' , განსაზღვრებას: 'cut-and-dried', შეფასებას: 'a watched pot never boils' ან ემოციებს: 'green with envy'.

ჰალიდეის იდეური იდიომების კატეგორია იგივეა, რაც ფერნანდოს წმინდა იდიომების კატეგორია;

2. **ინტერპერსონალურ იდიომებს,** რაც მისალმების ან დამშვიდობების ფორმულებია, 'good morning', ან შეთანხმების, 'say no more', ან დირექტივის: 'let's face it', ან დაშლის/აკრძალვის: 'come off it'. ჰალიდეის ეს კატეგორია ემთხვევა ფერნანდოს *ბუკვალურ იდიომების კატეგორიას, რომელსაც პრაგმატიკულ იდიომებს ვუწოდებთ.*

3. **რელაციურ ანუ ტექსტუალური იდიომებს,** რაც დისკურსის კოჰესიასა და კოჰერენტულობას განაპირობებს, მაგალითად, გამოთქმები 'on the contrary', 'in addition to' and 'on the other hand'.

განსხვავებები კოლოკაციასა და იდიომს შორის

ზოგადად, ყოველ ენაში ფრაზეოლოგიზმების შესწავლა და კლასიფიცირება ფრიად მნიშვნელოვანია, მაგრამ 21-ე საუკუნის გლობალურ საკომუნიკაციო გარემოში მთავარი ამოცანაა პარალელური, მულტილინგვალური ფრაზეოლოგიზმების დიგიტალური კორპუსის შედგენა და ანალიზი. ენის მთარგმნელობითი კორპუსის შედგენის წინარე ეტაპზე, ენის კვლევაში თარგმანის თეორეტიკოსების წვლილსა და დამსახურებაზე საუბრისას, ერთ-ერთი რაც აღსანიშნავია, გახლავთ ფრაზეოლოგიზმების სამეცნიერო კვლევები, მხატვრული ტექსტების ბილინგვური ან მულტილინგვური ემპირიული მასალის საფუძველზე. როგორც ბეიკერი წერს, *„ეს ფრაზები, გამონათქვამების მარავი ენის ის ლექსიკური რესურსია, რითიც სათქმელის გადმოცემა ბატონად არის შესაძლებელი.* მრავალსიტყვიანი ერთეულების კოლოკაციებისა და იდიომების ლექსიკური მნიშვნელობა ლოგიკურად არ მიჰყვება პროპოზიციულ მნიშვნელობას. კოლოკაციები ენის მოქნილი ნიმუშებია მათი დროისა და გვარის გრამატიკულ კატეგორიებში ჩასმა შესაძლებელია: **deliver a letter, letter has been delivered.** *კოლოკაციებისაგან* განსხვავებით, *იდიომები* ენის მყარი ნიმუშებია:

(ა) ისინი ვარიაციას არ ექვემდებარებიან: იდიომი, როგორიცაა **bury the hatchet** (კელავ დაუმეგობრდე ვინმეს კამათის შემდეგ) დროისა და გვარის კატეგორიებში არ გეხვდება.

(ბ) იდიომები მათი ცალკეული შემადგენელი კომპონენტების გარეშე არ გვხვდება, რადგან მათ მნიშვნელობას ყველა ამ კომპონენტის ერთიანობა განსაზღვრავს, მაგ.: **The long and short of it.**

(გ) იდიომის კომპონენტების წყობის შეცვლა დაუშვებელია, არ შეიძლება კომპონენტების გადაწყობა, მაგ.: **The short and the long of it.**

(დ) არ შეიძლება იდიომიდან სიტყვის ამოგდება: **spill beans.**

(ე) არ შეიძლება იდიომში სიტყვის ჩამატება: **The very short and long of it.**

(ვ) არ შეიძლება იდიომში ერთი სიტყვის მეორით შეცვლა: **The tall and short of it.**

(ზ) არ შეიძლება იდიომის გრამატიკული წყობის დარღვევა მაგ.:**L Face the music** ვერ შეიცვლება ფრაზით: **The music was faced.**

მყარი შესიტყვებებისა და ანდაზების მნიშვნელობა, იდიომებისაგან განსხვავებით, უფრო ნათელი და გასაგებია. იდიომებს ახასიათებთ შედარების კონსტრუქციე-

ბით მნიშვნელობის გადმოცემა, მაგ.: ***like a bat out of hell, like water off a duck's back.*** ზემოთქმულიდან გამომდინარე, იდიომების მნიშვნელობის სიტყვასიტყვით ინტერპრეტირება რეკომენდებული არ არის. ბეიკერი ასევე წერს, რომ იდიომებს აქვთ ისეთი მახასიათებლები, რითიც მკითხველის შეცდომაში შეყვანა შეუძლიათ:

1. მათი მნიშვნელობა ერთი შეხედვით მკაფიო და გასაგები შეიძლება გეჩვენოთ, ხოლო მათი იდიომატური დატვირთვა შეუმჩნეველი დაგრჩეთ.

- **Go out with someone** – რომანტიული ურთიერთობების ქონა
- **Take someone for a ride** – მოტყუება, გაცურება
- **To have cold feet** – შიში

იდიომისა და კოლოკაციის თარგმანის სირთულეების შეჯამებისას, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ზოგიერთ ენაზე იდიომას ან კოლოკაციას შეიძლება ა) მხოლოდ ერთსიტყვიანი ეკვივალენტი ჰქონდეს, ბ) მყარი შესიტყვება გამოხატავდეს, გ) იდიომი ან კოლოკაცია შეესაბამებოდეს.

პრაგმატიკული იდიომები

პრაგმატიკული იდიომების კატეგორია რუტინულ ფორმულებს აერთიანებს, მათ შორის მისალმებისა და დამშვიდობების მზა სიტყვათწყობებსაც, მაგ.: **Yours faithfully, Yours sincerely** წარმოადგენს სპეციფიკური ფორმულებს, რომლის მომდევნოდ ინგლისურენოვანი წერილის ავტორი ადრესატს აუწყებს საკუთარ ვინაობას. ამდენად, პრაგმატიკული იდიომების აქტივიზების ერთ-ერთი სფეროა ეპისტოლარული ჟანრი. პრაგმატიკული იდიომები ინტერპერსონალური, მზა სტერეოტიპებია:

- **Can I help you?**
- **Single or return?**
- **White or red?**

ენის ვარიანტულობის ისეთ შემთხვევაში, როცა წერილის დასაწყისში **dear** ფორმას მივმართავთ, შეიძლება ადრესატისადმი გამოვხატოთ როგორც ოფიციალური, ისე კეთილგანწყობილი, მეგობრული, ნეიტრალური ან გულგრილი განწყობა. ქვემოთ წარმოგიდგენთ წერილის ნიმუშს, რომელიც გრემლი და პატზოლდს სწორედ პრაგმატიკული იდიომის გულცივი ტონალობის საანალიზოდ მოჰყავთ:

Dear Ricky,

Please sign these papers and give me a divorce. I think you owe it to me…I'm sorry, yours, Chessie.

"Yours' Chessie", thought Ricky dully, what a ridiculous way to end a letter. When she's not mine anymore (J. Cooper, Polo: 125 in)

ფორმულარული აქტივიზება სრულებით ანეიტრალებს ლექსიკური ერთეულის **Dear** სემანტიკურ დატვირთვას და მას მხოლოდ ზრდილობის ადეკვატურად გადმოცემის ფუნქცია აკისრია.

არაერთ სიტუაციაში პრაგმატიკული იდიომი განეიტრალებული მნიშვნელობით გვხვდება, მაგ: **How are you?** – გახლავთ რიტუალური მოკითხვა, ე. წ. ფატიკური კომუნიკაციური დატვირთვა აქვს, მხოლოდ იმ მიზნით გამოიყენება, რომ ხაზი გაესვას გვერდით მყოფისადმი თავაზიან დამოკიდებულებას, და არამცდაარამც არ გამოხატავს ახლობლურ ინტერესს ადრესატის მდგომარეობისადმი. ვფიქრობთ, ამგვარი ფუნქციური ფორმულები ენის პრაგმატულ მარკერებს წარმოადგენენ, რომელთა აქტივიზება ლინგვისტური ქმედებაა და ოფიციალური თუ არაოფიციალური დამოკიდებულების ინდიკატორი.

იდიომს ან მყარ შესიტყვებას შესაძლოა ეკვივალენტი დაეძებნოს მიმღებ ენაზე, თუმცა მათი კონოტაციური მნიშვნელობები შესაძლოა განსხვავდებოდეს, მაგ.: **To sing a different tune** პერიფრაზია: **to signal change of opinion**; შდრ.: რუს.: **Это из другой оперы** - რომლის პერიფრაზია: **не относится к данному делу**, ხოლო ჩინურად ამ იდიომის ეკვივალენტია: **chang –dui –tai-xi** რომლის პერიფრაზია: **to sing different tunes**.

მთარგმნელს ყურადღების გამახვილება მართებს სწორედ კონოტაციათა შორის არსებულ განსხვავებებზე, რადგან კონოტაცია განაპირობებს იდიომის აქტივიზებას ამა თუ იმ კონტექსტში, მაგ.: იდიომი: **chang –dui –tai-xi** ჩინურ ენაზე **საწინააღმდეგო, ან განსხვავებულ აზრს** ნიშნავს, მაგრამ მისი აქტივიზების კონტექსტი პოლიტიკაა, რადგან ჩინურ სოციუმში ეს იდიომი დამკვიდრდა **პოლიტიკურად განსხვავებული აზრის** კონოტაციით. ნაიდა და ტაიბერი (1969: 106) იდიომების თარგმნის სამ სტრატეგიას გვთავაზობენ:

1. იდიომის თარგმნა არაიდიომით;
2. იდიომის თარგმნა იდიომით – რაც წყარო და სამიზნე ენების ტექსტთა შორის სტილისტურ ბალანსს დაამყარებს.
3. არაიდიომის თარგმნა იდიომით.

ნაიდასა და ტაიბერის თეორიული რეკომენდაციის მიხედვით, იდიომი არ უნდა ითარგმნოს სიტყვასიტყვით, ასეთ თარგმანს ისინი მიუღებლად მიიჩნევენ, რადგან სიტყვათა შეთანხმებები არაბუნებრივი და მოუხერხებელია.

to know the right nerve to touch - იდიომი სიტყვასიტყვით ნიშნავს ადამიანის გაშიშვლებულ ნერვზე შეხებას, რაც ტკივილის, გაღიზიანების ბუნებრივ რეფლექსს გამოიწვევს. იდიომატური შესატყვისია: *სუსტი წერტილის მონახვა, აქილევსის ქუსლის პოვნა.*

get to the bottom of anything - იდიომის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობაა სიმართლის აღმოჩენა /შეტყობა რაიმეს შესახებ. იდიომატური შესატყვისია *საქმის ძირისძირამდე ჩაღწევა.*

to have to play by ear -იდიომი სიტყვასიტყვით ნიშნავს მუსიკალური ნაწარმოების ინსტრუმენტზე აწყობას და დაკვრას მხოლოდ სმენით; იდიომატური შესატყვისია *საქმის ალღოთი მიყოლა.*

before you could spit' იდიომი სიტყვასიტყვით ნიშნავს სისწრაფეს, ხოლო მისი იდიომატური შესატყვისია *თვალის დახამხამებაში.*

ქართულ ენაზე თარგმნილ იდიომს უნდა ახასიათებდეს სისხარტე და ხატოვანება, რაც იდიომის იდიომითვე თარგმნისას არის შესაძლებელი; ხოლო თუ მთარგმნელი იდიომის სიტყვასიტყვით, ანუ კალკირებით თარგმნის სტრატეგიას აირჩევს, შინაარსი ადვილად აღქმადი უნდა იყოს.

მ. ბეიკერი თარგმანის თეორიის საკუთარ სახელმძღვანელოში იდიომის თარგმნის შემდეგ მეთოდებს ჩამოთვლის:

1. *მსგავსი ფორმისა და შინაარსის იდიომის აქტივიზება*, რაც იდეალური გადაწყვეტილებაა, თუ, გარდა სემანტიკური ეკვივალენტურობისა, გათვალისწინებულია სტილის, რეგისტრისა და რიტორიკულობის ეფექტი.

ლიტველი ლინგვისტი მ. სთრაკშენე წერს, რომ თარგმანის პირველი ტიპის ნიმუშია ინგლისური იდიომის **nine times out of ten** ზუსტი ლიტვური შესატყვისი: **devyni kartai iš dešimties** (სთრაკშენე 2009:16). აღსანიშნავია, რომ იგივე იდიომი, ათიდან ცხრა შემთხვევაში ქართულ ენაშიც არის დამკვიდრებული.

2. *მსგავსი მნიშვნელობისა და განსხვავებული ფორმის იდიომის გამოყენება*; ნიმუშად შეიძლება მოვიყვანოთ ინგლისური იდიომის **One good turn deserves another** ეკვივალენტები: ფრანგულ ენაზე: **A beau jeu beau retour** რაც ნიშნავს: **a handsome action deserves a handsome return.** რუსულ ენაზე: ***услуга за услугу*** და ქართულ ენაზე: **სიკეთეს სიკეთით უპასუხო, მადლს გადახდა უნდა.** ინგლისური იდიომის: **He was like a cat on hot bricks** ლიტვურ ენაზე თარგმანის ვარიანტად სთრაშკენეს მოჰყავს **darosi neramu,** რომელიც სტრუქტურულად განსხვავებულია; ორიგინალის იდიომისაგან განსხვავებით, ის არ წარმოადგენს შედარების კონსტრუქციას, თუმცა მას თითქმის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც. SL ტექსტის იდიომს. (სთრაკშენე 2009:16). ქართულ ენაზე მას იდიომი **ეკლებზე ჯდომა** შეესაბამება.

3. *პერიფრაზის აქტივიზება*: როდესაც TL ენაზე იდიომს ეკვივალენტი არ დაეძებნება სემანტიკურ, სტილისტურ, რეგისტრისა და რიტორიკული ეფექტის დონეზე, პერიფრაზი ერთადერთი სტრატეგიაა რასაც მთარგმნელმა უნდა მიმართოს. ბეიკერი წერს, რომ ინგლისური იდიომი: **To push another pony past the post** არაბულ ენაზე პერიფრაზით ითარგმნა, რომლის ინგლისური უკუთარგმანია: **helping another competitor to reach the end of the race;** ამ იდიომის პერიფრაზი ქართულ ენაზე იქნება: **გზა გაუკაფო გამარჯვებისაკენ სხვა კანდიდატს,**

ლობირება გაუწიო სხვა კანდიდატს, მხარი დაუჭირო სხვა კანდიდატს. ინგლისური იდიომის: To get a handle on the issue ქართული პერიფრაზი იქნება: მართო / აკონტროლო სიტუაცია. იდიომის პერიფრაზით თარგმნა მართებულია, თუ ორიგინალში იდიომით აგებულია სიტყვათა თამაში და თარგმანში ამ სტილისტური ეფექტის:

Doolittle. Don't *take a man up* like that Governor. (Shaw, *Pigmalion*, p. 61).

დულიტლი - ასეთ კაცად ნუ მიმიღებთ, უფროსო.

Higgins. The *police shall take you up.*

ჰიგინსი - შენ პოლიცია მიგიღებს, პოლიცია.

4. *გამოტოვება*: იდიომი შესაძლოა სრულებით გამოვტოვოთ თარგმანის ტექსტში, თუ: ა. არ დაიძებნება მათი ეკვივალენტები; ბ. პერიფრაზირებას არ ექვემდებარება; გ. სტილისტური მოსაზრებით არაა აუცილებელი იდიომის თარგმნა. მხატვრულ პროზაში იდიომის გამოტოვების შედეგია მხატვრულ-სახეობრივი აზროვნების გაფერმკრთალება:

მოლოდინი უსაზღვრო ზღვადა დგას იმათ გულში

Ожидание переполняет их сердца.

5. *კომპენსაცია*, ანუ ორიგინალის ტექსტის იდიომატურად გადმოცემული ნააზრევის ხატოვანების ანაზღაურება თარგმანში საჭიროა, თუ იდიომი იდიომით ვერ ითარგმნება; კომპენსაციის ფუნქციაა გამოტოვებული იდიომის ნაცვლად თარგმანის ტექსტში ნებისმიერი მომდევნო აზრი იდიომატურად გამოხატოს.

რაც შეეხება სპეციფიკური ფორმულების ტიპის პრაგმატიკული იდიომების თარგმანას, ისინი მიმღები ენის ეკვივალენტური ფორმულით უნდა გადმოიცეს.

აღსანიშნავია, რომ იდიომის თარგმნის დროს არ მივმართავთ *კალკირებას*, რომელიც ფრაზეოლოგიზმების თარგმნის ერთ-ერთი სტრატეგიაა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნახევარ-იდიომს შეიძლება წყარო ენაზე როგორც სიტყვა-სიტყვითი, ისე იდიომატური მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგ.: იდიომს *ცხვირის ჩაყოფა* აქვს *ცნობისმოყვარეობის* კონოტაცია, ხოლო ეკვივალენტური ინგლისური იდიომია ***poke one's nose stick/ into something***. ლონგმენის თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკონი აღნიშნული იდიომის შემდეგ განმარტებას გვაძლევს: (Longman Dictionary of Contemporary English):

poke one's nose stick/ into something - to become involved in something that does not concern you, in a way that annoys people.

ლიტველი თარგმანის თეორეტიკოსი წერს, რომ ლიტვურ ენაში ეკვივალენტი დაეძებნება იდიომს: to poke your nose რომელიც ლიტვურად არის kišti nosį;

უნდა აღინიშნოს, რომ სხეულის სხვა ნაწილებთან. მაგ.: ხელთან და პირთან შედარებით, *ცხვირი* საკმაოდ იშვიათად გვხვდება ინგლისურ იდიომატურ გამონათქვამებში და დასავლურ კულტურებში მას, ზოგადად, აქვს იუმორისტული ან ირონიული კონოტაცია, როგორც ჩანს, ინგლისურენოვან სამყაროში ცხვირის კონცეპტთანაა დაკავშირებული შეფასებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება რაიმე ქმედების ან მოვლენისადმი. მაგ.: wrinkle one's nose გამოხატავს სუბიექტის/აგენტის უარყოფით შეფასებასა და დამოკიდებულებას. ზოგიერთი იდიომი, მაგ.: *look down one's nose* გადმოგვცემს როგორც სუბიექტის/აგენტის, ისე მოსაუბრის უარყოფით შეფასებას და განწყობას ქმედების ან მოვლენისადმი. სუბიექტს/აგენტს არ მოსწონს რალაც, რითიც, ამავე დროს გამოხატავს მოსაუბრის აზრსაც, ხოლო მოსაუბრე, თავის მხრივ, ამ იდიომის წარმოთქმით, ადასტურებს, რომ არ იწონებს სუბიექტის/აგენტის ქმედებას. ზოგიერთი იდიომი მხოლოდ მოსაუბრის უარყოფით შეფასებას გამოხატავს, მაგ.: *pay through the nose* მეტისმეტად ძვირი საფასურის გადახდა რაიმეში.

მთარგმნელს შეუძლია შეცვალოს SL იმიჯი სტანდარტული TL იმიჯით, რომელიც ამ ენის კულტურასთანაა შესაბამისობაში. რთული მეტაფორები, მაგ.: "Other fish to fry", an "jump into the lion's mouth", "when in Rome, do as Romans do", "if you can't beat them, join them". აღნიშნული გამონათქვამები რთული მეტაფორები, "ხავსმოდებული", ანუ კლიშედქცეული იდიომები და ანდაზებია, რომლებიც გარკვეული რიტმითაც ხასიათდებიან.

ჰილარ ბელოკმა (1870-1953) - ფრანგულ-ინგლისურენოვანმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ ექვსი ძირითადი წესი ჩამოაყალიბა პროზაული ტექსტების თარგმანისათვის, რომელთაგან ერთ-ერთის მოთხოვნით, მთარგმნელმა იდიომი იდიომით უნდა გადმოსცეს. მთარგმნელები ეკვივალენტობის მიღწევას ხშირად სიტყვასიტყვით, ანუ კალკირებით ცდილობენ. ცნობილია, რომ კალკირებული იდიომები ენაში მკვიდრდებიან და ქმნიან არაბუნებრივ ენობრივ მოვლენებს. მთარგმნელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ იდიომებს კულტურისმიერი ნიშნადობა ახასიათებთ. მთარგმნელის წარმატებაც და მარცხიც ხომ მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ სჯობს, იდიომი ითარგმნებოდეს ტრადიციული გამონათქვამებით და თავი ავარიდოთ კრიტიკულ ბრალდებებს, რომ თარგმანი ანგლიციზმებით, გერმანიზმებით და ა. შ. არის გაჯერებული.

უეკვივალენტო ლექსიკის სხვა კატეგორიები

უეკვივალენტო ლექსიკის სხვა კატეგორიებია:

1. კრებითი კონკრეტული საზოგადო სახელი, რომელიც აღნიშნავს ერთგვარ საგანთა კრებულს, როგორიცაა: ხალხი, ერი, ჯარი, მოწაფეობა, სტუდენტობა, ჯოგი, გუნდი, ფარა, ხროვა...

შენიშვნა: კრებითის მნიშვნელობა აქვს ნარ სუფიქსით წარმოქმნილ სახელს. მაგ.: ნაძვ-ნარ-ი, დაფ-ნარ-ი, ფიჭვ-ნარ-ი, წაბლ-ნარ-ი, ბუჩქ-ნარ-ი, ყვავილ-ნარ-ი, თიხ-ნარ-ი... ნარ სუფიქსით წარმოქმნილი სახელი აღნიშნავს ადგილს, სადაც უხვად არის ესა თუ ის საგანი.

2. ნივთიერებათა სახელები

უეკვივალენტო ლექსიკის კატეგორიას განეკუთვნებიან ნივთიერებათა სახელებიც, რომლებიც აღნიშნავენ ისეთ საგნებს, რომელთა დათვლა და ცალკე ერთეულებად წარმოდგენა შეუძლებელია. მაგ., ოქრო, ვერცხლი, რკინა, სპილენძი, თუჯი, შაქარი, რძე, თაფლი, ნივთი, ლობიო, მუხუდო, ფეტვი, ბურღული, ფქვილი, მატყლი, ბამბა, ქარვა, ქვანახშირი... ნივთიერებათა სახელებით აღნიშნული საგნები შეიძლება აიწონოს, საწყაოთი გაიზომოს, დათვლა კი შეუძლებელია, ამიტომ ნივთიერებათა სახელს მსაზღვრელად შეიძლება ახლდეს წონისა თუ საწყაოს აღმნიშვნელი სახელები, როგორიცაა: მისხალი, გრამი, კილოგრამი, ფუთი, ტონა, ჭიქა, ვედრო, ბოთლი... აგრეთვე სიტყვები: ბევრი, ცოტა. მაგ., ითქმის: მისხალი ოქრო, კილოგრამი შაქარი, ფუთი ფქვილი, ტონა ქვანახშირი, ჭიქა წყალი, ბოთლი რძე, ბევრი მატყლი... ნივთიერებათა სახელები ყველა კონკრეტულია და საზოგადო.

3. გრამატიკული სქესი

„გრამატიკული სქესი, რა თქმა უნდა, ბიოლოგიურ სქესს არ გულისხმობს. მხოლოდ სქესის კლასების სახელწოდებებში, როგორც ლინგვისტურ ტერმინებში, ჩანს ერთგვარი შესაბამისობა ბუნებასთან: მამრობითი, მდედრობითი და საშუალო, თუმცა ამათგან რეალურად საშუალო სქესი ცოცხალი ბუნებისათვის უცხოა. სქესის კატეგორიის მქონე სხვადასხვა ენები ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა სქესს მიაკუთვნებენ. სიტყვა „წიგნი“ (книга) რუსულში მდედრობითი სქესისაა, გერმანულში იგივე სიტყვა (das Buch) საშუალოა, ხოლო ფრანგულში (le livre) მამრობითი სქესის კლასში შედის. ქართული სახელები სქესის კატეგორიას ვერ გამოხატავენ, არ ხდება მათი დაჯგუფება ან

დაპირისპირება სხვადასხვა სქესის მიხედვით გარკვეული გრამატიკული ნიშნით. თუმცა ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ ქართულმა ენამ სქესის კატეგორია დროთა განმავლობაში დაკარგა: „შესაძლებელია, გადაჭრით ითქვას, რომ ცნობილი ძეგლების ენის მიხედვით ქართულს ძველ ხანაშიც გრამატიკული სქესი არ ჰქონია. მაგრამ ქართული დამწერლობის ძეგლები ქ. შ. მე-V ს-ზე უწინარესი ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება და ამის გამო ზემოაღნიშნული დასკვნა უფლებას არ გვაძლევს გადავწყვიტოთ, გრამატიკული სქესის უქონლობა ქართული ენის დასაწყისითგანი თვისება იყო, თუ, სხვა ენასავით, ქართულსაც სქესი დროთა განმავლობაში დაუკარგავს“ (ჯავახიშვილი, 1992, 172).

ამ დებულებას იქითკენ მივყავართ, რომ ქართულმა ენამ გრამატიკული სქესი არ იცის, სიტყვის მნიშვნელობით ირკვევა ბიოლოგიური სქესი: მამაკაცი და დედაკაცი, მამანი და დედანი, მამალი და დედალი, ვაჟი და ქალი, ბიჭი და გოგო, ხვადი და ძუ, ძე და ასული.

გრამატიკული ტრანსფორმაცია

გრამატიკული ტრანსფორმაციის ტიპები: გადაადგილება, ჩანაცვლება, გამოტოვება, დამატება

თარგმანის თეორეტიკოსის, კომისაროვის კლასიფიკაციით, გრამატიკული ტრანსფორმაციის კატეგორიებს მიაკუთვნება: (1) სიტყვასიტყვითი თარგმანი, ანუ სინტაქსური მიმსგავსება; (2) გრამატიკული ჩანაცვლებები (წინადადების წევრებისა და მეტყველების ნაწილების გადანაცვლება, ან ჩანაცვლება, მეტყველების ნაწილის ფორმაცვალებადობა, რიცხვის ცვალებადობა, გამოტოვება და ა. შ.); (3) წინადადებების დანაწევრება; (4) გრამატიკული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი კატეგორიაა კომპლექსური, ანუ ლექსიკო-გრამატიკული ტრანსფორმაციაც, რომელიც მოიცავს რამდენიმე ქვეტიპს: (4:1) ექსპლიკაციას, ანუ აღწერილობით თარგმანს, (4:2) ანტონიმურ თარგმანს და (4:3) კომპენსაციას.

გრამატიკული ტრანსფორმაციების კატეგორიების მეტ-ნაკლებად მსგავს ვარიაციებს გამოყოფენ სხვა თეორეტიკოსებიც: **წინადადების წევრების გადანაცვლება, წინადადების წევრების ჩანაცვლება, მეტყველების ნაწილების (ნებისმიერი ცვლილება, მაგ. რიცხვის) ჩანაცვლება და წინადადებების დანაწევრება და გაერთიანება.**

წინადადების თემა-რემატული წყობა დედანსა და თარგმანში

მთარგმნელობითი ეკვივალენტობის მიღწევა და თარგმნის ადეკვატურობა მთარგმნელისაგან, უპირველეს ყოვლისა, ე.წ. მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების - მრავალრიცხოვანი და განსხვავებული ენათშორისი გარდაქმნების უნარს მოითხოვს, რათა თარგმნილმა ტექსტმა სრულად გადმოგვცეს საწყის ტექსტში მოცემული ინფორმაცია და ამავე დროს დაიცვას თარგმანის ენის ნორმები (Аноллова, 1973).

წინადადების წევრთა გადაადგილება, ანუ გრამატიკული სტრუქტურის ტრანსფორმაცია, განპირობებულია უამრავი მიზეზით, რომელთაგან უმთავრესი მიზეზი გახლავთ ინგლისურ და ქართულ წინადადებათა განსხვავებული წყობა. როგორც ვიცით, ინგლისურენოვანი წიანდადების წევრთა წყობა მტკიცედაა დაკანონებული და კონსტრუქცია იერარქიულობით ხასიათდება. **როგორია თემა-რემატული სტრუქტურა ინგლისურ წინადადებაში?**



participant, circumstance, or process" (Halliday, 1994:52) and Rheme is "the remainder of the message" (Halliday, 1994:67), i.e. everything which is not Theme. Examples 3.3 and 3.4 illustrate the way in which Halliday identifies Theme and (by implication) Rheme in the clause:

Example 3.3 Unmarked Theme

China	started its massive programme of tax reform as part of an overall economic restructuring in January 1994.
Theme	Rheme

Example 3.4 Marked Theme

In January 1994,	China started its massive programme of tax reform as part of an overall economic restructuring.
Theme	Rheme



როგორც ჰალიდეი წერდა, წინადადების დასაწყისში გვხვდება: თემა (უკვე ცნობილი ინფორმაცია) რომელსაც მოჰყვება სიახლე (ახალი ინფორმაცია), ანუ თემა და რემა. ინგლისურ სტრუქტურაში წინადადების მთავარი წევრები, ქვემდებარე და შემასმენელი, წინადადების საწყის პოზიციაზე არიან განთავსებული, ხოლო მათ წინადადების არამთავარი წევრები მოჰყვება.

(1) განვიხილოთ სამეცნიერო-პოლიტიკური ტექსტის თემა-რემატული სტრუქტურა ინგლისურ წინადადებაში. ქართულ-ინგლისური პოლიტიკური კორპუსის მონაცემთა ბაზების საძიებო ველში შეგვყავს ინგლისური არსებითი სახელები: government, civil, democracy:

თემა	რემა	თემა	რემა
18. 3147 "That depends very much on reform path of the government," she said.	but of course the work needs to be done by the government and the parliament.""We are willing to try to help,	„ეს დიდწილადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ რეფორმების განხორციელებაზე", – განაცხადა მან,	„ჩვენ მზად ვართ დავეხმაროთ,მაგრამ, რა თქმა უნდა, სამუშაო მთავრობამ და პარლამენტმა უნდა შეასრულონ". ... სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი

23. 3037 Most measures	also include aspects of the minimum quality of functioning of government.	უმეტესი საზომები	კონტექსტი ..ასევე მოიცავს მთავრობის ფუნქციონირების მინიმალური ხარისხის ასპექტებს. სექცია: Content | კატეგორია:
25. 3141 "We had good relations with the former government	we have good relations with this government," she said	„ჩვენ კარგი ურთიერთობები გვქონდა წინა მთავრობასთან	ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს ამ მთავრობასთან", – განაცხადა მან. ... სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი
61. 1208 Space for independent civil society	is narrow	დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოების სამოქმედო არეალი	ვიწროა. ... სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი
974. 3005 Democracy	can be seen as a set of practices and principles that institutionalise and thus ultimately protect freedom.	დემოკრატია	შეიძლება განვიხილოთ როგორც პრაქტიკისა და პრინციპების კრებული, რომელიც ამკვიდრებს და ამდენად, საბოლოო ჯამში იცავს თავისუფლებას. სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი

ქართულ-ინგლისური პოლიტიკური მეცნიერების კორპუსიდან განხილული მაგალითები ადასტურებს, რომ ამ ჟანრის ინგლისურ-ქართული თემა-რემატული წყობა თანხვდება.

(2) განვიხილოთ ქართული წერილობითი სამაუწყებლო ჟანრის სტილი, რომელიც სამეცნიერო-აკადემიური სტილისაგან დინამიზმით გამოირჩევა. საინფორმაციო ტიპის ტექსტში ხშირია წინადადების წევრების გადანაცვლება თარგმნისას, რასაც განაპირობებს „საინფორმაციო ენის" სინტაქსური წყობის სპეციფიკა; მაგალითი მოგვყავს საინფორმაციო ვებგვერდიდან Civil-ge: (Civil Georgia, Tbilisi / 29 მარ.'17 / 14:05)

შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის ამოქმედების აღსანიშნავად პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მთავრობის წევრებთან, დეპუტატებთან და სტუდენტების ჯგუფთან ერთად 28 მარტს ბრიუსელში ჩავიდა. მანამდე დელეგაცია ათენს სტუმრობდა.

მაგალითით დასტურდება, რომ სიახლეს, ანუ რემას, ან რემის ნაწილს, სამაუწყებლო ჟანრი ათავსებს წინადადების საწყის პოზიციაზე. განვიხილოთ ინგლისური წინადადება:

Prime Minister Giorgi Kvirikashvili, accompanied by cabinet ministers, MPs and a group of students, traveled to Brussels on March 28 to celebrate the launch of the visa-free regime to the European Union, following the delegation's visit to Athens, Greece.

ინგლისურ წინადადებაში, განსხვავებით ქართულისაგან, რემა საწყის პოზიციაზე არ არის გადანაცვლებული და ისევე იკავებს თემის მომდევნო ადგილს, როგორც ეს ზემოთ განხილული სამეცნიერო ანალიტიკური ჟანრის შემთხვევაში იყო.

გადანაცვლება, როგორც ტრანსფორმაციის სახე, წარმოადგენს თარგმანის ტექსტში ენობრივი ელემენტების განლაგების გარდაქმნას ორიგინალის ტექსტთან მიმართებაში. გადანაცვლებას ექვემდებარებიან სიტყვები და სიტყვათშეხამებები, რთული წინადადებების ნაწილები და დამოუკიდებელი წინადადებები. ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა სიტყვათა და სიტყვათშეხამების წყობის გარდაქმნა წინადადების სტრუქტურაში. სიტყვათა წყობა ქართულ და ინგლისურ ენებში ერთნაირი არაა, რაც გავლენას ახდენს თარგმანზე; ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ ინგლისურ წინადადებაში წინადადების წევრების განლაგება განპირობებულია არა მარტო სინტაქსის წესებით, არამედ ჟანრისთვის დამახასიათებელი ენობრივი სტრუქტურების მიხედვით.

გარდა გადანაცვლებისა, გრამატიკული ტრანსფორმაციის კიდევ ერთი, გავრცელებული მეთოდია გადანაცვლების ქვეტიპი, მეტყველების ნაწილების ჩანაცვლების მეთოდი. მაგალითები მოყვანილია ქართულ-ინგლისური პოლიტიკური კორპუსიდან:

1) სიტყვების ფორმების შეცვლა;

ა) მრავლობითი რიცხვის მხოლოობითით შეცვლა:

7. Overseas militant committments – საზღვარგარეთული სამხედრო მისია ... (სექცია: Content | კატეგორია: განმარტებითი ლექსიკონი)

რაც შეეხება სიტყვა *პოლიტიკას*, ქართულ-ინგლისური პოლიტიკური კორპუსში ნაპოვნია 10 მაგალითი, სადაც სიტყვა policies (მრ. რ.) ითარგმნება როგორც პოლიტიკა, პოლიტიკური კურსი (მხ. რ.) და მისი მრავლობითი რიცხვით თარგმნის ერთი შემთხვევა:

1148

2.00–2.99 Countries receiving a Democracy Score of 2.00–2.99 closely embody the best policies and practices of liberal democracy.

2.00–2.99 ქვეყნები რომლებიც იღებენ დემოკრატიის ქულას 2.00-დან 2.99-ის ჩათვლით, ლიბერალური დემოკრატიის საუკეთესო პოლიტიკას და პრაქტიკას ახორციელებენ.

2. 248

These definitions refer to democratic procedures^ rather than to substantive policies or other outcomes that might be viewed as democratic. ეს დეფინიციები დემოკრატიის პროცედურებს უფრო აღნიშნავს, ვიდრე იმ ძირითად პოლიტიკურ კურსებს, ან სხვა თანმხლებ პროცესებს, რაც შეგვეძლო დემოკრატიულად ჩაგვეთვალა. ... (სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი)

ბ) პასური გვარის კონსტრუქცია აქტიური გვარის კონსტრუქციით იცვლება თარგმანში. მაგალითები მოყვანილია ქართულ-ინგლისური პოლიტიკური კორპუსიდან:

3299

RFE/RL: There is a seeming contradiction here -- in political terms, Georgia's annexation by Russia was largely justified as a defense of Christianity and European cultural values against Islam. And still, Georgia's Christian heritage is ignored in the Russian literary texts.

რადიო თავისუფლება: საქმე ალბათ გარკვეულ პარადოქსთანაც გვაქვს. პოლიტიკური თვალსაზრისით, რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსია წარმოდგენილი იყო, როგორც ქრისტიანობისა და ევროპული ღირებულებების დაცვა ისლამისგან. როგორ მოხდა, რომ ლიტერატურულ ტექსტებში ქრისტიანული მემკვიდრეობა მიჩქმალულია?

2120

Hence, despite free or relatively free elections, civilian governments in these countries are seen by some analysts as lacking effective power to govern. ამდენად, მიუხედავად თავისუფალი ან შედარებით თავისუფალი არჩევნებისა, სამოქალაქო მთავრობას ამ ქვეყნებში, როგორც ზოგიერთი ანალიტიკოსი მიუთითებს, მმართველობის რეალური ძალმოსილება არ გააჩნია.

1. 3134

It contains set of benchmarks ranging from policy framework, that includes legislation and planning, to more specific requirements implementation of which will be regularly assessed by the European Commission. იგი მთელ რიგ ამოცანებს გულისხმობს, დაწყებული პოლიტიკური ჩარჩოდან, რაც ასევე მოიცავს კანონმდებლობას და დაგეგმვას, და დამთავრებული უფრო კონკრეტული მოთხოვნებით, რომელთა განხორციელებასაც ევროკომისია რეგულარულად შეაფასებს. ... (სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი).

გ) წარსული დროის შეცვლა აწმყო დროით:

5. 3262

Maia Panjikidze, Minister of Foreign Relations plans to visit the US . Last week, State Minister's aide Gordon visited Georgia. Panjikidze said that Russia was one of the main topic of discussion held in Tbilisi. However, Georgian and Turkish media have been recently making implications of the possible worsening of relationships. Do these fears have some ground? Do you think this topic will be discussed again in Washington? იგეგმება საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის ვიზიტი აშშ -ში, გასულ კვირას სახელმწიფო მდივნის თანაშემწე გორდონი იმყოფებოდა საქართველოში. ფანჯიკიძის განმარტებით, რუსეთთან ურთიერთობის საკითხი განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო თბილისში. თუმცა პარალელურად ქართული და თურქული მედია მიანიშნებს, ახლა შეიძლება პრობლემები გაჩნდეს კიდევ ერთ მეზობელთან - თურქეთ-

თან, რამდენად აქვს ვარაუდს საფუძველი და ვაშინგტონში შეხვედრების დროს ფიქრობთ თუ არა რომ ეს თემაც წამოიწევს. ... (სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი).

2) მეტყველების ნაწილების ჩანაცვლება:

უსულო საგნის აღმნიშვნელი მესამე პირის მხოლოობითი ნაცვალსახელის სულიერი არსებითი სახელის აღმნიშვნელი მეორე პირის ფორმით შეცვლა:

10. 3313

It, however, also said that there have been "important gaps in the country's anti-corruption framework in 2004-2012." თუმცა, მან ასევე აღნიშნა, რომ 2004-2012 წლებში კვლავაც აღინიშნებოდა „სერიოზული ნაკლოვანებები ქვეყნის ანტიკორუფციულ სისტემაში". ... სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი

2. 3211

It is an impressive sight. A forest of new skyscrapers has sprung up, changing what used to be a shabby seaside resort into a modern city. Batumi now has a Sheraton, a Radisson, and a string of new casinos. Tens of thousands of tourists poured into the resort this summer. ბათუმში შთამბეჭდავი სანახაობა იშლება: ახლად აღმართული ცათამბჯენები, რამაც თანამედროვე ქალაქად აქცია მოუვლელი ზღვისპირა კურორტი. ახლა ბათუმში დგას "შერატონი", გაჩნდა ახალი კაზინოები. ამ ზაფხულს მას ათობით ათასი ტურისტი ეწვია. ...(სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი)

2. 3250

If the opposition does worse on Election Day than it expects, this could be a recipe for trouble, as Georgian Dream contests the results and the government defends its victory. The opposition wants to evoke the parallel of the Rose Revolution that followed 2003's disputed election, while the government summons up fears of the civil war that wracked Georgia in the early 1990s. Plenty of people I met in Georgia were bracing themselves for confrontation. Most were worried that it would be hard to mediate between the two warring sides. თუ ოპოზიცია არჩევნებზე იმაზე ნაკლებ ხმებს მიიღებს, ვიდრე მოელის, როგორც ქართულ ოცნებაში აცხადებენ, ისინი გააპროტესტებენ შედეგებს, ხოლო მთავრობა დაიცავს გამარჯვების შედეგებს, რამაც შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს. ოპოზიციას სურს 2003 წლის ვარდების რევოლუციასთან პარალელის გავლება, რაც არჩევნების სადავო შედეგებს მოჰყვა თან. მთავრობა კი 1990 წლის სამოქალაქო ომს იხსენებს და შიშს გამოთქვამს. ადამიანების უმრავლე-

სობა, ვისაც მე შევხვდი, კონფრონტაციას ელის. ... სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი

does worse ითარგმნა, როგორც - ნაკლები ხმების მიღება - ერთსა და იმავე დროს, თარგმანი წარმოადგენს როგორც მეტყველების ნაწილის - შედარების ხარისხში მდგომი ზედსართავის ჩანაცვლებას, ასევე აზრობრივ გაერცობას.

1. 3258

There are elements of truth in all these interpretations. International actors seemed to have leapt to a conclusion that the Ivanishvili government is motivated by revenge, ignoring the ample evidence of criminality in the Saakashvili regime. Moreover, the UNM has continued its efforts to influence international opinion in their favor. It is also true that the Georgian government looked very bad in this series of events and was out maneuvered, in terms of western perception, by the UNM. The bigger question is where do things go from here. Will the west continue to be apologists for a former Georgian government that has been largely discredited in Georgia? Will the new Georgian government be able to more effectively communicate its messages to the west? These are important questions, but we will not know the answers for a while. ჭეშმარიტების მარცვალი ყველა ამ ინტერპრეტაციაში არსებობს. საერთაშორისო ფიგურების გამონათქვამებში მათი დასკვნა იკითხება, რომ ივანიშვილის მთავრობას შურისძიება ამოძრავებს. ამით ისინი იგნორირებას უკეთებენ საკაშვილის რეჟიმის კრიმინალურობის დამადასტურებელ უამრავ სამხილს. ამასთან, ნაციონალური მოძრაობა ძალისხმევას არც ამჟამად იშურებს, რომ საერთაშორისო თვალსაზრისზე ზეგავლენა მოახდინოს და კეთილგანწყობა შეინარჩუნოს. ისიც მართალია, რომ საქართველოს მთავრობა განვითარებული მოვლენებისას ძალზე ცუდი იმიჯით წარსდგა დასავლეთის თვალში, მათ ნაციონალურმა მოძრაობამ მანევრირებით აჯობა. დიდი კითხვის ნიშანი კი იქ დაისმის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ამის შემდეგ: განაგრძობს თუ არა დასავლეთი ყოფილი მთავრობის მოსარჩლეობას, რომელსაც საქართველოში სახელი ჰქონდა გატეხილი? შეძლებს თუ არა ახალი ქართული მთავრობა დასავლეთს უფრო ეფექტურად შეატყობინოს საკუთარი სათქმელი? ეს მნიშვნელოვანი საკითხებია, მაგრამ ამაზე პასუხი ცოტა ხანს კიდევ არ გვექნება. ... სექცია: Content | კატეგორია: კონტექსტი

შედარების ხარისხში მდგომი ზედსართავი სახელი The bigger question ჩანაცვლდა დადებით ხარისხში მყოფი ზედსართავით - დიდი კითხვის ნიშანი.

3) წინადადების ელემენტების შეცვლა

Discrimination against women - ქალთა დისკრიმინაცია

The explosion shook me awake - აფეთქებამ გამაღვიძა

Television stations gave warnings before it exploded - სატელევიზიო გაფრთხილება ეთერით აფეთქებამდე გადასცეს.

The weather reporters - სინოპტიკოსები.

4) წინადადების წევრების შეცვლა, ანუ სინტაქსური წყობის გადანაცვლებას;

heavy-handed assertions of power by the president

პრეზიდენტი, რომელიც არჩეული ლიდერია, ძალაუფლებას უხეშად იმკვიდრებს (სექცია: Content | კატეგორია: განმარტებითი ლექსიკონი).

2. 3175

If a party/bloc clears 5% threshold but it, under this formula, translates into having less than 6 MPs, this party/bloc will anyway be able to endorse 6 MP at the expense of taking seats from other parties having better results in elections. It means that clearing of 5% threshold will automatically give a party or a bloc opportunity to establish a faction within the Parliament, which requires having at least six lawmakers. ამასთან, ყველა პარტია, რომელიც 5%–იან ბარიერს გადალახავს, ავტომატურად 6–წევრიანი ფრაქციით იქნება წარმოდგენილი პარლამენტში. ის საარჩევნო სუბიექტები, რომლებიც დააგროვებენ საპარლამენტო ფრაქციის შექმნისათვის მანდატების საჭირო რაოდენობაზე ნაკლებს, მანდატებს 6–მდე უკეთესი შედეგის მქონე პარტიების ან საარჩევნო ბლოკებისთვის მანდატების მოკლების ხარჯზე შეივსებენ.

გრამატიკული ტრანსფორმაციის, - გამოტოვების - კიდევ ერთი ნიმუშია:

The storm was terrible while it lasted.

საშინელი ქარიშხალი ბობოქრობდა.

რა იწვევს უეკვივალენტობას?

მთარგმნელობითი უეკვივალენტობის გამომწვევ მიზეზთა შორის, თეორეტიკოსები შემდეგ ლინგვისტურ პრობლემებს ასახელებენ:

1. კულტურული სპეციფიკის მქონე კონცეპტები (რეალიები)

ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ინგლისური სიტყვა *privacy*, რომელიც ქართულად ითარგმნება როგორც ინდივიდის პირადი, იზოლირებული სივრცე, კერძო ტერიტორია, პირადი, არასაჯარო, დაფარული, ან დაცული ინფორმაცია, ან ადგილი. ინგლისური ცნება, რასაც ეკვივალენტი იმიტომ არ გააჩნია უცხო ენებზე, რომ ამ კულტურებში შესატყვისი კონცეპტი არ შექმნილა. *Speaker -ს* (თემთა პალატა) ასევე არ აქვს ეკვივალენტი უცხო ენებზე, მაგ.: ქართულად, რუსულად, ჩინურად, არაბულად ეს სიტყვა ითარგმნება როგორც „თავმჯდომარე".

2. არალექსიკალიზებული სიტყვები

ინგლისური სიტყვა *Landslide* აღნიშნავს *დიდი უმრავლესობით გამარჯვებას*, იგი ერთი სიტყვით არ არის ლექსიკალიზებული უცხო ენებზე, მათ შორის ქართულშიც. ასევეა *housewife, volcanoland, legoland, landmarks, benchmarking, leaflet, handout, background, mouthpiece, constituency*, ხოლო სიტყვა გერბი ითარგმნება სამი ლექსიკური ერთეულით: coat of arms.

3. სიტყვა, რომელიც ერთი მორფემისგან შედგება, სემანტიკურად შეიძლება გამოხატავდეს ერთ წინადადებაზე მეტს, მაგ.: ბრაზილიური სიტყვა ***arruação***, ნიშნავს *მოსავლის აღების შემდეგ მიწის გასუფთავებას ყავის ხეების ქვეშ* (*ITI News*, 1988: 57).

4. ენაში შეიძლება არსებობდეს ჰიპონიმები, ანუ სპეციფიკური, მაკონკრეტებელი სიტყვები, თუმცა არ არსებობდეს სუპერორდინატი, ანუ მათი სემანტიკურ ველისათვის განმაზოგადებელი სიტყვა. სიტყვა *facilities, ქართულად* არ გააჩნია ეკვივალენტი. მსგავსი მნიშვნელობის მქონე ლექსემებს შორის შეიძლება იყოს ლექსიკური ურთიერთმიმართებები და იერარქიული მიმართება. იერარქიის ზედა საფეხურზე მდგომ ლექსემებს ეწოდება ჰიპერონიმი, ხოლო დაბალ საფეხურზე მდგომს კი - ჰიპონიმი. ისეთ ენობრივ ელემენტებს, რომლებიც სემანტიკურად ერთსა და იმავე საფეხურზე დგანან, ეწოდებათ *კოჰიპონიმები*. მაგ.: სიტყვა „rose" არის სიტყვა „plant"-ის ჰიპონიმი, რომელიც, შესაბამისად, არის სიტყვა „flower"-ის ჰიპონიმი; სიტყვები „tulip", „daisy" და „carnation" კოჰიპონიმებია, ხოლო „plant"-ი არის მათი საერთო ჰიპერონიმი. სიტყვა „lily" არის სიტყვების - Orange lily, Madonna lily, Tiger lily, Easter lily, Panther lily, Regal lily,

Japanese lily და ანალოგიური კონცეპტების სუპერორდინატი. ვარდების ნაირსახეობებისთვის rose იქნება სუპერორდინატი.

5. სიტყვა *article-ს არ აქვს სრული ეკვივალენტები ჰიპონიმებისათვის: human interest stories, profile ქართულში, ხოლო სხვა უცხო ენებზე შეიძლება არ ჰქონდეს ეკვივალენტები article-ს ისეთი ჰიპონიმებისათვის feature, survey, report, critique, commentary, review.* სიტყვა *house აქვს მრავალი ჰიპონიმი, მაგ.: bungalow, cottage, croft, chalet, lodge, hut, mansion, manor, villa,* and *hall* - რომლებიც ასევე უეკვივალენტო ლექსიკად ითვლება.

6. ფიზიკური, ანუ ინტერპერსონალური პერსპექტივის მხრივ, იაპონურს 6 ეკვივალენტი აქვს ზმნა *give*-ის აღსანიშნავად, იმ ფაქტორის გათვალისწინებით და გამოსახატად, თუ ვინ, ვის, რა მისცა: *yaru, ageru, morau, kureru, itadaku,* and *kudasaru* (McCreary, 1986). შდრ.: მივეცი, გადავეცი, გადმოგვცეს, მივეცით, მოგვცეს, მიეცით...

ქართულში ზმნას პირის ნიშნები აქვს. ა. შანიძეს შესადარებლად დასახელებული აქვს მაგალითები: „პეტრე მივიდა და წერილი მიუტანა პავლეს". ამ წინადადების რუსული თარგმანი ასეთია: Петр пришел и принес письмо Павлу. მეორე წინადადებაც: "პეტრე მოვიდა და წერილი მოუტანა პავლეს". იგივე გამოვა რუსულად. ის განსხვავება, რაც ქართულში არის „მი-ვიდა და მი-უტანა"-სა და „მოვიდა და მო-უტანა"-ს შორის, რუსულმა ენამ ვერ გამოხატა. пришел „მი-ვიდა-საც" ნიშნავს და „მო-ვიდა"-საც. ამდენად, ერთი რუსული ზმნისწინი **при-** გამოყენებულია ორი ზმნისწინის - მი- და მო-ს მაგივრად. ასეა მიმართულების გამომხატველ სხვა ზმნისწინებშიც. ზედმიწევნილობის დასაცავად რუსული ენა ასეთ შემთხვევაში იშველიებს სხვა სიტყვებს: მივიდა - пришел туда, მოვიდა - пришел сюда, მაგრამ თვითონ ზმნა მოკლებულია საშუალებას, აღნიშნოს, სხვა სიტყვის დაუხმარებლად, მოქმედების მიმართულება აქეთ და იქით, რადგან რუსულს აქვს ერთი მწკრივი ზმნისწინებისა და არა ორი, როგორც ეს ქართულშია (იქვე). ქართულს თავისუფლად შეუძლია ერთი ფუძისაგან აწარმოოს რამდენიმე ზმნა სხვადასხვა ზმნისწინის დართვით კი იძულებულია, რომ სხვადასხვა მხარეს მიმართული ერთი და იმავე მოქმედების აღსანიშნავად, ზმნისწინის უქონლობის გამო, სხვადასხვა ფუძეს მიმართოს. ამიტომაც ფუძეთა რაოდენობა არაბულში გაცილებით მეტია, ვიდრე ქართულში. ქართული ზმნის სემანტიკური სტრუქტურა (ზმნისწინი + ზმნათა კომბინაციები) არის ინგლისური ზმნის სტრუქტურის მსგავსი (ზმნა + ადგილის ზმნიზედები, ნაწილაკიანი სინტაგმები: **eat up, put of, tire out**). ყოველი ზმნიზედა სემანტიკურად გამყარებულია წმინდა სივრცული მნიშვნელობით, რომელიც გადადის არასივრცით მეტა-

ფორულ ფორმებში. როგორც ჩანს, მეტაფორული გაგრძელების პრინციპები უნივერსალურია. შესამჩნევია მრავალი აშკარა ანალოგია ქართულ და ინგლისურ სემანტიკურ ველებში (გა- out/off - შიგნიდან გარეთ). (გვ. 159 ჰარუნ ჩიმქე ზმნისწინთა სემანტიკური ნიუანსები ახალ სალიტერატურო ქართულში, 10.02.01 - ქართული ენა). გარდა ზმნის პირის ნიშნებისა, ქართულს ბრუნვათა რაოდენობა და რიგი აქვს, რაც მას ინგლისურისაგან ასევე განასხვავებს:

სახელობითი	-ი
მოთხრობითი	-მა
მიცემითი	-ს
ნათესაობითი	-ის
მოქმედებითი	-ით
ვითარებითი	-ად
წოდებითი	-ო

7. ექსპრესიული მნიშვნელობის განსხვავებულად გამოხატვა: მაგ.: რელიგიური, პოლიტიკური, გენდერული, ეთნიკური ნიშნის მქონე ლექსიკის არამართებული, ე. წ. Hate speech-ად წოდებული ლექსიკით გადმოცემა. ინგლისურში დამკვიდრდა სიტყვა Roma, რადგან ჩათვალეს, რომ მანამდე არსებული სიტყვა gipsy-ი დეროგაციული მარკირების იყო:

What Can the EU Do for Roma in the Face of Rising Populism and Prejudice?

It's nearly two years since the EU Framework for National Roma Integration Strategies (NRIS) was launched during the Hungarian EU Presidency. Back then, Commissioner Viviane Reding described it as a "huge step forward for millions of Roma around Europe."[20]

შდრ: ბოშა - ციგანი.

ჯერჯერობით, ქართულ ენაში თარგმანს არ დაუმკვიდრებია ტერმინი Roma, რადგან ქართულში ისეც გვაქვს დეროგაციულად მარკირებული ციგანი და ნეიტრალური მარკირების ბოშა.

8.განსხვავება სიტყვაფორმების დონეზე ინგლისურ ენაში არსებობს კუპლეტები, როგორცაა *employer/employee, trainer/trainee,* and *payer/payee,* რომლებიც სუფიქსე-

[20] http://www.opensocietyfoundations.org/voices/what-can-eu-do-roma-face-rising-populism-and-prejudice

ბით *-ish* (მაგ.: *boyish, hellish, greenish*) და *-able* (მაგ.: *conceivable, retrievable, drinkable*) იწარმოება.

9. ქართულ, გერმანულ, დანიურ, შვედურ და სხვა მრავალ ენაზე ინგლისური *-ing* ფორმა მისი *აქტივიზების* ყველა შემთხვევაში ვერ გადმოიცემა, რადგან ეს სტილისტურად არაბუნებრივი იქნება. ზმნისწინიან ფორმათა თარგმნისა და შეპირისპირების თვალსაზრისით საინტერესოა ინგლისური ენის მონაცემების გათვალისწინებაც. ზმნისწინები არ გააჩნია არც ინგლისური ენას. მაგალითად:

ვწერ I am writing something

და-ვწერ I will write something

ვწერე I wrote something (but did not finish it)

და-ვწერე I wrote something (and finished it)

აღ-ვწერ "I am describing" ან "I will describe it" (ლიტ. "Write up")

გადა-ვწერ "I am copying" ან "I will copy" (lit "write over").

10. ისეთი ნასესხები სიტყვები, როგორიცაა *au fait, chic*, and *alfresco* პროპოზიციული მნიშვნელობისაგან განსხვავებით, გამოიყენება პრესტიჟული ღირებულებით, რადგან დახვეწილ სტილს სძენენ ტექსტს და წარმოდგენილ თემას. ნასესხობები ასევე იწვევენ ისეთ პრობლემას, როგორიცაა **faux amis** - ცრუ მეგობრები; ესაა გამოთქმები, რომლებსაც იგივე ფორმა აქვთ, მაგრამ განსხვავდებიან მნიშვნელობით. უმეტეს შემთხვევაში, ინტერნაციონალიზმების სემანტიკა წყარო და სამიზნე ენაზე ერთმანეთს არ ემთხვევა და ამდენად სიტყვების ამ კატეგორიას ფსევდოინტერნაციონალიზმები ეწოდება. მათ ასევე უწოდეს „თარჯიმნის ცრუ მეგობრები", რადგან ფსევდოინტერნაციონალიზმებს მთარგმნელი შეცდომაში შეჰყავთ.

თარჯიმნის ცრუ მეგობრები

„თარჯიმნის ცრუ მეგობრები“ ანუ ცრუ ლინგვისტური კოგნატები მთარგმნელებისა და თარჯიმნებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საყურადღებო პრობლემას წარმოადგენს, რადგან, ხშირად, გამოუცდელი მთარგმნელები სწორედ აღნიშნული ლინგვისტური ერთეულების თარგმნისას უშვებენ შეცდომას.

False Cognates & False Friends

False Cognates are similar words in form &, roughly, meaning (at the present moment), but have different etymological characteristics

e.g.

- Mandarin Chinese *māma* and Serbian *мама* meaning "mom" or "mother"
- English *many* and Korean *mani* (much, many)

Spanish *como* (as/like) and Hebrew *k'mo* (as/like) and Arabic *kma* (as/like)

ქართულ-ინგლისური ცრუ მეგობრების წარმოქმნის ძირითადი მიზეზი უნდა ვეძებოთ ნასესხები სიტყვების ენაში ასიმილაციისა და მათ შემდგომ სემანტიკურ განვითარებაში. ასევე, საგულისხმოა ორ ენას შორის არსებული ლინგვოკულტურული სხვაობა, რაც უდავოდ შეიძლება გახდეს ცრუ მეგობრის წარმოქმნის მიზეზი. რაც უფრო ახლოა კულტურული და სოციალური კავშირი, თუნდაც ლინგვისტურად განსხვავებულ ორ ენას შორის, მით უფრო იკლებს ცრუ მეგობრების გაჩენის ალბათობა. კოგნიტური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ახალი ლექსიკური ერთეული ენაში ასიმილაციის შემდგომ კუთვნილ ადგილს იკავებს ერის კოგნიტური ბაზის ეგრეთ წოდებულ მენტალურ რუკაში. შესაბამისად, თუ უცხოური წარმოშობის სიტყვა მეორე ენაში ჰომოგრაფული და ჰომოფონურია, მაგრამ განსხვავებული სემანტიკური დატვირთვა აქვს, ის უმეტეს შემთხვევაში, ხდება არაადეკვატური თარგმანისა და ინტერპრეტაციის წყარო. „ცრუ მეგობრების“ შესწავლა ხდება ენათმეცნიერების ისეთი დარგების მიერ, როგორიცაა ლექსიკოლოგია, კომპარატიული ლინგვისტიკა, ენის სწავლება. თავად ტერმინი კი 1928 წელს დამკვიდრდა, როდესაც კესლერმა და დეროკინმ (Koessler and Derocquig-

ny) გამოაქვეყნეს ცნობილი ნაშრომი *Faux Amis, ou les Trahisons du Vocabulaire Anglais*, დღეს კი ეს ტერმინი ცნობილი მეტაფორაა.

ცნობილია, რომ თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკურ მარაგში სხვადასხვა ენებიდან ნასესხობების სახით უცხო სიტყვების დიდი მარაგი დამკვიდრდა. ამ სიტყვების გარკვეულმა რაოდენობამ იმდენად განიცადა ასიმილირება ინგლისურ ენასთან, რომ ამ უკანასკნელის ლექსიკური შარაგის ბირთვშიც კი დამკვიდრდნენ.

სამიზნე ენაში მოხვედრისას, ნასესხები სიტყვა არსებობის ახალ ეტაპს იწყებს, განსხვავებული გარეგნული ფორმითა და ლექსიკური მნიშვნელობით. სამიზნე ენაში ის განიცდის სხვადასხვა ისტორიულ თუ საზოგადოებრივი ფაქტორების ზეგავლენას და აქედან გამომდინარე, სამიზნე ენაში მკვიდრდება ისეთი ფორმითა და დატვირთვით, რომლიც მას წყარო ენაში არ გააჩნდა მაგ: სიტყვამ შეიძლება შეიძინოს განსხვავებული მნიშვნელობა, დამატებითი სტილისტური ფუნქცია ან კიდევ უფრო ექსპრესიული გახდეს. ასე, რომ ინტერნაციონალიზმები ჩვეულებრივ კარგავენ მათ საწყის ფორმასა თუ მნიშვნელობას და განსხვავებული სახით შედიან ენაში; PARASYMPATHETIC NERVOUS SYSTEM ითარგმნება როგორც „პარასიმპათიკური ნერვული სისტემა", მაგრამ ამ ტერმინს საერთო არაფერი აქვს ქართულ ენაში ნასესხებ და დამკვიდრებულ სიტყვის „სიმპათიურის" მნიშვნელობასთან.

უმეტეს შემთხვევაში, ინტერნაციონალიზმების სემანტიკა წყარო და სამიზნე ენაზე ერთმანეთს არ ემთხვევა და ამდენად სიტყვების ამ კატეგორიას ფსევდოინტერნაციონალიზმები უწოდეს. მათ გარეგნულ მსგავსებას, მთარგმენლი შეცდომაში შეჰყავს და სწორედ ამ გარემოების გამო ამ სიტყვებს თარჯიმნის ცრუ მეგობრები უწოდეს.

აღნიშნული საკითხი დღესდღეობით აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში და მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა ლინგვისტიკასა თუ თარგმანმცოდნეობაში სიახლეს არ წარმოადგენს, მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ მთარგმნელისათვის, რაზეც პრაქტიკული ნიმუშებიც მიგვითითებენ.

„ცრუ მეგობრებს" წარმოქმნის ლექსიკური ინტერფერენცია, ანუ ერთსა და იმავე, ან ორი ენაზე მსგავსი სიტყვების სისტემატურად შერევა; ერთ ენაზე მსგავსი ჟღერადობის სიტყვების ფონეტიკურ-სემანტიკური ურთიერთზეგავლენა პარონიმიას იწვევს,

მაგ.: *აქაფებული - აქაფქაფებული, აღთქმული –აღქმული, ცნება-მცნება, აღთქმა– აღქმა, გადაწერს –გადასწერს (წერილს); გადასწერს გადასწერს (ჯვარს),გაკითხვა –განკითხვა –გაკიცხვა გაკიცხვა, განკიცხვა*[21] *გაკითხვა: 1. მოწყალების გაცემა; 2. გაგება, მოკითხვა (ამბისა); განკითხვა: 1. გარჩევა, გან- ხილვა; განსჯა, გასამართლება: „ეს საგანი ღირსია განსჯისა და განკი- თხვისა“ (ილია); 2. ე კ ლ. ვინმეს განსჯა ცოდვების გამო; გაკიცხვა, განკიცხვა: გაკილვა.*

ინგლისური ენის შემსწავლელებს ხშირად ეშლებათ ***adopt*** *და* ***adapt*** -ის სემანტიკური მნიშვნელობები მსგავსი ფონეტიკური ჟღერადობის გამო. ენათმეცნიერი კისი (Kiss, 2002) წერს, რომ „ცრუ მეგობრების“ წარმოქმნის ოთხი გზა არსებობს:

1. ნასესხობა თავდაპირველ მნიშვნელობას ინარჩუნებს ახალ ენაში, ხოლო საწყის ენაში ამ მნიშვნელობას კარგავს. ზედსართავი სახელი "sensible" ლათინური ეტიმოლოგიისაა, ინგლისურ ენაში ამ სიტყვამ შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა 'wise' (ჭკვიანი), ხოლო ფრანგულში მნიშვნელობა იცვალა და მისი მნიშვნელობაა 'sensitive (მგრძნობიარე).

2. საწყისი ენა ცვლის ან ავითარებს სიტყვის მნიშვნელობას და თუ ის რომელიმე ენაშია ნასესხები, რასაკვირველია, მისი მნიშვნელობა იგივე რჩება. მაგ.: Middle English არს. სახ. 'bug' აღნიშნავდა ყველა ტიპის მწერს, ხოლო მე-19 ს-ში იგი უკვე აღნიშნავს ბაღლინჯოს, ანუ ლექსიკურმა ერთეულმა სპეციალიზაციის პროცესი გაიარა.

3. ნასესხობის „მშობლიური“ დენოტაცია სხვაგვარად არის გაგებული და დამკვიდრებული მსესხებელ ენაში, ხოლო საწყის ენაში კი თავდაპირველი დენოტაციაა შენარჩუნებული: ზედსართავი სახელები 'eventually' (*საბოლოოდ*) და 'actually' (*რეალურად*) ცრუ მეგობრების თვალსაჩინო მაგალითია. ინგლისელებმა ორივე მათგანი ფრანგული ენიდან ისესხეს, თუმცა, ფრანგულად პირველი მათგანის მნიშვნელობაა 'possibly' (*ალბათ*), ხოლო მეორეს მნიშვნელობაა 'at the moment' *(ამ წუთს, ამ მომენტში)*.

4. დროთა განმავლობაში, ენის თანდათანობით განვითარებასთან ერთად, სიტყვა ორივე ენაში სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს, მათი მორფოლოგიური ფორმა კი ერთნაირი რჩება.

„ცრუ მეგობრების“ სხვა მაგალითები ფრანგულ ენაზე: *prise* - რომელიც *„შეპყრობას, ხელში ჩაგდებას“* ნიშნავს და არ ემთხვევა ინგლისურენოვანი ოპოგრაფის მნიშვნე-

---

[21] არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი შ. აფრიდონიძე, თ. ვაშაკიძე, ვ. მალრაძე, თ. ტეტელოშვილი, თ. ღვინაძე, ნ. ჯორბენაძე ქართული ენის პ ა რ ო ნ ი მ თ ა ლექსიკონი, http://www.lingua.ge/leqsikonebi/paronimta.pdf

ლობას.[22] ასევე ინგლ. *library ბიბლიოთეკა* და ფრ. *Librairie წიგნების მაღაზია. გამოიყოფა სრული და ნაწილობრივი „ცრუ მეგობრები“. მაგ. ინგლ.* Physician - ექიმი და ფრ. Physicien ფიზიკოსი; ნაწილობრივი „ცრუ მეგობრებია“ ინგლ. pile და ფრ. pile; ეს ლექსიკური ერთეული პოლისემიურია, ორივე ენაში აღნიშნავს 1) „გროვას“ და 2) „საყრდენს“, თუმცა ფრანგულ კორელატს დამატებით აქვს მნიშვნელობა „ბატარეა“, ხოლო ინგლისურს „ბინა“.

ფრ. Audience და მისი პოლისემიური მნიშვნელობები:

I მაღალი რანგის პირების ოფიციალური მიღება

მაგ.: donner audience - to give an audience - აუდიენცია

II 'Количество смотрящих данную программу რომელიმე რადიოსადგურის მსმენელების რაოდენობა მოცემული მომენტისათვის, პოპულარობის რეიტინგის მაჩვენებელი.

III იურ. სასამართლო სხდომა

audience publique open / public hearing ღია სხდომა

IV - პუბლიკა, აუდიტორია

შდრ.: ფრ. L'ensemble du public se mit a applaudir a tout rompre

ინგლ.: The entire audience broke into loud applause.

როგორც ენათმეცნიერების, ისე თარგმანის მეცნიერებისათვის საინტერესო ფაქტია, რომ სადღეისოდ თურქულ ენაში შენარჩუნებულია იტალიურიდან ნასესხები 600 სიტყვა. ფრანგულმა ენამ კი ყველაზე დიდი გავლენა იქონია თურქულ ენაზე, თუმცა ეს გავლენა მეორე მსოფლიო ომის კვალდაკვალ შესუსტდა. თანამედროვე თურქული ლექსიკონის მონაცემები მოწმობს, რომ თურქულ ლიტერატურულ ენაში 389 ინგლისური ლექსიკური ერთეულია ნასესხები.

კალკები, ანუ ნაწილობრივი „ცრუ მეგობრები“ არიან კოგნატები, რომელთაც აქვთ ერთი საერთო მნიშვნელობა და განსხვავებული რამდენიმე მნიშვნელობა. ომონიმურ სიტყვებს ან გამოთქმებს განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ ერთსა და იმავე ენაში; თარგმნისას კი იგივე ომონიმები სხვადასხვა ფორმას იძენენ, რაც მოგვიანებით „ცრუ მეგობრებს“ წარმოშობს. (Al-Wahy, 2009, გვ. 113).

---

[22] ომოგრაფი (წარმ.: ბერძნ.: ὁμός, homós, მნიშვნ.: γράφω, gráphō,"ვწერ") არის დაწერილობის, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის (რიგ ენებში სხვადასხვა გამოთქმის/ტრანსკრიფციის) მქონე ლექსიკური ერთეულები. მაგ., ბარი – სამუშაო იარაღი, ბარი (მთა-ბ+არი) ან ბარი – (კაფე–)ბარი.

„ცრუ მეგობრების“ ტაბულა

ცრუ მეგობარი	პირდაპირი თარგმანი	ადეკვატური თარგმანი	პირდაპირი თარგმანის შესატყვისი
Accurate	აკურატული	ზუსტი, სწორი	Neat, tidy
Accomplishements	შესრულება	კარგი მანერები	To accomplish
Accord	აკორდი	ერთსულოვნება	Chord
Advocate	ადვოკატი,ვექილი	დამცველი, მომხრე	Lawyer, attorney
Activity	აქტიურობა	საქმიანობა	Activeness
Actual	აქტუალური	ნამდვილი	Topical, urgent
Affairs	აფიორა, აფერისტობა	საქმე	Fraud, swindle
Alsation	ალზასელი	აღ.ევროპული ნაგაზი	
Amber	ამბრი	ქარვა	
Ammonia	ამონიუმი	ამიაკი	Ammonium
Ammunition	ამუნიცია	საბრძოლო მასალა	Accountrement
Angina	ანგინა	სტენოკარდია	Quinsy
Appelation	აპელაცია	სახელწოდება	Appeal
Arbitrage	არბიტრაჟი	ფასიანი ქაღალდების შეძენა-გაყიდვა	Arbitration
Arc	თაღი	რკალი,სექტორი	Arch
Ark	თაღი	კიდობანი	Arch
Aspirant	ასპირანტი	პრეტენდენტი	Post-graduate
Astrakhan (fur)	ასტრახანის (ქურქი)	კრაველი	
Audience	აუდიენცია	მსმენელი,დამსწრე საზოგადოება	
Babushka	ბებია	თავსაფარი	Grandmother
Band	ბანდა	მუსიკოსთა გუნდი, ბენდი	Gang
Baton	ბატონი (პურის კვერი)	კვერთხი, ხელკეტი	Loaf
Benzene	ბენზინი	ბენზოლი	Petrol

Billet	ბილეთი	ორდერი ჯარისკაცთა ბინებში ჩაყენებაზე	Ticket
Bra	ბრა	ბიუსტჰალტერი	Sconce, lamp-bracket
Bullion	ბულიონი	ოქროს ან ვერცხლის ზოდი	Beef-tee,broth
Cabin	კაბინა	ქოხი	Booth,
Cabinet	კაბინეტი	ტუმბო	Study
Capital	კაპიტალი	ძირითადი, სასიკვდილო	Main, thorough
Carcass	კარკასი	გატყავებული გამოშიგნული საქონელი, ჩონჩხი	Frame, skeleton
Cardinal	კარდინალური	არსებითი, მთავარი	Major, important
Cataract	კატარაქტი	ჩანჩქერი	Cataract
To champion	გახდე ჩემპიონი	მხარდაჭერა	To become a champion
Codex	კოდექსი	ძველი ხელნაწერი წიგნი	Code
Colon	კოლონა	ორწერტილი	Column
Commander	კომანდირი, მეთაური	მე-2 რანგის კაპიტანი	
Community property	საზოგადოების საკუთრება	მეუღლეთა საერთო ქონება	
Commutator	კომუტატორი	ელ.ენერგიის გადამრთველი	Switchboard
Complexion	კომპლექცია	სახის ფერი	Constitution
Compositor	კომპოზიტორი	ასოთამწყობი	Composer
Concern	კონცერნი	ინტერესი	Trust, combine
Concourse	კონკურსი	თავმოყრა,მოგროვება	Contest
Conductor	კონდუქტორი	დირიჟორი	Conductor
Contribution	კონტრიბუცია	წვლილი	Indemnity
Corpse	კორპუსი	გვამი	Corps
Corral	მარჯანი	ბაკი ცხოველებისათვის	Coral
Currency act of1900	1900წ. კანონი	კანონი ოქროს	

	ვალუტის შესახებ	სტანდარტის შესახებ	
Decade	დეკადა	ათწლეული	Ten-days
Decoration	დეკორაცია	მორთულობა	Scenery
Depot	დეპო	საწყობი	Station
Diagram	დიაგრამა	სქემა,ნახაზი	Chart, graph
Disinterested	უინტერესო	მიუკერძოებელი	Uninterested
Diversion	დივერსია	გადახრა,მანევრი	Sabotage
Double-standard	ორმაგი სტანდარტი	ორმხრივი მიდგომა	Double-talk
Dragonfly	მფრინავი დრაკონი	ჭრიჭინა	Flying dragon
Dynamic	დინამიური, დინამიკი	მოქნილი, ენერგიული	Fast-moving
Element	ელემენტი	სტიქია	Element
Fable	ფაბულა	იგავი	Plot
Fabric	ფაბრიკა	ქსოვილი	Factory
Finick	ფინიკი	ზედმეტად პედანტური	Date
First night	პირველი ღამე	პრემიერა	Wedding night
Fraction	ფრაქცია	წილადი	Faction
Fragment	ფრაგმენტი	ნატეხი,ნაწილი	Extract
Gallant	გალანტური	მამაცი	Courteous
Genial	გენიალური	კეთილი	Of genious
Geological correction	გეოლოგიური შესწორება	მიწისძვრა	
Graphic	გრაფიკი	თვალსაჩინო	Time-table
Infamous	უცნობი	სამარცხვინო	Unknown
Intelligence	ინტელიგენცია	სადაზვერვო სამსახური	Intelligentsia
Interest	ინტერესი	პროცენტი	
Instruments	ინსტრუმენტები	საზომი, ხელსაწყო	Tools
Jam	ჯემი	საცობი	Jam
Lunatic	მთვარეული (ლუნატიკი)	სულიერად ავადმყოფი	Night-walker
Lyrics	ლირიკა	მუსიკის ტექსტი	Lyric poetry
Macaroon	მაკარონი	ნუშის ორცხობილა	Macaroni
Matrass	მატრასი	კოლბი	Mattress
Mayor	მაიორი	მერი	Major

The Middle East	შუა აღმოსავლეთი	ახლო აღმოსავლეთი	
Morale	მორალური	განწყობილება	Moral
Motorist	მოტორისტი	ავტომოყვარული	Machinist
National administration	ეროვნული ადმინისტრაცია	ეროვნული მთავრობა	Authority
Obligation	ობლიგაცია	ვალდებულება	Bond
Palm	პალმა	ხელის გული	Palm tree
Paragraph	პარაგრაფი	პუნქტი	Section
Partisan	პარტიზანი	დამცველი მომხრე	Guerrilla
Pathos	პათოსი	ენთუზიაზმი	Enthusiasm
Physician	ფიზიკოსი	ექიმი-თერაპევტი	Physycist
Position	პოზიცია	პოლიტ. კურსი	Position
Preservative	პრეზერვატივი	კონსერვანტი	Condom
Principal	პრინციპული	ძირითადი, მთავარი	Principle
Probe	შინჯი	ზონდი (მედ)	Test, trial
Production	პროდუქცია	წარმოება	End-prodauction
Progress report	მოხსენება პროგრესის შესახებ	მოხსენემა მუშაობის მსელელობის შესახებ	
Prospect	პროსპექტი	პერსპექტივა	Avenue
Protection	პროტექცია	დაცვა	Protective
Rapport	რაპორტი, პატაკი	კარგი ურთიერთობები	Report
Replica	რეპლიკა	ასლი	Remark, retort
Repetition	რეპეტიცია	გამეორება	Rehearsal
Resin / tar	რეზინა	კუპრი, ფისი	Rubber
Satin	სატინა	ატლასი	Sateen
Sodium	სოდა	ნატრიუმი	Soda
Sympathy	სიმპათია	თანაგძნობა	To like sb
Spirt	სპირტი	ნაკადი	Alcohol, spirit
Talon	ტალონი	ბრჭყალი,კლანჭი	Coupon, counterfoil
Terminus	ტერმინი	საბოლოო გაჩერება, მიზანი	Term
Translation	ტრანსლაცია	თარგმნა	Relay
Trap	ტრაპი	მახე	Ladder
Trek	თრექი(მუს)	მოგზაურობა	Soundtrack

Typography	ტიპოგრაფია	სტმბა	Printshop
Urbane	ურბანული	ზრდილობიანი	Urban
Vacuum	ვაკუუმი	მტვერსასრუტი	
Velvet	ველვეტი	ბაევრდი	Corduroy
Venerable	ვენერიული	სპატიო	Venereal
Verse	ვერსია	ლექსი	Version
Virtual	ვირტუალური	ფაქტობრივი, ნამდვილი	Virtual
Virtuous	ვირტუოზი	სათნო, უმანკო	Virtuoso

ქართულ ენაში დამკვიდრებული ტერმინი	ცრუ მეგობარი - კალკირება ინგლისურ ენაზე თარგმნისას:	ეკვივალენტი
ლეგალიზება	To legalize	To obtain alegal status
ქორწინების გაფორმება	To form a marriage	To solemnize a marriage
ოფიციალური პირი	Official person	Public officer, official
პრეტენზია	Pretension	Claim
ერის კეთილდღეობისადმი ოპტომალური მიდგომა	Most favoured nation regime	Most favoured nation treatment
ფალსიფიცირება	Falsificatio	Forgery, counterfeit
ყალბი საბუთები	False friends	Forged documents
წმინდა წყლის ფიქცია	All fiction	Pure invention
ფინალური თამაში თასზე	Final game	Cup final
გაზიფიცირება	To gas, gassify	To provide/supply gas
გენიალური გამოგონება	Genial invention	Great invention
ხულიგანი	Hooligan	Ruffian, rowdy
ინსტრუქცია	Instructions	Directions
სამჭედლო ინსტრუმენტი	Carpenters instuments	Carpenters tools
ამომრჩეველთა კონტინგენტი	Contingent of voters	Electorate
გაყალბებული ანგარიში	False bill	Fabricated account
შეთითხნილი ვერსია	Fabricated version	Fake report
ნდობის კრიზისი	Confidence crises	Credibility gap
მამებისა და შვილების პრობლემა	Father and son problem	Generation gap
ოფიციალური განცხადება საგაზეთო ვერსიისათვის	To speak officially	To go on record

პოლიტიკური იდილია	Political idyll	Political honeymoon
ზოგადი პრობლემებისადმი მიძღვნილი სტატია	Article on general problems	Human interest story
სპეც. მივლინება პრეს წარმომადგენლისათვის	Special trip arranged for the press	Junket
ინფორმაციის შემკრები რეპორტიორი	A reporter engaged in collecting information	Leg-men
ცოცხალი ენციკლოპედია	Walking encyclopedia	Walking library
გემის პირველი ვოიაჟი	First voyage	Maiden voyage
ხასიათის ჩამოყალიბება	To form sb's character	To mould sb's character
საინფორმაციო საშუალება	Means of information	News media
რომანისტი	romanist	Novelist
(განცხადება ჟურნალისტებისათვის) "არა პრესისათვის"	Not for the press	Off-the-press
უცერემონიო ქცევა	Unceremonial manner	Off-hand manner
ორგანიზებული დანაშაულის მონაწილეები	Participants of organized criminality	Organized crime figures
კომპლექსური პროგრამა	Complex programme	Pachage deal/plan
სპეციალისტი დაგეგმარების სფეროში	A specialist on the questions of planning	Planning officer
კონფიდენციალური ინტერვიუ	Confidential interview	Private interview
კომბინირებული გადაღება	Combined filming	Process shooting
საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელი	Outside contact employee	Public relations officer
დახურული სხდომა	Closed session	Caucus
ჭეშმარიტება	Farmal truth	Apparent truth
პირადი წარმომადგენელი	Personal representative	Excutive agent
ორმაგი იმპულსი	Double impuls	Double puls
თანამედროვე ფასონი	Modern fasion	Of fashionable cut

ლაკუნა, როგორც ფენომენი

თარგმნის პროცესში ერთმანეთს არა მხოლოდ ენები უპირისპირდება, არამედ კულტურებიც. კულტურათშორისი ლაკუნარული ერთეული არის A ენაში არსებული ენობრივი ერთეული, რომელსაც ანალოგი არ დაუძებნება B ენაში და ამდენად, წარმოადგენს ენობრივ სიცარიელეს, ანუ A ენის ლაკუნარული ერთეულის ნულოვან კორელატს: [ქ]; ლაკუნარული ერთეულია რეალია, პროცესი, ან მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ ერთი კულტურისათვის არის ცნობილი ან დამახასიათებელი, და რაც სცდება სხვა კულტურის სფეროს და მის გამოცდილებას.

არსებით სახელ *ლაკუნას* ლათინური ეტიმოლოგია აქვს. (მრ. lacunae / ან -lacunas).

ლექსიკური სიცარიელეების აღმოჩენის მარტივი მეთოდია ენათა შეპირისპირება და ეკვივალენტების მოძიება ორენოვანი ლექსიკონების საფუძველზე. თუ ლექსიკონში ესა თუ ის სიტყვა (ა) არ გადმოიცემა ერთი ლექსემით, (ბ) გადმოცემულია სხვა მეტყველების ნაწილით, ან (გ) მთელი კონსტრუქციით არის განმარტებული, ეს ლაკუნარულობის ნიშანია.

ბულგარელი ლინგვისტები, ვლახოვი და ფლორინი, საკუთარ ნაშრომში, „უთარგმნელი თარგმანში", უეკვივალენტო ლექსიკას იკვლევენ; ავტორები ლაკუნის ფენომენში გულისხმობენ რეალიას და მას მიიჩნევენ სპეციფიკურ კატეგორიად, რომელიც მოიცავს სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფებს, რაც სოციალური და ისტორიული განვითარების ფონზე დამახასიათებელია რომელიმე კულტურისთვის, ყოფისთვის და აქვს ნაციონალური ან ისტორიული კოლორიტი; ასეთი რეალია უცხოა სხვა კულტურისთვის და ამდენად, ზუსტი ენობრივი შესატყვისი არ დაუძებნებათ;

ლაკუნების პირველი ემპირიული სოციალური კვლევა დასავლეთ ევროპაში 1990 წ. გამოქვეყნდა, იგი ეკუთვნის ერტელტ-ვიტს. ამ კვლევის დროს შეიქმნა მონაცემების კორპუსი ინტერვიუების ბაზაზე. ლაკუნარული მოდელი (Ertelt-Vieth 1990: 112-115; 317-320) შემდეგი სქემით არის შედგენილი:

1. მენტალური ლაკუნები მოიცავს კულტურულ-ემოციურ ლაკუნებს. მაგალითად, იაპონური ლექსემა „სეტპუნი" [23] კოცნას ნიშნავს, მაგრამ თავად იაპონელები ამ სიტყვის ასოციაციურ აღქმას მხოლოდ ეროტიულობასთან აბდენენ. სწორედ ეს განასხვავებს მას სემანტიკურად ფრანგული baiser და ინგლისური kiss-ისაგან,

[23] Вестник Челябинского государственного университета. 2011. № 25 (240). Филология. Искусствоведение. Вып. 58 . С. 22–27. Л. К. Байрамова ЛИНГВИСТИЧЕСКИЕ ЛАКУНАРНЫЕ ЕДИНИЦЫ И ЛАКУНЫ

რომელთა სოციალური როლები გაცილებით ფართოა, იგი სიყვარულს, თანაგრძნობას, მეგობრულ მისალმებას, თუნდაც თავაზიან ამბორს ნიშნავს. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდა იაპონელები, მენტალურ-ასოციაციური ლაკუნის შესავსებად მიმართავენ ინგლისურ ნასესხობას „კისუ“ (< ინგლ. kiss), რომელიც უკვე ადაპტირებულია იაპონურ ენაში. მენტალური ლაკუნების კატეგორიაში გაერთიანებულია ენობრივი სისტემის ლაკუნები: ფონეტიკური, გრამატიკული, ლექსიკური ლაკუნები.

2. მოქმედების აღმნიშვნელი ლაკუნები მოიცავს ვირტუალური ტექსტების ლაკუნებს, როგორიცაა „სკაიპის“, ელფოსტის, სხვადასხვა მესიჯის ტიპის პროგრამის ენაზე არსებული ლაკუნები, ასევე ჩვევების, ჟესტ-მიმიკის, საკომუნიკაციო იერარქიის ლაკუნები.
3. საგნობრივი ლაკუნები მოიცავს მატერიალურ სამყაროს ორგანიზების კონცეპტებს: საკვების, სასმელის კერძების კონცეპტუალურ სფეროს.
4. აქსიოლოგიური, ანუ შეფასების, ღირებულებების ლაკუნები მოიცავენ ესაა იუმორის, ეტიკეტის, როლისა და სტატუსის, რუტინული ქცევის, შეფასებითი სტერეოტიპების ლაკუნარული ერთეულები, წერილობით ტესტების შედგენის სპეციფიკის ლაკუნები.

საინტერესოა ეროვნული კოლორიტის მქონე ლაკუნარული ერთეულების მაგალითების განხილვა მსოფლიო კულტურათა ნაციონალური აზროვნების სპეციფიკის წარმოსადგენად:

მაგალითად, ჩინურ ენაში არსებობს უეკვივალენტო ლექსიკური ერთეული ***ნულოვანი საკვები,*** რითიც ეს ენა აღნიშნავს თხილს, კაკალს, მიწის თხილს, მზესუმზირას, ნუშს, ჩინურ წაბლს, წიწიბოს, ფისტას და ა. შ.

ინგლისურენოვან კულტურაში ჯერ წარმოიშვა კონცეპტი: ***მაღალი, ცამდე აწვდილი შენობა,*** შემდეგ კომპოზიტური დასახელება კონცეპტის აღსანიშნად: ***skyscraper,*** რაც რეალია გახლდათ ნებისმიერი სხვა კულტურისათვის, სადაც ანალოგიურ ნაგებობებს არ იცნობდნენ. მოგვიანებით შეიქმნა ცათამბჯენების სილუეტური ხაზის აღსანიშნი ლექსიკური ერთეული, ***skyline;*** „ზოგადი ენათმეცნიერების სახელმძღვანელო – თანამედროვე ლინგვისტური თეორიები“[24] (კოგნიტური ლინგვისტიკა) მიგვითითებს, რომ *„ერთი და იმავე კონცეპტის სხვადასხვაგვარი გაფართოებისა და გარდაქმნის შედე-*

[24] (http://armazi.uni-frankfurt.de/framee.htm თავი 2, გვ. 6

გად მიიღება მოცემული ლექსემისა თუ მორფემის სემანტიკური ველი, რომელშიც ცენტრალური მნიშვნელობები ასახვენ ლექსემის (მორფემის) ყველაზე უფრო პროტოტიპულ ხმარებას". სწორედ ასეა მიღებული ***skyscraper****-ისაგან* ***skyline****. ბუნებრივია,* ***skyline*** *ლაკუნარული ერთეულია, ხოლო ქართულ ენაზე, ისე, როგორც ნებისმიერ სხვა უცხო ენაზე, იგი ლაკუნას წარმოადგენს.*

პორტუგალიელები სპეციალური ლექსემით აღნიშნავენ ისეთ კონცეპტს, როგორიცაა ემოციური დამოკიდებულება ადამიანის წასვლისადმი, ამ განცდაში, რომელსაც ლექსემა ***saudade*** *აღნიშნავს, ერთიანად იგულისხმება აღელვება, მონატრება და სევდა.*

Mortarboard*-ს, კვადრატული ფორმის თავსაბურს, რომელსაც გრძელი ფუნჯი აქვს მიმაგრებული; თავდაპირველად ინგლისელი კურსდამთავრებულები და პროფესორები იხურავდნენ სამეცნიერო წოდების მინიჭების ცერემონიალზე. დღეს ეს თავსაბური უკვე დამკვიდრებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოშიც, მას ჯერჯერობით ბაკალავრის ან მაგისტრის ქუდს უწოდებენ. ლაკუნარული ერთეულები შეიძლება მოიცავდნენ ტრადიციული ეთნოგრაფიული ყოფა-ცხოვრების ამსახველ ზმნებს, მაგალითად, ზვენკების ეთნიკური ჯგუფის ენაზე* ***ულუსი*** *ნიშნავს ციყვზე ნადირობას,* ***ულიამი*** *- ნადირის კვალში ჩადგომას,* ***ონომი*** *- ირმის საძებრად წასვლას.*

ჩინურ ენაზე 姥姥 *ლაოლაო დედის მხრივ ბებიას ნიშნავს, ხოლო* 外外 *ნაინაი მამის მხრივ ბებიას,* 弟弟 *დიდი ნიშნავს უმცროს ძმას,*哥哥 *გეგე უფროს ძმას,*祖孙 *ზუსუნი ბებია-ბაბუას და შვილიშვილს.*

კორეულ ენაზე ბრინჯით მომზადებული კერძი ერთი კონცეპტია და ერთი ლექსემით გადმოიცემა, თუმცა, იგივე კონცეპტი ქართულ, ისე როგორც სხვა ენებზე, რამდენიმე სიტყვით გადმოიცემა, შესატყვისი ერთსიტყვიანი კონცეპტი კი არ არსებობს: ***ოკოგბაფი*** *- ბრინჯი, რომელშიც ხუთი სხვადასხვა მარცვალი არის შერეული (მაგალითად ფეტვი, მშრალი, შავი ლობიო, ლობიოს ტკბილი სახეობა და ა.შ.);* ***ჯიმბაფი*** *- ზღვის სარეველებში გახვეული ბრინჯის კერძი.*

დასავლეთ გრენლანდიაში ლექსემა ***სიკუ*** *ნიშნავს „ზღვის ყინულს", ეს ძირი ქმნის ახალ ლექსემებს:* ***სიკულიაჭი*** *ანუ „ახალი ყინული" ,* ***სიკურსუიტი*** *- ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში ყინულის დიდი მოტივტივე მასები,* ***სიკუაჭი*** *ანუ „თხელი ყინული",* ***სიკურლუკი*** *- „მდნარი ყინული", მათი ქართულად თარგმნა მარტივი არსებით სახელიანი ფრაზით*

ხდება და არა შედგენილით. ამდენად, კონცეპტის გადმოცემა შესაძლებელია, თუმცა ივი ერთი ლექსემის ნაცვლად ფრაზით გადმოიცემა.

ცენტრალური ალასკაზე მცხოვრებ 13 ათასი ეთნიკურად იუპიკ ესკიმოსს, თავიანთ ენაზე, რომელიც ერთ-ერთია ესკიმოსების ხუთი ენიდან, თოვლის სხვადასხვა კატეგორიის აღსანიშნავად ლექსემების მთელი ჯგუფი აქვს: **ანიუ** -მიწაზე დადებული თოვლი; **მურუანეჭი** „რბილი, ღრმა თოვლი", **ნუტარიუკი** „ახალი თოვლი".

ინგლისურ ენაში ბევრია ისეთი კონცეპტი, რომელიც თარგმანის ენაზე რამდენიმე სიტყვით გადმოიცემა შესატყვისი ერთსიტყვიანი კონცეპტი არ არსებობს, მაგალითად, ***time-lag*** აღნიშნავს დროის შუალედს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენას შორის; ***afterthought*** არის კომენტარი, იდეა, პასუხი ან ახსნა-განმარტება, რომელიც თან მოსდევს რაიმე ფაქტს, მოვლენას ან გადაწყვეტილებას; ***weekend*** სამსახურისგან თავისუფალი დროის შუალედია პარასკევი საღამოდან ორშაბათ დილამდე; ***pet*** შინაური ცხოველი ან ფრინველია, რომელსაც ბინაში ინახავენ და უვლიან საკუთარი სიამოვნებისთვის; ***multitasking*** აღნიშნავს ერთდროულად რამდენიმე საქმიანობის შესრულებას; ***Jet lag*** მოგზაურებისათვის ცნობილი ტერმინია, ივი აღნიშნავს ორგანიზმის ბიორიტმის დარღვევას სხვადასხვა საათობრივ ზონებში თვითმფრინავით გადაადგილების გამო.

განხილული ლაკუნარული ერთეულები ნათლად გვიჩვენებს, რომ ყველა კონკრეტული ცივილიზაცია საკუთარ იდენტობას ასახავს ლექსიკონში.

ლაკუნის თარგმანი არამხატვრულ ტექსტში

ლაკუნარული ერთეულების მთარგმნელობითი პრობლემის კვლევისათვის მათი კლასიფიკაცია შემდეგი კატეგორიების მიხედვით მოვახდინეთ:

(1) *ენობრივი სისტემა,* მაგ.: გრამატიკული კატეგორია: არტიკლი, მრ./მხ. ფორმები და ა.შ. (2) *რეალია-დამკვიდრებული ლექსემა,* მაგ.: ჩურჩხელა; (3) *კონცეპტი, რომელიც ვერბალიზებული არ არის მეტატექსტის ენაზე* და შესაბამისად, მისი თარგმნა შეუძლებელია ერთი ლექსემით; მაგ.: ინგლისურ ენაზე ლექსემა *scam*, ან იაპონურ ენაზე ლექსემა *ობიკუ* - ნიშნავს საიდუმლო პაემანს (4) *დამკვიდრებული ფრაზა:* dawn raid. armchair rule , eye-opener; Dress-down Fridays (or jeans Fridays) - პარასკევ დღეს თანამშრომლებს შეუძლიათ სამსახურში ნაკლებ ოფიციალურად ჩაცმულები გამოცხადდნენ, ჰალსტუხისა და კოსტუმის გარეშე, თუნდაც ჯინსით. ამ ლაკუნის თარგმანი კალკირებით გაუმართლებელია, შესაძლებელია ვთარგმნოთ როგორც „არაოფიციალური პარასკევი დღე". (5) *სამეცნიერო-ტექნიკური, ტექნოლოგიური, ბიზნეს-სფეროს ან სხვა დარგის განვითარების შედეგად წარმოქმნილი ახალი კონცეპტები:* მაგ.: ტურიზმი გვთავაზობს ახალ კონცეპტს, რომელიც ტერმინად მკვიდრდება: black tourism, რაც აღნიშნავს: მათ შორისაა ინტერნეტ-ტექნოლოგიების ტერმინადქცეული კონცეპტები: screensaver, Apache, Blog ბლოგერი, Develop დეველოპერი. გამომცემლობა „დიოგენემ" ახლახან დაამკვიდრა ტერმინი პრომოცია, ლათინური ეტიმოლოგიის ტერმინების -ცია სუფიქსის დართვით წარმოების ტრადიციული წესით, რასაც მოწმობს ენაში უკვე არსებული ტერმინები: დევალვაცია, მოდულაცია, რეალიზაცია, გლობალიზაცია, ინდუქცია, დედუქცია, პრესკონფერენცია, ოპტიმიზაცია, ასოციაცია.

ლაკუნარული ერთეულების მთარგმნელობითი სტრატეგიები

ტერმინები, როგორც ლაკუნარული ერთეულები:

კვლევის შედეგად მივიღეთ ტერმინი ლაკუნების თარგმნის კლასიფიკაცია[25]:

კატეგორიის განსაზღვრა (ტიპი)	ლაკუნარული ერთეული	თარგმანი	მეთოდი
ენობრივი სისტემა, მაგ.:	გრამატიკული კატეგორია: არტიკლი, მრ./მზ. ფორმები და ა.შ.	ყველა სხვა უცხო ენაზე:	სიტუაციური ვარიანტულობით თარგმნა, ჩანაცვლება ენაში არსებული ლექსემით/ განმარტების დართვა.
რეალია- დამკვიდრებული ლექსემა, მაგ.: ფშაური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა;		ყველა სხვა უცხო ენაზე:	ტრანსლიტერაცია
კონცეპტი, რომელიც ვერბალიზებული არ არის მეტატექსტის ენაზე და შესაბამისად, მისი თარგმნა შეუძლებელია ერთი ლექსემით;	მაგ.: ინგლისურ ენაზე ლექსემა *scam*; ან იაპონურ ენაზე ლექსემა *詐欺* - ნიშნავს საიდუმლო პაემანს.	ყველა სხვა უცხო ენაზე:	ტრანსლიტერაცია
დამკვიდრებული ფრაზა:	eye-opener; Dress-down Fridays (or jeans Fridays) -	ყველა სხვა უცხო ენაზე:	კალკირება, განმარტება

[25] ხ. ბერიძე

სამეცნიერო-ტექნიკური, ტექ-ნოლოგიური, ბიზნეს-სფეროს ან სხვა დარგის განვი-თარების შედეგად წარმოქმნილი ახალი კონცეპტები	მაგ.: ტურიზმი გვთავაზობს ახალ კონცეპტს, რომელიც ტერმინად მკვიდრდება: black tourism, რაც აღნიშნავს: ინტერნეტ-ტექნოლოგიების ტერმინადქცეული კონცეპტები screensaver, Apache, Blog ბლოგერი Develop დეველოპერი	ყველა სხვა უცხო ენაზე:	კალკირება, ნახევარკალკი, ტრანსლიტერაცია / ტრანსკრიბირება. ფუნქციური თარგმანი
ლათინური ეტიმოლოგიის ლექსემები, რომლებიც ინგლისური ენიდან ვისესხეთ,	დევალვაცია, მოდულაცია, რეალიზაცია, გლობალიზაცია, ინდუქცია, დედუქცია, პრესკონფერენცია, ოპტიმიზაცია, ასოციაცია.	ყველა სხვა უცხო ენაზე:	ლათინური ეტიმოლოგიის ლექსემათა -ცია სუფიქსით ტრანსლიტერაცია. გამომცემლობა „დიოგენემ“ ახლახან დაამკვიდრა ტერმინი პრომოცია, გამოიყენა რა დამკვიდრებული გრამატიკული წესი, რომ ლათინური ეტიმოლოგიის ტერმინები -ცია სუფიქსის დართვით აწარმოოს, რასაც მოწმობს ენაში უკვე არსებული ტერმინები.

ეკვივალენტობის პრობლემა თარგმანის უახლეს თეორიათა კონტექსტში

თარგმანის თეორია დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან იწყებს ჩამოყალიბებას; თეორეტიკოსთა მსჯელობას თან მოჰყვა თარგმანის შეფასების კრიტერიუმების შემუშავება. თარგმანის თეორიის განუყოფელ ტერმინად დამკვიდრდა კონცეპტი ეკვივალენტობა. რას ნიშნავს ეკვივალენტობა? ეს არის დედანსა და თარგმანს შორის ტოლფასოვნების საზომი, თარგმანის ხარისხის თეორიული განმსაზღვრელი. რამდენგვარი სახის ეკვივალენტობა შეიძლება დამყარდეს დედანსა და თარგმანს შორის? თარგმანის თეორეტიკოსების, ვინესა და დერბელნეს (1958), იაკობსონის (1959), კეტფორდის (1965), ნაიდასა და ტაიბერის (1969), კოლერის (1979), ნიუმარკის (1981), ბეიკერის (1992), ჰაუსის (1997), პიმის (2010) სამეცნიერო მოსაზრებები დედნისა და თარგმანის ეკვივალენტობის შესახებ ჩამოყალიბებულია ორენოვანი მასალის ანალიზისა და თეორიული განზოგადების საფუძველზე, თუმცა, დარგის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ეკვივალენტობის ცნების შესახებ ყველა თეორიულ ნაშრომში სხვადასხვა შინაარსი იკითხება, ამდენად, ეკვივალენტობის სამეცნიერო განსაზღვრებები თანმხვედრი არ არის, თუმცა, მათ შორის არც არსებითი განსხვავებებია. თარგმანის ეკვივალენტობის პრობლემის შესახებ მსჯელობისას მეცნიერები მხოლოდ ერთზე თანხმდებიან, რომ სრული ეკვივალენტობა დედანსა და თარგმანს შორის მხოლოდ იდეის დონეზე შეიძლება არსებობდეს. ვ. ს. ვინოგრადოვის დასკვნა რომ მოვიყვანოთ, „შეიძლება წინდაწინვე ვამტკიცოთ, რომ ნებისმიერი თარგმანი ვერაფრით იქნება აბსოლუტურად იდენტური ორიგინალის კანონიკური ტექსტისა; თარგმანის დედანთან ეკვივალენტობის მიღწევა შეფარდებითია (გვ. 18). ვინესა და დერბელნეს მიხედვით, ტერმინი ეკვივალენტობა აღნიშნავს „დაახლოებით ეკვივალენტობას“, ანუ იგივე სიტუაციის განსხვავებული ტერმინებით აღნიშვნას. „დაახლოებითი ეკვივალენტობა“ ნიშნავს ფრაზების, იდიომების, კლიშეების, ენის სტანდარტული ასპექტების *ცნობილი ალტერნატიული ფორმებით* გადმოცემას.

ენათა შორის სრული ეკვივალენტობის მიღწევას ხელს უშლის ლინგვოსტილისტიკური და სოციოკულტურული ფაქტორები.

დ. ფანჯიკიძე სწორედ სტილის ეკვივალენტობის ტრანსპოზიციის სირთულეზე მიუთითებს: „მწერლისეული სახეები კი თავისი მოულოდნელობით, ორიგინალობით გამოირჩევა, ისინი მწერლის სტილისტური სისტემის მნიშვნელოვან ელემენტთა რიცხვს

მიეკუთვნება და თარგმანის ერთ-ერთ სიძნელესაც ისინი ქმნიან. მოულოდნელობისა და ორიგინალობის გამო ძნელდება მათთვის ისეთი ბუნებრივი ენობრივი ფორმების გამოძებნა, რომლებიც მკითხველის ყურს არ ეხამუშება და ამავე დროს ავტორის სტილის ნიშნითაა აღბეჭდილი".

ვ. ნ. კომისაროვი ორიგინალისა და თარგმანის ტოლფასოვნების, ანუ ეკვივალენტობის 5 ტიპს გამოჰყოფს:

1. კომუნიკაციის მიზანთა ეკვივალენტობა, რომელშიც გამოხატულია დედნის როლი, მისი დანიშნულება კომუნიკაციის აქტში, თუნდაც ეს იყოს კონსტატაციური ტიპის გამონათქვამი, ანუ, თუ ჯონ ოსტინს დავესესხებით ლოკუციური საწარმოთქმო აქტი - სრულიად ნეიტრალური გამონათქვამი, ფაქტის დეკლარაცია. თარგმანში აუცილებელია კომუნიკაციის მიზანი შენარჩუნდეს:

1. Maybe there is some chemistry between us that doesn't mix.

ალბათ ხასიათით ვერ შევეწყეთ ერთმანეთს.

2. That's a pretty thing to say - გრცხვენოდეთ, ამის თქმის!

3. Those evening bells, those evening bells, how many a tale their music tells - სალამოს ზარები, სალამოს ზარები, როგორი მუსიკა, რამდენი ამბები.

კომისაროვი მიუთითებს, რომ პირველ მაგალითში კომუნიკაციის მიზანია გადატანითი მნიშვნელობის გადმოცემა, ადამიანებს შორის ურთიერთობები ქიმიური ელემენტების ურთიერთქმედებასთან არის შედარებული. მხატვრული სახე თარგმანში იკარგება, თუმცა საკომუნიკაციო ეფექტი გადმოცემულია; მეორე მაგალითში ვხედავთ მოსაუბრის გულისწყრომას, რომელიც, შეიძლება გადმოიცეს ბუნებრივი საუბრისთვის დამახასიათებელი, სტერეოტიპული ფრაზით; ცალკეულ ლექსემათა დონეზე ეკვივალენტობა სავალდებულო არ არის; მესამე მაგალითში, დედნის მთლიანი ფუნქცია, ინფორმაციასთან ერთად, რითმისა და ბგერათა წყობის პოეტური ეფექტიის გადმოცემაა, რაც თარგმანშიც უნდა შენარჩუნდეს. კომისაროვი აღნიშნავს, რომ პოეტური ეფექტის მისაღწევად რუსულ თარგმანში ინფორმაცია სახეცვლილია: Вечерний звон, вечерний звон, как много дум наводит он. თეორეტიკოსი მიუთითებს, რომ ასეთი ტიპის ეკვივალენტობისას თარგმანი თითქოს სრულიად განსხვავდება დედნისაგან.

კომისაროვის თეორია კომუნიკაციის მიზანთა ეკვივალენტობის შესახებ ზოგადია, იგი ყველა ჟანრის ტექსტს შეეხება.

2. დენოტაციური ეკვივალენტობა, იგივე რაც ექსტრალინგვისტური ინფორმაციის ეკვივალენტობა და კულტურული ასოციაციების ეკვივალენტობა. თარგმანში ტოლფა-

სოვნად არის გადმოცემული კომუნიკაციის მიზანიც და ექსტრალინგვისტური სიტუაციაც. ვ. კომისაროვი წერს, რომ სიტუაციის ტოლფასად აღწერა ისეთი თარგმნითი ვარიანტია, როცა დედანსა და თარგმანში აღწერილი სიტუაცია იგივეა, მაგრამ ასახვის ხერხები განსხვავდება. ამდენად, კონოტაციურ ეკვივალენტობას მეორენაირად სიტუაციურ ეკვივალენტობასაც უწოდებენ. კომისაროვის დენოტაციური ეკვივალენტობა, განსხვავებით ზემოთ აღწერილი კომუნიკაციის მიზანთა ეკვივალენტობისაგან, ნიშნავს, რომ თარგმანში გამოყენებულია ტრანსფორმაციის ხერხები მიმღები ენის გრამატიკული თუ ლექსიკური ნორმატივების შესაბამისად, მაგ.:

He answered the phone - მან ყურმილი აიღო.

You are not fit to be in a boat - შენი ნავში ჩაჯდომა არ შეიძლება.

You see one bear, you have seen them all - ყველა დათვი ერთნაირია.

Wet paint – ფრთხილად, შეღებილია!

No crossing - გადაკვეთა აკრძალულია!

No exit – გასვლა აკრძალულია!

No smoking - მოწევა აკრძალულია!

No entry, private property - კერძო საკუთრება. შესვლა აკრძალულია!

Hold on - მოითმინეთ! დამელოდეთ! ერთი წუთით!

I do not care what he said, you are going to complete this assignment!

არ მაინტერესებს მან რა თქვა, დავალებას შეასრულებ!

როგორც ვხედავთ, თარგმანში სრულიად სხვა მოქმედება სრულდება, დედნისაგან განსხვავდება ლექსიკური შედგენილობა და სინტაქსური სტრუქტურები.

Stop, I have a gun! (R. Bradbury) შეჩერდი, გესვრი!

Reduction on taking a quantity. (J. Galsworthy) ბითუმად შესყიდვისას გთავაზობთ ფასდაკლებას.

Peter's face muscles tightened. (A. Hailey) - პიტერს სახეზე დაძაბულობა დაეტყო.

He left the ship on Tuesday. (J.K. Jerome)

ის გემიდან ნაპირზე სამშაბათს ჩავიდა.

კულტურული ასოციაციებისა და დენოტაციური ეკვივალენტობის ჟესტების გადმოცემის დონეზეც ეკვივალენტური უნდა იყოს: ზოგიერთ კულტურაში თავის დაქნევა იგივეს ნიშნავს, რაც სხვა კულტურაში თავის გაქნევას უარყოფის ნიშნად, მთარგმნელმა კი თარგმნისას მიმღები კულტურის ექსტრალინგვისტური ასოციაცია უნდა გაითვალისწინოს.

დენოტაციურ-სიტუაციური ეკვივალენტობით უნდა ითარგმნოს ფორმულები, რითიც გადმოიცემა გაფრთხილება, აკრძალვა:

Authorized personnel only; Keep out; Danger; No Trespassing; Restricted area; Caution, biological hazard; No admittance; Confidential;

ქება, წახალისება:

You champion! You rock! You are awesome! Nice going! You are incredible! Amazing grace! Now, that's a courtesy! You are almost there!

წყრომა:

Don't drive me up the wall! Isn't he dreadful? I don't know what society is coming to.

მოწოდება - პოლიტიკური ლოზუნგები:

Really, someone should make a stand against it!

I will cut the fares!

Vote for me!

Labour is not learning!

Labour is not working!

It's time to change!

Man is not free unless government is limited!

2. სიტუაციის აღწერის ეკვივალენტობა - დედნის თარგმანთან შეპირისპირებით ვლინდება, რომ ლექსიკური და სინტაქსური სტრუქტურები არ არიან პარალელური, დასაშვებია სემანტიკური ვარირება, მაგრამ თარგმანში აღწერილია იგივე სიტუაცია და გადმოცემულია დედნის საკომუნიკაციო მიზანი, ისევე როგორც ზოგადი ცნებები. თარგმანი სემანტიკური თვალსაზრისით პერიფრაზირებულია, ხოლო სიტუაცია მეტნაკლებად დაწვრილებით არის აღწერილი.

Scrubbing makes me bad-tempered – იატაკის ხეხვა ხასიათს მიფუჭებს;

London saw a cold winter last year - ლონდონში გასულ წელს ცივი ზამთარი იყო.

თარგმანი შეიძლება მეტი ექსპლიციტურობით ხასიათდებოდეს:

People went into rooms as if they meant to stay there - ხალხი ისე გულდაგულ აწყობდა ბინას, თითქოს ის სამუდამოდ აპირებდნენ დარჩენას.

სიტუაციის აღწერა შეიძლება იყოს ანტონიმური:

He will never forget this - ეს მას მუდამ ემახსოვრება.

That will not be good for you - ცუდად დაამთავრებ.

მთარგმნელმა შეიძლება მიმართოს კონვერსიულ პერიფრაზს:

He drove on. They had their backs to the sunlight now - მან მანქანის ტარება განაგრძო, ახლა მზე ზურგიდან გვაცხუნებდა.

Do I look all right? - კარგად გამოვიყურები?

3. **სინტაქსურ სტრუქტურათა ეკვივალენტობა** – ამ შემთხვევაში, კომისაროვის აზრით, საჭიროა სინტაქსურ სტრუქტურათა ერთგვაროვნების შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ დედნისა და თარგმანის ტექსტებში ლექსიკურ ერთეულებს შორის სრული პარალელიზმი შეიძლება არ იყოს, შენარჩუნებულია კომუნიკაციის მიზანი, სიტუაცია და მისი აღწერის საშუალებები:

I told him what I thought of him - მოვახსენე, რასაც მასზე ვფიქრობდი.

He was never tired of old songs - ძველი სიმღერები არასოდეს ბეზრდებოდა.

ამ ტიპის ეკვივალენტობა ძნელია შენარჩუნდეს წინადადების ინვერსიული წყობის დროს, როდესაც საკომუნიკაციო ცენტრი გადანაცვლებულია ემოციური ეფექტის გადმოსაცემის მიზნით. თარგმანში კი საკომუნიკაციო ეფექტს შეიძლება ლექსიკურ დონეზე მივაღიოთ:

Open flew the gate and in came the coach - ჭიშკარი გაიღო და კარეტა ეზოში შეგრიალდა.

Him I have never seen - მე ის თვალითაც /თვალადაც არ მინახავს.

4. **სიტყვიერ ნიშანთა იგივეობა** - დედნის სიტყვიერ ნიშანთა შენარჩუნება თარგმანში, ანუ ეკვივალენტობა სემანტიკურ დონეზე, მაგ.:

I saw him at the theatre.

მე ის თეატრში ვნახე

The house was sold for 10 thousand dollars.

სახლი 10 ათას დოლარად გაიყიდა

He was sure we should both fall ill.

იგი დარწმუნებული იყო, რომ ორივე ავად გავხდებოდით.

ნ. **საყვარელიძის** მოსაზრებით, კომისაროვთან ეკვივალენტობის ტიპებს შორის განსხვავება გამოვლენილია არა კომუნიკაციური ტოლფასოვნების, არამედ მხოლოდ ფორმალურ მახასიათებელთა დონეზე. ნ. საყვარელიძის არგუმენტირებით, კომისაროვი არ გამოჰყოფს ზემოაღნიშნულ ტიპებს შორის კომუნიკაციური ტოლფასოვნების/ეკვივალენტობის ტიპს, ყველა ტიპს შორის განსხვავება გამოვლენილია მხოლოდ ფორმალურ

მახასიათებელთა დონეზე, ამდენად, კომისაროვის მაგალითები უფრო გამოდგებოდა თარგმნითი ტრანსფორმაციების ტიპების საილუსტრაციოდ.

თარგმანის თეორეტიკოსი ა. ნოიბერტის მტკიცებით, შექსპირის სონეტი XVIII-ის თარგმნა შეუძლებელია, იმ თვალსაზრისით, რომ დასაწყისი სტრიქონი: "Shall I compare thee to a summer day? " და მისი თარგმნითი ეკვივალენტობა შეუძლებელია მიღწეულ იქნეს ისეთი ხალხის ცნობიერებაში, სადაც ზაფხული ან საერთოდ არ დგება, ან ძალზე არასასიამოვნო პერიოდია. თუმცა, ნოიბერტის არგუმენტაციას უპირისპირდება ნიუმარკი, რომელიც სამართლიანად მიუთითებს, რომ მკითხველმა ეკვივალენტური თარგმანით უნდა მიიღოს სასიამოვნო შთაბეჭდილება, რაც ინგლისის ზაფხულმა შეიძლება მიანიჭოს ადამიანს, თარგმანმა უნდა შეძლოს და დაანახოს მკითხველს მისი სილამაზე, შეუქმნას ანალოგიური შთაბეჭდილება.

კეტფორდის აზრით, თარგმანის განხორციელების ძირითადი პირობა არის თარგმნითი ეკვივალენტების დაძებნა. ამავე კონცეფციას იზიარებს ნ. საყვარელიძეც (გვ. 72),

პ. ნიუმარკი წერს სემანტიკური და კომუნიკაციური ეკვივალენტობის შესახებ. ნიუმარკის კონცეფცია კომუნიკაციური თარგმანის შესახებ ეხმიანება პრაგმატიკული ეკვივალენტობის თეორეტიკოსების მოსაზრებებს.

გერმანელი თარგმანის თეორეტიკოსი ვერნერ კოლერი ეკვივალენტობის 5 ტიპს გამოჰყოფს:

დენოტაციური, ანუ რეფერენციალური ეკვივალენტობა - რაც გულისხმობს საწყისი ტექსტის აზრის, მისი შინაარსის ინვარიანტის შენარჩუნებას;

კონოტაციური ეკვივალენტურობა, როცა თარგმანის ენაში არსებული გამოხატვის სინონიმური საშუალებებიდან სტილისტური ეფექტის თვალსაზრისით ტოლფასოვანი ენობრივი საშუალებებია შერჩეული;

ტექსტურ-ნორმატიული ეკვივალენტობა, რომელიც ტექსტის ჟანრულ მახასიათებლებს და მათი შესაბამისი სამეტყველო ნორმების დაცვას გულისხმობს.

პრაგმატიკული ეკვივალენტობა, რომელშიც იგულისხმება ორიენტაცია თარგმანის მიმღების ფაქტორზე, მასში სათანადო რეაქციის სტიმულირებაზე;

ფორმალური ეკვივალენტობა, ანუ ორიგინალის ისეთი ფორმალური ნიშნების შენარჩუნება თარგმანში, როგორიცაა ინდივიდუალური სამწერლო სტილის მხატვრულ-ესთეტიკური მახასიათებლები.

ნ. საყვარელიძე გამოჰყოფს კოლერის 5 პრინციპიდან პრაგმატულ-კომუნიკაციური ეკვივალენტობის პრინციპს, როგორც უმნიშვნელოვანესს; ასევე, იუჯინ ნაიდას კონცეფ-

ციას, რომელიც ცდილობს გაარღვიოს თარგმანთან ვიწრო სემანტიკური მიდგომის საზღვრები. ავტორი გამოარჩევს ორ განსხვავებულ ორიენტაციას თარგმანში:

1. ფორმალური ეკვივალენტობის მიღწევის ცდას;
2. დინამიკური ეკვივალენტობისკენ სწრაფვას.

ი. ნაიდასეული დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპი აშკარად უპირისპირდება ფორმალური ეკვივალენტობის პრინციპს, მასში პირველ პლანზეა წამოწეული თარგმანის პრაგმატიკული განზომილება, მთარგმნელის ორიენტაცია თარგმანის ტექსტის ადრესატზე; ანუ როცა „ორიგინალის აზრობრივი შინაარსი ისეთნაირადაა გამეორებული მიმღები ენის ფორმებში, რომ თარგმანის ადრესატის რეაქცია (response) ადეკვატურია საწყისი ტექსტის ადრესატის რეაქციისა", წერს ნ. საყვარელიძე.


ნაიდა არ გამორიცხავს ფორმალური ეკვივალენტობის დაცვას გარკვეული ტიპის ტექსტებში, მაგ.: კოგნიტური ანუ შემეცნებითი მიზანმიმართების ტექსტებში. ნაიდა არც ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპს გამორიცხავს, მაგ.: პოეზიაში, როცა ფორმას შეიძლება ნაწილობრივ შეეწიროს შინაარსი.

ნ. საყვარელიძის კონცეფციით, თარგმანის ტექსტში შეიძლება ორიგინალის სინტაქსური მატრიცაც შეიცვალოს და ლექსიკოგრამატიკულიც, მაგრამ ტოლფასად შენარჩუნდეს კომუნიკაციური ეფექტი. ამგვარ ეკვივალენტურობას ავტორი უწოდებს ფუნქციურ, ანუ კომუნკაციურ-პრაგმატიკულ ეკვივალენტობას.

ეკვივალენტობა და ფონური ცოდნა

კონცეპტი ,,მთარგმნელობითი ეკვივალენტობა,“ როგორც წინარე განაკვეთში აღვნიშნეთ, თარგმანის თეორიის განუყოფელი ტერმინია. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, თეორეტიკოსები თანხმდებიან, რომ ეკვივალენტობა მხატვრული თარგმანის ხარისხისა და მთარგმნელობითი ოსტატობის შეფასების ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმია. ეკვივალენტების განსაზღვრა ფილოლოგიურ-ლინგვისტიკური შრომაა; მთარგმნელი დედნის დისკურსს ანალიზებს, ხოლო მეცნიერი, თეორიული მოსაზრებების ჩამოსაყალიბებლად, შეისწავლის როგორც დედნის, ისე თარგმანის დისკურსსაც. დისკურსის ანალიზი ხორციელდება სხვადასხვა პოზიციიდან: ლინგვისტიკის, პრაგმატიკის, სოციოლინგვისტიკის, ეთნოგრაფიის და ა.შ. ვერბალური კომუნიკაციური ქცევა, თავისთავად, ისეთი დისციპლინის პოზიციიდანაა გასაანალიზებელი, როგორიცაა ინტერაქციული სოციოლინგვისტიკა.

ვ. ს. ვინოგრადოვი ეკვივალენტების ტიპების შემდეგ კლასიფიკაციას გვთავაზობს:



ამრიგად, თარგმანის მეთოდის მიხედვით, ვ. ვინოგრადოვი გამოჰყოფს 6 ტიპის ეკვივალენტობას:

1. პირდაპირი
2. სინონიმური
3. ჰიპო-ჰიპერონიმიკული
4. დესკრიფციული
5. ფუნქციონალური
6. პრესტაციული

ვინოგრადოვის თვალსაზრისით, პირდაპირი ეკვივალენტები დადგენილია ლექსიკონით და მთარგმნელის გონებაში ფიქსირებული ფორმით არსებობს მათი უდიდესი ბირთვი.

სინონიმური ეკვივალენტები ენათშორის დონეზე არსებული სინონიმებია, ანუ მთარგმნელი სამიზნე ენაში არსებული სინონიმური ჯგუფიდან რომელიმე სიტყვას შეუსაბამებს ორიგინალის შესაბამის სიტყვას. სინონიმური ეკვივალენტები *ნაწილობრივი შესატყვისობებია*, რომლებიც განსხვავდებიან ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობით.

ჰიპო-ჰიპერონიმიკული ეკვივალენტები: ჰიპონიმები და ჰიპერონიმები შეადგენენ ასეთი ეკვივალენტების ბირთვს, მაგ..: პალმები რომ ვთარგმნოთ კორომად, ან პალმა გადმოვიტანოთ როგორც „ხე," პალმის, როგორც სახეობის დაკონკრეტების გარეშე. ჰიპონიმია ასიმეტრიული, ანუ იერარქიული სინონიმიაა, მაგ.: ია, იასამანი და ვარდი კოჰიპონიმებია და მათ აერთიანებთ სუპერორდინატი ყვავილი, რომელიც ჰიპერონიმი, ანუ ყოველი მათგანის ზოგადი კატეგორია.

დესკრიფციულ-პერიფრასტიკული ეკვივალენტები: ორიგინალის ენაში არსებულ სიტყვას თარგმანში აღმწერი ვარიანტი შეესაბამება, რომელიც განმარტავს ამ ლექსიკური ერთეულის აზრს, მაგ.: გამგებელი, რაჯა, ნაიბი და ა.შ.

ფუნქციური ეკვივალენტები დედნისა და თარგმანის ლექსიკური ერთეულების ისეთი შესატყვისობაა, რომლის დროსაც ფუნქციები ემთხვევიან, ხოლო სემანტიკური მნიშვნელობა სხვადასხვაა. ფუნქციონალური ეკვივალენტების საჭიროება ჩნდება მაშინ, როცა განსაკუთრებით ჭირს თარგმნა, რადგან ორიგინალის ენობრივი ფორმების ელემენტებს შეძენილი აქვთ ექსპრესიული აზრი. ასეთია კალამბურის თარგმნა:

Cecily: - There is no time for wearing the shallow mask of manners, when I call a spade I call it a spade.

Gwendolen: - I am glad to say I have never seen a spade, it's obvious that our social spheres have been greatly different. (O. Wilde).

„სესილი: - „ეხლა ზრდილობის ნიღბის ტარების დრო და ჟამი როდია. ბარს რომ ვხედავ, ვამბობ, ეს ბარია-მეთქი და არა ნიჩაბი. ვარჩევ როგორმე ერთმანეთისგან.

გვენდოლენი: - „არასოდეს მინახავს ბარი ან ნიჩაბი. აქედან აშკარაა, რომ სხვა-დასხვა სოციალურ სფეროს ვეკუთვნით“ (ო. უაილდი, თარგმანი რ. კალანდაძისა).

მთარგმნელი ახალ ენობრივ ფორმებს ანიჭებს კალამბურს და ინარჩუნებს როგორც ავტორის საკომუნიკაციო მიზანს, ისე ტექსტის მხატვრულ მეტყველებას.

პრესტაციული ეკვივალენტობა არის სიტყვა რეალიის ტრანსკრიფციის გზით გადმოცემა თარგმანში. **რეალია** არის უნიკალური ეროვნული ხასიათის მქონე საგანი, მოვლენა, ან პროცესი. სწორედ უნიკალობის გამო, სიტყვა-რეალიები უეკვივალენტო ლექსიკური ერთეულებია და სხვა კულტურაში ამ საგნებსა ან მოვლენებს ანალოგი არ გააჩნიათ. უთარგმნელობის გამო, სიტყვა-რეალია ტრანსკრიფციის გზით აისახება თარგმანის ტექსტში, ხოლო ტრანსკრიფციით ენაში შემოსული ლექსიკა ნასესხობაა.

თარგმნითი უეკვივალენტობის პრობლემა

თარგმანი არ არის ორი ენის ნიშნებს შორის ეკვივალენტების ძიების პროცესი. თარგმნის ძირითად მიზანს სათარგმნ ენაზე შეტყობინების აზრის გადაცემა წარმოადგენს. კ. რაისი აღნიშნავდა: „ეკვივალენტობა თანასწორი ურთიერთობაა ორი ლინგვისტური სისტემის ნიშნებს შორის, ორ განსხვავებულ ლინგვისტურ კოლექტივში, სადაც თითოეულს საკუთარი სოციო-კულტურული კონტექსტი აქვს. ამასთან, ეკვივალენტური თარგმანი არ გულისხმობს თითოეული სიტყვის შესატყვისობას. შესაძლოა, რომ თარგმანის მრავალი ვარიანტი იყოს ეკვივალენტური“ (რაისი 2009, 146). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ მხოლოდ ორი ენის ნიშნებს, ანუ სიტყვებს შორის ეკვივალენტობის ძებნას შევუდგებით, უყურადღებოდ დაგვრჩება მათი თანამნიშვნელობები, მათი გადატანითი, ანუ ფიგურული მნიშვნელობა, მომიჯნავე სიტყვების ზეგავლენა ამ სიტყვის გამოყენებით კონკრეტული აზრის ჩამოყალიბებაზე, რაც, საბოლოოდ, სიტყვას სძენს კონტექსტურ, ანუ დამატებით მნიშვნელობას. სიტყვები დამატებით მნიშვნელობას იძენენ მათი სემანტიკური ველის დიაპაზონის გაფართოების შესაძლებლობების მიხედვით.

სიტყვის სემანტიკური ველი აბსტრაქტული კონცეპტია და აზრობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვების ერთობლიობას აღნიშნავს. მაგალითად, ავიღოთ სიტყვა *დღე*. მისი თანამნიშვნელობებია სინათლე, ნათელი, გათენება, თეთრი, რომელიც სინათლეს გამოხატავს, დღესასწაული და ა.შ. იგი ასოცირდება ისეთ საწყის ცნებასთან, როგორიცაა სიკეთე და უპირისპირდება საწინააღმდეგო ცნება ბოროტებას. სიტყვა *დღის* ანტონიმია *ღამე*. თითოეულ ამ სიტყვას დამატებით თან ახლავს საკუთარი მნიშვნელობები, თანამნიშვნელობები და ასოციაციები, რაც სიტყვა *დღის* სემანტიკურ ველში შედის და ამავე დროს თავად ქმნის საკუთარ სემანტიკურ ველს. ამდენად, ბევრი ცნება, გამოხატული სიტყვით, ურთიერთგადამკვეთია. ინგლისურ ენაში *day*-ს სემანტიკური ველი და ქართული *დღის* სემანტიკური ველი 100%-ით ტოლფასი ცნებები ვერ იქნება, მაგალითად, ქართულში უკვე შეგეხვედა სემა *ხანგრძლივი* (ორი სემანტიკური ნაწილისაგან შედგენილ ამალგამაში: *დღესასწაული*), რომელიც ინგლისურ სიტყვა *day* -ს სემანტიკურ ველში არ გვხვდება.

სემანტიკურ ველებს ლექსიკურ კომპლექტებსაც უწოდებენ. ყველა კომპლექტს თავისი ლექსიკური ქვედანაყოფი, ანუ საკუთარი სემანტიკური ველი აქვს, მაგ.: მეტყველების აღმნიშვნელი ზმნები ინგლისურში მოიცავს ისეთ სინონიმებს, როგორიცაა *mumble, murmur, mutter,* and *whisper*. ეს ზმნები ზოგადი ზმნის, speak-ის სემანტიკური

ველის ერთ ლექსიკურ კომპლექტს შეადგენენ. მთარგმნელმა უნდა შეაფასოს სიტყვების სემანტიკური ველები დედნისა და თარგმანის ენების დონეზე, სინონიმები და ანტონიმები, თანამნიშვნელობები, სიმბოლიკა და ასოციაციები, მთარგმნელობით უეკვივალენტობას ხშირად განაპირობებს დედნისა და თარგმანის სიტყვებს შორის სემანტიკური ასოციაციების არატოლფასოვნება. სიტყვები ზოგადიდან კონკრეტულისკენ იერარქიულად განლაგებულ კომპლექტებს წარმოადგენენ. ლექსიკოლოგიაში ზოგად სიტყვებს სუპერორდინატი (**superordinate**) ეწოდება, ხოლო კონკრეტულს ჰიპონიმი (**hyponym**). სიტყვა **Vehicles** -ის სემანტიკურ ველში *vehicle* სუპერორდინატია, ხოლო *bus, car, truck, coach* მისი ჰიპონიმებია.

საქმიანი (იურიდიული, კომერციული, დიპლომატიური) დოკუმენტების თარგმანი

საქმიანი დოკუმენტების ნაწილია შეტყობინების ტიპის ტექსტები:

1. ოქმი (memo) მემო, კონტრაქტი, ბიზნეს წერილი, რეკლამა;
2. მოხსენება - მაგ. ლაბორატორიულ სადგურში ჩატარებული კვლევის შესახებ.
3. განრიგი - ბიბლიოგრაფია, ინდექსური მაჩვენებლები, ლიტერატურის სია, ქიმიური ელემენტების ვალენტობის ცხრილა და ა. შ.
4. ესეი - დისერტაცია, სტატია, ნარკვევი, თეზისი.

საქმიანი დოკუმენტების 100-ზე მეტი ტრადიციული ტექსტური ფორმა არსებობს, მათ შორისაა:

1. მიმართვა
2. დღის წესრიგი
3. მემუარი
4. განცხადება
5. სტატია
6. ბიბლიოგრაფია
7. ბროშურა
8. ბიულეტენი
9. ყდაზე წარწერილი რეკლამა (blurb)
10. კრიტიკული მიმოხილვა

საქმიანი დოკუმენტების თარგმნისას საჭიროა დედნის ტექსტის შინაარსსა და ფორმასთან ზედმიწევნითი სიახლოვე. როგორც ცნობილია, საქმიან დოკუმენტებში რეგისტრი ოფიციალურია, რაც განაპირობებს გრძელი და პასიური კონსტრუქციების სიუხვეს. საქმიანი დოკუმენტის თარგმნისას დამკვიდრებულია ზოგადი წესები:

1. ნათარგმნ ტექსტს არ უნდა ჰქონდეს ისეთი გადახრები საწყისი ტექსტიდან, რაც სცილდება ტრანსფორმაციის ფარგლებს;
2. წინა პლანზე გადმოდის სათარგმნი ტექსტის არსის გაგება; დიდი მნიშვნელობა ენიჭება სათანადო სპეციალური ტერმინოლოგიის ცოდნას; აღწერითი თარგმანი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თარგმანის ენაში არ არის სათანადო ტერმინი;

3. საქმიანი დოკუმენტების მთარგმნელს მოეთხოვება აზრის ზუსტად გადმოცემა, ლაკონიურობა.
4. თუ დედანში გვაქვს ლათინუროენოვან ტერმინი, იგი, როგორც წესი, უცვლელად გადმოდის თარგმანში, ხოლო სხვა წარმოშობის ტერმინის შემთხვევაში იგი ითარგმნება სათარგმნ ენაზე მიღებული შესაბამისი ტერმინით.
5. საქმიანი დოკუმენტების თარგმნის დროს დაუშვებელია ტექსტის კომპრესია, რადგან კომპრესიამ შესაძლოა გამოიწვიოს ტექსტის კომუნიკაციური ღირებულების, ეფექტის დაკარგვა.
6. კომერციული ტიპის ტექსტის მთარგმნელს მოეთხოვება ასევე ფლობდეს კომერციულ კლიშეებს, იცნობდეს სათარგმნ ენაზე არსებულ ეკონომიკურ რეალიებს, რათა მათი აღწერილობითი თარგმანი კომპეტენტურად შეძლოს;
7. დიპლომატიური ტიპის დოკუმენტების მთარგმნელს უნდა ესმოდეს დიპლომატიური ეტიკეტი და დიპლომატიის ენა, რათა თარგმანის პრაგმატიკული ადაპტაცია მოახდინოს სამიზნე ენაზე.
8. მთარგმნელის პრაქტიკული ამოცანაა თარგმანის სტრუქტურა, ანუ მისი სქემური გამოსახულება, ადექვატური იყოს დედნის სტრუქტურული სქემისა.

თარგმანის თეორეტიკოსი, პ. ნიუმარკი მიიჩნევს, რომ საქმიანი დოკუმენტაციის თარგმნის დროს მთარგმნელმა უნდა მიმართოს სემანტიკური თარგმანის მეთოდს.

სამეცნიერო-ტექნიკური და საგაზეთო-საინფორმაციო მასალის თარგმანი

აკადემიური ტექსტის სტრუქტურული კომპონენტებია:

1. შესავალი, რომელშიც ყალიბდება მიზანი, წარმოდგენილია შესწავლილი მოსაზრებები და ჰიპოთეზები;

2. მიმოხილვითი ნაწილი, შეჯამებული და შეფასებულია ტექსტის შინაარსი;

3. მეთოდური ნაწილი, რომელშიც მეთოდური თანმიმდევრობა და შეფასების კრიტერიუმებია წარმოდგენილი;

4. შედეგების შემაჯამებელი ნაწილი, რომელშიც კვლევის შედეგებია წარმოდგენილი;

5. ანალიზის ნაწილი, რომელშიც, თავდაპირველი ჰიპოტეზის ფარგლებში, შეფასებულია კვლევის შედეგები.

თარგმანის ცალკეული ქვეტიპის სპეციფიკას სწავლობს თარგმანის სპეციალური თეორია; სამეცნიერო-ტექნიკური და საგაზეთო-საინფორმაციო მასალის თარგმნის თავისებურებათა შესწავლა სამი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით ხდება; თარგმნის პროცესზე გავლენას ახდენს თვით ის ფაქტორიც, თუ რომელ ფუნქციურ სტილს განეკუთვნება დედანი და რა სტილისტური ხერხებია შერჩეული. სწორედ ეს განაპირობებს მთარგმნელის მიერ სათანადო ენობრივი საშუალებების და მთარგმნელობითი მეთოდების გამოყენებას. თარგმანის სპეციალური თეორია სწავლობს თარგმანის პროცესზე გარკვეული ფუნქციური სტილის ზეგავლენის საკითხებს, აგრეთვე მიმღებ ენაში დედნის სტილის ანალოგიური ფუნქციური სტილის გადმოტანის თავისებურებებს და ენების ურთიერთზეგავლენას. თითოეული ფუნქციური სტილის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს ზოგიერთი ენობრივი თავისებურება, რომელთა ზეგავლენა თარგმნის პროცესის საბოლოო შედეგზე ძალზე მნიშვნელოვანია; მაგ.: სამეცნიერო-ტექნიკური სტილის თავისებურება – ეს, უწინარესად, ტერმინოლოგია და სპეცლექსიკაა; საგაზეთო-საინფორმაციო სტილი პოლიტიკურ ტერმინების, სახელებისა და დასახელებების გარდა, ხასიათდება სათაურების გაფორმების თავისებურებებით; ასევე, დამახასიათებელია საგაზეთო კლიშეების ხშირი გამოყენება, ჟარგონიზმების ჩართვა. მედიაენაში დამკვიდრებულია ზოგადი მედიატერმინები, ბეჭდური მედიატერმინები, სატელევიზიო მედიატერმინები და ინტერნეტ მედიატერმინები.

სამეცნიერო-ტექნიკური სტილისათვის დამახასიათებელი პარამეტრია მისი ინფორმაციულობა, ლოგიკური წყობა (ძირითადი იდეის კოჰერანტულობა ტექსტში, მკაცრი თანწყობა ძირითად იდეასა და დეტალებს შორის), სიზუსტე და ობიექტურობა, რაც აზრის გასაგებად გადმოცემას უწყობს ხელს. ცალკეულ ტექსტებში, რომლებიც აღნიშნულ სტილს მიეკუთვნებიან, შესაძლოა, მეტ-ნაკლებად იყოს გამოვლენილი ზემოაღნიშნული სტილის დამახასიათებელი პარამეტრები;

ძირითადი დამახასიათებელი პარამეტრი ამ სტილისათვის მაინც ტერმინები და სპეცლექსიკაა. ტერმინები ის სიტყვები და სიტყვათწყობებია, რაც მეცნიერების, პროფესიული საქმიანობისა და ტექნიკის სხვადასხვა სფეროში გამოიყენება დარგობრივი საგნის, ან მოვლენის სახელდებისთვის. მაგ.: სამედიცინო ტერმინია **outpatient** ინგლისურ ენაში და მისი ქართული ეკვივალენტური ტერმინი არის სიტყვათწყობა **ამბულატორიული პაციენტი**. ამდენად, ნათელია, რომ ტერმინი შესაძლოა ითარგმნებოდეს როგორც ტერმინით, ასევე სიტყვათწყობით. საინტერესოა, დავაკვირდეთ, როგორ ჩნდებიან უცხოენოვანი ტერმინების ქართული ეკვივალენტები: სამედიცინო ტერმინები, ჩვეულებრივ, ლათინური წარმოშობისაა; ტერმინი *მედიკამენტი* ქართულ ენაში წამალს აღნიშნავს და მომდინარეობს ტერმინის: **medicament** ქართულ ენაზე ტრანსლიტერაციით თარგმნის გზით, თუმცა, მას ძირი ლათინური აქვს: **medicationem**. გავეცნოთ სიტყვის ეტიმოლოგიას:

Medical treatment of a disease or wound, Middle French médication and directly from Latin medicationem (nominative medicatio) "healing, cure," from past participle stem of medicare, medicari "to medicate, heal, cure" (poetic and Late Latin) from medicus "physician, healing".

ლათინური ძირი აქვს საერთაშორისო ტერმინსაც **Pharmaceuticals**, თუმცა, იგი ქართულ ენაზე გვესმის, როგორც „საფთიაქო, აფთიაქთან დაკავშირებული“ და არა როგორც წამალი, მედიკამენტი, ხოლო ინგლისურად, მრავლობით რიცხვში იგი სწორედ წამალს აღნიშნავს. ამდენად, როდესაც ლათინურ ტერმინებს ვთარგმნით, შეგვიძლია ტრანსლიტერაციის სტრატეგიას მივმართოთ. სავარაუდოა, რომ ტერმინი **medicament** უფრო ადრე ითარგმნა ტრანსლიტერაციით **მედიკამენტად**, ხოლო როდესაც **medicament**-ის სინონიმი ტერმინი **Pharmaceuticals** გამოჩნდა, მთარგმნელმა უკვე არსებული ნასესხები ტერმინი გამოიყენა და მშობლიური ენა აარიდა ახალ ნასესხობას. ეს რომ ასე არ მომხდარიყო, წარმოვიდგინოთ, რაოდენ უსახური ახალი ნასესხობა გაჩნდებოდა ენაში „ფარმაცევტიკალის“ სახით. თავად ტერმინი **Pharmacy** ასევე ტრანსლიტერაციის

გზით დამკვიდრებულია, როგორც აფთიაქი. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მთარგმნელის გამოცდილებას და მშობლიური ენისადმი ერთგულებას; გამოცდილმა მთარგმნელმა, თუ ის კარგი ფილოლოგიცაა, იცის, რომ თუ თარგმანის ტექსტი არ არის დარგობრივი, ხოლო ჟანრი არ არის სამეცნიერო, სადაც აუცილებელია ტერმინების გამოყენება, ტრანსლიტერაცია და ტრანსკრიფცია გამოიწვევს მშობლიური ენიდან სიტყვების განდევნას. როგორ ხდება ეს? წარმოვიდგინოთ, რა მოხდება, თუ ენაში უკვე არსებობს შესაბამისობა და უცხო სიტყვას მაინც ტრანსლიტერაციით ან ტრანსკრიფციით თარგმნით? მაგალითად, ქართული სიტყვათწყობის: სამკურნალო საშუალების გვერდით გაჩნდება მისი ლათინური წარმოშობის სინონიმი - ფარმაცევტული პროდუქტი, რაც სხვას არაფერს აღნიშნავს, თუ არა საფთიაქო საქონელს, ანუ, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, სამკურნალო საშუალებას. Pharmaceutical company ითარგმნა როგორც ფარმაცევტული კომპანია და არა როგორც საფთიაქო კომპანია, თუმცა, არსით, ეს უკანასკნელიც იგივეს გამოხატავს. არის თუ არა ფარმაცევტული პროდუქტი და ფარმაცევტული კომპანია ბარბარიზმები? დარგობრივი სპეციალისტისთვის ეს ასე არ არის, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ყურმოკრული უცხო ტერმინები დროთა განმავლობაში მაგნიტივით იზიდავს 0არასპეციალისტებსაც. იწყება ტერმინების უმართებულოდ გამოყენება. პრესითა თუ ტელევიზიით რამდენჯერმე გამეორებული სიტყვა და სიტყვათწყობა მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდება და დროთა განმავლობაში განდევნის უკვე არსებულს. არასპეციალისტების მიერ ტერმინების არადანიშნულებისამებრ გამოყენება და მათი ცოდნით „თავის მოწონება" ბარბარიზმების გამოყენებად უნდა განვიხილოთ. ბარბარიზმების გამოყენება მხოლოდ ყალბ წიგნიერებაზე, ენობრივ სიღარიბეზე მიუთითებს. მწირი ლექსიკა ხომ უწიგნურების პირველი ნიშანია.

ტერმინების თარგმნის დროს ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მას, შესაძლოა ჰქონდეს სინონიმი, მაგალითად, medicament-ის სინონიმია medical goods, ქართულად კი ორივე მათგანი ითარგმნება როგორც მედიკამენტი, როგორც დარგობრივი ტერმინი და / ან წამალი, როგორც სიტყვა ყოველდღიური მარაგიდან.

ტერმინი-სიტყვათწყობა უცხო ენაზე შეიძლება გამოიყენებოდეს სიტყვის წერის პირობითი შემოკლებით, მაგ.: GDP აღნიშნავს Gross Domestic Product-ს, ქართულად მთლიან შიდა პროდუქტს. სიტყვების პირობით შემოკლებას დაქარაგმება ეწოდება. ქართულში, ინგლისური ენის მიბაძვით, უკვე გაჩნდა მშპ და სხვა დაქარაგმებული ტერმინი-სიტყვათწყობები, მაგ.: იურიდიული ტერმინები: LLC - შპს, LEPL-სსიპ. პოლიტიკური ტერმინი-სიტყვათწყობა: OSCE-ეუთო (ევროპის უსაფრთხოებისა და თა-

ნამშრომლობის ორგანიზაცია) ამავე წესითაა დაქარაგმებული, ხოლო UN-გაერო პირველი და მეორე მარცვლების შერწყმით დაქარაგმდა; CIA -ცსს-ს (ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო) დაქარაგმება არ იწერება დეფისით, ხოლო საინფორმაციო სააგენტოები: BBC - ბი-ბი-სი, ABC - ეი-ბი-სი, CNN - სი-ენ-ენი და ფედერალური გამოძიების ბიურო FBI - ეფ-ბი-აი დეფისით დაქარაგმდა. გამონაკლისს წარმოადგენს EU- რომელიც არ დაქარაგმდა სიტყვების პირველი ასოებით, არამედ, მხოლოდ სიტყვა ევროპა დაქარაგმდა და გაიერთიანა მომდევნო სიტყვა, მიეღეთ რა დაქარაგმება - ევროკავშირი.

ტერმინების კატეგორიას მიეკუთვნება: ა. სიტყვები, რომლებიც გამონაკლისის სახით მხოლოდ ერთი სფეროს ფარგლებში იხმარება; ბ. საზოგადო მნიშვნელობის მქონე სიტყვები, რომელთაც სპეციალური მნიშვნელობაც აქვთ შეძენილი; მაგ.: ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა: coercivity, keraumophone, klystron, microsyn ფართოდ გამოიყენება ელექტრონიკაში, თუმცა სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს გარდა თითქმის არ გვხვდება; ამავე დროს, ამ სფეროს ტექსტებში საზოგადო მნიშვნელობების მქონე სიტყვებს: dead, degeneracy, ripple, rope და ა.შ. შეძენილი აქვთ ტერმინოლოგიური მნიშვნელობებიც. ტერმინებმა უნდა უზრუნველყონ ზუსტი მითითება რეალურ ობიექტებსა და მოვლენებზე; დაადგინონ სპეციალისტების მიერ გადმოცემული ინფორმაციის ერთმნიშვნელოვანი გაგება.

ასეთი ლექსიკა, ჩვეულებრივ, არ ფიქსირდება ტერმინოლოგიური ლექსიკონებში, მათ არ აქვთ სამეცნიერო განსაზღვრება; თუმცა, ისინი არანაკლებ არიან დამახასიათებელი სამეცნიერო-ტექნიკური სტილისათვის, ვიდრე ტერმინები, მაგალითად, ინგლისურ ტექსტებში ელექტროსისტემების შესახებ:

the voltage is applied - ძაბვა მიეწოდება;

the magnetic field is set up - მაგნიტური ველი იქმნება;

the line is terminated - ელექტროგადამცემი ხაზის შეწყვეტა სპეციალური მომჭერებით (ჩამკეტი მოწყობილობით) რის შემდეგაც სიგნალის მიწოდება წყდება;

the switch is closed - გადამრთველი ჩაკეტილია.

ამგვარად, სპეციფიკური და ტერმინოლოგიური ლექსიკის გამოყენების ნორმატივის დაცვა მთარგმნელის წინაშე აყენებს განსაკუთრებულ ამოცანას; სამეცნიერო-ტექნიკურ მასალაში გვხვდება ისეთი ლექსიკური ელემენტები, რომლებიც მეტწილად დამახასიათებელია სალაპარაკო სტილისათვის, რომელთა თარგმნის დროს მთარგმნელს ექსპრესიულ-სტილისტური ვარიანტების შერჩევა უხდება; ინგლისურ სამეცნიერო-ტექნიკურ

ტექსტებს მთელი რიგი გრამატიკული თავისებურებებიც ახასიათებთ; რასაკვირველია, არ არსებობს ისეთი დისციპლინა, როგორიცაა: "სამეცნიერო-ტექნიკური გრამატიკა", მაგრამ სამეცნიერო-ტექნიკურ მეტყველებაში გამოიყენება იგივე სინტაქსური სტრუქტურები და მორფოლოგიური ფორმები, რაც სხვა ფუნქციურ სტილებში; თუმცა, ერთ სტილს შეიძლება მეტად ახასიათებდეს რიგი გრამატიკული ნორმების გამოყენება, ვიდრე მეორეს.

ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ინგლისური სამეცნიერო-ტექნიკური სტილისა, რომელიც ენობრივი რესურსების შერჩევაზე აისახება, არის მისი უნარი, მოკლედ და სხარტი ენით გადმოსცეს შინაარსი; ეს, ძირითადად, შესაძლებელია ელიპტიკური წინადადებების ხარჯზე; ელიპტიკურ წინადადებებს საკმაოდ ხშირად იყენებენ ინგლისურ ენაში; მაგ.: როცა გვხვდება:

a remote crane ან a liquid rocket - მთარგმნელმა მათში ელიპტიკური ფორმა უნდა ამოიცნოს: remote-operated crane or a liquid-fuelled rocket. ელიპტიკური წინადადება მთარგმნელმა ლექსიკური დამატების მეთოდით უნდა თარგმნოს; ამ შემთხვევაში, გამოტოვებული ლექსიკური ერთეულების: operated და fuelled დამატებით.

A non-destructive testing college is to open in London this October

ეს წინადდება ქართულად აზრობრივი გაერცობით უნდა ითარგმნოს, ინგლისური ელიპტიკური წინადადება კი გულისხმობს, რომ კოლეჯი, რომელიც გაიხსნება, არადამანგრეველი კი არ იქნება, ან საცდელი, არამედ აქ მოამზადებენ კადრებსა და სპეციალისტებს ისეთ სფეროში, როგორიცაა მასალის გამოცდის არადამანგრეველი/არაგამანადგურებელი მეთოდები;

სამეცნიერო-ტექნიკური სტილის ნიშნებია სუფიქსებიანი განსაზღვრების თავკიდური მდებარეობიდან ბოლოკიდურ პოზიციაზე გადანაცვლება:

The materials available; Excellent properties never before attainable; All factors important in the evaluation; Problems difficult with ordinary equipment, etc.

ინფინიტივი, რომელსაც აზრის კომპაქტურად გადმოცემის ასეთივე ეფექტი შეუძლია მოახდინოს, ხშირად გამოიყენება სამეცნიერო-ტექნიკური ჟანრის ტექსტებში:

the properties to be expected, the temperature to be obtained, the product to be cooled, etc.

შემოკლებების, დაქარაგმების გამოყენება დამახასიათებელია თანამედროვე ინგლისური ენის საგაზეთო-პუბლიცისტური სტილისათვის; პარტიის, პროფესიის, პროფკავში-

რებისა და სხვა ორგანიზაციებისა და თანამდებობების დასახელებები უმეტესწილად დაჭარაგმებულია:

AFL- = American Federation of Labor-Congress of Industrial Organizations,

OOP = Grand Old (Republican) Party,

DD = Defense Department,

NAACP = National Association for Advancement of Colored People, DA = District Attorney;

დაჭარაგმებულია ცნობილი პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების სახელები:

JFK = John F. Kennedy,

Rocky = Rockefeller,

Ike = Eisenhower,

RLS = Robert Louis Stevenson,

NJ. = New Jersey,

Mo. = Missouri,

SF = San Francisco,

S.P. = South Pacific, E-W = East-West, etc.

ინგლისური საგაზეთო სათაურებისთვის დამახასიათებელია სლენგისებრი ჟარგონის გამოყენება:

ban, bid, claim, crack, crash, cut, dash, hit, move, pact, plea, probe, quit, quiz, rap, rush, slash...

ამგვარი ჟარგონის გამოყენება საგაზეთო სტატიის სათაურებში არა მარტო სტილისმიერი დამახასიათებელი ნიშანია, არამედ მათი სემანტიკის უნივერსალურობის დამახასიათებელიცაა;

მაგ.: Report Raps Lack of Law Reform.

თარგმანი: „საკანონმდებლო სფეროში რეფორმათა დეფიციტი სასტიკად გააკრიტიკეს".

სალაპარაკო სტილისათვის დამახასიათებელი ჟარგონიზმები და ლექსიკური ელემენტები ასევე ხშირად გამოიყენება საგაზეთო სათაურებში; სტატიის შინაარსი ამგვარი სათაურის ფონზე შედარებით მოკრძალებით იკითხება:

A leading Chinese diplomat has been accused of responsibility for violence against foreign embassies.

China Blames Diplomat for Embassy Rows.

საგაზეთო სათაურებში გვხვდება გრამატიკული თავისებურებებიც: ინგლისურ და ამერიკულ გაზეთებში ზმნებით გაფორმებული სათაურებია უფრო ხშირი:

Floods Hit Scotland, William Faulkner Is Dead, Exports to Russia Are Rising.

ზმნური გაფორმებაა შენარჩუნებული კითხვითი კონსტრუქციის მქონე სათაურებშიც:

Will There Be Another Major Slump Next Year?

ქვემდებარის გამოტოვება ერთ-ერთი დამახასიათებელი პარამეტრია;

Hires Teen-Agers as Scabs, Want No War Hysteria in Toronto Schools, Hits Arrests of Peace Campaigners, etc.

პასიური გვარის კონსტრუქცია ელიპტიკური ფორმით ასევე დამახასიათებელი პარამეტრია; ასეთ კონსტრუქციაში ხშირად დამხმარე ზმნაა გამოტოვებული:

Paris Protest March Staged by Students, 8-Year-Old Boy Kidnapped in Miami.

ლაკონიურობა - ესაა მთავარი პარამეტრი, რაც საგაზეთო სტატიის სათაურს ახასიათებს; თუმცა ბრიტანულ ინგლისურში უფრო მეტად და მკაცრად არის დაცული ეს მოთხოვნები;

ოფიციალურ-საქმიან დოკუმენტებს მიეკუთვნება **დეკლარაცია, კონვენცია, შეთანხმება, მოლაპარაკებები, რეზოლუცია და რეზიუმე.** ასეთი ტიპის დოკუმენტების თხრობა ლოგიკური და ოფიციალური ტონით ხასიათდება, რაც საზეიმო სტილის ელფერსაც სძენს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტექსტებში შეიძლება გადმოცემული იყოს პოლიტიკურ-სამართლებრივი მითითებები. ამ კატეგორიის დოკუმენტებს ნაწილობრივ იურიდიული ხასიათი აქვთ.

მთარგმნელი, მხატვრული ტექსტი და მხატვრული თარგმანი

ტექსტის მხატვრული მეტყველების მსაზღვრელია ფსიქო-ემოციური და ესთეტიკური ზემოქმედება მკითხველზე, მისი თანამონაწილეობის შთაბეჭდილების შექმნის, ფანტაზიის გაღვიძებისა და თანაგანცდის წარმოშობის უნარი. ლიტერატურას შთამაგონებელი ძალა აქვს და მისი აღქმა დამოკიდებულია კომპლექსურ ფენომენზე, როგორიცაა მკითხველის განათლება, სულიერი ფასეულობები, მრწამსი, ფსიქოლოგიური განწყობა და ა. შ. მთარგმნელი, როგორც პროფესიონალი მკითხველი, მხატვრული ტექსტიდან დამატებით იმპულსსა და მუხტს იღებს, რაც მის ფსიქოლოგიურ განწყობასა და მზადყოფნას აყალიბებს იმ ტექსტის სათარგმნად, რომელიც რაიმე ნიშნით გამოარჩია. კვალიფიციური მთარგმნელი მომდევნო ეტაპზე სწავლობს მხატვრული ტექსტის სტილს, ლექსიკურ და გრამატიკულ თავისებურებებს. როგორც დღეს არის აღიარებული, მთარგმნელი გახლავთ მხატვრული ტექსტის თარგმანის ავტორი.

მითები მთარგმნელსა და თარგმანზე



მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნეში, თარგმანის შესახებ რამდენიმე ტრადიციული მითი დაიმსხვრა:

I მითი: ტრადიციულად ითვლებოდა, რომ თარგმნა მხოლოდ ადამიანს შეეძლო. დღეს, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, ადამიანს ერთი ენიდან მეორე ენაზე ინფორმაციის სწრაფად მიღებაში ისეთი მთარგმნელობითი პროგრამები ეხმარებიან, როგორიცაა Google.translate, Systran, Trados, Prompt. შეიქმნა ახალი ტერმინი „მანქანური თარგმანი"; ლინგვისტები კი პროგრამირების მანქანურ ენებს (**Machine Languages**) ფლობენ: LATEX (tikz), Java (Android), Javascript (Node.js), Git, MySQL, HTML5 (Offline Apps) -r-x: Praat (Visualization), Bash (Automation), XML (Ontologies), R, Groovy (NLP), SVN, Python (Scraping), Perl (RegEx), PHP (Web), C++ (Image Processing). მანქანური თარგმანი ჯერჯერობით მეცნიერებისა და ტექნოლოგების ცდებისა და განვითარების სფეროა. მის დახვეწაზე განსაკუთრებით ზრუნავს ევროკომისიის თარგმანის გენერალური დირექტორატი.

პრაღაში მოღვაწე ამერიკელ მთარგმნელთან, ჟურნალისტსა და პროგრამისტ დუგლას არელანესთან ერთ-ერთი შეხვედრისას საუბარი მანქანურ თარგმანზე ჩამოვარდა და მან საკუთარი გამოცდილება გაგვიზიარა: „ჩეხეთში საუკეთესოდ აღიარებულ მთარგმნელს არასოდეს უსარგებლია რომელიმე პროგრამით და თარგმნის დროს უპირატესობას კვლავინდებურად, საკუთარ, ადამიანურ ინტელექტს ანიჭებსო".

მიუხედავად კომუნიკაციის დაჩქარებაში შეტანილი წვლილისა, ჭკვიანი მანქანები ჯერჯერობით არ არიან ინტელექტით იმდენად აღჭურვილები, რომ შემოქმედებითი

პროცესები წარმართონ, გახდნენ მწერლები, პოეტები და მხატვრული ლიტერატურა თარგმნონ. საამისოდ მათ არ გააჩნიათ ბუნებრივი მხატვრული აზროვნების უნარი, შემოქმედებითი მუხტი. შთაგონება. ასოციაციური ხედვა და ა.შ.

II მითი: ტრადიციულად ითვლებოდა, რომ საკუთარ მხატვრულ ტექსტს უცხო ენაზე მწერალი არ თარგმნიდა, რაც ასევე არ აღმოჩნდა უდავო ჭეშმარიტება. ბილინგვა ავტორებმა თავად თარგმნეს საკუთარ მხატვრული ლიტერატურა; ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „დათა თუთაშხია“ 1973-75 წლებში გამოიცა, ხოლო 1976 წ. ავტორმა თავად თარგმნა წიგნი რუსულად. როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, მას საბჭოთა ცენზორმა დაუწერა პწკარედული თარგმანი რუსულ ენაზე, ავტორმა კი მის მხატვრულ ფორმაზე იმუშავა.

ავტორი ბილინგვაა ვლადიმერ ნაბოკოვიც. მისი რომანი „ლოლიტა“ 1955 წელს პარიზში დაიბეჭდა. ნაბოკოვმა ის რუსულ ენაზე თავად თარგმნა და 1967 წელს ნიუ იორკში გამოსცა.

III მითი: სლოვენიელი პროფესორი, თარგმანის თეორეტიკოსი ნიკე პოკორნი წერს: **„საფუძველს მოკლებულია ის თვალსაზრისი, თითქოს თარგმნის პროცესი უდავოდ უფრო ეფექტურია, თუ მთარგმნელი მშობლიურ ენაზე თარგმნის (ვიდრე მშობლიურიდან უცხო ენაზე თარგმნისას).** თარგმანის ხარისხი დამოკიდებულია ინდივიდუალური მთარგმნელის უნარზე. მის მთარგმნელობით სტრატეგიებზე, წყარო და სამიზნე კულტურების ცოდნაზე“.

IV მითი: მთარგმნელი უჩანარი უნდა იყოს, განმარტებებისა და ზოგადად სქოლიოს დართვა სუსტი თარგმანის ნიშანია, ეს დროს ართმევს მკითხველს და მოთხრობილი ამბის აღქმის პროცესს ანელებს. თანაც, მთარგმნელი გამუდმებით თავს ახსენებს მკითხველს. მწერალსა და მკითხველს შორის დგომის უფლება კი მთარგმნელმა თავს არ უნდა მისცეს. თარგმნილ ტექსტს არ უნდა ეტყობოდეს, რომ ის უცხო კულტურის წიაღშია შექმნილი და თავდაპირველად უცხო ენაზე დაიწერა - ეს არის მითი, რომელსაც შეიძლება ისტორიული ვუწოდოთ, რადგან მთარგმნელს ისტორიულად უყენებდნენ ამ მოთხოვნას.

ამავე მითს ამყარებს ამერიკელი გამომცემელი, ჯონ ო’ბრაიენი, „დელკი არქაივ პრესის“ დირექტორი, ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ დიდი თაყვანისმცემელი, 2009 წელს იგი ილინოისის უნივერსიტეტის თარგმანის ცენტრში მასტერკლასის ჩასატარებლად მოიწვიეს (რომელსაც თავად ვესწრებოდი, ავტ.). „მე უკმაყოფილო ვარ მხატვრული თარგმანებით. როგორც რედაქტორს, დიდი დრო მეხარჯება თარგმანში არაბუნებრივი,

ხელოვნური გამონათქვამების კორექტირება-რედაქტირებაზე. როგორც გამომცემლობის დირექტორი, ვზრუნავ, რომ წიგნი გავყიდო. მკითხველს თუ საინტერესოდ საკითხავი წიგნი არ შევთავაზე, არ იყიდის. ამით მეც ვიზარალებ და მწერალიც. გინდათ, გირჩიოთ, როგორ თარგმნოთ, რომ საინტერესო გამოვიდეს? წაიკითხეთ წიგნი. შემდეგ დახურეთ და გადადეთ გვერდზე. დაიწყეთ წერა და ამბის თხრობა. აი ეს უნდა შეძლოთ მთარგმნელებმა. ხელახლა უნდა დაწეროთ წიგნი".

ჯონ ო'ბრაიენის მოთხოვნაა, მთარგმნელი საინტერესო მთხრობელი იყოს, ამბავი კი გასაგებად და სხარტად გადმოსცეს. ცხადია, ეს მასობრივ მკითხველზე გათვლილი მიდგომაა და მას ვერ დაეთანხმებიან თეორეტიკოსები. მთარგმნელმა ამბის გადმოცემა უნდა შეძლოს ისე, რომ მოგვასმენინოს მწერლის ხმა, დაგვანახოს, თუ როგორია მისი დამოკიდებულება თავად ამბისადმი, როგორ არჩევს სიტყვებს მის გადმოსაცემად, რამდენად მდიდარ, ან მოკრძალებულ სტილისტურ პალიტრას იყენებს პერსონაჟების დასახატად.

ეს მითი თარგმანის ამერიკელმა თეორეტიკოსმა, ლოურენს ვენუტიმ დაამსხვრია. წიგნში The Invisibility of Translator („მთარგმნელის უჩინარობა") ვენუტი წერს: „მინდა ისე ვთარგმნო და ისეთი თარგმანი ვიკითხო, რომელიც უცხო ტექსტის ლინგვისტურ და კულტურულ განსხვავებას ასახავს...."

სათანადო ლინგვისტიკური ანალიზის განხორციელებისათვის საჭიროა ფილოლოგიისა და ენათმეცნიერების დარგების ცოდნა:

- ფონოლოგია, ფონეტიკა - სწავლობს მეტყველების ხმოვან გამოხატულებას;
- გრაფოლოგია - სწავლობს წერითი მეტყველების ნიმუშებსა და ენობრივ ფორმებს;
- მორფოლოგია - სწავლობს სიტყვათა აგებულებას, შემადგენელ სტრუქტურებს;
- სინტაქსი, გრამატიკა - სწავლობს სიტყვათა კომბინაციებს, მიმართებას სხვა სიტყვებთან, ფრაზებისა და წინადადებების შედგენას;
- ლექსიკოლოგია - სწავლობს სიტყვების სალექსიკონო მნიშვნელობებს, მათ გამოყენებას და მრავალ სხვას;
- სემანტიკა - სწავლობს სიტყვებისა და წინადადებების მნიშვნელობას;
- პრაგმატიკა, დისკურსის ანალიზი - სწავლობს სიტყვებისა და წინადადებების მნიშვნელობასა და მათი ცვალებადობას სიტუაციების მიხედვით, საკომუნიკაციო ინტენციას, სამეტყველო აქტების თეორიას, ინტერაქციისას კოოპერაციულობის პრინციპებსა და მათ მნიშვნელობას;

- სოციოლინგვისტიკა - სწავლობს ენის სოციალურ ვარიაციას, მეტყველების სიტუაციურ ვარიანტულობას, სოციალურ იერარქიას, მიმართვის ფორმებსა და ა. შ.
- სტილისტიკა - სწავლობს ვერბალური კომუნიკაციის ხატოვანებას, ტროპებს, რომლებიც ქმნიან მწერლის ინდივიდუალურ სტილს. „სწორედ სტილისტიკაა ის საზღვარი, სადაც მხატვრული თარგმანი ეთიშება თარგმანის, როგორც ენობრივი მოვლენის გაგებას“, წერდა თარგმანის თეორეტიკოსი გ. გაჩეჩილაძე და ეს სავსებით მართებული მითითება მხატვრულ ლიტერატურაში ნიშანთა სტილისტური ეფექტით გამოწვეულ ექსპრესიულ-ესთეტიკურ მნიშვნელობის უნიკალურობას შეეხება.

თარგმნა, როგორც სამეცნიერო შრომა
ანალიტიკური პროცესები ტექსტის თარგმნამდე

ტექსტის ანალიზი ლინგვისტიკისა და სტილისტიკის მიჯნებზე
მთარგმნელობითი ჭრილობლემების ლინგვოსტილისტიკური კატეგორიები

რას სწავლობს მთარგმნელი თარგმნამდე? სამეცნიერო შრომას, რომელიც მთარგმნელმა თარგმნამდე უნდა გასწიოს, ლინგვოსტილისტიკური ანალიზი ეწოდება. როგორ იკვეთება ლინგვისტიკისა და სტილისტიკის მიჯნები მხატვრულ ტექსტში? უნდა გავიხსენოთ, რომ მხატვრულ ტექსტს არა მარტო ინფორმაციული, არამედ ექსპრესიული და ესთეტიკური ფუნქციებიც აქვს, რომლის რეფლექსია უნდა მოხდეს თარგმანშიც. სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის დახასიათებისას გასათვალისწინებელია სამი ასპექტი: სინტაქსური, სემანტიკური და პრაგმატიკული. პრაგმატიკული თვალსაზრისით, სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობაში გამოიყოფა პრაგმატიკული კომპონენტი ანუ კონოტაცია (ლათ. Connotation - დამატებითი მნიშვნელობა) რომელიც ემატება კოგნიტიურ კომპონენტს და სიტყვას ექსპრესიულობას ანიჭებს. ექსპრესიულობა არის მეტყველების თემისა და მსმენელისადმი სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვა, რაც თარგმანშიც უნდა აისახოს. კონოტაციები ხატოვანი წარმოდგენებია, რომლებიც მოლაპარაკეთა და მსმენელთა ცნობიერებაში დენოტატს უკავშირდებიან. რეალურ ობიექტთან კავშირი გაშუალებულია ამ ობიექტის ენობრივი გამოხატულებით. მაგ. მანდილოსანი და ქალი სიტყვების დენოტატი ერთნაირია, მაგრამ პირველ მათგანს აქვს კონოტაცია, რომელიც მოიცავს დადებით შეფასებას (პატივისცემას) ხატოვანებას, „ამაღლებული“ სტილის ნიშნებს“. ამდენად, ლინგვოსტილისტიკის მიჯნების გადაკვეთის ერთ-ერთი კატეგორია არის რეგისტრი, რომელსაც სპეციფიკური ჭრილში სწავლობს სოციოლინგვისტიკა, ლექსიკოლოგია და სტილისტიკა.

მომდევნო განაკვეთებში განვიხილავთ სტილისტური შეფერილობის მქონე ისეთ ენობრივ მოვლენებს, როგორიცაა ლაკუნა, ანდაზა, გარითმული სიტყვათშეთანხმება, შორისდებული, კალამბური პარადოქსი, შედარება, მეტაფორა და ეპითეტი მხატვრულ ტექსტსა და თარგმანში.

მეტატექსტის ნულოვანი ვარიანტის, ანუ ლაკუნის შესავსებად, მთარგმნელობითი პროცესის შედეგად, პოტენციურად შეიძლება გაჩნდეს ან ახალი ლექსემა. მხატვრულ ტექსტში ლაკუნარული ერთეულების მთარგმნელობითი პრობლემის კვლევისათვის გამოვყავით კიდევ ერთი *ავტორისმიერი ლაკუნარული ერთეული* -ოკაზიონიზმი: ***mean reds (თ. კეფოთი) newspeak*** (ჯ. ორუელი).

კატეგორიის განსაზღვრა (ტიპი)	ლაკუნარული ერთეული	თარგმანი	მეთოდი
ოკაზიონიზმი, ავტორისმიერი ლაკუნარული ერთეული ტექსტში;	***Mean reds, newspea; doublespeak***	ყველა სხვა უცხო ენაზე:	აზრობრივი გაერცობა- კონტექსტუალური ინტერპრეტაცია; არქაიზმი, როგორც ნეოლოგიზმი: **Doublespeak - მეტყველების ორგემაგეობა;** მთარგმნელის შემოქმედებითი მიდგომა/ სიტყვათხზვადობა როგორც ნეოლოგიზმი, მაგ.: Mean Reds - წითელი საშინელება;

მხატვრულ ტექსტში ლაკუნის მთარგმნელობითი სტრატეგიაა (ა) ნეოლოგიზმი - ტრანსლიტერაციის ან კალკირების საშუალებით შემოსული ნასესხობა; (ბ) აზრობრივი გავრცობის მთარგმნელობითი მეთოდის შედეგად მიღებული სიტყვათა ჯგუფი; (გ) შემოქმედებითი სიტყვათქმნადობა. მაგ.: შექსპირის შესიტყვების „imperfect speakers“ სათარგმნად მაჩაბელმა შეთხზა ლექსემა “სიტყვაძვირი“ (ნ. საყვარელიძე, 2001: 135). ცნობილი მთარგმნელი, ვ. ჭელიძე წერს: „ი. მაჩაბელი სარგებლობს ქართული ზმნის საოცარი ელასტიურობითა და მოქმნილობით; ხშირად იგი გაბედულად იყენებს ამ შესაძლებლობებს და ისეთ სიტყვას მოაქცევს ხოლმე ზმნის ფორმაში, რაც ადრე ლიტერატურასა და სასაუბრო ენაშიც კი არ ხმარებულა“.

მაჩაბლისეული სიტყვათა თხზვის / ნეოლოგიზმების ნიმუშებია:

- გულწრფელმა კაცმა მარტო სხვის მიმართ კი არ უნდა იგულწრფელოს;
- რა გითხრათ, როცა ევროპული განათლება ვერ გაიძვალრბილეთ
- უმაგდიდებოდ

- სიტყვაძვირობ - სიტყვამ, სავარუდოდ, ვერბალიზაცია განიცადა ზედსართავი სახელის: „პურძვირის“ ანალოგიით.

საყვარელიძე აღნიშნავს, რომ მაჩაბლისეული ნეოლოგიზმების თხზვა ემყარება ხალხურ ან (დ) ენაში არსებული არქაიზმს, მაგ.: ნ. დარასელიამ გურამიშვილისეული არქაიზმი გააქტიურა; ტერმინი „doublespeak“-ით (სიტყვასიტყვით „ორმაგი მეტყველება“) ქართულად გადმოიტანა, როგორც „მეტყველებითი ორგემაგეობა“. როგორც ცნობილია, სიტყვა „ორგემაგობა“ დ. გურამიშვილის შექმნილია და იგი, ავტორის თვალსაზრისით, მკაფიოდ ასახავს ადამიანის აღქმისთვის მახასიათებელ დუალისტურ პრინციპს, განიხილავს რა სამყაროს ანტინომიათა ერთობლიობის, დაპირისპირების ან იდენტურობის თვალსაზრისით.

როგორც ნ. დარასელია წერს, *„თავად ტერმინი „doublespeak“ 1971 წელს დამკვიდრა აშშ-ს ინგლისური ენის მასწავლებელთა ეროვნულმა კომიტეტმა. იგი ცნობილი სატირიკოსისა და პუბლიცისტის, ჯორჯ ორუელის ნაწარმოებიდან 1984 აღებულ ცნებათა doublethink (ორმაგი აზროვნება) და „newspeak“ (ახალი მეტყველება) ნაერთია. მეტყველებითი ორგემაგეობა არის ვერბალური ქცევის ტიპი, რომელიც ბოროტებას სიკეთის ნიღბით ფარავს, უარყოფითს დადებითად წარმოაჩენს, უსიამოვნოს-მიმზიდველად, არაჰუმანურს-ჰუმანურად და ა. შ.“ (სემიოტიკა 2010 №7 ნინო დარასელია).*

ხოლო თავად ნ. დარასელიამ ისარგებლა დ. გურამიშვილის მიერ არქაიზმით: ორგემაგობა და შექმნა ქართულ ენაზე სამეცნიერო კონცეპტი „მეტყველებითი ორგემაგეობა“.

ყურადღებას იმსახურებს ნანა მრევლიშვილის კვლევაც: (სჯანი, 2006 №7) „ტერმინი ჯერჩინება არსენ იყალთოელთან და ეკლესიასტეს განმარტებათა გელათურ თარგმანებში“; როგორც მთარგმნელი აღნიშნავს, „ეკლესიასტეს განმარტებათა გელათური თარგმანების მთარგმნელის საკითხის კვლევისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ტერმინმა ჯერჩინებამ... ცნობილია, რომ ბერძნულში ტერმინთა პოლისემიურობა მნიშვნელოვან და სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა ქართველ მთარგმნელ-რედაქტორთათვის და გარკვეულ სირთულეებს უქმნიდა მათ ლიტერატურულ საქმიანობას. ამ პრობლემის წინაშე დგას ეფრემ მცირეც ტერმინ γυωμη--ს თარგმნისას. გარდამოცემის დედანში (მინე: ტ. 94) ავტორი, იოანე დამასკელი, შენიშნავს, რომ γυωμη ლექსემას ბერძნულშივე მრავალი შესატყვისი აქვს:

„Και απλωχ ιπιυ, κατα ικοα μυμυα αμαυται γυμχ υμ“[1045B].

„ბერძნული ტექსტის იმ მონაკვეთის თარგმნისას, სადაც ტერმინ γυωμη--ს შესახებაა საუბარი, ეფრემი ჩამოთვლის ამ ტერმინის ქართულ შესატყვისებს: ცნობა, მეცნიერება, განზრახვა: „ხოლო ესე საცნაურ იყავნ, ვითარმედ ცნობისა, გინა მეცნიერებისა, ანუ განზრახვისა სახელი მრავალსახე არს და მრავალთა პირთა მომასწავებელ: რამეთუ ოდესმე სწავლასა მოასწავებს, ვითარცა იგი საღმრთო ოციქული იტყჳს, ვითარმედ: „ქალწულთათჳს ბრძანებაი უფლისა მიერ არა მაქუს, ხოლო განზრახვასა მივსცემ," ოდესმე - ზრახვისა, ვითარ იგი წინასწარმეტყუელი დავით იტყოდის, ვითარმედ: „ერსა შენსა ზედა ძმაცუვიდეს, ზაკუვით ზრახეს." ხოლო ოდესმე - განჩინებისა, ვითარ-იგი დანიელ იტყჳს, ვისთჳს ვითარმედ: „გამოჴდა განჩინებაი ურცხუნოებით," ხოლო ოდესმე - სარწმუნოებისათჳს ანუ ნებისა, ანუ განზრახვისა" [94vI]. ბოლოს ქართული ტრანსკრიბციით წერს ამ ტერმინს და დასძენს: „რაჲთა ერთბამად მარტივად ვთქუა, ოცდარვა სახედ მოიღებვის სახელი ესე, რომელსა „ღნომი" უწოდიან" [94vI] (წმ. იოანე დამასკელი)."

სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, ჯერჩინება სათნოების გაგებას უკავშირდება: „ჯერ-ჩინება - სათნო უჩნდეს ZA. უჩნდესავით. ჯერ-ჩინება კარგა გასინჯე. დამასკელის სარწმუნოებაში: (...) Gab. დაჯერება, სათნო უჩნდესავით Cab. დაჯერება CqD" (სულხან-საბა ორბელიანი).

ამდენად, ტერმინი „ჯერჩინება" არსენ იყალთოელის ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატის კუთვნილება ჩანს. განსაკუთრებული ინტენსივობით გამოიყენება გარდამოცემის არსენ იყალთოელისეულ რედაქციაში და არც ერთხელ არ გვხვდება ამავე ძეგლის ეფრემ მცირისეულ რედაქციაში. ეს ფორმა, როგორც ჩანს, არსენ იყალთოელამდე ყოფით-ლექსიკურ სფეროში არცთუ ხშირად, მაგრამ მაინც გამოიყენებოდა. ამ ტერმინის ზმნური ფორმა დასტურდება ჯერ კიდევ ადიშის ოთხთავში (IX ს.) საჭიროდ მიჩნევის, საჭიროდ ჩათვლის მნიშვნელობით: „აწ მარქუ ჩუენ: ვითარ ჯერ-გიჩს: წეს არს ხარკისა მიცემა კეისრისა, ანუ არა?" (ადიშის ოთხთავი 2003: 205).

ანდაზის თარგმანი

ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!"; დედნის მხატვრული ენის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ანდაზები, ხატოვანი მეტყველება, იდიომები, რომლებიც თარგმანში ან პირდაპირი შესატყვისობებით იცვლებიან, ან ადეკვატური შესატყვისობებით, ან, პერიფრაზით, ან, უკიდურეს შემთხვევაში, კალკირების გზით გადმოიცემიან. შესაძლებელია, ასევე, მთარგმნელის მიერ ანდაზის ტიპის გამონათქვამის შექმნა; დედანში ეხვდებით

ანდაზას: „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო“, ქართული ანდაზა ინგლისურ ენაზე პერიფრაზითაა გადმოცემული, თუმცა, მინიჭებული აქვს დამრიგებლური ტონალობა, რადგან პირობითი ტიპის კონსტრუქციითაა გაფორმებული. სწორედ ამ ტონალობის გამო, იძენს პერიფრაზირებული ანდაზა: ***«Вдвигай вместе двух волов – и одна из них изменит или масть или нрав»*** ხალხური სიბრძნისა და ფილოსოფიის ელფერს: ***If you yoke one ox to another it will change either its colour or its temper.***

რუსულ ენაზე მთარგმნელი ვოლსკი ამავე ანდაზის შინაარსს სიტყვასიტყვით გადმოსცემს, მაგრამ, ამასთან, ცდილობს, ბუნებრივი, ანდაზისთვის დამახასიათებელი ჟღერადობა მიანიჭოს:

უორდროპებს ასევე სიტყვასიტყვით უთარგმნიათ გარითმული ანდაზა: „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია“: ***"idle work is better than idle sitting". ზემოთ მოყვანილი თარგმნილი ანდაზა ერთგვარად მცდარი დაბოლოებების გამო "colour, temper"*** ანდაზის ეფექტს ინარჩუნებს თარგმანში.

საერთოდ, ხატოვან თქმათა გაშინაარსებული გადმოცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიგვაჩნია მართებულად, თუკი თავად ხატოვანი თქმაა გავრცობილი, აფორმიზმის ტიპის; სხვა შემთხვევაში, ლაკონიური, რითმული ფრაზის გავრცობასა და გაშინაარსებას, გარითმული კალკირება სჯობს.

სტილისტიკური ხერხების თარგმანი

გარითმული სიტყვათშეთანხმების თარგმანი

1. მთარგმნელისათვის გარითმული სიტყვათშეთანხმებები ყოველთვის საჯილდაო ქვაა, რადგან ქვემოთ მოყვანილი შესაბამისობები, შესაძლოა, ყველა მათგანს არ დაეძებნოს:

- Chit-chat - ლაქლაქი
- helter-shelter - ხათქახუთქი
- razzle-dazzle - არეულ-დარეულობა, გაწამაწია
- riff-ruff - ნაყარ-ნუყარი
- Hoity-toity - გიჟმაჟი

2. შორისდებულები:

- Boy, could he get on your nerves!
- უჰ, ნერვებს მიშლიდა.

3. კალამბური:

- რასაა რომ იზუთხავ, შვილო?
- ზმნის პირიანობას ვსწავლობ, ბებია.
- ზმნის პირიანობა ვის გაუგია, ბიჭო, პირიანი კაცი ვიცი მე."
- What's you're swotting sonny?
- Modal verbs. Granny.
- Model verbs? Do they make them to a pattern? What's so model about them?

4. პარადოქსი:

LORD DARLINGTON. Because I think that life is far too important a thing ever to talk seriously about it. [*Moves up C.*]

ცხოვრება გაცილებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მასზე სერიოზული მსჯელობა შესაძლებელი იყოს.

DUCHESS OF BERWICK. [*Who has risen, goes C.*] What a charming, wicked creature! I like him so much. I'm quite delighted he's gone!

რა მომხიბლავია ეს უზნეო! როგორ მომწონს! წასვლითაც გამახარა!


LORD DARLINGTON. [*Smiling.*] Ah, nowadays we are all of us so hard up, that the only pleasant things to pay *are* compliments. They're the only things we *can* pay.

ლორდ უინდერმეა (იღიმება) რას იზამთ? დღევანდელ გაჭირვებაში ყველა ისე ხელმოკლედ ვართ, ქათინაურების მიძღვნაზე თუ მიგვიწვდება ხელი.

შედარების თარგმანი

„კაცია-ადამიანი?!-ს" თარგმნა ოლივერ და მარჯორი უორდროპებს ბოლომდე ვერ მიუყვანიათ. დაწყებულია თარგმანი და მხოლოდ ორი თავია დასრულებული. საინტერესოა მისი რუსულენოვან თარგმანთან შეპირისპირებითი კვლევა. აღსანიშნავია, რომ ვოლსკის თარგმანიც არასრულია, გამოტოვებულია შესავალი და თარგმანი ლუარსაბის პორტრეტით დაიწყო. პროზაული თარგმანის შეფასებისას, უპირველესად, მისი ცალკეული დეტალების, ელემენტების თარგმანში გადმოტანის თავისებურებები უნდა შევისწავლოთ. როგორც გ. მათიაშვილი აღნიშნავს, ილიას მიერ თვალნათლივაა დახატული თათქარიძის გარეგნობა, ამიტომ, ნებისმიერი, თუნდაც უმნიშვნელო დეტალის შეცვლა საზიანოა პორტრეტის სრულყოფილებისათვის. დედანში ლუარსაბის შესახებ ავტორი მიუთითებს, რომ ის კარგად „ჩასუქებული ძველი ქართველია". იგი შედარებულია **ნასუქ კურატთან;** ინგლისურ ტექსტში კი ვკითხულობთ, რომ ის კარგად ნაკვებია - **well-nourished;** კურატის ნაცვლად კი, ხბოსთან არის შედარებული, რაც კნინობითი მარკერის შემფასებლურ ეფექტს ანეიტრალებს და ლუარსაბის პორტრეტს თარგმანში ტოლფასი გროტესკულობით ვერ ასახავს. დედანში ლუარსაბს დიდრონი და ყოველთვის დასისხლიანებული თვალები აქვს, აღნიშნული ხატის - დასისხლიანებული თვალების ასოცირება კურატთან სრულიად ლოგიკურია, თარგმანში კი აღნიშნული ხატის ანალოგიზაციისას დარღვეულია ლოგიკურობაც, ვინაიდან, **დასისხლიანებული თვალები** არ ასოცირდება **ხბოსთან.** ეს შედარებები რუსულ თარგმანშიც მოიკოჭლებს; მთარგმნელი ვოლსკი ლუარსაბს ადარებს **ტახს (Боров).** გ. მათიაშვილი კი წერს, რომ „დიდრონი, ჩასისხლიანებული თვალები სწორედ კურატს აქვს და არა ტახს". ორივე ენაზე თარგმანის პერსონაჟის პორტრეტის მთლიანობა დარღვეულია, გამოყენებული შედარების საშუალებით მიახლოებითი ფიზიკური სურათი კი იქმნება, მაგრამ გათვალისწინებული არაა დედნისეული შედარების განვითარების პერსპექტივა.

მეტაფორის თარგმნის 7 ძირითადი ხერხი:



1. დედნის ხატის გადმოცემა, თუკი სამიზნე ენას აქვს წყარო ენაზე არსებული ხატის შესაბამისობა. თარგმნის ეს პროცედურა ზედმიწევნით გადმოსცემს ერთსიტყვიან მეტაფორებს. რაც შეეხება რთულ მეტაფორებს და იდიომებს, მათი თარგმნა გაცილებით რთულია, შესაძლოა მათი სიტყვასიტყვით თარგმნა, მაგ.: ray of hope - იმედის სხივი, თუმცა ყოველთვის არა, რა დროსაც იმიჯის ტრანსფორმაციაა საჭირო, მაგ.: sunny smile - გულღია ღიმილი. ამდენად, მეტაფორები, რომლებიც რაიმე ასოციაციას ახდენენ, თარგმნისას იმიჯის ვარიაციას საჭიროებენ. რაც უფრო უნივერსალურია ასოციაცია, მით უფრო იოლია თარგმნა: time flies - დრო მიფრინავს, Time is money - დრო ფულია; burn bridges - ხიდის დაწვა, Lion heart - ლომგული. თუმცა, თვით ზღაპრის გმირთა სახელები, ზღაპრული ონომასტიკა, რომლებიც უნივერსალური გვგონია, მაგ.: კონკია, რეალურად უნიკალურ კულტურულ თვისებებისა და ასოციაციების შემცველია. ქართული კონკიაჟღარუნა საკუთარი სახელივით არის თარგმნილი მარჯორი უორდროპის მიერ ინგლისურად: **კონკიაჟღარუნა** არ გააიგივეს **სინდერელასთან და** ინგლისურ ენაზე მისი ტრანსლიტერაცია მოახდინეს: **Conkiajgharuna, the Little Rag Girl**[26] იქვე კი ქართული ლექსიკური ერთეულიც განმარტეს: *„პატარა კონკებიანი გოგონა“*. **ნაცარქექია** ინგლისურ ენაზე ითარგმნა როგორც **Lazy Bones,** თუმცა უპრიანი იქნებოდა, თუ მთარგმნელი ოლივერ და მარჯორი უორდროპების გამოცილებას გაიზიარებდა და **ნაცარქექიას** სახელის ტრანსკრიბირებითა და განმარტების დართვით წარუდგენდა უცხოე-

[26] Source: Marjory Wardrop, *Georgian Folk Tales* (London: David Nutt, 1894), pp. 63-67.

ნოვან მკითხველს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ზღაპრის გმირი, მაგალითად *жар-птица* ითარგმნება ფასკუნჯად; **marmaid** ქალთევზად. თუ თარგმანის ენაზე ზუსტი სოციოკულტურული შესაბამისობა არ არსებობს, თარგმანში კომუნიკაციური ცვლილებები განხორციელდება. მაგ.: to elbow one' s way - სწორედ კომუნიკაციური პროცედურით უნდა ითარგმნოს.

2. მთარგმნელს შეუძლია SL ხატი შეცვალოს TL ხატით, - ეს პროცედურა თან ახლავს რთული მეტაფორების თარგმანს: Other fish to fry", an "jump into the lion's mouth", "when in Rome, do as Romans do", "if you can't beat them, join them". ევფემიზმები, „ხავსმოდებული", კლიშირებული იდიომები და ანდაზები მიმღები ენის შესაბამისი ეკვივალენტით იცვლება;
3. მეტაფორის თარგმნა შედარებით - რასაკვირველია, მეტაფორით გადმოცემული ექსპრესია შერბილდება, თუმცა, მეტაფორის თარგმნა შედარებით ერთ-ერთი სტილისტიკურად გამართლებული მთარგმნელობითი პროცედურაა. რადგან ემოციური სურათი ნაწილობრივ შენარჩუნებულია: La fenice e. Dorabella - Dorabella is like a Phoenix in Arabia.
4. მეტაფორის თარგმნა შედარებით და ასოციაციის დამატება - მთარგმნელი ცდილობს თარგმანი გასაგები გახადოს როგორც ერუდიტი, ისე რიგითი ან დამწყები მკითხველისათვის. ზემოთმოყვანილი ფრანგული მეტაფორა ინგლისურად შედარების სტილისტური ხერხით ითარგმნა, თუმცა, მას მთარგმნელს მასში შეუძლია ასოციაციის დამატება: Dorabella is a model of faith, like the Phoenix of Arabia - რითიც ნათელჰყოფს დორაბელასა და ფენიქსის საერთო თვისებას, რომელსაც მეტაფორა და შედარება ეყრდნობა. მეტაფორის ამ პროცედურით თარგმანში კი სემანტიკური და კომუნიკაციური სტრატეგიების შერწყმა ხდება.
5. მეტაფორის კონკრეტული ასოციაციით თარგმნა გავრცელებული პროცედურაა, როდესაც TL იმიჯი მეტად ფართო სემანტიკური რეგისტრითაა წარმოდგენილი, მაგ.: „he is crummy", სადაც crummy მოიცავს მრავალ სალექსიკონო დეფინიციას: unpleasantness", "being besides the times", "decay", "incapacity", მათგან მთარგმნელი, ანალიზის საფუძველზე, მრავალგანზომილებიანი ხატის კონტექსტურ შესაბამისობას ირჩევს.
6. მეტაფორის გამოტოვება - ნიუმარკი წერს, რომ მთარგმნელი მეტაფორის გამოტოვების გადაწყვეტილებას იღებს ტექსტის გაანალიზების შემდეგ, ტექსტის ინტენციის სწორად გადმოცემის მიზნით: "A decision of deletion can be made

only after the translator has weighed up what he thinks more important, and what less important in the text is relation to this intention", - (P Newmark).

7. მეტაფორის თარგმანი მეტაფორით და ასოციაციის დამატებით - მთარგმნელი ცდილობს SL მეტაფორა TL მკითხველისათვის მაქსიმალურად გასაგებად თარგმნოს: "The tongue is a fire" შეიძლება ითარგმნოს მეტაფორის შენარჩუნებით და ასოციაციის დამატებით: „ენა ცეცხლია, რომლესაც ყველაფრის განადგურება შეუძლია".

ეპითეტის თარგმნის სტრატეგია

ლექსიკური და გრამატიკული ტრანსფორმაციების განხორციელებისას, მთარგმნელი ცდილობს გადმოსცეს ლექსიკური მნიშვნელობა და გრამატიკული ფორმა, ხოლო სტილისტური ტრანსფორმაციების დროს, მთარგმნელი ცდილობს, რომ არსებულმა სტილისტურმა ხერხმა იგივე ეფექტი მოახდინოს მკითხველზე, შექმნას ტოლფასი ემოციური სურათი. განვიხილოთ ადგილნაცვალი ეპითეტი და მისი თარგმნის ვარიანტები. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა სტილისტური ხერხი მრავალფუნქციურია. გამოარჩევენ სტრუქტურული ხერხების ფუნქციების თანხვედრის სამ კატეგორიას: 1) სრული; 2) ნაწილობრივი; 3) ნულოვანი.

ადგილნაცვალი ეპითეტის საილუსტრაციოდ შეიძლება ალიტერაციის წარმოდგენა ქართულ და ინგლისურ ენებში, ორივე ენაში მისი ევფონიური ფუნქცია ერთმანეთს თანხვდება, თუმცა, ინგლისურ პროზაში უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე ქართულში. ალიტერაციის კეთილხმოვანება ქართულ პოეზიაში სჭარბობს:

„ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა
ზაფხულის ტყეებს გადაახალა,
ხევში, ხრამებში ატყდა ხარხარი
და წამოვიდა წვიმა ჩქარ-ჩქარი".

ეპითეტი განსაზღვრების განსაკუთრებული ფორმაა. საყურადღებოა სინტაქსურად ადგილნაცვალი ეპითეტი, რომელიც საზღვრულ სიტყვას მოწყვეტილია და თანამდებარეობს ისეთ სიტყვებთან, რომლებთანაც სინტაქსურად არაა დაკავშირებული, რაც არსებული მსაზღვრელ-საზღვრულის თანწყობის არსებულ ნორმებს არღვევს. ასეთი ტიპის სინტაქსური კონსტრუქცია წინადადების სემანტიკურ მნიშვნელობას მოულოდნელობის ეფექტს სძენს, მაგ.: წინადადებაში the astonished ears of the working class delegates; განსაზღვრება არის astonished, რაც, ლოგიკურად, განსაზღვრავს working

class delegates -ს, წინადადებაში მდებარეობს -ear-ის წინ და ერთი შეხედვით, მას განსაზღვრავს. Last conscious vision was that of Carl waving a despairing handkerchief. ქართულ თარგმანში შეუძლებელია ისეთი მეტონიმიური ეპითეტების გადატანა, როგორიცაა „გაოცებული ყურები“ და „მსასოოვარი ცხვირსახოცი“. ინგლისურ ენაში, აზრის სხარტად და ტევადად გადმოსაცემად, კლიშედ დამკვიდრდა ბევრი ადგილნაცვალი ეპითეტი. ინგლისურ ენაში დამკვიდრებულია ისეთი ადგილნაცვალი ეპითეტები, როგორიცაა a quick cigarette, a thoughtful pipe, a hasty luncheon და ა.შ. რომლებსაც ვთარგმნით მშობლიური ენის ნორმების გათვალისწინებით.

ანაკოლუფი და მისი ასახვა თარგმანში

ანაკოლუფი ეწოდება სტილისტურ-სინტაქსურ ხერხს, რომელიც, როგორც საუბარო, ისე მხატვრულ ლიტერატურაში გვხვდება; წინადადებაში, რომელშიც გამოყენებულია ანაკოლუფი ექსპრესიული საწყისი დომინირებს ლოგიკურ საწყისზე.

Anacoluthon - *lack of grammatical sequence or coherence in a sentence; an instance of a change of construction in a sentence so that the latter part does not syntactically correspond with the first part.*

ანაკოლუფი გრამატიკული განხეთქილებაა წინადადების წყობაში და იგი შეიძლება ჩართული იყოს პირველ, ან მეორე წინადადებას შორის. კერძოდ, წინადადების სტრუქტურა ისეთია, რომ წინადადების დაბოლოება არ შეესატყვისება წინადადების დასაწყისს. ანაკოლუფი არაერთ ენაში გვხვდება; ამ ხერხით გაფორმებული დიალოგები ან წინადადებები მხატვრულ ლიტერატურაში დრამატულ ეფექტს ახლიერებს. ზოგი ენათმეცნიერი ენის სიწმინდეს ანიჭებს უპირატესობას და ანაკოლუფისადმი პურიტანულ დამოკიდებულებას ავლენს. მაგ.: ლექსიკოგრაფი ფაულერი, ავტორი წიგნისა თვლის, რომ ანაკოლუფი "The Kings English", არანაირ სტილისტურ ხერხს არ წარმოადგენს და დაუდევრობით, ან გაუნათლებლობითაა გამოწვეული. თუმცა, ანაკოლუფი გამოიყენება ისეთი გამოჩენილი მწერლების მიერ, როგორიცაა დეფო, სვიფტი, დიკენსი, თეკერეი, გოლსუორსი, უაილდი, ტვენი, ჰემინგუეი. მათ რომანებში ანაკოლუფის არსებობა გვარწმუნებს, რომ ანაკოლუფი არ გახლავთ გრამატიკული ნორმების დარღვევა მათი არცოდნის, ან მათდამი დაუდევარი დამოკიდებულების მიზეზით.

ჯ. გოლსუორსის რომანში "The White Monkey", ავტორი თავისი გმირის, ვიქტორინ ბიკეტის სულიერ განწყობას, მღელვარებასა და აფორიაქებას სწორედ ანაკოლუფით გადმოსცემს:

"Waiting for her bus in the cold January air the altogether appeared to Victorine improbable".

ვიქტორინ ბიკეტის მეუღლე უმუშევარია, თავად კი, მენატურედ მუშაობს მხატვართან, თუმცა, უფრთხილდება რა მეუღლის თავმოყვარეობას, მას ამ ამბავს უმალავს. სწორედ ამ დამალობანას განიცდის პერსონაჟი და მღელვარების გადმოსაცემად ავტორი ანაკოლუფს მიმართავს.

Waiting - მიმღეობაა, რომელიც არა ქვემდებარეს - altogether - არამედ დამატებას - Victorine განსაზღვრავს. ამავე ნაწარმოებში, ანაკოლუფით შეკრულია მთლიანად სიუჟეტური ხაზი, ანუ, ვიქტორინის სეანსების დასრულების ხანს, მისი მეუღლე შეიტყობს მისი მენატურეობის შესახებ, რაც მისთვის თავზარდამცემი აღმოჩნდება, გოლსუორსი მის მდგომარეობასაც ანაკოლუფით გადმოსცემს.

"Bicket stumbled, half-blind, along the strand. Naturally good – tempered, such a severe storm made him feel ill, and bruised in the brain".

რასაკვირველია, აეტორს შემთხვევით არ აქვს გამოყენებული ანაკოლუფი ბიკეტების ოჯახური დრამის გადმოსაცემად, ეს ხერხი რომანის სიუჟეტურ ხაზს კრავს.

ამ პატარა დრამის დასაწყისი და დასასრული ერთნაირი კონსტრუქციითაა წარმოდგენილი. ანაკოლუფი მრავალფუნქციური კონსტრუქციაა; მწერალმა მას შეიძლება მიმართოს სულ სხვა ექსპრესიული ფუნქციის გადმოსაცემად, მაგალითად, უშუალო, ძალდაუტანებელი სიტუაციის გადმოსაცემად. ამ ფუნქციით, ანაკოლუფი თეოდორ დრაიზერთან გვხვდება:

Trying on many caps, there was one that fitted him" (Th. Dreiser, An American Tragedy).

ზეპირსიტყვაობაში ანაკოლუფი გვხვდება, როდესაც მოსაუბრეს ვინმე აწყვეტინებს საუბარს, ან თვითონვე, რაიმე მიზეზის გამო, თუნდაც პაუზის გამო, მცირე ხნით წყვეტს საუბარს; ავიწყდება რა თავკიდური სტრუქტურა, მოსაუბრე გრამატიკულად გაუმართავი და შეუსაბამო სტრუქტურით ასრულებს დაწყებულ წინადადებას. რაც შეეხება ისტორიული ჟანრის ნაწარმოებებს, ანაკოლუფის გამოყენება ხდება თხრობის კულმინაციურ ეპიზოდებში. ისტორიულ რომანში „ინგლისის ისტორია", აეტორი, ო. გოლდსმიტი კარლოს პირველისა და მარიამ სტიუარტის დასჯის სცენებს ანაკოლუფის შემცველი სტრუქტურით აღწერს.

1. "Then he laid his neck on the block, and stretching his hands as a signal, (!) one of the executors severed his head from his body at a blow, while the other, holding it up, exclaimed: "This is a head of a traitor!"

2."Then reciting a psalm and repeating a pious ejaculation (!) her head was severed from her body at two strokes, by the executioner.

(O. Goldsmith, History of England).

მარიამ სტიუარტის დასჯის სცენის აღწერისას, ანაკოლუფის წყობა კიდევ უფრო ძლიერ დრამატიზმს სძენს სათქმელს: reciting a psalm.... her head was severed from her body. წინადადებას სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით, კონსტრუქციის ტრანსფორმაციის გარეშე, ფრიად უხეშ შეცდომას დავუშვებთ:

„ფსალმუნის კითხვასა და ღვთისმოშიშ ლოცვებში გართული თავი მოჰკვეთეს მის სხეულს".

ამდენად, ანაკოლუფი მეტად ექსპრესიული, მრავალფუნქციური, სტრუქტურაა, რომელიც თარგმანში ყოველთვის არ აისახება.

დედნის ტექსტის ჰრაგმატიკული ანალიზი

კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიზანშეწონილია სათარგმნი ტექსტის პრაგმატიკული ანალიზი და ენობრივი ნიშნების კვლევა პრაგმატიკის განზომილებაში, რათა თარგმანში ორიგინალის დისკურსის პრაგმატიკული მიზანმიმართება ადეკვატურად იყოს გადმოცემული. ტექსტის პრაგმატიკული ანალიზისას, მთარგმნელი რთულ ფილოლოგიურ-კვლევით შრომას ეწევა:

1. იკვლევს ლექსიკური ერთეულის, როგორც ნიშნის ფუნქციას უშუალო ლინგვისტურ გარემოში, ანუ კონტექსტში;

2. განსაზღვრავს პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულების ტიპს დისკურსის ანალიზის საფუძველზე;

3. განსაზღვრავს მწერლისა და პერსონაჟების საკომუნიკაციო ინტენციას დისკურსის ანალიზის საფუძველზე;

4. მე-2 და მე-3 პარამეტრებს განსაზღვრავს დისკურსის მარკერების და ტონალობის კვლევით.

უოლტერ ბენჯამინი წერს, რომ სიტყვა არის კაპიტულაცია უთარგმნელობისადმი, ანუ, ორიგინალისადმი ერთგულება და სიტყვასიტყვით თარგმანი ხელს უშლის ლექ-

სიკური ერთეულის ტრანსფორმაციას მისი პრაგმატიკული ფუნქციის შესაბამისად. ბენჯამინის მიერ სიტყვის პრაგმატიკული ფუნქციის ხაზგასმა სხვა არაფერია, თუ არა კიდევ ერთი არგუმენტი, რაოდენ რთულ ფილოლოგიურ-ანალიტიკურ სამუშაოს ასრულებს მთარგმნელი (რასაკვირველია, საუბარია მაღალი ხარისხის თარგმანზე), რათა ზუსტად განსაზღვროს სიტყვის პრაგმატიკული ფუნქცია, რომელიც შესაძლოა სრულებით განსხვავდებოდეს მისი სემანტიკური მნიშვნელობისაგან, განახორციელოს სათანადო ტრანსფორმაციები და გადალახოს უთარგმნელობის არაერთი დაბრკოლება.

მხატვრული პროზის ავტორი საკომუნიკაციო ინტენციის გადმოსაცემად, მიმართავს ემოციური ობერტონების მქონე ლექსიკურ ერთეულებს, გარკვეული რიტმისა და მელოდიკის მქონე გრამატიკულ სტრუქტურებს, ექსპრესიული საშუალებების სინთეზს. საკომუნიკაციო ინტენცია ინფორმაციულ-ესთეტიკურია. იგი მკითხველის კოგნიტურ სისტემაში ალიბეჭდება, როგორც იმპრესია. ადეკვატურად თარგმნისათვის, აუცილებელი პირობაა, რომ მთარგმნელმა კიდევ ერთი სახის ანალიტიკური სამუშაო შეასრულოს და ტექსტის საკომუნიკაციო ინტენცია განსაზღვროს.

მხატვრული თარგმანის მიმართება პრაგმატიკასთან

გრაისის სამეტყველო აქტების თეორია, დისკურსის ანალიზი და მხატვრული თარგმანი

ტერმინი "დისკურსის ანალიზი" არაერთმნიშვნელოვანია იმ გაგებით, რომ მისი ინტერპრეტირება ხდება ლინგვისტიკის რომელიმე დისციპლინის კვლევის საფუძველზე: სოციოლინგვისტისათვის ტერმინი დისკურსის ანალიზი კონვერსაციაში გამოვლენილი სოციალური ინტერაქციის სტრუქტურის სიგნიფიკანტია, ფსიქოლინგვისტისათვის კი მცირე მოცულობის, წერილობით შესრულებული ტექსტის აღქმის სპეციფიკისა; პრაგმატიკაში, დისკურსის ანალიზის საყოველთაოდ მიღებული მიდგომა, რომელსაც "სამეტყველო აქტების თეორია" ეწოდება, ფილოსოფოს ჯონ ოსტინის მიერ იყო ფორმულირებული; მისი შემდგომი განვითარება ჯონ სერლის სახელს უკავშირდება; ხოლო 1975 წელს გამოიცა პ. გრაისის ნაშრომი "ლოგიკა და კონვერსაცია", რომელიც სამეტყველო აქტების თეორიის კუთხით დისკურსის ანალიზისადმი ახლებური მიდგომა იყო. გრაისის არგუმენტირებით, ორდინარულ სიტუაციაში ინტერაქცია არ წარმოადგენს თანმიმდევრულ, ერთმანეთთან დაკავშირებულ რეპლიკებს; ასეთ შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ კომუნიკანტები გააზრებულად მოქმედებენ; ინტერაქცია წარმოადგენს კომუნიკანტთა თავისებური ტიპის ერთობლივ ქმედებას. ამავე დროს, თითოეული აცნობიერებს ერთობლივ მიზანს ან მიზნებს. მიზანი შეიძლება დაისახოს დასაწყისში, მაგ.: როცა განსჯის თემა ექსპლიციტურადაა დასახელებული, ან მიზანი შეიძლება გამჟღავნდეს ინტერაქციის პროცესში; გრაისი მიუთითებს, რომ მიზანი, შესაძლოა, მკაფიოდ იყოს გამოკვეთილი, ან ბუნდოვნად იყოს წარმოდგენილი; ინტერაქციის თემატიკის უმნიშვნელობისა და მრავალფეროვნებისას, ინტერაქციის მიმოხილვითი ხასიათი იჩენს თავს; ასეთ შემთხვევებში, წერს გრაისი, მოსაუბრეებს ენიჭებათ "სიტყვის თავისუფლება". რეპლიკებს ინტერაქციაში, რომელთაც საკომუნიკაციო დანიშნულება არა აქვთ, გრაისი განიხილავს, როგორც კომუნიკაციის თვალსაზრისით არარელევანტურს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, გრაისი იმ ძირითადი პრინციპის ფორმულირებას ახდენს, რომლის დაცვაც აუცილებელია კომუნიკანტთა მიერ ინტერაქციაში:

"თქვენი საკომუნიკაციო წვლილი ინტერაქციის მოცემულ ეტაპზე უნდა შეესაბამებოდეს ერთობლივად დასახულ მიზანს ამ ინტერაქციის მიმართულების შესახებ". სწორედ ზემოაღნიშნულ პრინციპს უწოდებს გრაისი "კოოპერაციულობის პრინციპს":

"Make your conversational contribution such as is required, at the stage at which it occurs, by the accepted purpose or direction of the talk exchange in which you are

engaged" (Grice, 1989: 26), - წერს გრაისი. კოოპერაციულობის პრინციპი ოთხივე მაქსიმს საერთო კატეგორიაში აერთიანებს; მაქსიმების დაცვით, დაცულია კოოპერაციულობის პრინციპიც. დავუშვათ, წერს გრაისი, მივიღეთ ისეთი ზოგადი პრინციპი, როგორიცაა "კოოპერაციულობის პრინციპი"; ამ შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება გამოვყოთ უფრო კონკრეტული პოსტულატები (იგივე მაქსიმები), რომელთა დაცვა, საბოლოო ჯამში, შეესაბამება აღნიშნული პრინციპის დაცვას.

გრაისი, ემანუელ კანტის მიხედვით, ამ პრინციპებს ოთხ კატეგორიაში აერთიანებს და წერს:

"This co-operative principle manifests itself in certain consequences, which he summarizes in four *"maxims"*.

1. *Quantity:*

a) Make your contribution as informative as is required

b) Do not make your contribution more informative than is required

2. *Quality:*

a) Do not say what you believe to be false

b) Do not say that for which you lack adequate evidence

3. ***Relevance:*** be relevant

1. *Manner:*

a) Avoid obscurity of expression

b) Avoid ambiguity

c) Be brief (avoid unnecessary prolixity)

d) Be orderly".

ანუ, გრაისიეული მაქსიმები ქართულ ენაზე შემდეგნაირად ჟღერს::

1. ოდენობა;

2. ხარისხი;

3. შესაბამისობა;

4. მანერა-მეთოდი.

რაც ნიშნავს, რომ:

1. მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია შესაფერისი ოდენობით.

2. დაცული უნდა იყოს ინფორმაციის სიზუსტე.

3. მოცემული ინფორმაცია ადექვატური ხასიათის უნდა იყოს.

4. ინფორმაცია უნდა იყოს აღქმადი საუბარში მონაწილე მხარის მიერ.

გრაისი აანალიზებდა თვით კონვერსაციის, როგორც სამეტყველო აქტების ზოგად მახასიათებელს, ერთი ზოგადი პრინციპის ფორმულირებისათვის. ამდენად, კოოპერაციულობის პრინციპი ემყარება იმ მოსაზრებას, რომ მოსაუბრეებს სურთ, თავიანთი წვლილი შეიტანონ ინტერაქციაში, იმ ფაქტის გათვალისწინებით, თუ რა მოეთხოვებათ საუბრის მოცემულ ეტაპზე. გრაისი მიიჩნევდა, რომ ემპირიულად ჭეშმარიტ ფაქტს წარმოადგენს ის, რომ ადამიანები, რეალურად, სწორედ ამგვარად მოქმედებენ და რომ ადამიანები ბავშვობიდან ითვისებენ დიალოგში მონაწილეობის ზემოთმოყვანილ სქემას და შემდგომშიც არ ივიწყებენ მას.

შენიშვნა I

აღელვების ნიადაგზე, როდესაც მღელვარება შეუძლებელს ხდის მეტყველებას, ინტერაქციაში მონაწილისათვის გარკვეული პაუზა აუცილებელია დამშვიდებისათვის, რათა შეძლოს ინტერაქციაში მონაწილეობის გაგრძელება. მხატვრულ დისკურსში, - რომელიც ითვალისწინებს მკითხველზე როგორც ესთეტიკურ, ისე ემოციურ ზემოქმედებას, - ბუნებრივია, ავტორმა მიმართოს, თუკი სურს ემოციური ნოტის წარმოჩენა, კოოპერაციულობის პრინციპის დარღვევას იმ ეტაპზე, რომელზეც ინტერაქციაში მონაწილე პირი საპასუხო სელით უნდა ჩაბმულიყო; ნიმუშად შეიძლება წარმოვადგინოთ პასაჟი ჯ. ჯოისის მოთხრობიდან "The Dead":

-"Gretta, Dear, what are you thinking about?

She did not answer nor yield wholly to his arm. He said again, softly:

- Tell me. What it is, Gretta. I think I know what is the matter. Do I know?

She did mot answer at once. Then she said in an outburst of tears:

- O, I'm thinking about that song. The Lass of Augrimz". (Joyce: 2401).

ამრიგად, გრაისისეული კოოპერაციულობის პრინციპი არ ითვალისწინებს ისეთ ფენომენს, როგორიცაა ინტერაქციაში მონაწილის მიერ კოოპერაციულობის პრინციპის დარღვევა ემოციურ ფონზე.

გრაისის კვლევა მიმართული იყო კონვერსაციის სტანდარტული კანონის განხილვისაკენ; რომლის დაკანონებული სქემის გაუთვალისწინებლობაც არ შეიძლება. გრაისი აღნიშნავს, რომ სიტყვის კონვენციონალურ მნიშვნელობას შეუძლია განსაზღვროს არა მხოლოდ ის, რასაც ვამბობთ, არამედ, ის, რასაც ვგულისხმობთ, ანუ რის იმპლიცირებასაც ვახდენთ. გრაისს შემდეგი განცხადება მოჰყავს იმპლიცირების ნიმუშის ილუსტრირებისათვის: "ის ინგლისელია, მაშასადამე ის მამაცია", - წარმოთქმული სიტყვების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ ჭეშმარიტებად მივიჩნევთ არგუმენტირებას, რომ

"სიმამაცე" იმ ფაქტის შედეგია, რომ "ის" ინგლისელია; ამასთან, თუმცა წარმოთქმული იყო, რომ ის მამაცია, ნათქვამი არ არის, რომ მის სიმამაცეს განაპირობებს მისი ეროვნება, ანუ ის, რომ მისი ეროვნება განაპირობებს მის სიმამაცეს; თუმცა, მინიშნება ამის თაობაზე ცხადყოფს დამატებით არსებულ, ანუ იმპლიცირებულ აზრს. Gგრაისი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი ზემოთ განხილული შედეგი მცდარობა აღმოჩნდება, წარმონათქვამიც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მცდარობა აღმოჩნდება. ამდენად, გრაისი მიიჩნევს, რომ შეიძლება არსებობდეს კონვენციონალური იმპლიკატურა, განსხვავებით კონვენციონალური მნიშვნელობისაგან.

გრაისი აღნიშნავს, რომ კონვენციონალურ იმპლიკატურას საერთო აქვს უშუალოდ ვერბალური კომუნიკაციის, კერძოდ კონვერსაციის ზოგად მახასიათებლებთან; გრაისმა მათ საკონვერსაციო იმპლიკატურები უწოდა. (Conversational Impicatures) საკონვერსაციო K იმპლიკატურა აუცილებლად უნდა იყოს დასკვნას დაქვემდებარებული, ვინაიდან, როგორც გრაისი წერს, თუკი იმპლიკატურის ჩაწვდომა და გაგება ინტუიციურ დონეზეც შეიძლება, მაგრამ ლოგიკური დასკვნის გაკეთება არ შეგვიძლია, ამგვარი იმპლიკატურა ჩაითვლება კონვენციონალურ იმპლიკატურად და არა საკონვერსაციო იმპლიკატურად.

გრაისს მოჰყავს ნიმუშები, თუ როგორ არის დაკავშირებული საკომუნიკაციო იმპლიკატურა კოოპერაციულობის პრინციპთან და მაქსიმებთან და როგორ ხდება ინტერაქციის მონაწილეთა მხრივ, ერთ-ერთი მაქსიმის იგნორირება. კერძოდ, გრაისი მიუთითებს, რომ საკომუნიკაციო იმპლიკატურა წარმოიშობა, თუკი: მოსაუბრე არ დაიცავს რომელიმე მაქსიმს, რითიც ის შეცდომაში შეიყვანს თანამოსაუბრეს. ამავე დროს, მოსაუბრეს შეუძლია თავი აარიდოს როგორც კონკრეტული მაქსიმის დაცვას, ისე საერთოდ კოოპერაციულობის პრინციპის დაცვას, ანუ მოსაუბრეს შეუძლია ექსპლიციტის ან იმპლიციტის დონეზე მიანიშნოს, რომ არ აპირებს "თანამშრომლობას" რომელიმე კონკრეტული მაქსიმის დასაცავად, ანუ, მას შეუძლია განაცხადოს შემდეგი: "მეტის დამატება არ შემიძლია, გარდა იმისა, რაც უკვე ვთქვი". ინტერაქციისას შესაძლოა გარკვეული კონფლიქტი წარმოიშვას, თუ მოსაუბრე ვერ დაიცავს პირველ მაქსიმს ისე, რომ არ დაარღვიოს მეორე (ხარისხი და/ან ოდენობა) მოსაუბრეს შეუძლია დაღვიოს ერთ-ერთი მაქსიმი, ანუ ღიად განაცხადოს უარი მის დაცვაზე. ამდენად, ვაწყდებით პრობლემას, თუ როგორ შეიძლება მოხდეს მოსაუბრის სიტყვებისა და მოქმედების შეთანაწყობა ისე, რომ მოხდეს კოოპერაციულობის გლობალური პრინციპის დაცვის ფენომენის დაშვება. გრაისის პოსტულირებით, სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებენ საკომუნიკაციო იმპლიკატურის წარმოშობას.

გრაისი წერს, რომ მოსაუბრე უნდა იცავდეს კოოპერაციულობის პრინციპს. ვარაუდი იმის თაობაზე, რომ მსმენელი ხვდება ნათქვამს, აუცილებელია პირველ პრეზუმპციასთან შესატყვისობისთვის (რაც იცავს კოოპერაციულობის პრინციპს); პრეზუმპცია ხდება პირველი ფაქტისაც, ანუ მოსაუბრე თვლის, რომ მსმენელს აქვს უნარი დაასკვნას, ან ინსტინქტურად იგრძნოს არსებული ვარაუდის რეალური საფუძველი (მან თქვა სწორედ P და არა სხვა რამ).

ჰ. გრაისი ნაშრომში წერს: "წარმოვიდგინოთ, რომ მოსაუბრე A მოსაუბრე B-ს ესაუბრება საერთო ნაცნობზე, რომელიც ბანკში მუშაობს. მოსაუბრე A ეკითხება მოსაუბრე B-ს, თუ როგორ მისდის C-ს სამსახურში საქმეები. საპასუხოდ კი შემდეგი კომენტარი ესმის: "ვფიქრობ, მეტნაკლებად კარგად მისდის საქმე, თანამშრომლები მოსწონს, ციხეში კი ჯერ არ მოხვედრილა."

აქ კი A-ს მხრივ სავსებით ბუნებრივი რეაქცია იქნებოდა, დაინტერესებულიყო, თუ რა ჰქონდა მხედველობაში B-ს, რა ფაქტორისაკენ მიანიშნა მან, ანუ რას ნიშნავდა უფრო კონკრეტულად მისი სიტყვები: "ციხეში ჯერ არ მოხვედრილა".

A-ს პასუხი სავარაუდოდ შეიძლება იყოს:

1. C – არ არის ის ადამიანი, ვინც საკუთარი პროფესიის ცდუნებას გაუძლებს;

2. C – ს თანამშრომელები მეტად არასასიამოვნო და არასანდო ხალხია.

გრაისი არ გამორიცხავს, რომ A-ს შესაძლოა არ გაუჩნდეს კითხვები B-ს მიმართ, თუკი აღნიშნულ კონტექსტში მისთვის პასუხი წინდაწინვე მისახვედრია; ნებისმიერ შემთხვევაში ის, რასაც წარმოთქვამს, სრულიად განსხვავდება მის მიერ ნაგულისხმევისაგან; თუმცა B-ს მიერ წარმოთქმული სამეტყველო აქტი ნაგულისხმევის დაფარულ მნიშვნელობასაც ცხადს ხდის. გრაისი ასკვნის, რომ A-მ შეიძლება შემდეგნაირად მოახდინოს B-ს შენიშვნის დეკოდირება იმის თაობაზე, რომ C ჯერ არ მოხვედრილა ციხეში:

1. B – მ ცხადად დაარღვია რელევანტურობის მაქსიმი და არ გვაქვს საფუძველი, რომ არ დაიღვია კოოპერაციულობის პრინციპი;

მოცემულ ნიმუშში გრაისი არარელევანტურობად მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ C-ს შესახებ ირიბად იყო მინიშნებული, რომ ის პოტენციურად არაკეთილსინდისიერი პიროვნება იყო;

2. B-მ იცის, რომ A დასკვნას გამოიტანს ირიბი მინიშნების საფუძველზე;

3. შესაბამისად, B აკეთებს იმპლიკაციას, რომ C პოტენციურად არაკეთილსინდისიერია.

გარკვეული საკომუნიკაციო იმპლიკატურიდან დასკვნის გამოტანის დროს მსმენელისათვის საფუძველს წარმოადგენს შემდეგი ინფორმაცია:

1. აქტივიზებული სიტყვების კონვენციური მნიშვნელობა;

2. კოოპერაციულობის პრინციპი და მაქსიმები;

3. წარმონათქვამის, როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური კონტექსტი;

4. ფონური ცოდნა;

5. ფაქტი, რომ რელევანტური ინფორმაცია კომუნიკაციის ორივე მხარისათვის გასაგებია და ორივე მხარემ იცის ეს ან ორივე მხარე ვარაუდობს ამას.

გრაისი წარმოადგენს მაგალითს - "He is in the grip of a vice" - და მიუთითებს: თუ ჩვენ ინგლისურ ენას ვფლობთ, მაგრამ არ ვიცით ამ წინადადების საწარმოთქმო სიტუაციის შესახებ, ჩვენ მხოლოდ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნება იმაზე, თუ რა ითქვა მოსაუბრის მიერ; ამდენად, ჩვენ შეიძლება გავიგოთ, რომ:

1. X-ს ნებელობა არ ჰქონდა გათავისუფლებულიყო ხასიათის რომელიმე უარყოფითი შტრიხისგან;

2. X-ს სხეულის რომელიმე ნაწილი გარკვეულ მექანიზმში იყო მომწყვდეული, რაც მიახლოებით გამოხატავს X-ის მდგომარეობას.

გრაისი მიიჩნევს, რომ წარმოთქმულის მნიშვნელობის სრულად გასაგებად, აუცილებელია:

1. შეგვეძლოს X-ის იდენტიფიცირება;

2. ვიცოდეთ წარმოთქმულის დრო;

3. ვიცოდეთ, თუ კერძოდ რა მნიშვნელობით იყო აქტივიზებული გამოთქმა: In the grip of a vice.

გრაისი მაქსიმათა დაღვევისა და იმპლიკაციის წარმოშობის ნიმუშებს სამ ჯგუფში აერთიანებს:

ჯგუფი A

მაგალითები, როცა ყველა მაქსიმი დაცულია, ან ცხადად არ ირღვევა რომელიმე მაქსიმი: მოსაუბრე A დგას მანქანასთან, აშკარად ვერ გადაადგილდება, მას უახლოვდება მოსაუბრე B და მათ შორის ხდება შემდეგი რეპლიკების გაცვლა:

A - ბენზინი დამთავრდა.

B - კუთხეში ბენზინგასამართია;

გრაისი შემდეგ კომენტარს აკეთებს ზემოთმოყვანილი მაგალითის შესახებ: თუკი B არ თვლიდა შესაძლოდ, რომ ბენზინგასამართი ღია იყო და იქ შეიძლებოდა ბენზინის შეძენა, მაშასადამე ის რელევანტურობის მაქსიმს არღვევდა თავისი წარმონათქვამით და ამავდროულად, იმპლიცირებას ახდენდა, რომ ბენზინგასამართია სავარაუდოდ ღია იყო და იქ ბენზინი იყიდებოდა.

ზემოთმოყვანილ მაგალითში, განსხვავებით რეპლიკისაგან: "ის ჯერ არ მოხვედრილა ციხეში", და A-სა და B-ს რეპლიკებს შორის კავშირი არაექსპლიციტურია, ამდენად, არა გვაქვს საფუძველი, წერს გრაისი, ჩავთვალოთ, რომ რელევანტურობის მაქსიმი არაა დაცული.

მხატვრულ დისკურსში, იმპლიკაციით დატვირთულ სამეტყველო აქტის მსგავს ნიმუშს შესაძლოა გარკვეულ ტონალობა შემოჰქონდეს კონტექტში; ქვემოთ მოვიყვანთ ნიმუშს, რომელშიც ტონალობა კონკრეტულ კონტექსტში გადმოსცემს მკვეთრად არაკომუნიკაბელურ განწყობას:

(A) A lot of characters come here, they're not expected. You know the kid long?"

(B) "Not very."

(A) "So you don't know the kid long?"

(B) "I live upstairs".

The answer seemed to explain enough to relax him.

(T. Capote, Breakfats at Tiffany's, p. 137).

როგორც ვხედავთ, სანიმუშოდ მოყვანილი სამეტყველო აქტი ლაკონიურია, B-ს I პასუხი არღვევს ოდენობის მაქსიმს; B-ს II პასუხი ერთი შეხედვით განაპირობებს რელევანტურობის მაქსიმის დარღვევას, თუმცა, ამასთან, წარმოშობს იმპლიციტს, რომ B-ს მეზობლობა ანიჭებს უპირატესობას, დიდი ხნის ნაცნობობის გარეშეც აღმოჩნდეს დაპატიჟებულთა სიაში;

თარგმანში, სირთულეს არ წარმოადგენს წარმოქმნილი იმპლიკატურის შენარჩუნება:

- „A- აქ უამრავი ტიპი მოდის დაუპატიჟებლად. დიდი ხანია გოგონას იცნობ?

- B - არც ისე.

- ა, ესე იგი, დიდი ხანი არ არის, რაც გაიცანი?

- ზედა სართულზე ვცხოვრობ."

ბერმანის დასამშვიდებლად ჩემი პასუხი საკმარისი აღმოჩნდა".

ინტერაქციის მონაწილეს მიაჩნია, რომ სამეტყველო აქტში არსებული იმპლიკატურის შესახებ დასკვნას თავად გამოიტანს მსმენელი.

ჯგუფი B

ამ ჯგუფში გრაისი აერთიანებდა მაგალითებს, რომლებშიც ერთ-ერთი მაქსიმი დარღვეულია სხვა მაქსიმთან კონფლიქტში მოსვლის გამო, მაგ.: A და B ერთობლივად ადგენენ საფრანგეთში ტურისტული მოგზაურობის მარშრუტს; ორივემ იცის, რომ A ისურვებდა სწვეოდა თავის მეგობარ ჩ -ს, თუკი ეს გზას ძლიერ არ გაუმრუდებდათ;

A - სად ცხოვრობს C ?

B - სადღაც საფრანგეთის სამხრეთში (ოდენობის მაქსიმი დარღვეულია ხარისხის მაქსიმთან კონფლიქტში მოსვლის გამო).

მოცემული მაგალითის შესახებ გრაისი შემდეგ კომენტარს აკეთებს: არ გვაქვს საფუძველი ჩავთვალოთ, რომ B თავს არიდებს პასუხის გაცემას, მეორეს მხრივ, მისი პასუხი, როგორც თვითონ ესმის, ნაკლებინფორმაციულია, ვიდრე A საჭიროებს. ამგვარად, პირველი მაქსიმის დარღვევა შეიძლება აეხსნათ მხოლოდ იმ ფაქტორით, რომ B-ს მხრივ მეტი ინფორმაციის გაცემა ნიშნავს ხარისხის მაქსიმის დარღვევას და ამას B თავადაც გრძნობს. B-ს პასუხი უნდა ჩავთვალოთ იმპლიკატად, რომ მან არ იცის თუ კერძოდ რომელ ქალაქში ცხოვრობს ჩ.

მხატვრულ დისკურსში, ერთმანეთთან კონფლიქტში მოსვლის ნიადაგზე მაქსიმების დარღვევა შესაძლოა ავტორის ინტენციას ემსახურებოდეს და კომიზმის ეფექტის შექმნის მიზნით იყოს აქტივიზებული, თუმცა იმპლიციტის დეკოდირება მხოლოდ კონტექსტის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს.

ამგვარი ნიმუში შეიძლება წარმოვადგინოთ ო. უაილდის პიესიდან, "დაირქვი ერნესტი, ანუ სერიოზულობის მადლი"; ალჯერნონი თავდაპირველად ცდილობს არ დაარღვიოს ხარისხის მაქსიმი და ამიტომ არღვევს ოდენობის მაქსიმს, შემდეგ კი ხარისხის მაქსიმი მაინც ირღვევა და მას ინტერაქციაში ხარისხის მაქსიმის დარღვევის გახანგრძლივებული ნიმუში შეიძლება ვუწოდით. ამ შემთხვევაში იმპლიკატურს წარმოადგენს ის, რომ ბანბერის ცოცხლად ხილვა ყოველად შეუძლებელია:

"Lady Bracknell: May I ask if it is in this house that your invalid friend Mr. Bunbury resides?

Algernon (stammering): Oh! No! *Bunbury doesn't live here. Bunbury is somewhere else at present* (*darRveulia odenobis maqsimi, amasTan, konteqsti cxadyofs, rom daRveulia xarisxis maqsimi,*). In fact, Bunbury is dead.

Lady Bracknell: Dead? When did Mr. Bunbury die? His death must have been extremely sudden.

Algernon (airily): Oh! *I killed Bunbury this afternoon (daRveulia xarisxis maqsimi).* I mean poor Bunbury died this afternoon.

Lady Bracknell: What did he die of?

Algernon: Oh, *he was quite exploded (daRveulia xarisxisa da meTodis maqsimebi).* Lady Bracknell: Exploded! Was he a victim of the revoltionary outrage? I was not aware that Mr. Bunbury was interested in social legilsation. If so, he is well punished for his morbidity.

Algernon: My dear Aunt Augusta, *I mean he was found out! The doctors found out that Bunbury could not live, that is what I mean - so Bunbury died.* (O. Wilde, The Importance of Being Earnest, p. 338)

დისკურსში დარღვეულია ხარისხისა და მანერის გრაისისეული მაქსიმები, რაც ადექვატურად შეიძლება იყოს ტრანსპონირებული თარგმანშიც:

"ლედი ბრეკნელი: შეიძლება გკითხოთ, ეს ხომ არაა ის სახლი, სადაც მისტერ ბანბერი, შენი ხეიბარი მეგობარი ცხოვრობს?

ალჯერნონი (ენის ბორძიკით): არა, ბანბერი აქ არ ცხოვრობს, ბანბერი სულ სხვა ადგილასაა ამჟამად, უფრო ზუსტად, იგი გარდაიცვალა.

ლედი ბრეკნელი. გარდაიცვალა! როდის მოკვდა მისტერ ბანბერი? ალბათ მოულოდნელად მოხდა ეს უბედურება.

ალჯერნონი (დაუფიქრებლად). აჰ, ნაშუადღევსვე თვითონ მოვკალი... მე მინდა მოგახსენოთ, რომ საბრალო ბანბერიმ ამ რამდენიმე საათის წინ დალია სული.

ლედი ბრეკნელი. რითი მოკვდა?

ალჯერნონი. ბანბერი? იგი ჰაერში აფეთქდა.

ლედი ბრეკნელი. აფეთქდა? რაიმე ტერორისტული აქტის მსხვერპლი ხომ არ გამხდარა? როგორ წარმოვიდგენდი თუ მისტერ ბანბერი სოციალური პრობლემით იყო დაინტერესებული. თუკი ეს სიმართლეა, დაისჯებოდა კიდეც თავისი მანკიერი ინტერესებისათვის.

ალჯერნონი. ჩემო ძვირფასო, დეიდა ოგასტა, იგი მზის სინათლეზე გამოაფინეს! ექიმებმა დაადგინეს, რომ ბანბერის სიცოცხლე აღარ შეეძლო, ჰოდა, კიდეც განუტევა სული."

(ო. უაილდი, დაარქვით ერნესტი ანუ სერიოზულობის მადლი. გვ. 169)

ფილოსოფოსის ერთ-ერთ შეცდომად შეიძლება მიეიჩნიოთ ის, რომ კოოპერაციულობის პრინციპისა და ოთხი მაქსიმის დარღვევა უფრო რთულ ფენომენად მიაჩნდა, ვიდრე მათი დაცვა; გრაისის მითითებით, სიმართლის თქმა უფრო ადვილია, ვიდრე ტყუილის მოფიქრება.

ამდენად, ოდენობის მაქსიმის დარღვევის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი არასაკმარისი ინფორმაციის შემცველი კონსტრუქცია, რომელიც დამატებით განმარტებას საჭიროებს ინტერაქციის ადრესატისათვის. გრაისი წარმოადგენს მაქსიმების ექსპლუატაციის ნიმუშებს, როცა მოსაუბრე არღვევს მაქსიმს იმ მიზნით, რომ საკომუნიკაციო იმპლიკატურა წარმოშვას; ამ ჯგუფში გრაისი აერთიანებდა სამეტყველო აქტების ნიმუშებს, რომლებშიც ირღვევა ერთ-ერთი მაქსიმი; მიუხედავად ამ ფაქტორისა, მსმენელს აქვს პრეზუმპცია, რომ ეს მაქსიმი, ან კოოპერაციის გლობალური პრინციპი დაცულია იმპლიცირებულის დონეზე. ოდენობის პირველი მაქსიმის დარღვევის შესახებ გრაისს შემდეგი ნიმუში მოჰყავს:

"A წერს სარეკომენდაციო წერილს ერთ-ერთი თავისი მოსწავლისათვის, რომელიც პრეტენზია აქვს ფილოსოფიის კათედრაზე არსებულ პოსტზე; სარეკომენდაციო წერილი შემდეგი შინაარსისაა: "მისტერ X ბრწყინვალედ ფლობს ინგლისურ ენას, ის რეგულარულად ესწრება სემინარებს" *('Mr. X's command of English is excellent, and his attendance has been regular')*.

გრაისის კომენტარის მიხედვით, არ შეიძლება ვიუარაუდოთ, რომ:

A-ს არ შეეძლო მეტის თქმა, რადგან მეტი არ იცოდა საკუთარ მოწაფეზე. Aამავე დროს, A-მ იცის, რომ მისგან გაცილებით მეტ ინფორმაციას ელიან. იგი ამ რეკომენდაციით თავს არიდებს საკუთარი აზრი პირდაპირ გამოთქვას ამ პირის შესახებ. ეს მოსაზრება გონიერულია იმ შემთხვევაში, თუკი A მიიჩნევს, რომ მისტერ X-ს არაფერი ესმის ფილოსოფიაში და იგი ამ ფაქტის იმპლიცირებას ახდენს სარეკომენდაციო წერილში. ამავე ჯგუფში გრაისი აერთიანებს ისეთ გამონათქვამს, როგორიცაა ტავტოლოგიური ტიპის გამონათქვამები: "ომი ომია", "ქალი ქალია", - რომლებიც ოდენობის მაქსიმს არღვევენ, როგორც არაინფორმაციული ტიპის გამონათქვამები.

ჩვენის მხრივ, დავამატებდით, რომ ამავე კატეგორიაში უნდა გაერთიანდეს მხატვრულ დისკურსში აქტივიზებული, ექსპრესიულ-ემოციური შეფერილობის მქონე და იმპლიკატურის წარმომქმნელი დეფორმირებული ფრაზეოლოგიური ერთეულები; ამავე დროს, თუკი მსმენელისა და მოსაუბრის ლოგიკური დედუქციის დონეები რადიკალურად განსხვავდებიან, დეფორმირებული მრავალკომპონენტიანი ერთეულის აქტივიზებით

მოსაუბრე უთუოდ დაარღვევს ოდენობის ან მეთოდის მაქსიმს. ნებისმიერი საჩუქცლილი, დეფორმირებული ფრაზეოლოგიზმი მიანიშნებს, რომ მოსაუბრემ ამ ფრაზეოლოგიზმის საწყისი ფორმა იცის, თუმცა, გარკვეული ინტენციით, ახდენს მისი ოდენობის დარღვევას:

"To wash one's clean linen in public (p. 289), Divorces are made in Heaven (p. 283), "The family skeleton is always reading the family prayers" (p. 188) (O. Wilde, Plays).

განსაკუთრებით საყურადღებოდ და საინტერესოდ მივიჩნიეთ, თუ როგორ ახდენს გრაისი ავტორისმიერი სტილისტური ხერხებით ხარისხის მაქსიმის დარღვევის ილუსტრირებას:

1. ირონია: X -მა, ვისთანაც A-ს ახლო ურთიერთობა ჰქონდა, A-ს საიდუმლო გაანდო მის კონკურენტს. ეს იციან A-მ და მანაც, ვინც მას უსმენს. A ამბობს: "X ნამდვილი მეგობარია". როგორც A-სთვის, ისე მისი მსმენელისათვის, სრულიად ნათელია, რომ A - მ თქვა რაღაც, რაც, თავადაც დარწმუნებულია, რომ სიცრუეა. გარდა ამისა, მსმენელმაც იცის, რომ სამეტყველო აქტი სიცრუეს წარმოადგენს. მაშასადამე, რა დანიშნულება აქვს A-ს სამეტყველო აქტს? გრაისი მიაჩნევს, რომ A-ს სამეტყველო აქტი გარკვეული პროპოზიციაა, რომელიც შინაარსობრივად წარმოთქმული სამეტყველო აქტის საპირისპიროა. ამდენად, A-ს პროპოზიცია სრული უარყოფაა იმისა, რაც A-ს სამეტყველო აქტით იქნა გადმოცემული.

მხატვრულ დისკურსში ირონიის აქტივიზებას შესაძლოა პარადოქსის ეფექტი ჰქონდეს; ამავე დროს, ირონიის აქტივიზებისკენ შესაძლოა, კონტექსტურმა ინდიკატორმაც მიგვითითოს, რომელიც გამოხატულია ოქსიმორონით:

"Duchess of Berwick (who has risen, goes C: What a charming wicked creature! *I like him so much. I'm quite delighted he's gone!"*(O. Wilde, Lady Windermere's Fan, p. 30).

2. მეტაფორა: გრაისი მიიჩნევს, რომ სამეტყველო აქტით გადმოიცემა კატეგორიული მცდარობა და ამდენად, მისი უარყოფა ჭეშმარიტებას უტოლდება.

მხატვრულ დისკურსში ამგვარი მეტაფორული სამეტყველო აქტი შესაძლოა თვითორიენტირებული იყოს ინტერაქციის მონაწილის მიერ და ავტორის მიერ იუმორის ეფექტის შექმნის მიზნით იყოს აქტივიზებული:

- კაცო, არ გესმის? რომელი ხარ-მეთქი, რომ მიდგომიხარ ამ კოლექტივის ქონებას და ატკბარუნებ, თუ ცოცხალი არსება ხარ, ხმა ამოიღე და თუ უწმინდური სული ხარ, არული კუდიანებს და ფუი ეშმაკს! თქვი ახლა, რომელი ხარ!

- ჭინკა ვარ, ჭინკა!" (ნ. დუმბაძე: 31).

გრაისი აქვე აღნიშნავს, თუ რაოდენ ეფექტურია ირონიისა და მეტაფორის კომბინირება სამეტყველო აქტში, მაგ.: You are an apple of my eyes - ("ჩემი თვალის-ჩინი ხარ"), მაშინ, როდესაც სრულიად საპირისპირო პროპოზიციაა ნაგულისხმევი.

მხატვრულ დისკურსში, შესაძლოა, პირველ სამეტყველო აქტს, რომელშიც ირონია და მეტაფორაა კომბინირებული, თანვე მოსდევდეს მეორე სამეტყველო აქტი-პროპოზიცია, რომელიც ანეიტრალებს პირველს; სამეტყველო აქტთა ამგვარი პარადოქსის ეფექტის შემქმნელი თანწყობა არანაკლებად ქმნის მხატვრულ ეფექტს, ვიდრე მხოლოდ ერთი ასეთი სამეტყველო აქტით გადმოცემული იმპლიკაცია, მაგ.:

"Cecil Graham: Ah! Hopper is one of Nature's gentleman. The worst type of gentleman I know" (O. Wilde: 54).

ავტორისმიერი ინტენციით, მხატვრულ დისკურსში, მეტაფორამ, როგორც ხარისხის მაქსიმის დარღვევის პრეცედენტმა, შეიძლება მსუბუქი იუმორის განწყობა შექმნას, თუკი სამეტყველო აქტის წარმომთქმელი პერსონაჟი,ბერუიკის ჰერცოგინიის მსგავსად, ხასიათდება მაღალი წრის ფუჭი ამაოებით, უდიდესი ცნობისმოყვარეობით და ცდილობს მოვლენათა გაზვიადებული შეფასებით ყოველისმცოდნედ წარმოაჩინოს თავი საზოგადოებაში:

"Lady Windermere: It is very kind of you, Duchess, to come and tell me all this. But I can't believe that my husband is untrue to me.

Duchess of Berwick: Pretty child! I was like that once. Now I know that all man are monsters" (O. Wilde:34).

აგრეთვე:

"Lord Darlington: It's a curious thing, Duchess, about the game of marriage - a game, by the way, that is going out of fashion - the wives hold all the honours, and invariably lose *the odd trick*".

Duchess of Berwick: *The odd trick*? Is that the husband, Lord Darlington?

Lord Darlington: It would be rather a good name for the modern husband"

(O. Wilde: 31).

3. ლიტოტა: გრაისი აღნიშნავს, რომ ლიტოტის აქტივიზებით ასევე შეიძლება დაირღვეს ხარისხის მაქსიმი; მაგ. თუ იმ პირის შესახებ, რომელმაც მთელი ავეჯი დალეწა, აღნიშნავენ, ცოტათი ნასვამი იყოო ('He was a little intoxicated'),' რასაკვირველია, ხარისხის მაქსიმი არ იქნება დაცული.

ავტორისმიერი ინტენციით მხატვრულ დისკურსში ლიტოტის აქტივიზებას, როგორც ხარისხის მაქსიმის დარღვევის პრეცედენტს, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს წინასწარ განზრახული, ან უნებლიე სიცრუის ეფექტის შესაქმნელად:

I. "Yes - I have visited Sally Tomato, I used to go see him every week: What's wrong with that? He believes in God and so do I." (T. Capote:174).

II. ტ. ქეფოთის ნაწარმოების, "საუზმე ტიფანებთან" ერთ-ერთი გმირი სალი თომათოუ ნარკობიზნესის უმსხვილესი წარმომადგენელია; იგი სასჯელს ციხე სინგსინგში იხდის; იგი ყოველთვიურად გარკვეულ თანხას უხდის ჰოლი გოულაითლის, რათა ციხეში ესტუმროს როგორც ნათესავი გოგონა; ჰოლი, რომელსაც ეს თანხა ესაჭიროება, თვალს ხუჭავს სიცრუეზე, რომ რეალურად, იგი თომათოუს ნათესავი არ გახლაეთ; ამასთან, ჰოლის მტკიცედ სჯერა, რომ თომათოუ ერთი ღვთისმოსაეი მოხუცია, რომლის ერთადერთ სიამოვნებას ცხოვრებაში ხუთშაბათობით ჰოლის ვიზიტი და მასთან ამინდზე მუსაიფი წარმოადგენს; სინამდვილეში, ამინდის პროგნოზები სხვა არაფერია, თუ არა კოდირებული ინფორმაცია ნარკოტრეფიკინგის გრაფიკის შესახებ; თომათოუ ჰოლის პირით ამ პროგნოზებს თავის ხელშემწყობს უგზავნის, ჰოლი კი უნებლიე ხელშემწყობია. საბოლოოდ, ეჭვმიტანილი და ბრალდებული ჰოლი პრესის წინაშე სრულიად უნებლიეთ ცრუობს, რადგან თავადაც არ არის გარკვეული საქმის რეალურ არსში:

–„კი, როგორ არა, სალი თომათოუს ესტუმრობდი ხოლმე. ყოველ კვირას ავდიოდი. მერედა, ამითი რა დაშავდა? ის კაციც ღვთის მორწმუნეა და მეც".

ლიტოტა, როგორც ხარისხის მაქსიმის დარღვევის პრეცედენტი მხატვრულ დისკურსში შეიძლება მსუბუქი ან ირონიანარევი იუმორის ეფექტის შექმნის განმაპირობებელი ფაქტორი იყოს:

III. "Yes, dear, these wicked women get our husbands away from us, but they always come back, slightly damaged, of course. And don't make scenes. Men hate them!" (O. Wilde:33).

4. ჰიპერბოლა: გრაისი მიიჩნევს, რომ ჰიპერბოლა ერთ-ერთი სტილისტური ხერხია, რომელიც ხარისხის მაქსიმის დარღვევას იწვევს. მხატვრულ დისკურსში უხვად

შეიძლება მსგავსი ნიმუშების დაძებნა, მაგ.: ნ. დუმბაძის რომანში, "მე ბებია, ილიკო და ილარიონი" გვხვდება ხარისხის მაქსიმიის დარღვევის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუში:

- „აბა, მე თუ მკითხავ, ზურიკელა ბიძია, შენისთანა ბაღანა სულ არ გაჩენილა დუნიაზე" (ნ. დუმბაძე: 18).

"Well, Zuriko, my dear lad, to be quite frank, you're a boy in a thousand." (N. Dumbadze: 20).

რელევანტურობის მაქსიმის დარღვევის ილუსტრირებისას, გრაისი აღნიშნავს, რომ რელევანტურობის მაქსიმის დარღვევა საკმაოდ იშვიათია, თუმცა, მხატვრულ დისკურსში, ინტერაქციისას, რელევანტურობის მაქსიმის ავტორისმიერი ინტენციით დარღვევის შემთხვევები არცთუ იშვიათია; გრაისისავე მითითებით, რელევანტურობის მაქსიმი მოსაუბრემ შესაძლოა განზრახ დაარღვიოს, თუ მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია სამეტყველო აქტის აქტივიზება საერთოდ, ან მოცემული დროისა და სიტუაციისათვის შესაფერისად, ანდა, საზოგადოების წინაშე წარმოთქმულ ისეთ სამეტყველო აქტს, რომელიც ვისამე რეპუტაციის შელახვის ინტენციითაა მარკირებული, შესაძლოა, უხერხულობის გაფანტვის მიზნით, თან მოჰყვეს სამეტყველო აქტი, რომელიც ამინდის შესახებ ფაქტის კონსტატირებას ახდენს.

გრაისის ამ მოსაზრების შესახებ დავძენდით, რომ მხატვრულ დისკურსში, ისეთ სამეტყველო აქტს, რომელიც ვისამე რეპუტაციის შელახვის ინტენციითაა მარკირებული, შესაძლოა ყოველთვის არ მოჰყვებოდეს უხერხულობის გაფანტვის მიზნით სამეტყველო აქტი, რომელიც ამინდის შესახებ ფაქტის კონსტატირებას ახდენს; მხატვრულ დისკურსში, ავტორისმიერი ინტენცია განსაზღვრავს, ინტერაქციისას კომუნიკანტის მოტივაციას რელევანტურობის მაქსიმის დარღვევისათვის:

"Mabel Chiltern: *What a horrid woman!*

Lord Goring: *You should go to bed, Miss Mabel.*

Mabel Chiltern: Lord Goring!" (O. Wilde, An Ideal Husband, p. 197).

გრაისისეული ინტერაქციაში რელევანტურობის მაქსიმის გახანგრძლივებული დარღვევის ნიმუში ქვემოთ მოგვყავს:

"Lady Windermere: Whom are talking about, Duchess?

Duchess of Berwick: About Mrs. Erlynne.

Lady Windermere: *Mrs. Erlynne? I never heard of her Duchess. And what has she to do with me?*

Duchess of Berwick: *My poor child! Agatha, darling!*

Lady Agatha: Yes mamma.

Duchess of Berwick: Will you go out on the terrace and look at the sunset?

Lady Agatha: Yes mamma (exit through window l.).

Duchess of Berwick: Sweet girl! So devoted to sunsets! Shows such refinement of feeling, does she not? After all, there is nothing like Nature, is there?

Lady Windermere: But what is is, Duchess? Why do you talk to me about this person?" (O. Wilde, Lady Winderemere's Fan, p. 31).

ზემოთმოყვანილ ნიმუშში ბერუიკის ჰერცოგინია არღვევს რელევანტურობის მაქსიმს იმპლიკატურის წარმოშობის მიზნით; იმპლიკატურია ის, რომ ბერუიკის ჰერცოგინიას არ სურს ლედი აგათა დაესწროს მისის ერლინის შესახებ საუბარს, თუმცა აგრეთვე დასაშვებია ის ფაქტიც, რომ ლედი უინდერმეა რელევანტურობის მაქსიმის დარღვევას ჰერცოგინიას ინტენციას მიაწერს, თავი აარიდოს მისის ერლინის თემაზე საუბარს. ამდენად, რელევანტურობის მაქსიმის დარღვევა იწვევს იმპლიკატურის ამბივალენტობას;

რაც შეეხება მეოთხე მაქსიმს, რომლის თანახმადაც ინფორმაცია არაორაზროვანი და მკაფიოდ ჩამოყალიბებული უნდა იყოს, გრაისი აღნიშნავს, რომ მისთვის საინტერესოა სამეტყველო აქტების ავტორისმიერ განზრახ გაბუნდოვანების ფაქტები, სამეტყველო აქტებისათვის ორაზროვნების განზრახ მინიჭება, როდესაც ავტორი მოელის, რომ მისი სამეტყველო აქტის ორაზროვნება შეუმჩნეველი არ დარჩება, ანუ სპეციალურ ყურადღებას დაიმსახურებს. გრაისს მოჰყავს გამონათქვამების მაგალითები, რომელთაც ორი ერთი და იგივე ხარისხის პირდაპირი ინტერპრეტაცია აქვთ და ორივე ჰგავს ჭეშმარიტებას, ანუ ერთ-ერთი ინტერპრეტაცია არ წარმოადგენს უფრო რთულსა და ნაკლებ სტანდარტულს, უფრო ბუნდოვანს, ვიდრე მეორე. ერთ-ერთი მაგალითია უილიამ ბლეიკის სტრიქონები:

Never seek to tell thy love,

Love that never told can be.

გრაისის კომენტარით, აღნიშნული სტრიქონის წარსულ დროში გადაყვანით ორმაგი ამბივალენტობა იჩენს თავს: გამოთქმა thy love შეიძლება მიეკუთვნებოდეს როგორც ემოციურ მდგომარეობას, ისე პირს, ვის მიმართაც ეს ემოცია გვაქვს; ხოლო მეორე სტრიქონი შეიძლება გავიგოთ, როგორც:

1. სიყვარული, რომელიც შეუძლებელია ენით გამოითქვას;

2. სიყვარული, რომელიც თუ გამოვთქვით, არსებობას შეწყვეტს.

გრაისი მიიჩნევს, რომ წარმოქმნილი ამბივალენტობა ავტორის მიერ განზრახაა შექმნილი.

მეორე მაგალითია არაერთმნიშვნელოვანი გამონათქვამები, რომელთათვისაც ერთი ინტერპრეტაცია გაცილებით ბუნებრივია, ვიდრე მეორე. მეორე მაგალითის თვალსაჩინოებად გრაისს შემდეგი გამონათქვამი მოაქვს: ინგლისელი გენერალი, რომელმაც ქალაქი სინდი აიღო, მეთაურებთან ლაკონიურ პატაკს გზავნის: "Peggavi", რაც ლათინურად ნიშნავს "მე შევცოდე". ამრიგად, იქმნება აზრობრივი ამბივალენტობა:

1. I have sinned.

2. I have Sind.

გრაისი აღნიშნავს, რომ ამბივალენტობის მიზეზი ფონემური მსგავსებაა, ანუ ომოფონია და არა მორფემული მსგავსება და მიუთითებს, რომ რეალურად ნაგულისხმევ გამონათქვამს ორაზროვნება არ გააჩნია და მხოლოდ თარგმანის, ანუ ინგლისურ ენაზე ლათინური გამონათქვამის ტრანსპოზიციით წარმოიქმნება აღნიშნული ამბივალენტობა. გრაისის მითითებით, თუ არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ პატაკის ავტორი სინდის დაპყრობას დანაშაულად, ცოდვად თვლის, მაგ. ბრძანების დარღვევა და მეორეს მხრივ, ასეთი დანაშაული პატაკის ადრესატის საყარაულო ინტერესების რელევანტურია, შესაძლოა ვამტკიცოთ, რომ პატაკის ავტორმა ამ პატაკით ერთდროულად ორივე ინტერპრეტაცია გამოხატა.

ვფიქრობთ, მხატვრულ დისკურსში, გრაისის მეოთხე მაქსიმის დარღვევა, დეფორმირებული ფრაზეოლოგიზმების აქტივიზების შემთხვევაში, გარდაუვალია; გრაისის მოსაზრება, რომ მოსაუბრის ინტენციის გაგება საკმარისია მნიშვნელობის გასაგებად, ბათილდება იქ, სადაც საქმე გვაქვს სოციოკულტურული დიფერენციაციასთან ინტერაქციაში, როდესაც მრავალ-კომპონენტიანი ერთეული შესაძლოა სოციოკულტურული დიფერენციაციის ელემენტს წარმოადგენდეს;

მრავალკომპონენტიანი ერთეულები და მით უფრო დეფორმირებული მრავალკომპონენტიანი ერთეულები მხატვრულ დისკურსში, აღბეჭდილია ეროვნული კოლორიტით; მათი ინტერპრეტაცია და თარგმანში ტრანსპოზიცია დამოკიდებულია მთარგმნელის პროფესიონალიზმზე, ფონური ცოდნის ხარისხზე და არა მხოლოდ მოსაუბრის ინტენციის წვდომის უნარზე;

ფრაზეოლოგიზმის ის მზამზარეული ვარიანტი, რომელიც ენის მატარებლის გონებაში მყარადაა ფორმირებული, გარანტი უნდა იყოს, რომ დეფორმირება აზრის გაბუნდოვანებას არ გამოიწვევს ორიგინალის მკითხველში. თუმცა ის ვერ იქნება გარან-

ტი, რომ ორიგინალის უცხოენოვანი მკითხველი, რომელიც არ იცნობს ფრაზეოლოგიზმის მზა ვარიანტს, მოახდენს დეფორმირებული ფრაზეოლოგიზმის დეკოდირებას, ვინაიდან, ამ ტიპის ფრაზეოლოგიზმში მხოლოდ საწყისი კომპონენტები რჩება. ნიმუშად შეიძლებოდა მოგვეყვანა ქართული ანდაზის დეფორმირებული ვარიანტი ჯ. ამირეჯიბის რომანიდან "დათა თუთაშხია":

- „ვისაც ჩავაცვი, მან გამხადა სწორედ. მე თუ არა, სხვას გახადა მაინც" (ამირეჯიბი: 163);

"The ones I dressed and shed, undressed and unshed me. And if not me, then someone else. It does not make much of a difference". (V/ I p. 211).

სანიმუშო პასაჟი ინგლისურენოვანი მკითხველისათვის შესაძლოა ნაწილობრივ ამბივალენტური იყოს, რადგან ანალოგიური ანდაზა ინგლისური სოციოკულტურული რეალობაში არ გვხვდება. შესაბამისად, იმპლიცირებულის დეკოდირება შესაძლოა არაადექვატურად მოხდეს.

დეფორმირებული ფრაზეოლოგიზმების ბაზისი შესაძლოა ორი სხვადასხვა იდიომა იყოს, რომელთა შეპირისპირება ავტორს საშუალებას აძლევს ექსპრესიული ინტერპრეტაციით წარმოადგინოს შინაარსი; ამგვარი დეფორმირებული ფრაზეოლოგიზმები თავისთავად ამბივალენტობისა და ორაზროვნების წარმოშობს, მათი დეკოდირება განსაკუთრებით რთულია, მაგ.:

"Our grandmothers threw their caps over the mills, of course, but by Jove, their granddaughters only throw their caps over mills that can raise the wind for them" (O. Wilde, Lady Windermere's Fan, p. 68).

შევეცდებით, თარგმანის ჩვენეული ვარიანტი წარმოვადგინოთ:

"ჩვენი ბებიებიც კაი ქარაფშუტები იყვნენ, მაგრამ აბა მათი შვილიშვილები ნახეთ რა მწყრალად არიან ქარაფშუტობაზე, თუკი ფშუტე ქისის მეტს არაფერს მოელიან".

ამდენად, ვფიქრობთ, გრაისის მეოთხე მაქსიმის დაცვა მხატვრულ დისკურსში და ტექსტის მხატვრული მეტყველება დეფორმირებული მრავალკომპონენტიანი ერთეულების აქტივიზების ბაზაზე, ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია;

ასევე მიგვაჩნია, რომ ერთი სამეტყველო აქტის დროს ერთი იმპლიკატურის გარდა, შესაძლოა წარმოიშვას მეორეც: ადრესატისადმი აქტივიზებული მიმართვის ფორმის სუბიექტური შერჩევა შეიძლება გავიაზროთ მეორე იმპლიკატურად, ხოლო სუბიექტურად შერჩეული მიმართვის ფორმა, რომელიც სოციალური და პიროვნული ურთიერთდამოკიდებულების მარკერია, შეიძლება მოვიაზროთ იმპლიკატუმად.

თუ სოციოლინგვისტებს დავესესხებით, მიმართვის სოლიდარობის გამომხატველი მარკერები ექსპლიციტურ დონეზე თბილ, მეგობრულსა და კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას გამოხატავენ; რაც შეეხება იმპლიციტურ დონეს, მიმართვის იგივე ფორმების აქტივიზებით ინტერაქციის მონაწილემ შეიძლება ირონია გამოხატოს, რაც უკვე ხარისხის მაქსიმის დარღვევაა; გრაისის მითითებით, თუ სამეტყველო აქტი გარკვეულ პროპოზიციაა, რომლისა შინაარსიც ავტორისმიერი ინტენციით, წარმოთქმული სამეტყველო აქტის საპირისპიროა, წარმოიქმნება ირონია. მიმართვის ოფიციალური მარკერის აქტივიზება სამეტყველო აქტში, მეტყველების სიტუაციური ვარიანტულობისას, ასევე შეიძლება გაგებული იყოს შინაარსობრივად საპირისპირო პროპოზიციის შემცველად; კონტექსტურ ინდიკატორებზე დაყრდნობით. the excellent Madam Trawler ირონიულად არის აქტივიზებული ჰოლის ყოფილი მეგობრის მიმართ, რომელიც, ჰოლის წყალობით, მილიონერზე გათხოვდა, ბრწყინვალე სოციალურ სტატუსს გამოჰკრა ხელი, შემდეგ კი, გასაჭირში ჩავარდნილ ჰოლის ზურგი აქცია. ჰოლის მიერ ირონიულადაა იმპლიცირებული უღირსი ქალის ილუზორული ბრწყინვალება საზოგადოებაში, ანუ, the excellent Madam Trawler საპირისპირო პროპოზიციის იმპლიკატურია, რომელიც ხარისხის მაქსიმის დარღვევით წარმოიქმნა:

"Uh, uh, I don't just fancy a fadeout that finds me belly-bumping arond Roseland with a pack of West hillbillies. While the excellent Madam Trawler sashays her twat in and out of Tiffany's. I couldn't take it. Give me that fat woman any day". (T. Capote: 181).

ინტერაქციისას, სამეტყველო აქტში, მეტყველების კონკრეტული სიტუაციური ვარიანტულობისას, შესაძლოა იმპლიცირება სწორედ მიმართვის მარკერმა გამოიწვიოს:

- „რა ნათესაობა გაქვთ ყაჩაღ თუთაშხიასთან? - მიახალა პოლიკოვნიკმა ზარანდიას". (ჯ. ამირეჯიბი: 137).

ამ შემთხვევაში, სამეტყველო აქტის ადრესატი ჟანდარმერიის თანამშრომელია, - იმპლიცირებულია ჟანდარმერიის თანამშრომლის მიერ ნათესაობის ნიშნით ყაჩაღის მფარველობა, ხოლო ხაზგასმით წარმოდგენილი მიმართვის დეროგაციული მარკერით კი იმპლიცირებულია ნეგატიური (დამგმობი) დამოკიდებულება ჟანდარმერიის თანამშრომლის მიმართ.

ამდენად, მეტყველების სიტუაციური ვარიანტულობით, შეიძლება ექსპლიცირებული იყოს პიროვნებისადმი დამოკიდებულება და კონტექსტით კი იმპლიცირებული იყოს მესამე სუბიექტის სავარაუდო დამოკიდებულების შესახებ.

ვფიქრობთ, მეტყველების სიტუაციური ვარიანტულობისას, მიმართვის კნინობითი მარკერი შესაძლოა ოდენობის მაქსიმის დარღვევად მივიჩნიოთ, მაგ.:

- ჟუჩოკამ გამომგზავნა, საქმე მაქვს.

ერთი კი შეერხა წარბი დასტურიძეს და მერე ისე გაიკვირვა ჩემი ნათქვამი, რომ ეჭვი შემეპარა, იქნებ ეს კაცი დასტურიძე არ არის, ანდა დასტურიძეა და ამ საქმისა, მართლაც, არა იცის რა-მეთქი.

- „რაო, ვინაო?

- ჟუჩოკამა!

- არ ვიცნობ, არ ვიცი ვინ არი...არ ვიცნობ! - ხმადაბლა სხაპასხუპით და ღვარძლიანად თქვა." (ჭ. ამირეჯიბი: 137).

მიმართვის დეროგაციული ობერტონის მჭონე ფამილიარული მარკერი ასევე შეიძლება ოდენობის მაქსიმს ალვევდეს თუ ის სლენგია:

"No, here's the real shake: all the badgers want from me is a couple of free grabs and my services as a state's witness against Sally - nobody has any intention of prosecuting me, they haven't a ghost of a case" (T. Capote: 181).

ჰიპერბოლიზებულმა მიმართვის დეროგაციულმა მარკერმა ასევე შეიძლება ხარისხის მაქსიმის დარღვევა გამოიწვიოს სამეტყველო აქტში:

"A super-sized, King-Kong-type rat like Rusty" (T. Capote: 179).

საკონვერსაციო იმპლიკატურის წარმოქმნისა და გაგების შესახებ გრაისს რამდენიმე მოსაზრება მოჰყავს, კერძოდ:

1. გრაისის არგუმეტირებით, საიმისოდ, რომ საკონვერსაციო იმპლიკატურა წარმოიქმნეს, აუცილებელია, როგორც მინიმუმ, კოოპერაციის პრინციპის პრეზუმპციის დაცვა, თუმცა, გრაისი არ გამორიცხავს, რომ ამ პრინციპის დაცვას მოსაუბრეებმა თავი აარიდონ. განსაზღვრულ სიტუაციებში, განზოგადებული საკომუნიკაციო იმპლიკატურა, შესაძლებელია, შეუმჩნეველი გახდეს, რაც შეიძლება განპირობებული იყოს სამეტყველო აქტში რომელიმე სხვა სამეტყველო აქტის ჩართვის გამო, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიანიშნებს, რომ მოსაუბრე თავს არიდებს კოოპერაციის პრინციპის დაცვას. გრაისი მიუთითებს, რომ იმპლიკატურის შეუმჩნეველობას შეიძლება თავად კონტექსტიც განაპირობებდეს. სამეტყველო აქტი, რომელიც, ჩვეულებრივ, იმპლიკატურას წარმოშობს, გამოიყენება ისეთ კონტექსტში, რომლიდანაც აშკარად უნდა დავასკვნათ, რომ მოსაუბრე, რეალურად თავს არიდებს კოოპერაციულობის პრინციპის დაცვას.

2. გრაისი აღნიშნავს, რომ დასკვნა საკომუნიკაციო იმპლიკატურის შესახებ ფონური ცოდნის გარდა, კონტექსტურ ინფორმაციასაც გულისხმობს.

3. იმდენად, რამდენადაც საკონვერსაციო იმპლიკატურის გაგება გულისხმობს, რომ იმპლიკატურის წარმომშობი სამეტყველო აქტის კონვენციური შინაარსი წინასწარაა ცნობილი, საკომუნიკაციო იმპლიკატურა უნდა წარმოადგენდეს პირობას, რომ სამეტყველო აქტი მისი კონვენციური შინაარსის განსაზღვრებას არ მოიცავს.

4. საიმისოდ, რომ სამეტყველო აქტი წარმოადგენდეს ჭეშმარიტებას, აუცილებელი ფაქტორი არ არის ის, რომ საკომუნიკაციო იმპლიკატურა წარმოადგენდეს ჭეშმარიტებას (სამეტყველო აქტი წარმოადგენს ჭეშმარიტებას, მაშინ როდესაც იმპლიკატურა შესაძლოა, სიცრუე იყოს).

იმპლიკატურა წარმოიქმნება არა იმ ფაქტით, თუ რას ამბობენ, არამედ თვით სამეტყველო აქტით, ან სამეტყველო აქტის ორგანიზებით. საკომუნიკაციო იმპლიკატურის გამორიცხვა, - ესაა აზრის იმ კომპონენტების გამორიცხვა, რომელთა არსებობაც უნდა სავარაუდოდ დავუშვათ, რათა კოოპერაციის პრინციპის პრეზუმპცია დავიცვათ. (ამავე პუნქტში გრაისი წერს, რომ საკომუნიკაციო იმპლიკატურამ შესაძლოა განუსაზღვრელობის ისეთი ხარისხი შეიძინოს, როგორიც რეალურმა იმპლიკატებმა, რაც რეალურად აქვთ კიდეც მათ).

გრაისის არგუმენტირებით, ლინგვისტური ნიშნის მნიშვნელობას განსაზღვრავს ნიშნისათვის ვერბალური კომუნიკაციის ავტორის მიერ კონკრეტულ შემთხვევაში მინიჭებული მნიშვნელობა და შესაძლოა, ეს მნიშვნელობა მკვეთრად განსხვავდებოდეს ნიშნის სტანდარტული მნიშვნელობისაგან:

„what a particular speaker or writer means by a sign or a particular occasion...may well diverge from the standard meaning of the sign" (Grice: 1957).

გრაისის ანალიზის შედეგებს, რომ სიტყვის მნიშვნელობის დეკოდირება უნდა მოხდეს მოსაუბრის ინტენციით მიხედვით, ანუ პრინციპს, რომ სიტყვა გაჯერებულია მნიშვნელობის იმ დატვირთულობით, რასაც პირადად მოსაუბრე ინდივიდუალური განწყობის მიხედვით ანიჭებს მას, თანდათან როგორც მომხრეები ისე მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ. საგულისხმოა, რომ იგივე კონცეფციაა ჩამოყალიბებული ქართველი ფილოსოფოსის, მ. მამარდაშვილის მოსაზრებაშიც: "ორმა ადამიანმა შეიძლება ერთი და იგივე რამ, ერთი და იგივე სიტყვა თქვას, მაგრამ სხვადასხვაგვარად, ე. ი. ერთსა და იმავე ტერმინში ისინი განსხვავებულ აზრს ჩადებენ" (მამარდაშვილი, გვ. 75). Gგრაისმა და სტროსონმა 1964 წელს, ხოლო გრაისმა და სჩიფერმა 1972 წელს გამოსცეს გრაისისეული

სამეტყველო აქტების თეორია ახალი რედაქტირებით, რომელსაც არაერთი კრიტიკული კონტრარგუმენტაცია მოჰყვა თან. 1967 წ. ზიფის, 1972 წ. მაკალეის, 1973 წ. Bბლექის, 1969 წ. ჰეტონისა და სტემპის დეტალური კრიტიკული ანალიზი გამოქვეყნდა. თვით სერლმა კი 1969 წელს გრაისის მაქსიმების საკუთარ სამეტყველო აქტების მოდელში ინკორპორირება მოახდინა. გრაისის კოოპერაციულობის პრინციპი ინტერაქციაში მონაწილე წყვილს შორის ინფორმაციის გაცვლის რეგულირებას ახდენს. გრაისი მიზნად ისახავდა, დაედგინა ინტერაქციის ძირითადი პრინციპების ჯამი და აეხსნა, თუ როგორ გადმოსცემენ მოსაუბრეები არაპირდაპირ მნიშვნელობას, ანუ საკონვერსაციო იმპლიკატურას. კოოპერაციულობის პრინციპი ეყრდნობა ოთხ მაქსიმს, რომელთაგან II და IV მაქსიმებს გრაისი გამოჰყოფს, როგორც სუპერმაქსიმებს. ოსტინის მიმდევართა მცდელობა, დაეკავშირებინათ ილოკუციონალური მეტყველების გააზრება გრაისისეული საკომუნიკაციო ინტენციისათვის, სტროსონმა გამოაელინა 1964 წელს. სტროსონის კრიტიკა მიმართული იყო ოსტინის მიერ ილოკუციონალური გამონათქვამებისათვის ინსტიტუციონალური ძალის მინიჭებისაკენ რელევანტური სოციალური ფონის გათვალისწინების გარეშე, თუმცა იგივე კრიტიკის მიმართვა სტროსონს გრაისისკენაც შეეძლო; სტროსონის არგუმენტაციის გასამყარებლად იკმარებდა თანამედროვე ეტაპზე დისკურსის ანალიზის ძირითადი დანიშნულების ხაზგასმაც, ანუ იმ ფაქტის მოხმობა, რომ დისკურსის ანალიზის ძირითად დანიშნულებად სოციოლინგვისტური დიფერენციაციის მინიმალიზაცია ითვლება; სოციოკულტურულმა დიფერენციაციამ, შესაძლოა გრაისის კოოპერაციულობის პრინციპის გაგების პრობლემა წარმოქმნას, ვინაიდან, სხვადასხვა კულტურული ტრადიციები და სარწმუნოებრივი სისტემები სხვადასხვა ენობრივ ჯგუფებში განაპირობებენ ინტერაქციაში კოოპერაციულობის სხვადასხვა ტრადიციებს. როგორც ალანი წერს:

"Different cultural conventions and belief systems in different language communities result in different cooperative conventions" (Allan K.: 48).

აღნიშნული არგუმენტაცია შეიძლება გამყარდეს არამხოლოდ ლინგვისტური მიდგომით, არამედ ფილოსოფიური პოსტულატებითაც; როგორც მ. მამარდაშვილი ამბობდა, "სხვა ადამიანისა თუ მესმის, იმიტომ მესმის, რომ მასთან საერთო ადამიანურ განზომილებაში, ანუ ზომითობაში ვარ" (მ. მამარდაშვილი, გვ. 44). სოციოკულტურული დიფერენციაცია შესაძლოა ბარიერად იქცეს იმპლიცირებულის დეკოდირებისათვის და წარმოშვას ორაზროვნებისა და ფრუსტრაციის პერიპეტიები ინტერაქციაში. თუმცა,

ზემოთმოყვანილი კრიტიკული მიდგომა მხოლოდ გრაისის მიმართ როდი არსებობს: მაგ.: ალანი წერს, რომ:

"All major speech act theorists have ignored cultural diversity, leaving it to empirical studies" (Allan K: 48).

ამდენად:

1. გრაისის მოსაზრება, რომ ილოკუციონალური ძალის მიღმა დგას მოსაუბრის ინტენცია, არ ითვალისწინებს, რომ საჭიროა სოციოკულტურული დიფერენციაციის გადალახვა ამ ინტენციის გასაგებად;

2. გრაისის თეორია ანუ ადრესანტისა და ადრესატის ლოგიკური დედუქციის დონეების შესაძლო სოციალურ ასიმეტრიულობას არ ითვალისწინებს.

გრაისის თეორიის ძირითად სისუსტედ დღესდღეობით მაინც ის მიიჩნევა, რომ ის ვარდისფერ სურათს ხატავს კომუნიკაციის სოციალური ვითარების შესახებ, გრაისის ერთ-ერთ შეცდომად უნდა ჩაითვალოს, რომ ის, როგორც სამეტყველო აქტების თეორეტიკოსი, უგულებელყოფდა ეთნო-კულტურული ტრადიციების ზეგავლენას სამეტყველო აქტების გაგებასა და გააზრებაზე, სხვადასხვა, კოოპერაციული პრინციპების არსებობას სხვადასხვა სოციუმში, ანუ გრაისი თვით ამ პრინციპის ინდივიდუალურ ხასიათს. თუმცა თეორეტიკოსი აღნიშნავს, რომ არაერთია ისეთი სიტუაცია, როდესაც ინტერაქციაში მონაწილეები არღვევენ კოოპერაციულობის პრინციპს. მიუხედავად ამისა, გრაისის თეორია სოციალური ურთიერთობის ამოსავალ წერტილად მაინც კოოპერაციულობის პრინციპს მიიჩნევს. რაც შეეხება ასიმეტრიულობას ინტერაქციაში, საკომუნიკაციო იმპლიკაცია წარმატებული ვერ იქნება, თუკი ადრესანტი ადრესატის ლოგიკური დედუქციის დონეები რადიკალურად განსხვავდებიან.

ტექსტის სემანტიკური ანალიზი და თარგმანი

თარგმნის დაწყებამდე, ტექსტის სემანტიკური ანალიზი ანალიტიკური პროცესის განუყოფელი ნაწილია. სიტყვის პრაგმატიკული ფუნქციის განსაზღვრამდე, მთარგმნელმა უნდა გააანალიზოს სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა, რომელიც დამოკიდებულია იმ ფაქტორზე, თუ მისით გადმოცემული ობიექტის რა მნიშვნელობას ასახავს.

ენათმეცნიერი თ. გამყრელიძე წერს: „სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა „ცნების" ფილოსოფიურ კატეგორიასთანაა დაკავშირებული. ტერმინთა ლექსიკური მნიშვნელობები ცნებებს ემთხვევა, მაგრამ, საზოგადოდ, ლექსიკურ მნიშვნელობას ცნებისაგან პრაგმატული კომპონენტის არსებობა განაპირობებს. გარდა ამისა, ცნება ობიექტთა უფრო ღრმა, არსებით ნიშნებს მოიცავს, ლექსიკური მნიშვნელობა კი მხოლოდ განმასხვავებელს".

ნებისმიერი ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობა ენის სემანტიკური სისტემის ნაწილად ითვლება. ლექსიკური ერთეულის სახელდებისა და მნიშვნელობის მინიჭების შესახებ ა. ჩიქობავა 1932 წ. მეცნიერული გრამატიკის (ენათმეცნიერების) სახელმძღვანელოში წერდა: „ცოცხალი სახე ერთგვარი საფუძველია, რომელიც ცხადყოფს, რა ჰქონდათ მხედველობაში, როცა ამა თუ იმ ობიექტურ მონაცემს ამა თუ იმ სახელს არქმევდნენ; სახელდების მომენტში ეს საფუძველი აუცილებელია, შემდეგ კი იგი უკვე აღარ არის საჭირო: დამხმარე, შუამავალი ცოცხალი სახე უფერულდება, იკარგება, ცოცხალი სიტყვა უტყვ პირობით ნიშნად იქცევა. ორიოდე მაგალითი ამის საილუსტრაციოდ. ყველამ ვიცით, რასაც ნიშნავს „რვეული", მაგრამ ყველამ არ იცის ალბათ, რომ ეს სიტყვა ნაწარმოებია ისევე, როგორც „ათეული" („ათეული კვერცხი"...), „სამეული" („წყალდიდობასთან საბრძოლველად აირჩიეს სამეული"): „ათეული" ათი ერთეულისაგანაა შემდგარი, „სამეული" სამი პირისაგან შემდგარ კომისიას გულისხმობს... „რვეული" რვა ფურცლისაგან შემდგარ კონას ნიშნავდა თავის დროზე.

ინგლისური ლექსიკური ერთეულის, head-ის სემანტიკაში არის ისეთი მნიშვნელობა ჩადებული, რომელიც მას ქართულ ენაზე არ აქვს:

- You are not expected to say anything here and you can't keep too quiet a tongue in your head;
- I could hear his teeth rattle in his head;
- You've got an eye in my head.

ზემოაღნიშნული ინგლისურენოვანი გამოთქმების თარგმნა სემანტიკური დანაკარგის გარეშე შეუძლებელია, ვინაიდან ქართულ ენაზე ლექსიკურ ერთეულს, "თავი", არ აქვს ანალოგიური სემანტიკური დატვირთვა. სინონიმთაშორის განსხვავებებს ეხებიან სემანტიკური მნიშვნელობის ინტენსიობის, ემოციურ, კოლოკაციების, სტილისტიკის, დიალექტთაშორის პლანში: ქართულ ენაზე თარგმნისას, სინონიმებს შორის დაშვებული შეცდომები მთარგმნელის დაუდევრობაზე მიუთითებს. მთარგმნელმა სათანადო ყურადღება უნდა გამოიჩინოს სინონიმთა შორის განსხვავებების შესწავლისას. მაგალითად, ქართულ ენაში ნაწილობრივ სინონიმებად ითვლება ფურნე და თონე. თარგმანის თეორეტიკოსს, გ. წიბახაშვილს (და შემდეგ დ. ფანჯიკიძესთანაც გვხვდება იგივე მაგალითი) ნიმუშად მოჰყავს მთარგმნელობითი შეცდომა, რაც, მთარგმნელმა სწორედ იმიტომ დაუშვა, რომ სინონიმებს შორის არსებულ სემანტიკურ და კულტურულ განსხვავებებს არ მიაქცია ყურადღება. გერმანული **beckofen** ქართულ ენაზე გადმოტანილია თონედ. როგორც ცნობილია, ფურნე გავარვარებული ღუმელია, საიდანაც ნიჩბით იღებენ პურს, ასეთი ფურნე ქართული რეალობისათვის უცხო. გერმანული ტექსტის ქართულ თარგმანში გაჩნდა ფრაზა: „ჩავიდა გოგო თონეში და ამოჰყარა შოთები". გარდა იმისა, რომ თარგმანში გერმანული ეროვნული კოლორიტი დაიკარგა და ქართული ეროვნული კოლორიტი შემოიჭრა, მკითხველსაც მცდარი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს თონე გერმანული კულტურისთვის ტრადიციული საცხობია. მთარგმნელის განათლების ხარისხის ნაკლებობა საგრძნობია, რადგან იგი ვერ ერკვევა თონის კონსტრუქციაში - თონეშე ჩასვლა შეუძლებელია. მეორე საკითხია, რომ მთარგმნელი დროს არ უთმობს და საჭიროდ არ თვლის, გაერკვეს, თუ რის შესახებ თარგმნის; აქ მკითხველისადმი არცთუ ეთიკური დამოკიდებულება ჩანს.

სემანტიკური ანალიზის უგულებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს დედნისეული შინაარსობრივ-ინფორმაციული და ექსპრესიული მნიშვნელობების დანაკარგი ან აზრნაცვალი თარგმანი. ი. ჭავჭავაძისთვის, როგორც პროზაიკოსისათვის, დამახასიათებელია კილოს კატეგორიის საშუალებით დედანში ექსპრესიული ინტონაციის შექმნა და სემანტიკური ნიუანსებისათვის ემფატურობის მინიჭება.

„განა ლუარსაბი ბედნიერი არ იყო? იმდენი დღეგრძელობა ამის დაწერს ჰქონდეს, რამდენი იმის ტოლი თავადიშვილი იმის ყოფას შენატროდა!"

თარგმანში კი ვკითხულობთ, რომ თავადის პატივსაცემად ბევრი სადღეგრძელო შეისვა, იმდენი, რამდენსაც ისურვებდა ლუარსაბის ჩინის მქონე ადამიანი:

"As many healths had been drunk in his honour as a Prince of his standing could desire".

მთარგმნელები გვთავაზობენ დედნისეული წინადადების სრულ ლექსიკოგრამატიკულ ტრანსფორმაციას, თუმცა, ვფიქრობთ, ტრანსფორმაციის გზით ამჯერად არა პერაფრაზირებულ, არამედ სრულიად უმართებულოდ აზრნაცვალ წინადადებას ვაწყდებით.

დედანში კილოს გრამატიკული კატეგორია მეტი ემფაზით გადმოსცემს ავტორის ირონიზებულ დამოკიდებულებას პერსონაჟისადმი, თარგმანში კი, კილოს კატეგორიის უგულებელყოფის გამო, მთარგმნელი სრულიად ანეიტრალებს დამცინავ ინტონაციას.

ტექსტის სოციოლინგვისტიკური ანალიზი და თარგმანი

რეგისტრი, ენისა და მეტყველების ვარიაციის

მხატვრულ დისკურსში საუბარი მეტწილად აიგება პერსონალური ორიენტაციის ურთიერთობებზე. რამდენადაც მხატვრულ შემოქმედებაში აქტუალურია პერსონაჟის, როგორც პიროვნების ხასიათის შტრიხების წარმოჩენა და გახსნა, მთარგმნელმა კომუნიკაციის მონაწილეების ურთიერთობები უნდა შეაფასოს. ურთიერთობა პირადი ორიენტაციისაა, როდესაც არსებობს შემდეგი საკომუნიკაციო პირობები:

ა) ადრესანტისათვის კარგადაა ცნობილი ადრესატი; ბ) ადრესანტის ინტენციაა არა მარტო რაიმე ინფორმაციის მიწოდება ადრესატისათვის, არამედ ამ ინფორმაციული ტექსტით გარკვეული სახის ზეგავლენა მასზე; გ) შეიცნოს ადრესატის შინაგანი სამყარო და გაუზიაროს საკუთარი მსოფლალქმა თვალსაზრისი და ა. შ. როლებრივი ურთიერთობების გადათამაშებისას, მაგ.: ექიმი-პაციენტი, უფროსი-ხელქვეითი, მასწავლებელი-მოსწავლე, გამყიდველი-მყიდველი, თუნდაც ისეთი ორჭოფული როლებისა, როგორიცაა მდგმურისათვის დიასახლისის არაოფიციალური მეუღლე. წინამდებარე ნიმუში მოგვყავს ჭ. ამირეჯიბის რომანიდან „დათა თუთაშხია“ ქართულ და ინგლისურ ენებზე:

- „წავალ მე, ქალბატონო თიკო, გვიანია უკვე“ (გვ. 321)
- “I’ll go Mistress Tiko”. The widow rose. It’s late”. (p, 99).

ოქსფორდის ენციკლოპედიურ ლექსიკონში მითითებულია Mistress-ის ერთ-ერთი დეფინიცია: Mistress n. 3. (esp. Brit.) female schoolteacher: e.g. the French mistress. ამდენად, ქართულენოვანი „ქალბატონის“ თარგმნით ეკვივალენტი სწორედ ამ დეფინიციის შესაბამისად შეირჩა. თუმცა, აღნიშნული მიმართვის ფორმა ინგლისურ ენაზე სხვა, სპეციფიკურად მარკირებული დატვირთვითაც არსებობს; ინგლისურენოვან მკითხველს, შესაძლოა, ორაზროვანი წარმოდგენა შეექმნას თიკოს პერსონაჟის მიმართ; ასეთმა მიმართვამ ერთგვარი უხამსობის ელფერიც კი შესძინოს თავად თუთაშხიას სასაუბრო მანერას, რის საფუძველსაც დედანი არ აძლევს მთარგმნელს. ამდენად, სტატუსზე ორიენტირებული დისკურსის მარკერებისათვის თარგმანში გულდასმით უნდა შეირჩეს ეკვივალენტები, გაანალიზდეს სინონიმებს შორის სემანტიკური მნიშვნელობები და თანმნიშვნელობები; უეკვივალენტობის შემთხვევაში, ტრანსკრიფციას ან ტრანსლიტერაციას უნდა მიმართოს მთარგმნელმა, რათა თავიდან აიცილოს ორაზროვნების წარმოშობა თარგმანში.

მეტყველების სიტუაციური ვარიანტულობა დამოკიდებულია ინდივიდის სოციალურ როლზე და მის სქესზე; მეტყველების სწორად ინტერპრეტაციისათვის გასათვალისწინებულია ის ფაქტორიც, რამდენად რეალური, ან ყალბია პერსონაჟის მიერ მორგებული როლი და სამეტყველო გარემო. მკვლევართა ყურადღებას დიდი ხანია იქცევს სოციოკულტურული ფონის მქონე რეალიები, რომელთა ენობრივი აღმნიშვნელები „უთარგმნელი ელემენტების“ უდიდეს წილს შეადგენენ. თარგმანი, როგორც სოციალურად განპირობებული საქმიანობა, მრავალ ისეთ ნიშანს შეიცავს, რომელიც სოციოლინგვისტიკური და პრაგმატიკული კვლევების სფეროში შედის. ისინი სწავლობენ ისეთ პრობლემებს, როგორიცაა 1) ენა და საზოგადოების სტრუქტურა; ბ) ენა და პიროვნების სოციოლოგია; გ) ენა და კულტურა; ენის სოციალური ვარიანტულობის თარგმანში ანალოგიზაციით წარმოდგენა გვექმნება უცხოენოვან სოციუმზე და მათ სოციალურ დიფერენციაციაზე. უცხო კულტურის რეალიების ტრანსკრიფციითა და ტრანსლიტერაციით გადმოტანისას კი ვეცნობით უცხო ლინგვოეთნიკური კოლექტივის ცხოვრების წესს, კულტურულ ყოფას, სამეტყველო ეტიკეტის სპეციფიკას სხვადასხვა სოციალურ სიტუაციებში, ამ ენობრივი კოლექტივის დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან. ტერმინი საკომუნიკაციო კომპეტენცია გულისხმობს, რომ ადამიანმა იცის თუ როდის, რა, როგორ და რატომ უნდა თქვას გარკვეულ ენობრივ საზოგადოებაში. თუ რეალური სამყაროდან მხატვრულ სამყაროში გადავინაცვლებთ, მთარგმნელობით ამოცანას, ერთი მხრივ, დედნის კულტურის საკომუნიკაციო ნორმების დაუფლება წარმოადგენს, მეორე მხრივ კი - მხატვრული მეტყველების ადეკვატური ტრანსპოზიციის შემოქმედებითი უნარი, საწყისი და მიმღები კულტურების სოციოლინგვისტური ფორმებისა და ფორმულების ურთიერთმოდელირება. გასათვალისწინებელია ავტორის სამეტყველო სტილი, ლექსიკის შერჩევა კოლოკვიალური, ლიტერატურული და ნეიტრალური სტილებიდან. ილია ჭავჭავაძის ქართული თავისუფალია ზეაწეული ლიტერატურული სტილის ელემენტებისაგან, რაც გადაყვირთვის მეტს არაფერს სძენს მხატვრულ ტექსტს. მის მოთხრობებში ენის ბუნებრიობა და სისადავე სათანადო რიტმისა და ტონალობის წყალობით გაცილებით მაღალეფექტური და შინაარსობრივად მრავლისმთქმელია. „კაცია-ადამიანი?!“ სამეტყველო სტილითაა გაფორმებული, ილია ჭავჭავაძე უშუალოდ მიმართავს მკითხველს. მისი თხრობის სტილს „ნაამბობი“ უნდა ვუწოდოთ: „მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა? რასაკვირველია, მოგეწყინა: აქ არ არის არ სიყვარულის ეშმაკობა, არც კაცისკვლა, არც უიმედო ქალის ოხვრა, არც წყალში გადავარდნა, ერთის სიტყვით - რაც ამშვენებს გასართველად დაწერილს მოთხრობასა“ - როგორც მათიაშვილი აღნიშნავს,

ეს დიალოგიც მკითხველთან, მიუთითებს, რომ ილიას მეტყველება ხალხურ მეტყველებასთან არის მიახლოებული და იგი არამც და არამც არ უნდა იყოს გალიტერატურულებული. მიუხედავად ამისა, როგორც ინგლისურ, ისე რუსულ ენაზე თარგმანებში სტილის ამაღლება თვალსაჩინოა და საგრძნობი:

Reader, are you not weary? Of course you are: here there is no love intrigue, no murder, no wailings of hopeless maids, no leaping into the water, in a word nothing that adorns a story written to amuse".

აღსანიშნავია, რომ რუსულ თარგმანში განმეორებულია სწორედ ის სიტყვა [ინტრიგა] რომელიც იწვევს სტილის ზეაწევას ინგლისურ თარგმანში:

"Не скучно ли тебе читатель? Ну конечно скучно: тут нет ни любовной интриги, не кровопролитий, ни вдохов безнадежной любви".

უდავო ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელ ქალებსა და მამაკაცებს სრულიად განსხვავებული ლექსიკური რეპერტუარი აქვთ; მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მიმართვის ფორმები:

- „ხომ გაგიტყდი, შენი კუჭისა, სხვა რა გინდა?

- შენი სიცოცხლე და ბედნიერება, ჩემო ტურფავ! სხვა რა უნდა მინდოდეს?"

მთარგმნელისათვის პრობლემატურია მიმართვის ფორმების ეკვივალენტობის მიღწევა:

- I have acknowledged my dear, what more do you want?

- Your lay life and happiness, my pet! what more should I want?

რასაკვირველია, ლუარსაბის ამაოებაზე პაექრობაში გამარჯვებული დარეჯანის ხმაში ირონიული ტონალობა ისმის. კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, „ჩემი ტურფა" ალერსობითი მიმართვაა; ინგლისურ ენაში ირონიული ობერტონის გადმოსაცემად გამოყენებულია "My pet" და არა „ტურფას" რომელიმე ინგლისურენოვანი ვარიანტი. რასაკვირველია, მიმართვის ფორმების ეს წყვილი მხოლოდ ნაწილობრივ კონტექსტურ სინონიმებად ჩაითვლება; განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი: ი. ჭავჭავაძის მოთხრობიდან „კაცია-ადამიანი?!" და მისი ინგლისური ვარიანტი:

- „გამოიცნო? – სთქვა ნიშნის მოგებით დარეჯანმა - დიაღ, გამოიცნო, გონება აქვს ამ ჩემს ბატონსა და იმიტომ გამოიცნო".

- "So you guessed?! Said Darejan reprovingly: yes, you guessed. My lord has intelligence and that's why he guessed".

- „დალახვრა ღმერთმა – ეგ ვეღარ მოვიფიქრე, ბიჭოს!...თითქოს ოთხჯერ დავთვალე“ (გვ. 122)

- "God Damn! I am not such a child! I counted them four times!" (p. 53)

მთარგმნელს გაკვირვების გამომხატველი შორისდებული „ბიჭოს!“ ლექსიკური ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მეთოდით, აზრობრივი გავრცობით აქვს ნათარგმნი.

„კაცია-ადამიანის?!“ ინგლისურ თარგმანში მიმართვის ფორმების ასიმეტრიული გაგება შეიმჩნევა: კნეინა და თავადი წარმოდგენილები არიან ***princess*** და ***prince*** გვაროვნული ტიტულებით. თუ გავითვალისწინებთ ენის სტრატიფიკაციული ვარიანტულობით აღბეჭდილი პერსონაჟების მეტყველებას, რა თქმა უნდა, ლუარსაბისა და დარეჯანის სამეტყველო პორტრეტები იმ სტილისტურ ნორმებს ვერაფრით დაკმაყოფლებს, რაც ესოდენ მაღალტიტულოვან გვაროვნებს მოეთხოვებათ ინგლისურ სოციუმში. სწორედ ამიტომ გვეჩვენება მეტისმეტად კომიკურად ინგლისური თარგმანი Prince Luarsab და Princess Darejan

-„აკი არ დამითვლიაო, შე ეშმაკო, შენა! - მიატანა ღიმილითვე კნეინამ“. (გვ.123).

- **"And so you didn't count them, you imp, you? repeated the princess with a smile". (p. 53)**

მიგვაჩნია, რომ ლუარსაბისა და დარეჯანის ტიტულები არაადეკვატურია იმ სემანტიკური დატვირთვისათვის, რაც ***princess*** და ***prince***-ს აქვთ ინგლისურ ენაში. მოთხრობის ინგლისური თარგმანის ნიმუშების განხილვისა და კრიტიკული შენიშვნების მიზანია, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ მხატვრულ თარგმანს უდიდესი კულტურული ღირებულება აქვს თითოეული ერისათვის. მთარგმნელის უდავოდ საპატიო, კულტურული მისია აკისრია, შექმნას ღირებული ლიტერატურული ქმნილების ტოლფასი ნამუშევარი; ეს კი დამოკიდებულია არა მარტო შემოქმედებით ნიჭზე, არამედ მთარგმნელის მიერ გაწეულ სამეცნიერო შრომაზე.

ენობრივი პოლიტიკის ანალიზი და თარგმანი
იდეოლოგიისა და თარგმანის ურთიერთმიმართება

მხატვრული თარგმანის თეორია, როგორც მეცნიერება, უნდა მივიჩნიოთ, რომ მოიცავს სწავლების ისეთი დარგებს, როგორიც არის პოლიტიკა და იდეოლოგია. ყოველი ნარატივი იტევს ისეთ სოციოლინგვისტურ კონცეპტს, როგორიცაა „ენობრივი პოლიტიკა“, ნარატივის მიკროსამყაროს სუბიექტური რელფექსია დედნის ენიდან ნაამბობი - გულისხმობს მთხრობელის სუბიექტურად შერჩეულ ფაბულასა და პერსონაჟებს, მაშასადამე, მას აქვს წარმოდგენილი სრული სურათი: კოლოსალური კომპოზიცია დასაწყისით, განვითარებითა და კულმინაციით, ჟანრობრივი ხდომილების პერიპეტიებითა და ინვარიანტებით, როგორც ერთი კულტურის ავტორისეული ვიზუალიზაცია. კომპოზიციის არსს განსაზღვრავს ავტორის იდეოლოგია. ავტორი, როგორც სუბიექტური მთხრობელი, სათანადო ჟანრულ ფორმასა და ვერბალურ და არავერბალურ (გრაფიკულ) ნიშნებს მიმართავს კომპოზიციის ასამეტყველებლად. კომპოზიციამ ავტორის ხედვა, მისი იდეოლოგია უნდა გადმოსცეს. ყოველი სინტაქსური კონსტრუქცია და ლექსიკური ერთეული, დენოტაციური თუ კონოტაციური მნიშვნელობით, ემსახურება ავტორის ინტენციას, გამოხატოს საკუთარი სუბიექტური დამოკიდებულება ამბისა და პერსონაჟისადმი, სწორედ ეს არის ავტორის ენობრივი პოლიტიკა, რომელიც ავტორის იდეოლოგიით არის მოტივირებული და ამ იდეოლოგიის რელევანტურად არის დეტერმინირებული. შედეგად, ავტორის იდეოლოგიით პირობადებულია ენობრივი პოლიტიკაც: სუბიექტივიზმი (სუბიექტური იდეოლოგია) განაპირობებს სელექციურ დამოკიდებულებას ენობრივი და გრაფიკული ნიშნებისადმი. ამასთან, ლინგვისტურ ინფორმაციას თან ერთვის ექსტრალინგვისტური ინფორმაციაც. თარგმანის პროცესში, ნებისით ან უნებლიეთ, სუბიექტური მიზეზებით თუ ობიექტური გარემოებებით, ავტორის იდეოლოგიასა და ენობრივ პოლიტიკას ერწყმის მთარგმნელის იდეოლოგია და ენობრივი პოლიტიკა და ეს ორი ხმა ან ჰარმონიაშია ერთმანეთთან, ან დისონანსში. მხატვრული თარგმანის თეორიის მიზანია ემპირიული შესწავლის გზით გამოავლინოს თარგმანის ჰარმონია-დისონანსურობის ყოველი შემთხვევა ორიგინალთან, განსაზღვროს თარგმანის ტექსტის ეფექტის იგივეობა ორიგინალთან მიმართებით, ანუ თარგმანის მხატვრულ-იდეოლოგიური ღირებულება, დაადგინოს დისონანსურობის მიზეზები და მოუძებნოს თეორიული განზოგადება ემპირიულად გამოკვლეულს. ეს ყოველივე თეორიამ უნდა განახორციე-

ლოს დარგის კვლევის ისტორიული და თანამედროვე სამეცნიერო მიდგომებით, პარამეტრებითა და კრიტერიუმებით.

თარგმანი კოლონიზაციის პროცესის კატალიზატორი გახდა. კოლონიზებული ხალხის იდეოლოგიურად მოტივირებული იმიჯით თარგმანში ასახვა სწორედ კოლონიზატორთა ინტერესებს ემსახურებოდა. თანამედროვე თარგმანის თეორეტიკოსების აზრით, თარგმანი კოლონიასთან ასოცირდება, რადგან, კოლონიასავით, ისიც ორიგინალის იმიჯზე საკუთარ ხელწერით ქმნის იმიტაციურ ასლს, ახშობს დედნის გმირთა რეალურ იდენტობას. მათი აზრით, თარგმანი არა მარტო ამახინჯებს და აყალბებს იდენტობებს, არამედ ასეთ იდეოლოგიით გაჯერებულ ხატებს ავრცელებს და ამკვიდრებს.

რა თქმა უნდა, მხატვრულ ტექსტს აქვს საკუთარი პოლიტიკური ენა და იგი დატვირთულია იდეოლოგიით, შეხედულებებით და ემოციური ელემენტებით. დისკურსში ინტენცია და იდეოლოგია როგორც ექსპლიციტურად, ისე იმპლიციტურად არის გამოხატული. ვან დეიკის მტკიცებით, ტექსტი „ინფორმაციულ აისბერგს“ გავს, და ის რაც გამოხატულია სიტყვებით, მხოლოდ მის „წვერს“ წარმოადგენს (Ван Дейк 1993: 29). თარგმანი წარმოადგენს პოლიტიკური საქმიანობის განუყოფელ ნაწილს - „თვით საკითხი, თუ რომელი ტექსტი უნდა ითარგმნოს და რომელ ენებს შორის - უკვე პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. მაგალითად ბევრი ქვეყნის ოფიციალური ვებ-გვერდები მრავალენოვანი გახდა, მაგრამ ყველა ტექსტი როდი ითარგმნება. თუკი კარგად დავაკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ნათარგმნია მხოლოდ გარკვეული ტექსტები“ (Bassnett, Schaffner 2010: 22).

დერიდა წერს:: „მთარგმნელი კი არ მიისწრაფვის იქითკენ, რომ ესა თუ ის თქვას, ესა თუ ის აზრი - შინაარსი გადაიტანოს, ან რაიმე განსაზღვრული მნიშვნელობა გვაცნობოს, არამედ, მას სურს ენებს შორის სიახლოვე-მსგავსება გვაჩვენოს და ამით მთარგმნელის შესაძლებლობები წარმოაჩინოს. ყოველთვის უცვლელი და გაუგებარი რჩება ის, თუ რა ხიბლავს მთარგმნელს და რა განსაზღვრავს მის ტაქტიკა-სტრატეგიას.“

თარგმნის პროცესში სიტყვები იმ იდეის გამოთქმის საშუალებაა, რაც ავტორის იდეოლოგიურ ხედვას ასახავს, თუმცა ეს სიტყვები ყოველთვის არაა დედნის ზუსტი შესატყვისი არც თავისი ადგილით ტექსტში და არც კერძო მნიშვნელობით.

თარგმანის პოლიტიკის შესახებ ფ. შლეიერმახერი შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს: „ჩემი აზრით, ასეთი გზა ორია. ერთი მათგანის მიხედვით, მთარგმნელი შორდება ავტორს და თარგმნის მკითხველზე ორიენტირებულად, ხოლო მეორის მიხედვით, მთარგმნელი მოწადინებულია თარგმანი შეძლებისდაგვარად ახლოს იყოს ორიგინალთან.

პირველი გზის არჩევისას, მთარგმნელი მკითხველს იგივე შთაბეჭდილებას გადასცემს, რომელიც მასზე მოახდინა ორიგინალმა, მისთვის უცნობი ენის ავტორმა, მეორეს შემთხვევაში კი იმგვარად წარუდგენს მკითხველს ნაწარმოებს, თითქოს ავტორს ის მის ენაზე დაეწერა".

თარგმანს უდიდესი როლი აკისრია ეროვნული კულტურული იდენტობის წარმოჩენის საქმეში; სამწუხაროდ, მას შესწევს უნარი განახორციელოს იდეოლოგიური მანიპულაციები და დაამახინჯოს ტექსტის პოლიტიკა, ავტორის იდეოლოგია, პატრიოტული მოტივი და ა. შ. მაგ. ჭ. ამირეჯიბის რომანში „დათა თუთაშხია" ავტორი წერს:

- „დღეს თუკი ვისმე თავისუფლების, სამშობლოს, სახელმწიფოებრიობის სიყვარული აქვს, მხოლოდ იმის ბრალია, რომ ზნეობა უმდგრადესია სულიერ ღირსებათა შორის".

რუსულ თარგმანში კი ვკითხულობთ:

- «Но если и по сей день можно встретить людей, которые сберегли любовь к **свободе и любовь к родине**, то это потому только, что нравственность – самая стойкая духовная категория, свойственная человеку»...

თარგმანში გადმოტანილი არ არის სიტყვა „სახელმწიფოებრიობა", რადგან, კომუნისტურ ეპოქაში განსაკუთრებული იდეოლოგიური დატვირთვა ენიჭებოდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხს, მიჩნეული იყო რა, რომ 15 ერს საერთო სახელმწიფო, საბჭოთა კავშირი უნდა ჰყვარებოდა და დაევიწყებინა საკუთარი, ეროვნული მეობა.

ზემოთ განხილული ნიმუშები ცხადყოფს, რომ მხატვრულ ტექსტში ასახული ეროვნული ხედვის საერთაშორისო აუდიტორიამდე მიტანა არა მარტო ლიტერატურულ-კულტურული, არამედ პოლიტიკური მოვლენაა, კულტურის პოლიტიკა ეროვნული პოლიტიკის შემადგენელია და თითოეული მწერლის ლიტერატურული განაცხადის თარგმანისადმი ერთგულებას, ისე როგორც მხატვრული თარგმნის, როგორც უდიდესი კულტურული ღირებულების მქონე მოღვაწეობას, განსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროება. თანამედროვე მეცნიერები, სნელ-ჰორნბი, ბასნეტი, რობინსონი და სხვები მიიჩნევენ, რომ ენა კულტურის ნაწილია და არა პირიქით. ამავე პრინციპით, თარგმანი, როგორც ენა, ასევეა კულტურის ნაწილი.

სემიოტიკა, ტექსტი, დისკურსი, თარგმანი, მხატვრული თარგმანის მიმართება სემიოტიკასთან

თარგმანის სემიოტიკურ განზომილებაში განხილვისას, ის ვერბალური, ექსტრალინგვისტური და არავერბალური ნიშნები უნდა მივიღოთ მხედველობაში, რაც თარგმანის განხორციელებამდე არსებობს საკომუნიკაციო მოცემულობის სახით, როგორც ერთ ენაზე არსებული ინფორმაცია, რომელიც ამ ენაზე მოსაუბრე კულტურამ შექმნა და რომელსაც პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ L1.

სემიოტიკაში, რომელსაც პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ S-ი, როგორც ნიშნების ენაში, შეგვიძლია გამოვყოთ ნიშანთა სამი კატეგორია: (1) ვერბალურ-გრაფიკული; (2) ვერბალურ-ფონემური ნიშნების სისტემები და (3) არავერბალური, ანუ ჟესტ-მიმიკის ნიშანთა სისტემა.

ვერბალური ნიშნებით, ანუ პირველი კატეგორიით, ექმნით ტექსტს, რომელშიც შედგება ვერბალური ინფორმაციისაგან, რომელიც ვერბალური გრაფიკული ნიშნებით გადმოიცემა. ტექსტში აგრეთვე არსებობს ექსტრალინგვისტური ინფორმაციაც, რომელსაც შეიძლება დავყოთ შემდეგ ქვეკატეგორიებად:

(ა) ინფორმაცია უნიკალური კულტურული კოდის შესახებ;

(ბ) ავტორის მიერ კოდირებული პრაგმატიკული ინფორმაცია, რომელიც იქმნება ვერბალური გრაფიკული ნიშნებით, რომელშიც თანაარსებობს ექსტრალინგვისტური ინფორმაცია აბსტრაქტული ასოციაციების სახით.

ეს უკანასკნელი ქვეკატეგორია თავის მხრივ, შეიძლება კიდევ დავყოთ: (1) არავერბალურ, ასოციაციურ-აბსტრაქტულ ინფორმაციად, (2) პუნქტუაციურ და ინდივიდუალურ გრაფიკულ ნიშნებად. ამ ტიპს მიეკუთვნება ავტორის მიერ ნებისმიერი არაკონვენციური ვერბალური კომუნიკაცია ტექსტში, რომლის მაგალითებსაც მომდევნო ქვესათაურში გაეცნობით.

ტექსტი, როგორც ინფორმაციული მატრიცა, შეიცავს დისკურსს, როგორც ინფორმაციის ქვესტრუქტურას, რომელიც თავის მხრივ, შეიძლება იყოს მხატვრული, ან არამხატვრული. თუმცა, ესეც პირობითი გამიჯვნაა, რადგან, შესაძლოა, ტექსტი ზეპირად წავიკითხოთ, ანუ ვერბალურ-ფონემური ნიშნებით (და არა ვერბალურ-გრაფემული) გამოვსახოთ და ის მოვაქციოთ უფრო ფართო, ზეპირი დისკურსის ჩარჩოში, ან გადავიყვანოთ ინტერსემიოტიკური დისკურსის განზომილებაში, ანუ, როგორც იაკობსონი უწოდებს, ინტერსემიოტიკური თარგმანის / ტრანსმუტაციის განზომილებაში.

ამრიგად, ვერბალური ნიშნებით იქმნება ზოგადად ტექსტი, ტექსტში ქვე-სტრუქტურირებულია დისკურსი, რომელიც აიგება კონკრეტული ენის ვერბალურ-გრაფიკული ნიშნებით, ანუ დამწერლობის ენით, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ დამწერლობის ზოგადი ენა, და იგი ქმნის ინფორმაციის გადმოცემის უნიკალურ ენობრივ განზომილებას, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ კონკრეტული ავტორის ენა, რომელიც იქმნება დამწერლობის ზოგადი ენისადმი საკუთრივ მისი სელექციურ-სუბიექტური დამოკიდებულებით.

ამრიგად, თუ განვაზოგადებთ, ზოგადი ენა ქმნის ტექსტს, რომელსაც აქვს ქვესტრუქტურა - დისკურსი, ხოლო დისკურსი ლექსიკური ერთეულებით/ლექსიკით ქმნის კონკრეტულ ენას, რომლის ანალიზის საფუძველზეც, ვიღებთ სინთეზურ სურათს, რომელსაც ტექსტის ენა შეგვიძლია ვუწოდოთ.

დისკურსისა და ენის ურთიერთდამოკიდებულება განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ ზოგად ენას აქვს ფუნქცია და ეფექტი, როგორც გამოსახვის საშუალება, რომელიც ტექსტში სტრუქტურირებულ დისკურსში ზოგადიდან კონკრეტულ ფუნქციად და ეფექტად გარდაიქმნება. დისკურსში არსებული კონკრეტული ენობრივი ფუნქცია და ეფექტი განზოგადდება, როგორც ტექსტის მეტყველება, ანუ კონკრეტული სემიოტიკური ნიშანი.

ამდენად, ტექსტი ზოგადი სემიოტიკური განზომილებიდან კონკრეტულ ენობრივ განზომილებაში გადასვლას დისკურსის მეშვეობით ახდენს.

ტექსტების ჟანრობრივი კლასიფიკაცია ხდება მათში არსებული დისკურსული ფორმის მიხედვით.

თარგმანი, როგორც სემიოტიკური ნიშანი, უნდა განვიხილოთ როგორც ხელახალი ინფორმაცია, რომელიც L2 საკომუნიკაციო მოცემულობის სახით შეიქმნა L1 საკომუნიკაციო მოცემულობის ბაზაზე, რომელიც არსებობდა როგორც ერთ ენაზე არსებული ინფორმაცია, რომელიც ამ ენაზე მოსაუბრე კულტურულმა სუბიექტმა შექმნა. რადგან L2 საკომუნიკაციო მოცემულობა L1 საკომუნიკაციო მოცემულობის საფუძველზე იქმნება, თეორიულად, მასში შეიძლება არსებობდეს არა მხოლოდ ერთი, არამედ ორი ენისა და კულტურის ნიშნები, რაც შეიძლება გამოვლინდეს როგორც ლექსიკოგრამატიკულ დონეზე, ისე კულტურული ნიშნადობის პლანში, ანუ კულტურის სემიოტიკის დონეზე.

გავიხსენოთ, რომ ტექსტი ვერბალური და არავერბალური, ანუ გრაფიკული ნიშნებით იქმნება, მასში ქვესტრუქტურირებულია დამწერლობის ენით გადმოცემული


დისკურსი, რომელიც კონკრეტული ავტორის ენით რაიმე ინფორმაციის გადმოგვცემს და დამწერლობის ზოგადი ენისადმი ახასიათებს სელექციურ-სუბიექტური დამოკიდებულება. სწორედ ეს დამოკიდებულება განაპირობებს ამა თუ იმ ავტორის დისკურსის უნიკალურობას.

პირსი წერს, რომ ნიშანი სამი ნაწილისაგან შედგება: თავად ნიშანი, აღსანიშნი და შემეცნება, რომელიც გონებაში მიმდინარეობს. ამდენად, სემიოზისის სამი პოზიციაა:

1. ნიშანი, ანუ პირსის სიტყვით - რეპრეზენტანტი, აღქმადი ელემენტი, რომელიც ენაცვლება ობიექტს.

2. ინტერპრეტანტი - ამ ობიექტის გონებაში ჩამოყალიბებული ხატი;

3. რეფერენტი, ანუ თვით ობიექტი.



ამრიგად, სქემის მიხედვით, შეგვიძლია შემდეგი დავასკვნათ: ხის შემოცლილი ქერქი ისაა, რასაც ხედავს ინტერპრეტატორი; თავის მხრივ, დანახვა მას აუწყებს/აცნობებს, რომ *ხის ქერქის შემოცლამდე ამ ადგილას ირმები იყვნენ და რომ სწორედ მათ შემოაცალეს ქერქი ხეს.* სემიოტიკაში შეგვიძლია გამოვყოთ ნიშანთა სამი კატეგორია: ვერბალურ-გრაფიკული, ვერბალურ-ფონემური ნიშნების სისტემები და არავერბალური, ანუ ვიზუალური, ჟესტ-მიმიკის ნიშანთა სისტემა. მწერლისეული სემიოზისი, ანუ ნიშანი და მისი ინტერპრეტაცია, შეიძლება ნიშანთა სამივე კატეგორიით იყოს განპირობებული. ამავე დროს, პირსის თეორიის მიხედვით, ნიშნის ინტერპრეტაცია მეტწილად ასოციაციებზეა დამოკიდებული. რომანში „ნუ მოკლავ ჯაფარას“ პერსონაჟებს კნინობითი სახელები აქვთ შერქმეული: Cheese-face, Scout, Red-head, Boo-Radley, Eyebrows - ეს სახელები გადმოგვცემს იმ სემიოტიკური ნიშნებს, რომელთა ინტერპრეტაციაც მწერალმა ჰარპერ ლიმ ამ პერსონაჟების გარკვეულ სხვა ნიშნებთან აღძრული ასოციაციების საფუძველზე მოახდინა.

ქართული თარგმანის განხილვა გვიჩვენებს, რომ მთარგმნელმა ზუსტად ასახა მწერლის ვიზუალური ხატები, როგორც ნიშნები და თარგმანი იდენტური ასოციაციებით გადმოსცემს ამ ნიშნებს:

- პირღნაშა - Cheese-face
- ჭყიტა - Scout
- წიქორია - Red-head
- რედლი-ბუა - Boo-Radley
- წარბა - Eyebrows
- ზანტი და ზლაზნია კუ - slow-solid tortoise

თარგმანი, როგორც *სემიოტიკური ნიშანი*, უნდა განვიხილოთ, როგორც ხელახალი ინფორმაცია, რომელიც L2 საკომუნიკაციო მოცემულობის სახით შეიქმნა L1 საკომუნიკაციო მოცემულობის ბაზაზე, რომელიც არსებობდა როგორც ერთ ენაზე არსებული ინფორმაცია, რომელიც ამ ენაზე მოსაუბრე კულტურულმა სუბიექტმა შექმნა. რადგან L2 საკომუნიკაციო მოცემულობა 1 საკომუნიკაციო მოცემულობის საფუძველზე იქმნება, თეორიულად, მასში შეიძლება არსებობდეს არა მხოლოდ ერთი, არამედ ორი ენისა და კულტურის ნიშნები, რაც შეიძლება გამოვლინდეს როგორც ლექსიკოგრამატიკულ დონეზე, ისე კულტურული ნიშნადობის პლანში, ანუ კულტურის სემიოტიკის დონეზე. უნდა აღინიშნოს, რომ მწერლის ხელწერა ორიგინალსა და თარგმანში ყოველთვის ვერ აისახება თანაბარი ძალით.

მხატვრული ტექსტის გრაფიკული ეფექტის თარგმანი

მხატვრული ტექსტის წერილობითი ფორმატი საშუალებას არ გვაძლევს მეტყველების უშუალო მანერის ეფექტი, ან ტონალობა გადმოვცეთ; წერილობით დისკურსში მათ გადმოსაცემად ვერბალური საშუალებებს გრაფიკული ნიშნები ემატება. ისეთი გრაფიკული ელემენტები, როგორიცაა პუნქტუაციის მარკერები, შორისდებულები, დისკურსის მარკერები ზეპირსამეტყველო ნორმების ასახვის შესაძლებლობას გვაძლევს.

თუ ზეპირმეტყველებას არ სჩვევია უჩვეულო ფორმით სათქმელის გადმოცემა, რათა ფორმამ შინაარსის აღქმას არ შეუშალოს ხელი, საპირისპიროდ, მხატვრულ ტექსტში გამოხატვის უჩვეულო ფორმა ქმნის დამატებით საკომუნიკაციო ეფექტს, მაგალითად:

1. ასომთავრულის გამოყენება მაღალი ტონის ეფექტს ახდენს:

"MISS JEMIMA! Exclaimed Miss Pinkerton, in the largest capitals.

(W. Makepeace Thackeray Vanity Fair)

2. ლექსიკური ერთეულების გამეორებისას მათ შორის დეფისების დასმა ემფატურობის ხაზგასმის მიზნით:

"His last word - to live with," she insisted. "Don't you understand I loved him -I loved him - ! loved him!" 2289.

Joseph Conrad, Heart of Darkness.

3. ტირე ასო-ბგერებს შორის ა) მეტყველების დეფექტის გადმოცემის მიზნით:

"I'm Meg W-w-w-wildewood, from Wild-w-w-wood, Arkansas, That's hill country. (Capote, 146).

„მეგ უა-უა-უაილდვუდი გახლავართ, მთაგორიანი არკანზასიდან, ქალაქ უაილდ-უი-უი-უოდიდან".

ბ) პერსონაჟის მეტყველების დეფექტის გადმოსაცემად:

THE FLOWER GIRL. AH-ah-ah-ow-ow-oo! (p. 38) LIZA. Ah-ow-oo-ooh! (74)

გ) გრაფიკული გამოსახულება - ტირე ასო-ბგერათა შორის გაკვირვების გამოსახატად, მაგ. -W-h-a-a-t?

5. ელიფსისი (სამწერტილი), როგორც: ა) მედიტაციური ტონალობის ეფექტის საშუალება:

"...And then a girl came out of the house...wearing something blue upon her head...and stood there...feeding birds ...pigeons...they came fluttering round her

...and then...look...A man...A man! He came round the corner. He seized her in his arms! They kissed...they kissed!" (Virginia Woolf, the Searchlight, 2357).

ბ) ელიფსი ასევე აღნიშნავს დროის მცირე მონაკვეთის არსებობას, დასმულ კითხვასა და გაცემულ პასუხს შორის:

- Which day of the week do fish hate?.....

- Fry-Day.



6. ასო-ბგერათა წაგრძელება დიალექტის კოლორიტის შთაბეჭდილების გადმოსაცემად. მაგ. ბერნარდ შო, ელაიზა დულიტლის კოკნის ეფექტი რომ გადმოსცეს, სწორედ ამ ხერხს მიმართავს:

HIGGINS. Say A B C D.

LIZA (almost in tears). But I'm saying it. Ahyee, Beyee, Ceyee...(75)



7) შრიფტის ზომისა და ფორმის ცვალებადობა, როგორც გრაფიკული ეფექტის საშუალება; მაგ. ა. მორჩილაძის მხატვრულ ტექსტებში შრიფტის ცვალებადობა თხრობიდან გადახვევას და მკითხველისათვის დამატებითი და მეტად მნიშვნელოვანი, იმპლიცირებული ინფორმაციის მიწოდების ფუნქციას ასრულებს:

"სწორედ ეს წიგნი იყო ნუგ ზარის მთავარი ბესტსელერი საბჭოთა დროებაში, ეს წიგნი წაიკითხა თითქმის ყველამ, სოფლის მასწავლებელმაც და ცეკას მდივნების ცოლების რჩევით, პირველ მდივანს არ წაუკითხავს, არც მეორეს, ერთს ქართული კითხვა არ ეხურხებოდა, მეორემ კი საერთოდ არ იცოდა"...(25)

ამ შემთხვევაში, წერის გრაფიკული ეფექტი დამატებით ინფორმაციას გადმოგვცემს. მარკირებული და იმპლიცირებულია, რომ: ა) პირველ მდივანს განათლება რუსულ ენაზე აქვს მიღებული, რად მოდური გახლდათ საბჭოური წყობის დროს; ბ) მეორე მდივნის რუსული წარმომავლობა, რაც კომუნისტური რეჟიმის სავალდებულო მოთხოვნა გახლდათ ყველა საბჭოთა რესპუბლიკისადმი.

შრიფტის ზომის ცვალებადობითა და გრაფიკული ნიშნის დამატებით, პიესაში, დრამატურგი გადმოსცემს სასცენო დირექტივებს:

CONSTABLE ***(scandalized)*** **Now then! Now then!! Now then!!!** ***123. They release one another hastily.***

ამავე ნიმუშში, იმპერატიული ტონალობა გადმოიცემა გამეორების, სტილისტური ხერხის მეშვეობით; თითოეულ გამეორებულ ძახით წინადადებას (მოწოდების ფუნქციით) ემატება ერთით მეტი ძახილის ნიშანი, მაგ.: პირველ წინადადებას ერთი ძახილის ნიშანი მოსდევს, მეორეს ორი და ა. შ. ხოლო შრიფტის ზომა ერთი ზომით იზრდება, რითიც ემფაზის გრადაციის ეფექტი იქმნება.

მხატვრული თარგმანის ტიპების ნიუმარკისეული განსაზღვრება

ერთგული თარგმანი არის ტექსტის კონტექსტური შინაარსის ზუსტი რეპროდუქცია სამიზნე ენის გრამატიკული სტრუქტურებით.

სემანტიკური თარგმანი განსხვავდება ერთგული თარგმანისგან იმით, რომ იგი წყარო ენის ესთეტიკურ ღირებულებას ითვალისწინებს. დასრულებულ თარგმანში არც ასონანსი, არც სიტყვათა თამაში და არც გამეორება არ ეხამუშება „ყურს"; მთარგმნელმა შეიძლება „გასწიროს" მნიშვნელობა, ან მცირედ დათმობებზე წავიდეს თარგმანის „კითხვადობის" მიზნით. სემანტიკური თარგმანი არ არის 100%-ით ერთგული თარგმანი, ვინაიდან ასეთ თარგმანში მთარგმნელის ინტუიციური ემპათია შერწყმულია ორიგინალის შინაარსთან.

ადაპტაცია თარგმანის ყველაზე თავისუფალი ფორმაა, მას უმეტესად თეატრში მიმართავენ სცენარის შესაქმნელად. თავისუფალი თარგმანი არის საწყისი ენის ტექსტის შინაარსის რეპროდუქცია ტექსტის მხატვრული გაფორმების გარეშე, ანუ შინაარსი ფორმის გარეშე. ადაპტაცია იგივეა, რაც ორიგინალზე უფრო ერცელი პერიფრაზი. ნიუმარკს ადაპტაცია თარგმანად არ მიაჩნია.

იდიომატური თარგმანი არის ორიგინალის ისეთი რეპროდუქცია, რომელიც არღვევს მნიშვნელობის ნიუანსებს, თარგმნისას უმართებულოდ მიმართავს კოლოკვიალიზმებსა და იდიომებს, თუნდაც სახეობრივი მეტყველების ეს ფორმები წყარო ტექსტში არ დაიძებნებოდეს.

კომუნიკაციური თარგმანი გადმოსცემს ორიგინალის ზუსტ კონტექსტურ მნიშვნელობას ისე, რომ შინაარსი და მისი გადმოცემის ენა მკითხველისათვის ადვილად აღსაქმელი და მისაღებია.

კომპენსაცია, როგორც მხატვრული თარგმანის სტრატეგია

კომპენსაციას, როგორც სტრატეგიას, მთარგმნელი მიმართავს დედნის სემანტიკური, სტილისტიკური, პრაგმატიკული, სოციოლინგვისტიკური და / ან კულტურული ეფექტის ასანაზღაურებლად, რაც თარგმანში დაიკარგა.

თარგმანში შეიძლება ვერ გადმოიცეს წინადადების მნიშვნელობა, ბგერითი ეფექტი, პრაგმატიკული ეფექტი, სტილისტური ხერხი, პერსონაჟის სამეტყველო პორტრეტის დამახასიათებელი შტრიხი, ან სიტუაციის აღწერის ენობრივი საშუალება. ასეთი გამოტოვებული ელემენტები, როგორც დანაკარგი, ანაზღაურებულია იმავე, ან მომდევნო წინადადებებში.

სემანტიკური დანაკარგის ვარიანტია ქართულისათვის მისაღები მსაზღვრელ-საზღვრულის ხატოვანი კოლოკაცია, რომელშიც ინგლისურში არ გვხვდება. დაკარგული მსაზღვრელის კომპენსაცია ხდება სინონიმური კოლოკაციით:

„ბიჭებს მოსწონდათ ყველაფერი, დიდხანს დადიოდნენ თოვლზე, განსაკუთრებით გაუკვალავ თოვლში სიამოვნებდათ სიარული".

"The guys were pleased with their entire trip, but those long strolls through virgin snow were their particular favorite".

სკაბრეზული გამონათქვამის სემანტიკური დანაკარგი მისი პრაგმატიკული ეფექტით არის კომპენსირებული თარგმანში:

"He rubbed against her leg. "I said fuck off!" she shouted, then jumped back in the car, slammed the door, and: "Go," she told the driver".

„კატა ახლა ფეხზე მიელამუნა.

- წაეთრიე, რომ გეუბნები! - უყვირა ჰოლიმ, შემდეგ მანქანაში შემოხტა, კარი მოუჯახუნა და "წადიო", - უბრძანა მძღოლს".

